


ა. გოჩოლეიშვილი, დ. კშავათაძე

ჰორიზონტალური, დახრილი და ვერტიკალური
ბეირაბეგის მშენებლობა და რეკონსტრუქცია



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

შაპ 622.26 622.253 (075.8)

სახელმძღვანელოში გაშუქებულია პორიზონტალური, დახრილი და ვერტიკალური გვირაბების, შახტის ზედაპირული შენობა-ნეგებობების ძირითადი კონსტრუქციებისა და მშენებლობის ტექნოლოგიური პროცესები. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქანის მონგრევის, დატვირთვისა და გამოზიდვის საკითხებს, გვირაბის გამაგრების ტექნოლოგიურ პროცესებს, დამსმარე სამუშაოებს. აღწერილია თანამედროვე მანქანა-მექანიზმები და გვირაბგამყვანი კომპლექსები. განკუთვნილია უმაღლესი ტექნიკური სწავლების სტუდენტებისათვის. იგი აგრეთვე შეიძლება გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში სამთო საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა.

რეცენზენტი: ასოცირებული პროფესორი **ა. ლებანიძე**

1. სამთო სამუშაოების ცხება და მიწისძვრება გვირაბები

მატერიალური კეთილდღეობის შექმნის მიზნით მიწის წიაღში მოთავსებული მარგი წიაღისეული ამოტანილი უნდა იქნეს მიწის ზედაპირზე, რასაც **მოპოვება** ეწოდება. მოპოვება სამუშაოთა მთელ კომპლექსს გულისხმობს და ნიშნავს ზედაპირიდან წიაღისეულამდე ამა თუ იმ გზით მისვლას, მასივიდან მის მოცილებას და ზედაპირზე ამოტანას. მარგი წიაღისეულის ამოღების მიზნით წარმოებულ სამუშაოებს სამთო სამუშაოები ეწოდება.

სამთო სამუშაოების წარმოების შედეგად მიწის ქერქში იქმნება სიღრუე (სივრცე), რომელიც მიწისქვეშა ნაგებობას წარმოადგენს და გვირაბი ეწოდება. ფუნქციონალური დამოკიდებულების მიხედვით გვირაბი შეიძლება იყოს დაზვერვითი, რომელიც მარგი წიაღისეულის დაძიების მიზნით გაიყვანება, და საექსპლუატაციო, რომელიც ემსახურება მარგი წიაღისეულის მოპოვებას. თავის მხრივ, საექსპლუატაციო გვირაბები დანიშნულების მიხედვით იყოფა: გამხსნელ, მოსამზადებელ, საწმენდ და კამერულ გვირაბებად.

განასხვავებენ აგრეთვე დია და მიწისქვეშა გვირაბებს. მიწის ზედაპირზე გაყვანილ გვირაბს დია, ხოლო მიწის ნიშნულის ქვემოთ გაყვანილ შეკრული კონტურის გვირაბს მიწისქვეშა გვირაბი ეწოდება.

გვირაბს აქვს საწყისი და ბოლო მხარე. ადგილს, საიდანაც იწყება გვირაბის გაყვანა საწყისი, ხოლო საწინააღმდეგოს – ბოლო მხარე ეწოდება. მიწის ზედაპირიდან გაყვანილი გვირაბის

საწყის ნაწილს გვირაბის პირს უწოდებენ. გაყვანის პროცესში მყოფი გვირაბის ბოლოს, რომელიც სამთო სამუშაოების შედეგად გადაადგილებას განიცდის, **გვირაბის სანგრევი ეწოდება.**

გვირაბებს, რომლებიც საბადოს პყოფენ ამოსაღებ ველებად, უბნებად და ბლოკებად, მოსამზადებელ გვირაბებს უწოდებენ.


მცირე სიგრძის გვირაბებს, რომელთაც განივავეთის დიდი ფართობი აქვთ, **კამერებს** უწოდებენ. სივრცეში განლაგების ოვალსაზრისით არჩევენ ვერტიკალურ, პორიზონტალურ და დახრილ გვირაბებს.

მიწისქვეშა გვირაბების ურთიერთგანლაგება ნაჩვენებია 1, 2 და 3 ნახაზებზე.

1.1. ვერტიკალური გვირაბები

გვირაბებს, რომლის მთავარი ღერძი ვერტიკალურია, ეწოდება ვერტიკალური გვირაბი. ვერტიკალურ გვირაბებს მიეკუთვნება: ჭაური, ბრმა ჭაური, გეზენგი, შურფი (ნახ. 1).

ჭაური (ნახ. 1. 1, 2) ეწოდება ვერტიკალურ გვირაბს, რომელსაც აქვს უშუალოდ გამოსასვლელი მიწის ზედაპირზე და განკუთვნილია მიწისქვეშა სამუშაოების მომსახურებისათვის. დანიშნულების მიხედვით ჭაური შეიძლება იყოს ძირითადი და დამხმარე. ძირითადი ჭაური ემსახურება ზედაპირზე მარგი წიაღისეულის ამოტანას. დამხმარე ჭაურის დანიშნულებაა ხალხის ჩაჭვანა-ამოყვანა, მანქანების, მასალების ტრანსპორტირება და ფუჭი ქანის ამოტანა.



ნახ. 1. ვერტიკალური გვირაბები; 1, 2 – ჭაური; 3 – ბრმა ჭაური; 4 – გეზენგი; 5 – შურფი.

ბრმა ჭაური (ნახ. 1.3) ეწოდება ვერტიკალურ გვირაბს რომელსაც უშეალო გამოსასვლელი არა აქვს მიწის ზედაპირზე და ემსახურება ქვედა პორიზონტზე მიწისქვეშა სამუშაოებს (მარგი წიაღისეულის ამოტანა, ვენტილაცია, ხალხის ჩაყვანა-ამოყვანა).

გეზენგი (ნახ. 1.4) წეოდება ვერტიკალურ გვირაბს, რომელსაც უშეალო გამოსასვლელი არა აქვს მიწის ზედაპირზე და განკუთვნილია ზედა ფენიდან ქვევით ნახშირის საკუთარი წონის გავლენით ჩამოშვებისათვის.


შურფი (ნახ. 1.5) ეწოდება მცირე განივკვეთისა და სიღრმის ვერტიკალურ გვირაბს, რომელსაც გამოსასვლელი აქვს მიწის ზედაპირზე. შურფის დანიშნულებაა სასარგებლო ნამარხის ძიება. გამოიყენება შახტის განიავებისათვის.

12. პორიზონტალური გვირაბები

პორიზონტალურ გვირაბებს მიეკუთვნება: ტუნელი, შტოლნა, კვერშლაგი, შტრეკი, საველე შტრეკი, ორტი (ნახ. 2).

ჩვეულებრივ, ყველა ეს გვირაბები ზუსტად პორიზონტალური არაა. ტვირთის ზიდვის გაადვილებისა და წყლის დინების უზრუნველყოფის მიზნით ისინი გაჰყავთ ოდნავი დაქანებით (0,004-0,005)

ტუნელი (ნახ. 2.1.) ეწოდება პორიზონტალურ მიწისქვეშა გვირაბს, რომელსაც აქვს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გამოსასვლელი მიწის ზედაპირზე და ემსახურება ტრანსპორტის მიზნებს, წყლის გატარებას და სხვ.



ნახ. 2. პორიზონტალური გვირაბები: 1 – ტუნელი; 2 – შტოლნა; 3 – კვერშლაგი; 4 – შტრეკი; 5 – საველე შტრეკი; 6 – ორტი.

შტოლნა (ნახ. 2.2) ეწოდება პორიზონტალურ მიწისქვეშა გვირაბს, რომელსაც აქვს ერთი უშუალო გამოსასვლელი მიწის ზედაპირზე. შტოლნას იყენებენ როგორც სადაზვერვო, ასევე საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის.

კვერშლაგი (ნახ. 2.3) ეწოდება პორიზონტალურ მიწისქვეშა გვირაბს, რომელსაც მიწის ზედაპირზე უშუალო გამოსასვლელი არა აქვს და გაყვანილია ფუჭები ქანში ფენის მიმართების (გავრცელების) ხაზისადმი რაიმე კუთხით.

შტრუმი (ნახ. 2.4) ეწოდება პორიზონტალურ მიწისქვეშა გვირაბს, რომელსაც მიწის ზედაპირზე უშუალო გამოსასვლელი არა აქვს და გაყვანილია ფენის მიმართების (გავრცელების) ხაზის თანხვდენილად.

საველე შტრეკი (ნახ. 2.5) ეწოდება პორიზონტალურ მიწისქვეშა გვირაბს, რომელსაც მიწის ზედაპირზე უშუალო გამოსასვლელი არა აქვს და გაყვანილია ფუჭები ქანში ფენის მიმართების (გავრცელების) ხაზის თანხვდენილად.

ორტი (ნახ. 2.6) ეწოდება პორიზონტალურ მიწისქვეშა გვირაბს, რომელსაც მიწის ზედაპირზე უშუალო გამოსასვლელი არა აქვს და გაყვანილია სქელ ფენში მიმართების (გავრცელების) ხაზისადმი რაიმე კუთხით

1.3. დახრილი გვირაბები


დახრილი გვირაბები გაჰყავთ როგორც ფუჭები, ისე სასარგებლო ნამარხის ფენაში. ვერტიკალური და პორიზონტალური გვირაბების მსგავსად დახრილ გვირაბებსაც შეიძლება პქონდეთ ან არ გააჩნდეთ უშუალო გამოსასვლელი ზედაპირზე (ნახ. 3).

ქანობი (ნახ. 3.1) ეწოდება მიწისქვეშა დახრილ გვირაბს, რომელსაც მიწის ზედაპირზე უშუალო გამოსასვლელი არა აქვს, გაყვანილია ფენის დაქანების მიმართულებით და ემსახურება

ტვირთის აწევას ქვედა პორიზონტებიდან ზედა პორიზონტებზე მექანიკური მოწყობილობის საშუალებით.

ბრემსბერგი (ნახ. 3.2) ეწოდება მიწისქვეშა დახრილ გვირაბს, რომელსაც მიწის ზედაპირზე უშუალო გამოსასვლელი არა აქვს, გაიყვანება ფენაში მისი დახრის მიმართულებით და ემსახურება სხვადასხვა ტვირთის ჩაშვებას ზედა პორიზონტებიდან ქვედა პორიზონტებზე მექანიკური მოწყობილობის საშუალებით.

შურო (ნახ. 3.3) ეწოდება მიწისქვეშა დახრილ გვირაბს, რომელსაც მიწის ზედაპირზე უშუალო გამოსასვლელი არა აქვს და ძირითადად იყენებენ სასარგებლო ნამარხისა და ფუჭი ქანის ზედა პორიზონტებიდან ქვედა პორიზონტებზე საკუთარი წონით ჩამოსაშვებად.



ნახ. 3. დახრილი გვირაბები; 1 – ქანობი; 2 – ბრემსბერგი;
3 – შურო; 4 – დახრილი ჭაური.

დახრილი ჭაური (ნახ. 3, 4) ეწოდება მიწისქვეშა დახრილ გვირაბს, რომელსაც მიწის ზედაპირზე უშუალო გამოსასვლელი აქვს და განკუთვნილია მიწისქვეშა სამუშაოების მომსახურების საშუალებით.


2. ბგირაპების განივალეთის ფორმა და ზომები

ნებისმიერი გვირაბის გაყვანის დაპროექტებისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა განისაზღვროს მისი განივალეთის ფორმა და ზომები (განივალეთის ფართობი).

გვირაბის განივალეთის ფორმა, უმთავრესად, დამოკიდებულია ქანების ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებსა და სამაგრის სახეობაზე. ამ უბანასკნელის განსაზღვრა ხდება მოსალოდნელი სამთო წნევისა და გვირაბის სამსახურის ვადის მიხედვით. გვირაბგამყვანი კომბაინით მუშაობისას გვირაბის კვეთის ფორმას განსაზღვრავს კომბაინის მჭრელი ორგანო.

მაგარ და მდგრად ქანებში გაყვანის შემთხვევაში გვირაბი შეიძლება გაუმაგრებლად იქნეს დატოვებული. ასეთი გვირაბის ჭერს აძლევენ თაღურ ფორმას, რაც აუმჯობესებს მისი შენახვის პირობებს. თაღური ჭერის მქონე გაუმაგრებელ გვირაბებს ვხვდებით ლითონიანი მაღნეულის საბადოების დამუშავების პრაქტიკაში.

ნის სამაგრისათვის დამახასიათებელია გვირაბის განივალეთის მართვულობა და ტრაპეციული ფორმა (ნახ. 4 ა, ბ). ტრაპეციული ფორმა უფრო ეკონომიკურია, ვინაიდან უდლის ნაკლები მალის გამო მცირდება ჭერის წნევა სამაგრზე და გამოსაღები ქანის მოცულობა. ამასთანავე გვერდითი სამთო წნევის არსებობისას დახრილად დაყენებულ ბიგებს მეტი მდგრადობა აქვთ. მართვულობა სამაგრი ჩარჩოების დაყენება უფრო იოლია, ისევე როგორც მართვულობა კონტურის მიღება გვირაბის გაყვანისას.




ნახ. 4

მართკუთხა და ტრაპეციული ფორმის გვირაბებში იყენებენ აგრეთვე ლითონის, ასაწყობი რკინაბეტონისა და შერეული ტიპის სამაგრებს (ქვის კედლები ან რკინაბეტონის ბიგები, რომლებზეც ლითონის უდლებია გადებული).

გვირაბის განივევეთის პოლიგონალურ ფორმას უმეტესად იყენებენ ასაწყობი რკინაბეტონით გამაგრებისას (ნახ. 4, გ). ამ შემთხვევაში სამაგრი ჩარჩოების ელემენტებს აქვთ მცირე მალი, რაც აუმჯობესებს მათი მუშაობის პირობებს. ასეთი კვეთის გვირაბებში ზოგჯერ ლითონისა და ხის სამაგრსაც ხმარობენ.

ქვის, ბეტონითა და მონოლითური რკინაბეტონით გამაგრების დროს გვირაბების განივევეთი კამაროვანი ფორმისაა (ნახ. 5 ა) კედლები ამ შემთხვევაში სწორხაზოვანია (ვერტიკალური ან დახრილი) ან მრუდხაზოვანია (ნალისებრი კვეთი, ნახ. 5, ბ). ამ უკანასკნელს გვერდითი სამთო წნევის არსებობისას მიმართავენ. თუ სამთო წნევა გვირაბის იატაკიდანაც მოქმედებს, მაშინ საჭირო ხდება შებრუნებული თაღის მოწყობა, რაც სათანადოდ ცვლის კვეთის ფორმას (ნახ. 2, გ). კამაროვანი ფორმის კვეთს ხშირად იყენებენ ლითონით გამაგრებისას. კვეთის მოხაზულობა

შეიძლება შეიცვალოს სამთო წნევის ხასიათის შესაბამისად (ვერტიკალური, დახრილი ან მრუდხაზოვანი საყრდენები




ნახ. 5

და სხვ.). ასეთი კვეთის გვირაბებში ზოგჯერ შერეულ სამაგრსაც იყენებენ (ლითონის კამარა და რკინაბეტონის საყრდენები).

ყოველმხივი და მნიშვნელოვანი სამთო წნევის არსებობისას გვირაბის განივავეთი წრიული ფორმისაა (ნახ. 6). სამაგრ მასალად იყენებენ ბეტონს, ასაწყობ ან მონოლითურ რკინაბეტონს), ხელოვნურ ქვასა და ლითონს.

პიდრობექნიკური, სარკინიგზო, საავტომობილო და მეტროპოლიტენის გვირაბების განივავეთი გვირაბების განივავეთი მრუდხაზოვანი ფორმისაა (თაღური, ნალისებრი, წრიული).



ნახ. 6


გვირაბის განივევეთის ზომები უნდა უზრუნველყოფდეს მის საწარმოო დანიშნულებას.

საჭიროა განვსაზღვროთ გვირაბის განივევეთი სინათლეში, შავში და გაყვანისას. განივევეთი სინათლეში (ხილული განივევთი) ეწოდება ფართობს, რომელიც მოქცეულია გვირაბის სამაგრის შიგნით. თუ მას დავუმატებთ სამაგრის მიერ დაკავებულ საპროექტო ფართობს, მივიღებთ განივევეთს შავში. სასურველია, რომ გვირაბის გაყვანა ზუსტად ასეთი კვეთის დაცვით წარმოებდეს, მაგრამ პრაქტიკაში მუდამ ხდება ზედმეტი ქანის გამოღება საპროექტო კონტურის გარეთ. ფაქტიურად მიღებულ ამ განივევეთს ეწოდება გვირაბის გაყვანის განივევეთი. განივევეთი შავში და განივავთი გაყვანისას ერთიმეორისაგან რაც შეიძლება მცირედ უნდა განსხვავდებოდეს; კვეთის გადაჭარბება აძვირებს გაყვანის ღირებულებას, ვინაიდან იგი იწვევს მოსანგრევი და გამოსაზიდი ქანის მოცულობის გადიდებასა და სამაგრის ამოყვანის გართულებას, ხოლო მონოლითური ბეტონისა და რკინაბეტონის გამოყენების შემთხვევაში – სამაგრის სისქის

უსარგებლო გაზრდას. არსებული ნორმების მიხედვით ჭარბი განივევეთის სიდიდე 5%-ს არ უნდა აღემატებოდეს.

იმ გვირაბის განივევეთის ფართობის ზომები, რომლებიც სარელსო ტრანსპორტისათვისაა განკუთვნილი, დამოკიდებულია ლიანდაგების რაოდენობაზე, მოძრავ შემადგენლობათა გაბარიტებზე (ელმავალი, ვაგონები), ხალხის გადაადგილების ხერხზე და უსაფრთხოების წესით დადგენილ მინიმალურ მანძილებზე შემხვედრ მოძრავ შემადგენლობათა შორის და გვირაბის სამაგრისა და მოძრავ შემადგენლობებს შორის (ნახ. 7). ასეთი მინიმალური მანძილების მნიშვნელობები მოცემულია 1-ლ ცხრილში, ხალხის გასასვლელის სიმაღლე 1800 მმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.


მოსახვევებში მინიმალური მანძილების მეტი მნიშვნელობანი აიღება მრუდის გარე მხრიდან.



ნახ. 7

როგორც მე-7 ნახაზიდან ჩანს, სინათლეში გვირაბის სიგანის დასადგენად მოძრავი შემადგენლობის გაბარიტულ სიგანეს უნდა დავუმატოთ მინიმალური მანძილების შესაბამისი მნიშვნელობანი.

გვირაბის სიმაღლე სინათლეში აიღება ლიანდაგის ბალახის დონიდან. არსებული ნორმების თანახმად, მანძილი რელსის თავიდან ჭერის სამაგრამდე კონტაქტური ელემაციების ზიდვისას (მართკუთხა და ტრაპეციული კვეთის გვირაბებში) უნდა იყოს 2200 მმ, ხოლო აკუმულატორული ელემაციების შემთხვევაში – 1900 მმ. სიმაღლის გასაგებად ამ მანძილს უნდა დაემატოს რელსისა და შპალის სიმაღლე.



ნახ. 8

თუ ხალხის გადაყვანა გვირაბში მატარებლით ხდება ან მოწყობილია სპეციალური განყოფილება ხალხის სასიარულოდ, მაშინ საკონტაქტო ხაზი ყველა შემთხვევაში დაიკიდება ჭერის სამაგრიდან 200 მმ მანძილზე.

თაღური მოხაზულობის მქონე გვირაბის სიმაღლის გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ ვერტიკალური კედლის სიმაღლე და თაღის ამაღლება (ნახ. 8). კედლის სიმაღლე h , (მანძილი რელსის თავიდან თაღის საყრდენამდე) დამოკიდებულია ლიანდაგების

მინიმალური მანძილები, მდ	სწორხაზოვან უბნებზე		მოსახვევებზე	
	სამაგრის მასალა			
	ხე, ლითონი	ქვა, ბეტონი	ხე, ლითონი	ქვა, ბეტონი
სამაგრსა და მოძრავი შემადგენლობის ყველაზე გამოშვერილ ნაწილურს შორის გვირაბის ერთ მხარეზე...	250	200	350/550	300/500
იგივე, გვირაბის მეორე მხარეს (განკუთვნილია ხალხის სასიარულოდ).	700	700	800/1000	800/1000
იგივე, ვაგონებზე გადაბმა-გადახსნის ადგილებზე ორლიანდაგის გვირაბებში (ორივე მხარეს)	700	700	—	—
იგივე სამგზავრო შემადგენლობაში ხალხის ჩასხდომის ადგილებზე (გვირაბის ერთ მხარეს, შემადგენლობის მთელ სიგრძეზე)	1000	1000	—	—
შემხედვრ მოძრავ შემადგენლობათა ყველაზე გამოშვერილ ნაწილურებს შორის. . .	200	200	570	570

აოდენობაზე, ელმავლის ტიპზე (საკონტაქტო თუ
აკუმულატორული) და ვაგონების ტეგადობაზე (ზომებზე).
სიმაღლეთა მნიშვნელობანი სხვადასხვა პირობებისათვის
მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

კლმაგლის ტიპი	ლიანდაგების რაოდენობა	კედლის სიმაღლე რელსის თავიდან თაღის საყრდენებები			
		გაგონების ტევადობა			
		1	2	3	4
კონტაქტური	ერთი	1750	1600	1600	1600
კონტაქტური	ორი	1600	1400	1600	1600
აკუმულატორიანი	ერთი	1450	1300	1400	1400
აკუმულატორიანი	ორი	1300	1300	1400	1400

სინათლეში კედლის სრული სიმაღლის მისაღებად (ბალასტიდან თაღის საყრდენამდე – h (ცხრილში მოყვანილ მნიშვნელობებს უნდა დაემატოს რელსისა და შაბალის სიმაღლე, იგი 140-160 მმ შეადგენს).

თაღის ამაღლების სიღიდე h_0 დამოკიდებულია ჭერის ქანების სიმაგრეზე. თუ ქანების სიმაგრის კოეფიციენტი პროფ.

პროტოდიაკონოვის სკალით $f > 3$, მაშინ $h_0 = \frac{l}{3}$ (l გვირაბის სიგანეა სინათლეში); როდესაც $f < 3$, თაღის ამაღლება $h_0 = \frac{l}{2}$.

გვირაბის სიმაღლისა და სიგანის შემდეგ ადვილია განივალოთის ფართობის განსაზღვრა ანალიზურად ან გრაფიკულად. გვირაბის თაღური ნაწილის ფართობი, როდესაც თაღი მრავალცენტრიანია, გამოითვლება ფორმულით $S_0 = C$

ხოლო ნახევარწრიული თაღის შემთხვევაში $S_0 = C$.

თაღოვანი გვირაბის პერიმეტრი სინათლეში შესაბამისად იქნება

$$P = 2h + \text{და} \quad P = 2h -.$$

თუ გვირაბში ზიდვა კონვეიერით ხდება, მის ერთ მხარეს დატოვებული გამოსასვლელის მინიმალური სიგანე 0,7 მ, ხოლო მეორე მხარეს – 0,4 მ. დამჭიმავ და ამძრავ მოწყობილობებთან გამოსასვლელის სიგანე თითოეულ მხარეს 0,6 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. მინიმალური მანძილი კონვეიერის ზედა ნაწილურიდან ჭერის სიმაგრემდე 0,5 მეტრია.

გვირაბის განივავეთის ფართობის ზემოაღნიშნული წესით განსაზღვრის შემდეგ იგი უნდა შემოწმდეს გასანიავებლად საჭირო პაერის გამტარობაზე: პაერის ჭავლის მოძრაობის სიჩქარე კვერშლაგში, მთავარ საზიდ და სავენტილაციო შტრეკებში, კაპიტალურ ბრემსბერგებსა და ქანობებში არ უნდა აღემატებოდეს 8 მ/წმ, ხოლო დანარჩენ გვირაბებში - 6 მ/წმ. თუ გვირაბის განივავეთის ფართობი ამ მოთხოვნებს ვერ აქმაყოფილებს, აუცილებელია მისი სათანადო გადიდება. საჭმე ის არის, რომ პაერის ჭავლის გაზრდილი სიჩქარეები მოითხოვს მძლავრ სავენტილაციო დანადგარებს, რომელთა ექსპლუატაცია დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამიტომ უფრო მიზანშეწონილად თვლიან გვირაბის კვეთის გადიდებასთან დაკავშირებულ ხარჯების გაწევას.

გვირაბის განივავეთის ფართობს ამოწმებენ პაერის ჭავლის სიჩქარეზე ფორმულით

(2.1)

სადაც: Q არის მოცემულ გვირაბში გამავალი პაერის რაოდენობა, $\text{მ}^3/\text{წმ};$

S – გვირაბის განივევეთის ფართობი სინათლეში, მ^2 .
გვირაბში გამავალი პაერის რაოდენობა.

$$Q = \frac{A \cdot q \cdot K}{N \cdot 60}$$

სადაც A არის წლიური ამოღება, რომლის გამოზიდვა ხდება
მოცემულ გვირაბში, ტ ;

q – გვირაბში გამავალი სუფთა პაერის რაოდენობა
ამოღების თითოეულ ტონაზე, $\text{მ}^3/\text{წთ}$;

K – ამოღების უთანაბრობის კოეფიციენტი;

N – სამუშაო დღეების რიცხვი წელიწადში.

ქვანახშირის შახტებში q -ს მნიშვნელობა დამოკიდებულია
შახტის აირიანობის კატეგორიაზე. უსაფრთხოების წესების
თანახმად, უაირო და I კატეგორიის შახტებისათვის $q=1$ $\text{მ}^3/\text{წთ}$; II
კატეგორიის შახტებისათვის $q=1,25$ $\text{მ}^3/\text{წთ}$; III კატეგორიისათვის
 $q=1,5$ $\text{მ}^3/\text{წთ}$; ზეპატეგორიის შახტებისათვის $q \approx 0,09$, სადაც a
არის გამოყოფილი მეთანის რაოდენობა დღედამური ამოღების 1
ტონაზე.

3. ბვირაბის ბაზგანის ხერხები

საჭიროა ერთმანეთისაგან გავარჩიოთ გვირაბის გაყვანის
წვეულებრივი და სპეციალური ხერხები.

გვირაბის გაყვანის წვეულებრივი ხერხები ერთმანეთისაგან
შეიძლება ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით განვასხვაოთ.

ქანის მონგრევის საშუალებათა მიხედვით უნდა გავარჩიოთ
გაყვანა ბურღა-აფეთქებით, გვირაბგამყვანი კომბაინებითა და
მექანიკური ინსტრუმენტებით. გხვდებით აგრეთვე ბურღა-

აფეთქებისა და მექანიკური ინსტრუმენტების ერთობლივ გამოყენებას.

სანგრევში არსებული ქანების მიხედვით არჩევენ გვირაბის გაყვანას ერთგაროვან მაგარ ქანებში, ერთგვაროვან რბილ ქანებსა და არაერთგვაროვან ქანებში. ერთგვაროვან მაგარ ქანებში გვირაბის გაყვანის დამახასიათებელ მაგალითს წარმოადგენს პერშლაგის გაყვანა; თუ შტრეკი განლაგებულია ნახშირის სქელ ფენში – გვექნება გაყვანის შემთხვევა ერთგვაროვან რბილ ქანებში, ხოლო თუ შტრეკი გასდევს ნახშირის თხელ ფენას, როდესაც სანგრევში წარმოდგენილია როგორც რბილი (ნახშირი), ისე მაგარი ქანი (ფუჭი ქანი), მივიღებთ არაერთგვაროვან ქანებში გაყვანას.

ასხვავებენ აგრეთვე გვირაბის გაყვანას მთლიანი სანგრევითა და საფეხუროვანი სანგრევით. პირველ შემთხვევაში სანგრევი ერთ სიბრტყეს წარმნოადგენს და მისი დამუშავება გვირაბის განივევეთის მთელ ფართობზე ერთდროულად წარმოებს. მეორე შემთხვევაში სანგრევი იყოფა ორ ან მეტ ნაწილად (საფეხურად), რომლებშიც ქანის გამოღება დამოუკიდებლად ხდება. საფეხურებს შეიძლება მიეცეს როგორც თარაზული, ისე ვერტიკალური მდებარეობა. საფეხუროვანი სანგრევით მუშაობას მიმართავენ ერთგვაროვან ქანებში დიდი განივევეთის მქონე გვირაბების გაყვანის დროს; ასევე მუშაობენ არაერთგვაროვან ქანებში გვირაბის გაყვანისას.

მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს თარაზული და დახრილი გვირაბების გაყვანის სამი ძირითადი შემთხვევის გარჩევა:

1. გაყვანა ერთგვაროვან ქანებში ბურღა-აფეთქების საშუალებით;

2. გაყვანა ერთგვაროვან ქანებში მანქანური მონგრევის საშუალებით.

3. გაყვანა არაერთგვაროვან ქანებში.

გვირაბების გაყვანის აღნიშნული სქემები ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება მუშაობის ორგანიზაციისა და საწარმოო პროცესების მიხედვით.

4. ზოგადი ცხობები მუშაობის ორგანიზაციის შესახებ

გვირაბის გასაყვანად საჭიროა ქანის მონგრევა მისი განივევეთის კონტურის შიგნით (შაგში), მონგრეული ქანის მოცილება სანგრევიდან და ამის შედეგად მიღებული სიღრუის შენარჩუნება, რასაც სამაგრის დადგმით აღწევენ. ამ მთავარი ოპერაციების შესრულება შესაძლებელია სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით, რაც არსებით გავლენას ახდენს მუშაობის ორგანიზაციის ხასიათზე.

ქანის აფეთქებით მონგრევის შემთხვევაში გვირაბგასაყვანი სამუშაოებისათვის დამახასიათებელია ციკლურობა. გვირაბგასაყვანი ციკლი ეწოდება იმ საწარმოო ოპერაციების ერთობლიობას, რომელთა შესრულებაც საჭიროა გვირაბის სანგრევის განსაზღვრულ მანძილზე გადაადგილებისათვის დროის გარკვეულ მონაკვეთში. გვირაბგასაყვანი ციკლის მირითადი პარამეტრებია მისი ხანგრძლივობა და სანგრევის გადაადგილების მანძილი (წინწაწევა).

გვირაბგასაყვან ციკლში უნდა გაგარჩიოთ ძირითადი და დამხმარე ოპერაციები. აფეთქებით მუშაობისას ძირითადი ოპერაციებია: შპურების ბურღვა, შპურების დამუხტვა და აფეთქება, სანგრევის განიავება, ქანის დატვირთვა და სამაგრის დადგმა. ძირითადი ოპერაციები გარკვეული თანმიმდევრობით სრულდება. ხანდახან მიმართავენ ზოგიერთი მათგანის ნაწილობრივ ან სრულ შეთავსებას. მაგალითად, შესაძლებელია, არ დავუცადოთ ქანის მთლიანად დატვირთვას და დავიწყოთ ბურღვა სანგრევის იმ ნაწილში, რომელიც უკვე აღარაა დაფარული მონგრეული ქანით (ნაწილობრივი შეთავსება). ხშირად სამაგრის დადგმა ხდება შპურების ბურღვასთან ერთად (სრული შეთავსება). შპურების დამუხტვა-აფეთქებასა და სანგრევის განიავებასთან, რასაკვირველია, სხვა არავითარი ოპერაციის შეთავსება არ შეიძლება.

დამხმარე ოპერაციათა რიცხვს ეკუთვნის დატვირთული ქანის გაზიდვა გვირაბიდან, სავენტილაციო და კუმშული პაერის მიღებისა და კაბელების წაზრდა, ლიანდაგის დაგება, წყლის სადენი არხის მოწყობა და სხვ. დამხმარე ოპერაციები, როგორც წესი, დროის მიხედვით რომელიმე ძირითად ოპერაციასთან არიან შეთავსებული, ამიტომ მათ ციკლის სანგრძლივობაზე გავლენა არა აქვთ.

ერთი სამუშაო ციკლის შესრულების შედეგად სანგრევის წინწაწევის სიდიდე განისაზღვრება შპურების სიღრმით. ის, თავის მხრივ, დაპავშირებულია მრავალ საწარმოო და ორგანიზაციულ ფაქტორთან.

სამუშაო ციკლის სანგრძლივობა დამოკიდებულია გვირაბგასაყვანი სამუშაოების მექანიზაციის დონეზე, გვირაბის

განიგვეოთის ფართობზე ერთდროულად მომუშავე გვირაბგამყვანთა რაოდენობაზე, შპურების სიღრმესა და რიცხვზე და სხვ. ციკლის ხანგრძლივობა და სანგრევის წინაშევა ერთმანეთზე დამოკიდებული სიდიდეებია. პრაქტიკაში სასურველად თვლიან დღე-დამის განმავლობაში ციკლების სრული რიცხვის შესრულებას; უმჯობესია მუშაობის ისეთი ორგანიზაცია, როდესაც ციკლის შესრულებას სამუშაო ცვლების სრული რიცხვი ესაჭიროება ან ერთ სამუშაო ციკლში ციკლთა სრული რიცხვი მთავრდება.

სამუშაოთა ორგანიზაციის სრულად განსხვავებული სახე გვაქვს გვირაბგამყვანი კომბაინებით მუშაობისას: ამ დროს ყველა ძირითადი ოპერაცია, როგორიცაა ქანის მონგრევა, მისი დატვირთვა და სამაგრის ამოყვანა, ერთდროულად და განუწყვეტლივ წარმოებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გვირაბის გაყვანის სამუშაოები ამ შემთხვევაში ნაკადურობით ხასიათდება.

გვირაბგასაყვან სამუშაოთა მექანიზაციის სათანადო შერჩევისა და მიზანშეწონილი ორგანიზაციისათვის წინასწარ უნდა ვიცოდეთ გვირაბის გაყვანის საჭირო სიჩქარე, რაც მის დანიშნულებაზეა დამოკიდებული.

5. გურია-აზეთშენითი სამუშაოების პარამეტრები

5.1. ძირითადი მოთხოვნები

ქანის აფეთქებით თარაზული გვირაბების გაყვანა ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხია. სამთო მრეწველობაში გვირაბების 90%-ზე მეტი მისი საშუალებით გაჰყავთ. მაგარ და საშუალო

სიმაგრის ქანებში გვირაბის გაყვანა აუცილებლად მოითხოვს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოებას; მას ხშირად მიმართავენ რბილ ქანებში (ქვანახშირი, თიხა) გვირაბის გაყვანის შემთხვევაშიც.

გვირაბის სანგრევის აფეთქებისას საჭიროა შემდეგი პირობების შესრულება:

1. გვირაბის საპროექტო კვეთის დაცვა. არსებული ნორმატივით კვეთის ნამეტი ორ უნდა აღემატებოდეს 3-5%-ს. პრაქტიკაში ეს ნორმატივი ხშირად ირდვევა და კვეთის ნამეტი ზოგჯერ 12-15%-ს აღწევს, რაც მნიშვნელოვნად აძირებს გაყვანის დირექტულებას.

2. ქანის თანაბარი და ზომიერი დამსხვრევა. ქანის ნატეხების ზომა ხელსაყრელი უნდა იყოს მტკირთავი მანქანის მუშაობისათვის. დიდი ლოდების არსებობა აფერხებს მანქანის ნორმალურ მუშაობას და ზოგჯერ ქმნის დამატებითი დამსხვრევის საშიშროებას. ქანის ზედმეტად დაქუცმაცება კი მუხტის გადამეტებულ სიდიდეზე მიგვითოთებს.

3. შპურის სიგრძის მაქსიმალური გამოყენება. რაც მეტია შპურის აუფეთქებული ნაწილის სიგრძე (კ.წ. ჭიქების სიგრძე), მით მეტად იზრდება გვირაბის გაყვანის თითოეულ მეტრზე საბურღი სამუშაოების მოცულობა.

4. სანგრევის სწორი ზედაპირის მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში მნელდება შპურების ბურღვა.

5. აფეთქებული ქანის მინიმალური გატყორცნა, რაც ხელსაყრელია მტკირთავი მანქანის მუშაობისათვის და თავიდან გვაცილებს სამაგრის დაზიანების საფრთხეს.

5.2. ფეთქებადი ნივთიერებანი და აფეთქების ხერხები

სამთო მრეწველობაში ძირითადად იყენებენ ამონიუმის გვარჯილიან ფეთქებად ნივთიერებებს, როგორებიცაა: ამონიტები, ამონალები, დეტონიტები (ნიტროგლიცერინის მცირე შემცველობით), იგდანიტები და სხვ. მათი გამოშვება ხდება როგორც ვაზნების, ისე დაუგაზნავი სახით (სასტ 9073-64). ვაზნების დიამეტრია 24, 28, 32, 36 და 45 მმ. სხვა ტიპის ფეთქებადი ნივთიერებების გამოყენება ამჟამად მნიშვნელოვნადაა შეზღუდული. ამათგან გვირაბების გაყვანისას ზოგჯერ ხმარობენ 62%-იან ძნელგასაყინ დინამიტს (მაგარ და ბლანტ ქანებში, რომელთაც დიდი წყალსიუხვე ახასიათებთ).

მოცემული ფეთქებადი ნივთიერებებიდან АП-4ЖВ, АП-5ЖВ და ВП-4 ამონიტები გამოიყენება მხოლოდ ფუჭი ქანების მოსანგრევად; ხოლო ПЖВ-20 ამონიტს ხმარობენ როგორც ფუჭ ქანებში, ისე ნახშირში. ეს უკანასკნელი, ამჟამად, უფრო მეტად გავრცელებულია მტვრისა და აირის მხრივ საშიშ შახტებში.

ამ ბოლო დროს შემუშავებულია მცველი ფეთქებადი ნივთიერებების ახალი ტიპები, როგორიცაა: უგლენიტი, მიპორიტი და ნოვინიტი.

თარაზული გვირაბების გაყვანისას აირისა და მტვრის მხრივ უსაფრთხო მაღაროებში იყენებენ შპურების აფეთქების სამივე ხერხს ცეცხლურს, ელექტრული და სადეტონაციო ზონარის საშუალებით. აირის და მტვრის მხრივ საშიშ მაღაროებში კი დაიშვება მხოლოდ ელექტრული აფეთქების ხერხი.

ცეცხლური აფეთქებისათვის იყენებენ კაფსულ-დეტონატორებს №8A ტყვიის აზიდიანი, ალუმინის მასრით; №8M – მგრგვინავი ვერცხლის წყლისა, სპილენძის მასრით; №8C – მგრგვინავი ვერცხლისწყლისა, ფოლადის მასრით და №8B – მგრგვინავი ვერცხლისწყლისა, ქალადდის გარსით. ამ უკანასკნელის ხმარება შეიძლება მხოლოდ მშრალ სანგრევებში.

ცეცხლგამტარი ზონარი მზადდება სამი სახის: ასფალტირებული (ОША) მშრალ და ნესტიან სანგრევებში სამუშაოდ, ორმაგად ასფალტირებული (ОШДА) – სეელ სანგრევებში გამოსაყენებლად და პოლიქლოროვანი, ანუ პლასტიკატიანი ზონარი (ОШП), რომელსაც წყლიან სანგრევებში იყენება.

ზონრების ასანთებად გამოყენება პპოვა სხვადასხვა სახის ამნთებებმა. ცალკეული ზონრების ელექტროამნთების ე3П - ОШ - Б გამოყენება მიზანშეწონილია შპურების მცირე რაოდენობის შემთხვევაში. ჯგუფური ანთებისათვის განკუთვნილია ამნთები ვაზნა ე3П-Б. იგი მზადდება ხუთი კალიბრის (№1 – ერთდროულად შეიძლება მოუკიდოს 7 ზონარი, №2-8-დან 12-მდე, №3-13-დან 19-მდე, №4-20-დან 27-მდე, №5-28-დან 37-მდე ზონარი). ამნთები ვაზნა 3П-Б გამოდის ამავე კალიბრის, მხოლოდ თვით ვაზნის მოკიდება ცეცხლგამტარი ზონარის ნაჭრით ხდება.

ამჟამად უველაზე უფრო გავრცელებულია ელექტრული აფეთქების ხერხი. ელექტროდენტონატორები მზადდება მყისიური (ЭДМД), მცირე დაყოვნებული (ЭДКЗ) და დაყოვნებული მოქმედების (ЭДЗД). ეს უკანასკნელი განკუთვნილია უმთავრესად აირისა და მტვრის მხრივ უსაფრთხო მაღაროებისათვის.

დაყოვნებული მოქმედების ელექტროდეტორები მზადდება სხვადასხვა ინტერვალით ($0,5; 0,75; 1,0; 1,5; 2,0; 4,0; 6,0; 8,0; 10,0$; სეკუნდი). მცირედ დაყოვნებული დეტორნატორების ინტერვალებია $25; 50; 75; 100; 150$ და 250 მილისეკუნდი. ელექტროდეტორნატორები მხოლოდ ლითონის მასრებში მზადდება. მათ ახასიათებს წყალმედეგობა.

მუხტების ელექტროაფეთქება ხდება სპეციალური ასაფეთქებელი მანქანებითა და მოწყობილობებით ან განათებისა და ძალური ქსელის საშუალებით.

სადეტონაციო ზონრით აფეთქებამ ფართო გამოყენება ჰქოვა მსხვილი მასშტაბის სამუშაოების წარმოებისას (საჭაბურლილე და კამერული მუხტები). ამ ხერხს ზოგჯერ გვირაბების გაყვანის დროსაც მიმართავენ.

ამჟამად ჩვენში მზადდება სადეტონაციო ზონარი ტენის გულათი, რომლის დეტონაციის სიჩქარე აღწევს 6500 მ/წმ (მარკა დШ). მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ აირისა და მტვრის მხრივ უსაფრთხო მაღაროებში. ამჟამად შემოწმებას გადის დშპ-1 და დშპ-2 მარკის სადეტონაციო ზონრები, რომელთაც აქვთ მცველი ოვისებები.

5.3. მუხტის სიდიდე, შპურების დიამეტრი, სიდრომე და რიცხვი, შპურების განლაგება სანგრევში, მუხტის კონსტრუქცია

გვირაბების გაყვანის დროს ბურლვა-აფეთქებითი სამუშაოების ერთ-ერთ მთავარ პარამეტრს მუხტის სიდიდე წარმოადგენს. მის

სწორ განსაზღვრაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული
სასურველი საწარმოო შედეგების მიღება.

სანგრევის ასაფეთქებლად საჭირო მუხტის Q სიდიდე
იანგარიშება ფორმულით

$$Q = q \cdot v = q \cdot s \cdot l \cdot \eta, \quad (5.1)$$

სადაც: q არის ფეთქებადი ნივთიერების ხარჯი ქანის

მოცულობის ერთეულზე მასივში ($\text{კგ}/\text{მ}^3$), ანუ კუთრი ხარჯი;

v – ასაფეთქებელი ქანის მოცულობა, მ^3 ;

s – გვირაბის სანგრევის ფართობი, მ^2 ;

l – შპურების სიგრძე, მ (გვირაბის ლერძის
მიმართულებით);

η – შპურის გამოყენების კოეფიციენტი (შპურის

აფეთქებული სიგრძის შეფარდება მთელ სიგრძესთან,

$\eta = 0,8 \div 1,0$)

მუხტის სიდიდის გაანგარიშებისას მთავარ სიძნელეს
ფეთქებადი ნივთიერების კუთრი ხარჯის განსაზღვრა
წარმოადგენს. იგი დამოკიდებულია ქანის ფიზიკურ-მექანიკურ
თვისებებზე, სანგრევის ფართობზე, შპურების სილრმეზე,
ფეთქებადი ნივთიერების მუშაობის უნარზე და სხვ.

პროფ. ნ. პოქროვსკი მიზანშეწონილად ოვლის კუთრი ხარჯის
საანგარიშოდ შემდეგი გამოსახულებით სარგებლობას:

$$q = q_1 \cdot k \cdot e \cdot v, \quad (5.2)$$

სადაც: q_1 არის ეტალონური ფეთქებადი ნივთიერების კუთრი
ხარჯი სტანდარტული პირობებისათვის, რაც
დამოკიდებულია მხოლოდ ქანის სიმაგრეზე; ეტალონად
მიღებულია 62%-იანი დინამიტი (ცხრილი 3);

k – ქანის სტრუქტურის კოეფიციენტი (ცხრილი 4);

- e – ფეთქებადი ნივთიერების მუშაობის უნარის
კოეფიციენტი (ცხრილი 5);
- v – ასაფეთქებელი ქანის დახუცულობის კოეფიციენტი; იგი
ითვალისწინებს მასივიდან ქანის მოცილების
სიძნელეს გვირაბის განივავეთის სიდიდესთან და
სანგრევის გაშიშვლებულ სიბრტყეთა რაოდენობასთან
დაკავშირებით.

ცხრილი 3

ქანის სიმაგრის კოეფიციენტი პროტოდიაგონოვის კლასიფიკაციით	კუთრი ხარჯი 62%-იანი დინამიტისათვის, კგ/ტ ³
1	2
15÷20	1,2÷1,5
10÷15	1,0÷1,1
8	0,7÷0,8
4÷6	0,4÷0,6
2÷3	0,2÷0,3
2	0,15

ცხრილი 4

ქანების დახასიათება	სტრუქტურის კოეფიციენტი, K
ბლანტი, დრეპალი, ფოროვანი	2
დისლოცირებული, არასწორი წოლვითა და წვრილი ნაპრალიანობით	1,4
ფიქალისტური განლაგებითა და ცელადი სიმაგრით; შპურების მიმართულებისადმი მართობული დაფენებით	1,3

ცხრილი 5

ვაზნის დიამეტრი	32	36	40	45
გოფიციენტი	1,0	0,64	0,88	0,85

პრაქტიკული მონაცემების ანალიზის საფუძველზე პროფ. პოკროვსკი იძლევა ემპირიულ ფორმულას დახშულობის კოეფიციენტის საანგარიშოდ ერთი გაშიშვლებული სიბრტყის შემთხვევაში

$$V = \frac{6,5}{\sqrt{S}} \quad (5.3)$$

როგორც ამ ფორმულიდან ჩანს, სანგრევის ფართობის გაზრდით კუთრი ხარჯის მნიშვნელობა მცირდება. საქმე იმაშია, რომ აფეთქების ენერგიის ნაწილი იხარჯება კონტურზე (პერიმეტრზე) ქანების შეჭიდულობის ძალების გადალახვაზე; პერიმეტრის შეფარდება გვირაბის განივევთის ფართობთან კი (ე.ი. პერიმეტრის გავლენა) მცირდება ამ უკანასკნელის გაზრდისას. კვეთის გაზრდას 18 მ²-ზე ზევით აღარ აქვს გავლენა კუთრი ხარჯის სიდიდეზე და ამ შემთხვევაში თვლიან, რომ $V=1,2 \div 1,5$. ორი გაშიშვლებული სიბრტყის არსებობისას $V=1,2 \div 1,5$.

შპურის დიამეტრი პრაქტიკულად დამოკიდებულია ფეთქებადი ნივთიერების დიამეტრზე. დრეჩო, რომელიც ვაზნებსა და შპურის კედელს შორის მიიღება, არ უნდა ქმნიდეს ე.წ. „არხის ეფექტის“ წარმოშობის საშიშროებას (შპურის კედლებსა და ვაზნებს შორის არსებულ სივრცეში ვრცელდება დარტყმითი ტალღა, რომლის სიჩქარე შესაძლოა მუხტის დეტონაციის სიჩქარეს აღემატებოდეს.

ამის გამო დეტონაციის ტალღის წინ ვდებულობთ მუხტის ძლიერ შეკუმშვას, რამაც შეიძლება ფეთქებადი რეაქციის ჩაქრობა გამოიწვიოს). დამუხტების მოხერხებულობისათვის საბოლოო დიამეტრი ვაზნის დიამეტრზე 2-4 მმ-ით მეტი უნდა იყოს. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით დრენოს მაქსიმალურად დასაშვები სიდიდე ვაზნის დიამეტრის 10-15%-ს შეადგენს.

სამრეწველო ფეთქებადი ნივთიერების არსებული ასორტიმენტის მიხედვით ვაზნის სტანდარტული დიამეტრია 36 მმ (შპურის $d=40$ მმ) და დიდდიამეტრიანი ვაზნები – 40-50 მმ (შპურის დიამეტრი შესაბამისად 30-36 და 45-60 მმ).

შპურის სიღრმე. შპურების სიღრმის განსაზღვრისას საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც მუშაობის ორგანიზაციული მხარე, ისე ქანის ბურდვის, აფეთქებისა და დატვირთვის ეფექტურობა. შპურების სიღრმესთან დაკავშირებულია ძირითადი საწარმოო პროცესების შრომატევადობა და ამიტომ გვირაბის გაყვანის სიჩქარეც.

შპურის ოპტიმალური სიგრძის განსაზღვრისას ყურადღება უნდა მიექცეს სანგრევის აფეთქების ხარისხს. შპურების სიღრმის გაზრდა 3,0 მეტრამდე არ იწვევს გვირაბის კონტურის დაცვის სიზუსტის შესამჩნევ გაუარესებას. უფრო მეტი სიღრმის დროს კი კლებულობთ ქანის მნიშვნელოვან მონგრევას საპროექტო კონტურის ფარგლებს გარეთ.

პროფ. პოკროვსკის მონაცემების თანახმად, საშუალო და დიდი სიმაგრის ქანებში გვირაბის გაყვანისას, თანამედროვე ტექნიკისა და სამუშაოთა ორგანიზაციის პირობებში, მინიმალურ შრომატევადობას უზრუნველყოფს შპურების სიღრმე 2,2-3,2 მეტრის ფარგლებში.

გაირაბის გაყვანის პრაქტიკაში 2,5 მეტრზე უფრო მეტი სიღრმის შპურებს დრმა შპურებს უწოდებენ; საშუალოდ შპურების სიღრმეა 1,5-2,5 მ, ხოლო მოკლე შპურების სიღრმე 1,5 მეტრზე ნაკლებია.

შპურების რიცხვი. სანგრევის აფეთქების შედეგად ქანის თანაბარი დამსხვრევა და გვირაბის საპროექტო კონტურის ზუსტი დაცვა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შპურების რიცხვის სწორ შერჩევაზე.

შპურების რიცხვი ძირითადად დამოკიდებულია სანგრევის ფართობზე, მუხტის სიდიდესა და შპურის დიამეტრზე.

შპურების რიცხვის საანგარიშო ანალიზური ფორმულებიდან გავრცელება პოვა 6. პოკროვსკის ფორმულამ, რომელიც შემდეგი მსჯელობის საფუძველზე მიიღება.

სანგრევის ასაფეთქებლად საჭირო მუხტის სიდიდე

$$Q = q \cdot S \cdot l,$$

მეორე მხრივ შეგვიძლია დაგწეროთ

$$Q = N \cdot l \cdot \alpha,$$

სადაც: N არის შპურის რიცხვი მთელ სანგრევზე;

l – შპურის სიგრძე, მ;

α – შპურის ერთ გრძივ მეტრზე მოსული ფეთქებადი ნივთიერების რაოდენობა, კგ.

ამ გამოსახულებათა მარჯვენა ნაწილების გატოლებით მივიღებთ

$$N = \frac{q \cdot S}{\alpha} \quad (5.4)$$

შპურის ერთ გრძივ მეტრზე მოსული ფეთქებადი ნივთიერების რაოდენობა

$$\alpha = a \frac{\pi \cdot d^2}{4} \cdot \delta, \quad (5.5)$$

სადაც a არის შპურის გავსების კოეფიციენტი;

d – შპურის (ვაზნის) დიამეტრი, მმ;

δ – ფეთქებადი ნივთიერების მოცულობითი წონა, კგ/მ³.

შპურის გავსების კოეფიციენტი ეწოდება მუხტის სიგრძის შეფარდებას შპურის სიგრძესთან. „უსაფრთხოების ერთიანი წესების“ თანახმად, აირის და მტკრის მხრივ საშიშ მაღაროებში a -ს მნიშვნელობა, თუ შპურის სიღრმე 0,9 მეტრზე ნაკლებია, არ უნდა აღმატებოდეს 0,5-ს, ხოლო უფრო დროა შპურებში ეს კოეფიციენტი შეიძლება გავზარდოთ 0,67-მდე. არასაშიშ მაღაროებში a -ს მნიშვნელობა უსაფრთხოების წესებით არ არის შეზღუდული. პრაქტიკაში ცდილობენ გამოიყენონ მაქსიმალურად შესაძლებელი გავსება (ფეთქებადი ნივთიერების რაციონალური ხარჯვის ფარგლებში). ჩვეულებრივ, $a=0,6-0,8$. რაც უფრო მაგარია ქანი, გავსების კოეფიციენტის სიდიდეც მეტი აიღება.

შპურების განაწილება გვირაბის სანგრევში. შპურების რიცხვის განსაზღვრის შემდეგ საჭიროა შედგეს მათი სანგრევში განაწილების სქემა. შპურების განაწილება და მათი აფეთქების გარკვეული თანმიმდევრობა უნდა უზრუნველყოფდეს ქანის ზომიერ და თანაბარ დამსხვრევას და გვირაბის განივალეთის კონტურის ზესტ დაცვას.


დანიშნულების მიხედვით შპურები შეიძლება დაიყოს სამ ძირითად ჯგუფად: საყელავი, მომნგრევი და საკონტურო.

საყელავი შპურების აფეთქების შედეგად სანგრევში დამატებითი გაშიშვლებული სიბრტყე იქმნება, რაც აუმჯობესებს დანარჩენი შპურების მუშაობის პირობებს, ე.ი. აადვილებს ქანის

ძირითადი მასის მონგრევას. საყელავი შპურების სიგრძე, ჩვეულებრივ, დანარჩენზე 0,2-0,3 მეტრით მეტი აიღება.

მომნგრევი შპურების საშუალებით ხდება ქანის უმცტესი ნაწილის მონგრევა დიდი კვეთის მქონე გვირაბებში ($S>10\div12 \text{ m}^2$). როდესაც გვირაბის კვეთი მცირეა ($S<6\div7 \text{ m}^2$), მაშინ შეიძლება მომნგრევი შპურები ერთდროულად საკონტურო შპურების როლსაც ასრულებდეს.

საკონტურო შპურების დანიშნულებაა გვირაბის განივავეთისათვის პროექტით გათვალისწინებული კონტურის მიცემა. ისინი, ჩვეულებრივ, სულ ბოლო ფეთქდება. მაგარ და მონოლითურ ქანებში გვირაბის გაყვანისას საკონტურო შპურების ბოლოები პროექტით განსაზღვრული კონტურის გარეთ გადის 10-25 სანტიმეტრის მანძილზე (გათვალისწინებულია ეწ. „ჭიქების“, შპურის აუფეთქებელი ბოლოების მიღება). საშუალოზე ნაკლები სიმაგრის ან დიდი ნაპრალიანობის მქონე ქანების შემთხვევაში კი ასეთი შპურების ბოლოები არ აღწევენ კვეთის კონტურს (10-15 სმ). ამით თავიდან იცილებენ ქანის გადამეტებულ მონგრევას.



ნახ. 9


მე-9 ნახაზზე მოცემულია შპურების განაწილების შესაძლებელი სქემა (1-7 საყელავი შპურები, 8-28, 31, 38, 39, 49 მომნგრევი შპურები, 29-30-32-37, 40-48, 50-55 – საკონტურო შპურები).

საყელავი შპურების ყველა არსებული სქემა შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: 1. საყელავი შპურები, რომლებიც დახრილია

გვირაბის გრძივი დერძის მიმართ (დახრილი ყელები) და 2. საყელავი შპურები, რომლებიც გვირაბის გრძივი დერძის პარალელურია (პირდაპირი ყელები).

დახრილი ყელების რიცხვს ექვთვნის: ცენტრალური პირამიდული ყელი, ვერტიკალური სოლური ყელი, თარაზული სოლური ყელი, ზედა ყელი, ქვედა ყელი, „მაკრატელა“ ყელი, მარაოსებური ყელი (დახრილ ყელებს ზოგი ავტორი გამომთხრელ ყელებს უწოდებს, ხოლო პირდაპირ ყელებს – დამანგრეველს).

ცენტრალური პირამიდული ყელი (ნახ. 10, а) წარმოიქმნება გვირაბის ცენტრში გაბურღული დახრილი შპურების აფეთქების შედეგად. მას ხმარობენ მაგარ, მონოლითურ ქანებში (გვირაბის კვეთი $S>4 \text{ } \delta^2$).



ნახ. 10

ვერტიკალური სოლური ყელი (ნახ. 10, გ) მიიღება სანგრევის ვერტიკალური დერძის სიმეტრიულად განლაგებული შპურების აფეთქებით. ამ სახის ყელს, ამჟამად, ყველაზე მეტი გამოყენება აქვს ბურღვის სიადგილისა და ქანის აფეთქების კარგი ეფექტის გამო. მისი გამოყენება მიზანშეწონილად ითვლება როგორც ერთგვაროვან, ისე ვერტიკალური შრეულობის და ნაპრალიანობის მქონე ქანებში.

თარაზული სოლური ყელი (ნახ. 10, ბ) გამოიყენება ერთგვაროვან ქანებში, გვირაბის მცირე სიგანის დროს. მისი გამოყენება მიზანშეწონილია თარაზული შრეულობის ქანებში და ნაპრალების სიბრტყის თარაზული განლაგების შემთხვევაში.

პრიზმატული ყელი წარმოიქმნება ერთმანეთთან ახლოს მდებარე პარალელური შპურების აფეთქებით, რომლებიც სანგრევის სიბრტყის მართობულადაა გაბურდილი. ცენტრალური შპური ქმნის მხოლოდ დამატებით გაშიშვლებულ ზედაპირს და არ იმუხტება. მანძილი ცენტრალურ და დამუხტულ საყელავ შპურებს შორის 10-25 სანტიმეტრს შეადგენს.

მუხტის კონსტრუქცია. შპურში ფეთქებადი ნივთიერების განლაგების სახე, დარტყმითი ვაზნის მდებარეობა და დაცვის გვარეობა მუხტის კონსტრუქციის ძირითადი ელემენტებია, რომელთაც გარკვეული გავლენა აქვთ გვირაბის სანგრევის აფეთქების ეფექტზე.

უსაფრთხოების სავალდებულო წესების თანახმად, დამრტყმელი ვაზნა უნდა მოთავსდეს შპურის პირიდან პირველ ადგილზე. ამ შემთხვევაში დეტონაციის ტალღა ვრცელდება ქანის მასივისაკენ. შებრუნებული მიმართულებით ინიცირება, რასაც

დამრტყმელი ვაზნის შპურის ძირში მოთავსებით მივიღებთ უარყოფილია იმ მოსაზრებით, რომ ამ დროს შესაძლებელია მაღალტემპერატურიანი აირების მეტი რაოდენობით გატყორცნა გვირაბში, რაც მეთანის ან მტვრის აფეთქების საფრთხეს ქმნის. შებრუნებული ინიცირებისას უფრო გაძნელებულია მუხტის მტყუნების ლიკვიდაცია და იქმნება „ჭიქებში“ დამრტყმელი ვაზნის ჩარჩენის საშიშროება.

აფეთქების ეფექტზე არსებითი გავლენა აქვს დაცობის ხარისხს. დაცობის დანიშნულებაა აფეთქების აირების გარემოზე ზემოქმედების გახანგრძლივება და ამის შედეგად აფეთქების ენერგიის უფრო სრული გამოყენება. დაცობის სიგრძე, ჩვეულებრივ, შპურის სიგრძის 1/3-დან 1/2-მდე აიღება.

6. შპურების გურლვა, დამუსტვა, აზეთშება და გვირაბის განიავება

6.1. საბურლი მანქანები და დანადგარები

შპურების ბურლვა წარმოქმნას პნევმატური ან ელექტრული საბურლი მანქანებით. ბურლვის რეჟიმი შეიძლება იყოს დარტყმითი, ბრუნვითი ან ბრუნვა-დარტყმითი. ელექტრული მანქანები მხოლოდ ბრუნვით რეჟიმზე მუშაობს. პნევმატური მანქანები კი მზადდება რომელიმე ნებისმიერ რეჟიმზე სამუშაოდ.

საბურლი მანქანის ტიპის შერჩევა ძირითადად დამოკიდებულია ქანის სიმაგრეზე.

თუ ქანის სიმაგრის კოეფიციენტი პროტოდიაკონოვის სკალის მიხედვით 8-ს არ აღემატება, მიზანშეწონილია ელექტრული მანქანებით ბურღვა.

ქვანახშირისა და სხვა რბილი ქანების საბურღლად ($f=4$) იყენებენ ხელის ელექტრობურღს. ხელით მუშაობა შესაძლებელია მაშინ, თუ საჭირო დერძული ძალვა ბურღვაზე არ აღემატება 30 კგ-ს. უფრო მეტი ძალვის განვითარება მუშას ადვილად დღის და ბურღვის სიჩქარეც ეცემა, ამიტომ შემუშავებულია ხელის ელექტრობურღების ისეთი ტიპებიც, რომელთაც მსუბუქი საყინებელ-მიმწოდებელი მოწყობილობა გააჩნიათ, ასეთი ტიპის მანქანებს იძულებითი მიწოდების მქონე ელექტრობურღები ეწოდება.

ყველა ხელის ელექტრობურღი მზადდება ფერქება-უსაფრთხო გარსეაცმით, რაც იძლევა მათი გამოყენების საშუალებას აირისა და მტკრის მხრივ საშიშ მაღაროებში.

უფრო მაგარ ქანებში სამუშაოდ ($f=3\div8$) ხმარობენ სვეტიან ელექტრობურღებს.

ბრუნვითი ბურღვის ეფექტურობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მუშა ინსტრუმენტზე, კერძოდ, საჭრისის კონსტრუქციაზე და მისი შესრულების ხარისხზე. ბრუნვითი ბურღვისათვის უმთავრესად იყენებენ ორფრთიან საჭრისებს, რომლებიც აღჭურვილია მაგარი შენადნობის ფირფიტებით (BK-8 და BK-4B).

ბრუნვითი ბურღვის ეფექტური წარმოებისათვის საჭიროა საბურღლი შტანგების სათანადო შერჩევა. მშრალი ბურღვის დროს გამოიყენება სპირალური შტანგები. სპირალის ბიჯი და სიღრმე ისეთი უნდა იყოს, რომ ადვილად მოხდეს ნაბურღი ქანის გარეთ

გამოტანა, მისი დამატებითი დაქუცმაცების გარეშე. ამიტომ რბილ ქანებში, როდესაც ბურღვის სიჩქარე მნიშვნელოვანია, უნდა ავილოთ უფრო დიდი ბიჯის და ლრმა სპირალების მქონე შტანგები, ხოლო მაგარ ქანებში ბურღვისას სპირალის ბიჯი და სიღრმე მცირე უნდა იყოს.

სველი ბრუნვითი ბურღვის დროს იყენებენ ექვსკუთხა ან მრავალკუთხიანი საბურღი ფოლადისაგან დამზადებულ შტანგებს, რომელთაც აქვთ ცენტრალური არხი. მიღებულია გვერდითი გამორეცხვა, შტანგაზე დაცმული სპეციალური ქუროს საშუალებით.

დარტყმით პრინციპზე მომუშავე საბურღი მანქანები (საბურღი ჩაქუჩები) განკუთვნილია, უმთავრესად, მაგარ და ძლიერ მაგარ ქანებში სამუშაოდ ($f>8$), სადაც ბრუნვითი ბურღვის გამოყენება შეუძლებელი ხდება. თარაზული და დახრილი გვირაბების გაყვანისას ფართოდ გავრცელდა საშუალო და მძიმე წონის ხელის საბურღი ჩაქუჩები. რომლებიც მუშაობის დროს პნევმოსაყრდენებზე იდგმება.

ПР-19 და ПР-22 განკუთვნილია ნებისმიერი სიმაგრის ქანებში სამუშაოდ (სადაც შესაძლებელია დარტყმითი ბურღვის გამოყენება). მათ აქვთ ანტივიბრაციული მოწყობილობა.

საბურღი ჩარჩოები ПР-18, ПР-24ЛУ და ПР-24ЛУБ მიზანშეწონილია გამოვიყენოთ საშუალო და დიდი სიმაგრის მქონე ქანებში. ამ მანქანებს აქვთ ანალოგიური კონსტრუქცია. ძირითადი განსხვავება შპურის გამოსარეცხ მოწყობილობაშია (პირველ ორ მანქანაში ცენტრალური გამორეცხვაა, ხოლო მესამეში – გვერდითი).


სვეტიანი საბურღი ჩაქუჩებიდან უმეტესი გამოყენება პპოვა კცმ-4 და KC-50 ტიპის მანქანებმა. მათი საშუალებით შეიძლება გბურღოთ მაგარი და ძლიერი ქანები; შპურის შესაძლო დიამეტრი 40-85 მილიმეტრია, ხოლო მაქსიმალური სიღრმე – 12 მეტრია. ეს მანქანები შეიძლება მოთავსდეს ცალკე სვეტზე (BK-80) ან საბურღ ურიკაზე.

კცმ-4 და KC-50 ჩაქუჩების ნაცვლად დაწყებულია გაუმჯობესებული კონსტრუქციის მქონე სვეტიანი ჩაქუჩების გამოშვება (ПК-3, ПК-5, ПК-9), მათ შორის ПК-3 განკუთვნილია თარაზული გვირაბების გაყვანისათვის (შპურის დიამეტრი 46-52 მმ-ია, მაქსიმალური სიღრმე – 6 მ). იგი დაკომპლექტებულია ხრახნიანი, ჯაჭვიანი ან დგუშიანი ავტომატურდებლებით.

სამთო მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების სწრაფმა განვითარებამ აუცილებელი გახადა გვირაბების გაყვანის ტემპების მნიშვნელოვანი გაზრდა, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია საბურღი სამუშაოების მწარმოებლურობის შემდგომი ამაღლების აუცილებლობა. შპურების ბურღვის საჭირო ეფექტურობის მისაღწევად გამოყენებული უნდა იქნეს დიდი სიმძლავრის მქონე მძიმე წონის მანქანები, რომელთა ექსპლუატაცია მარტივი დასაყენებელი მოწყობილობების გამოყენებით შეუძლებელია. ამიტომ შეიქმნა საბურღი დანადგარები, რომლებიც როგორც ბურღვის პროცესის, ისე სხვა დამხმარე სამუშაოების სრული მექანიზაციის საშუალებას იძლევიან.

საბურღი დანადგარები შესაძლებლობას იძლევა გამოვიყენოთ ბურღვის ბრუნვა-დარტყმითი რეჟიმი. ასეთ ხერხს გააჩნია

როგორც ბრუნვითი, ისე დარტყმითი ბურღვის უპირატესობანი და იგი მწარმოებლურობის შესამჩნევი გაზრდის საშუალებას იძლევა.




ნახ. 11

საბურღი დანადგარი БУ-1 (ნახ. 11) განკუთვნილია თარაზული გვირაბების გასაყვანად (გვირაბის კვეთი $7 \cdot 20 \text{~m}^2$, ქანების სიმაგრის კოეფიციენტი $f < 16$). იგი აღჭურვილია ბრუნვა-დარტყმითი მოქმედების ერთი საბურღი მანქანით 1 (თავისი ავტომიმწოდებლით), მანიპულატორით 2 და მართვის პულტით 3. დანადგარი დამონტაჟებულია ურიკაზე 4, რომელიც ლიანდაგზე გადაადგილდება. ბურღვის პროცესში ურიკა სპეციალური ჩამჭერებით რელსებზე მაგრდება და პნევმატური დომკრატების საშუალებით გვირაბში იჭექება.

საბურღი დანადგარი СБУ-2м (ნახ. 12) БУ-1-საგან იმით განსხვავდება, რომ ერთის ნაცვლად აქვს ორი საბურღი მანქანა და მუხლუხა სვლაზეა დაყენებული. მუხლუხა სვლა სანგრევში უკეთესი მანევრირებით ხასიათდება და ბურღვის დროს უზრუნველყოფს დანადგარის მდგრადობას დამატებითი დამაგრების გარეშე. მისი გამოყენება მიზანშემონილია ისეთ

თარაზულ გვირაბებში, რომელთა სიმაღლე 2-დან 5 მეტრამდეა, ხოლო ქანების სიმაგრე $f < 12$.

გარდა სპეციალურ ურიკებზე დამონტაჟებული საბურღი დანადგარებისა როგორც ავლნიშნეთ, არსებობს სატვირთავ მანქანებზე მოთავსებული საბურღი დანადგარებიც. მათ რიცხვს ეკუთვნის ჩამოსაკიდებელი საბურღი დანადგარი უБН-1. იგი შედგება ბრუნვა-დარტყმითი მოქმედების ორი მანქანისაგან. თავიანთი მანიპულატორით დანადგარი დაიკიდება სატვირთავ მანქანზე (ППМ-4) სპეციალური საკიდებელი ფილებით და მაგრდება სოლური შეერთების საშუალებით. მას აქვს აგრეთვე გამჭექი დომკრატები სანგრევის დაბურღვის შემდეგ მანიპულატორები უნდა მოიხსნას სატვირთავ მანქანიდან და გვირაბის გვერდებთან დაიწყოს. ამ დანადგარს იყენებენ 6-20 მ² კვეთის მქონე თარაზული გვირაბების გაყვანისას, როდესაც ქანის სიმაგრის კოეფიციენტი $f \leq 12$.



6ახ. 12


მანიპულატორების დაკიდება და მოხსნა ახანგრძლივებს ბურღვის მოსამზადებელ და დამამთავრებელ ოპერაციებს. ამიტომ ბოლო ხანებში უპირატესობას აძლევენ მოუხსნელი მანიპულატორების გამოყენებას, რომლებიც მუდმივადაა დამაგრებული მტკირთავ მანქანაზე. ბურღვის დამთავრების შემდეგ ასეთ მანიპულატორებს, საბურღ მანქანებთან ერთად, სწრაფად აძლევენ ისეთ მდგომარეობას, რომ ისინი ხელს არ უშლიან ქანის დატვირთვას. ასეთი კონსტრუქცია უკვე წარმოადგენს საბურღ-სატვირთავ მანქანას.

დარტყმითი და ბრუნვა-დარტყმითი პერფორატორებით მუშაობისას, ისე როგორც ელექტრობურღებით მუშაობის შემთხვევაში, საჭიროა ბურღვის გვირგვინების სათანადო შერჩევა.

დარტყმითი ბურღვის დროს უმთავრესად იყენებენ სატენისებრი ან ჯვარული ფორმის მოსახსნელ გვირგვინებს, რომლებიც აღჭურვილია სალი შენადნობის ფირფიტებით.


ხელის პნევმატური ჩაქუჩებით ბურღვისას მუშა ვერ ავითარებს ისეთ დერძულ ძალვას, რომელიც საჭიროა მაქსიმალური მწარმოებლურობის მისაღებად. ხელის პერფორატორების მიმწოდებელი პნევმოსაყრდენების გამოყენება ზრდის ბურღვის სიჩქარეს, ამსუბუქებს მბურღავის შრომას და ათავისუფლებს მას პერფორატორთან ხანგრძლივი კონტაქტისაგან. ფართოდ გავრცელდა პნევმატური საყენებელი სვეტები (პნევმო-დამჭერები), პნევმოდამჭერის ყველა ტიპს, ძირითადად, ერთი და იგივე კონსტრუქცია აქვს. მათთვის დამასახიათებელია ტელესკოპური მოწყობილობა, რომელიც მოქმედებს კუმული ჰაერის წნევის ხარჯზე (ნახ. 13; 1- პნევმოსაყრდენი, 2- საბურღი ჩაქუჩი).

KCM-4 და KC-50 ტიპის სვეტური საბურღი ჩაქუჩების დასაყენებლად (თავისი ავტომატურდებლით) შეიძლება გამოვიყენოთ ხრახნიანი გამბრჯენი სვეტი BK-80 (ნახ. 14; 1 – გამბრჯენი ბიგი, 2 – ჩაქუჩი, 3 – პნევმომატურდებელი).



ნახ. 13

ასეთი სვეტი საშუალებას იძლევა ერთი დგომით დაგბურღოთ 10-12 მ² ფართობის მქონე სანგრევი. სვეტი შეიძლება დავაყენოთ როგორც გერტიკალურ, ისე თარაზულ ან დახრილ მდგომარეობაში. სვეტის წონაა 80 კგ. მაქსიმალური სიმაღლე – 1900, მინიმალური – 1600 მმ, სვეტის მილის დიამეტრი – 89 მმ.



ნახ. 14

6.2. შპურების დამუხტვა და აფეთქება

შპურების ბურღვის დამთავრებისთანავე ცვლის უფროსი ამოწმებს შპურების რიცხვს, მათ განლაგებასა და მიმართულებას, რაც უნდა შეესაბამებოდეს ბურღვა-აფეთქებით სამუშაოების დამტკიცებულ პასპორტს.

შპურების დამუხტვის დაწყებამდე საჭიროა მათი გაწმენდა ბურღვის წვრილმანისაგან. ყოველ შპურში ხის სპეციალური ჯოხის (საცობებელი) შეყვანით უნდა დავრწმუნდეთ, რომ მათში ქანის ნატეხი ან სხვა უცხო სხეული არ არის მოხვედრილი, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ვაზნების მოთავსებას.

ფეთქებადი მასალების სანგრევში მიზიდვას აწარმოებენ ამფეთქებელი და მისი თანაშემწე. სანგრევში ფეთქებადი მასალების შეტანის წინ უნდა მიეცეს პირველი გამაფრთხილებელი სიგნალი.

დამრტყმელი ვაზნების საჭირო რაოდენობით დამზადების შემდეგ, რაც უშეალოდ სანგრევთან ახლოს ხდება, იწყებენ

შპურების დამუხტვას. გაზნები შპურებში შეჭყავთ სათითაოდ საცობელას საშუალებით. განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოთავსდეს დამრტყმელი გაზნა. საცობელას ყოველ 10 სანტიმეტრზე აქვს ნაჭდევები, რაც საშუალებას იძლევა შევამოწმოთ მორიგი გაზნის შესვლა საჭირო სიღრმეზე.

შპურში მუხტის მოთავსების შემდეგ აკეთებენ დაცობას. საცობი მასალა მიტანილი უნდა იქნეს დამუხტვის დაწყებამდე უმეტესად მიმართავენ ხელით დაცობას. საცობ მასალას ამ შემთხვევაში გაზნების ფორმა ეძლევა და შპურში საცობელათი შეიყვანება.

როდესაც ფხვიერ ფერებიდან ნივთიერებას დაუვაზნავი სახით ვიყენებთ, მაშინ როგორც მუხტის, ისე საცობის მოთავსება შეიძლება სპეციალური პნევმოდამცობების გამოყენებით. დამუხტვის დამთავრების შემდეგ ამფერებელი აძლევს მეორე საბრძოლო სიგნალს. ამ დროს სავალდებულოა მუშების გასვლა უსაფრთხო ადგილზე.

გვირაბების გაყვანის პრაქტიკაში იყენებენ ცეცხლოვან აფეთქებას, ელექტრულ აფეთქებას ან აფეთქებას სადეტონაციო ზონრით.

ცეცხლოვანი აფეთქების დადებითი მხარეა შესრულების სიმარტივე და სისწრაფე. მისი გამოყენება დაუშვებელია აირისა და მტკრის მხრივ საშიშ მაღაროებში და აგრეთვე ვერტიკალური და დიდი დახრის ($\alpha > 30^{\circ}$) მქონე გვირაბების გაყვანისას. ცეცხლგამტარი ზონრის წვა წამლავს გვირაბის ატმოსფეროს (გამოიყოფა CO) ცეცხლოვანი აფეთქების საშუალებით ყოველთვის არ ხერხდება საჭირო საწარმოო ეფექტის მიღწევა,

თუმცი იგი მოითხოვს შპურების აფეთქების ერთდროულობას ან მათ შორის გარკვეული ინტერვალების ზუსტ დაცვას.

ერთჯერად მოსაკიდებელი ცეცხლგამტარი ზონრების რიცხვი თექვსმეტზე მეტი არ უნდა იყოს. თუ მუხტების რაოდენობა ამაზე მეტია, საჭიროა ზონრების ჯგუფური მოკიდება საალებელი ვაზნების საშუალებით. თითო სანგრევში ერთდროულად ექვს ვაზნამდე, მეტის გამოყენება აკრძალულია. ზონრების მოკიდებას ერთი ამფეთქებელი აწარმოებს. როდესაც გვირაბის სიგანე ხუთ მეტრზე მეტია, დასაშვებია ორი ამფეთქებლის ერთდროული მუშაობა, რომელთაგან ერთი უფროსია და არეგულირებს მოკიდების დაწყებას და სანგრევიდან დრულად გამოსვლას.

ცეცხლოვანი აფეთქებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზონრების მოკიდების სანგრძლივობის კონტროლს, რათა ამ თპერაციის დამთავრებამდე ამფეთქებელს არ მოუწიოს პირველად მოკიდებული მუხტის აფეთქებამ. ზონრების მოკიდება ნებადართულია მდვივარი პატრუქით, საალებელი სანთლით, საალებელი ვაზნით ან თვით ცეცხლგამტარი ზონრის ნაჭრით. თუ მხოლოდ ერთი მუხტია ასაფეთქებელი, დასაშვებია ზონრის მოკიდება ასანთით.

ცეცხლოვანი აფეთქების დროს ითვლიან მუხტების აფეთქებათა ხმებს რათა გამოვლინებულ იქნეს რომელიმე მათგანის მტეუნება. სანგრევში დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ მისი ინტენსიური განიავების შემდეგ, როდესაც უკანასკნელი მუხტის აფეთქებიდან 15 წუთი მაინც არის გასული. აფეთქებისა და განიავების შემდეგ ამფეთქებელი ათვალიერებს სანგრევს და როდესაც დარწმუნდება, რომ ყველა მუხტი აფეთქებულია, იძლევა

მესამე სიგნალს, რაც მუშებს სანგრევში დაბრუნების უფლებას აძლევს.

რომელიმე მუხტის მტყველების აღმოჩენის შემთხვევაში ამფეთქებელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ეს ტექნიკურ ზედამხედველობას და შეუდგეს მტყუნების ლიკვიდაციას. ამასთან მტყუნებული შპურის პარალელურად, მისგან არანაკლები 30 სანტიმეტრის მანძილზე, გაიყვანება დამხარე შპური, რომელიც იმუხტება და ფეთქდება. ამით მიღწეული უნდა იქნეს ქანის აფეთქება მტყუნებული მუხტის ირგვლივაც. ამის შემდეგ ხდება ქანის ფრთხილი აწმენდა და აუფეთქებული ვაზნების ამოკრევა. მუხტის მტყუნების ლიკვიდაციის დროს სანგრევიდან რაიმე სხვა სამუშაოს წარმოება აკრძალულია.

ელექტრული აფეთქება, ცეცხლურთან შედარებით, ტექნიკურად უფრო რთული შესასრულებელია, მაგრამ იგი უნივერსალურია; მისი გამოყენება შეიძლება ყველგან, მათ შორის აირისა და მტვრის მხრივ საშიშ მაღაროებში. დენის ჩართვა ხდება შორი მანძილიდან და ამიტომ ამფეთქებლის უსაფრთხოება უკეთაა დაცული; მუხტები შეიძლება აფეთქდეს როგორც ერთდროულად, ისე სასურველი ინტერვალებით. ელექტროაფეთქებისას საჭიროა გარკვეული ზომების მიღება ელექტროდეტონატორებზე მოხეტიალე დენების მოქმედების საწინააღმდეგოდ. ეს სერხი მაღალი კვალიფიკაციის ამფეთქებლებს მოითხოვს და შედარებით უფრო ძვირია. ელექტრული აფეთქება ამჟამად ყველაზე უფრო გავრცელებული ხერხია.

გვირაბების გაყვანის პრაქტიკაში უმეტესად იყენებენ ელექტროდეტონატორების მიმდევრობით შეერთებას. ეს სქემა

გამოირჩევა როგორც ქსელის მონტაჟის, ისე მისი გამტარობის შემოწმების სიმარტივით. ამ დროს აუცილებელია თანაბარწინაღობიანი ელექტროდეტორნატორების გამოყენება; წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება მივიღოთ უფრო ნაკლები წინაღობის მქონე დეტორნატორების მტყუნება.

ელექტრული ხერხის გამოყენებისას, დენის წყაროდ უმეტესად ხმარობენ სპეციალურ ასაფეთქებელ მანქანებს, რომლებიც ადგილი გადასატანი და ორლი მოსახმარია.

დენის წყაროდ იყენებენ აგრეთვე განათების ან ძალურ ქსელს (ძაბვა 127, 220 ან 380 ვოლტი). მათ უპირატესობა ეძლევათ, ასაფეთქებელ მანქანებთან შედარებით, ელექტროდეტორნატორების დიდი რიცხვის აფეთქების შემთხვევაში. ელექტროფეთქებადი ქსელის მიერთება განათების ქსელთან უნდა მოხდეს სპეციალური ჩამრაზის, ხოლო აირისა და მტვრის მხრივ საშიშ მაღაროებში – ფეთქებაუსაფრთხო ჩამრთველების გამოყენებით (ხელსაწყო ცII-1).

თუ დენის ჩართვისას აფეთქება არ მოხდა, საჭიროა, პირველ რიგში, მაგისტრალური საღენების გამორთვა და მათი ბოლოებში მოკლედ ჩართვა, ამის შემდეგ სანგრევში მისვლა და ქსელის შემოწმება შეიძლება არა უადრეს 15 წუთისა – დაყოვნებითი მოქმედების დეტორნატორების შემთხვევაში.

მუხტის მტყუნების ლიკვიდაცია იმავე წესით წარმოებს, როგორც ცეცხლოვანი აფეთქებისას გამოიყენება.

სადეტორნაციო ზონრით აფეთქებას გვირაბების გაყვანის პრაქტიკაში შედარებით მცირე გამოყენება აქვს. ამის მიზეზია ზონრის მაღალი დირებულება. მისი დადგბითი მხარეა მეტი უსაფრთხოება, სხვა ხერხებთან შედარებით, ქსელის მონტაჟის

სიმარტივე და მუხტების ერთდროული და მცირე დაყოვნებითი აფეთქების შესაძლებლობა. სადეტონაციო ზონის გამოყენება აუმჯობესებს გრძელი მუხტების დეტონაციის პირობებს.

6.3. გვირაბების სანგრევის განიავება

გვირაბების გაყვანისას დიდი უურადღება ჰქცევა მათ განიავებას, რომლის მიზანია მომუშავეთაფის ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნა. უანგბადის შემცველობა ჰაერში სანგრევთან 20%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო მავნე აირების რაოდენობამ სანიტარულ ნორმას არ უნდა გადააჭარბოს (0,5% ნახშირჟანგზე გადაანგარიშებით). ამიტომ აუცილებელია უზრუნველვყოთ გვირაბში სუფთა ჰაერის მიწოდება საჭირო რაოდენობით.

გვირაბის გაყვანისას არსებობს მისი განიავების სხვადასხვა სერხი: 1. ბუნებრივი განიავება დიფუზიის სარჯზე; 2. განიავება კუმშული ჰაერით; 3. განიავება საერთო საშახტო დეპრესიის გამოყენებით 4. განიავება ადგილობრივი მოქმედების ვენტილატორებით. ზოგჯერ ხდება აღნიშნული ხერხების კომბინირებული გამოყენება.

დიფუზიის სარჯზე განიავება დასაშვებია გვირაბის გაყვანისას მხოლოდ ათი მეტრის სიგრძემდე. კუმშული ჰაერის გამოყენება ეკონომიურად არახელსაყრელია და ყოველთვის ვერ იძლევა საჭირო ეფექტს.


საერთო საშახტო დეპრესიის გამოყენება მიზანშეწონილია პარალელური გვირაბების გაყვანისას. ცალკეული გრძელი გვირაბების გაყვანის დროს საერთო საშახტო დეპრესიის

გამოყენება არ ხერხდება მიღსადენის დიდი აეროდინამიკური წინაღობის გამო.

აღნიშნული ხერხებიდან ყველაზე უფრო უნივერსალური და ეკონომიკურია ადგილობრივი განიავების ვენტილაციორების გამოყენება, რის გამოც გვირაბების გაყვანის პრაქტიკაში იგი ყველაზე მეტად გავრცელდა.

ადგილობრივი ვენტილაციორებით განიავება შეიძლება დაჭირებით, შეწოვით ან კომბინირებულად.

დამჭირხნი განიავების დროს ვენტილაციორი 1 სუფთა ჭავლზე თავსდება (ნახ. 15, ბ); აქ შეწოვილ სუფთა ჰაერს იგი ჭირხნის მიღსადენში 2, რომელიც გასანიავებელ გვირაბს მოელ სიგრძეზე გასდევს და სანგრევამდეა მიყვანილი. მიღსადენის ბოლოდან დიდი სიჩქარით გამომავალი ჭავლი ახდენს სანგრევისპირა სივრცეში ჰაერის აღრევას (ტურბულენტური დიფუზია) და მავნე აირების განზავებას. გაჭუჭყიანებული ჰაერის ნაკადი გვირაბით გარეთ გამოდის.



ნახ. 15

იმისათვის, რომ ვენტილატორმა ხელახლა არ შეიწოვოს გაჭუჭყიანებული პაერი, მისი შემწოვი მილის ბოლო დაცილებული უნდა იქმოს გვირაბის პირიდან 10 მეტრის მანძილზე მაინც.

სანგრევის წინწაწევასთან ერთად ხდება მილსადენის წაგრძელება. დაცილება მილსადენის ბოლოდან სანგრევამდე, უსაფრთხოების წესების თანახმად, 8 მეტრამდე დაიშვება, ხოლო ისეთი სანგრევებისათვის, რომლებშიც მეთანი გამოიყოფა, იგი 5 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს.

დამჭირხნი განიავების ხერხი ყველაზე უფრო ეფექტურია და იგი ყველაზე მეტადაა გავრცელებული. სანგრევში სუფთა პაერის ჭავლის გამუდმებული მიწოდების შედეგად მავნე აირების კონცენტრაცია სწრაფად დაიყვანება დასაშვებ ნორმამდე. პაერის მოძრაობის მიმართულება გვირაბში აფეთქების დროს გატყორცნილი აირების მოძრაობის მიმართულების თანხვდენილია. დამჭირხნი განიავების დროს შესაძლებელია რეზინულენტილი მოქნილი მიღების გამოყენება, რომელთა შეერთება და გვირაბში დაკიდება ადვილად ხდება. ასეთ მილსადენში პაერის დანაკარგები მცირება.

ზემოთაღნიშნულ დადებით მხარეებთან ერთად დამჭირხნ განიავებას ის უარყოფითი მხარე აქვს, რომ გაჭუჭყიანებული ნაკადი გვირაბში მოძრაობს და მისი მნიშვნელოვანი სიგრძის შემთხვევაში საჭირო ხდება სუფთა პაერის დიდი რაოდენობით მიწოდება.

შემწოვი განიავების დროს (ნახ. 15, ა) ვენტილატორი 1 მილსადენი 2-ის საშუალებით სანგრევიდან იწოვს

გაჭუჭყიანებულ პაერს, ხოლო სუფთა პაერის ნაკადი გვირაბის გავლით სანგრევისაკენ მიემართება.


შემწოვი განიავების დადგბითი მსარე ის არის, რომ აფეთქების მავნე აირების გავრცელება მოელ გვირაბში არ ხდება. სანგრევში მისაწოდებელი სუფთა პაერის რაოდენობა მცირება და განიავების დროც ნაკლებია. ეს კი ამცირებს ენერგიის ხარჯს და უფრო მსუბუქი საგენტილაციო მოწყობილობის გამოყენების საშუალებას იძლევა.

შემწოვ განიავებას მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები ახასიათებს. შემწოვი ნაკადის მოქმედების ზონა მცირება და ამიტომ ეფექტური განიავების მისაღწევად მიღსადენის ბოლოს დაცილება სანგრევიდან მხოლოდ 1-2 მეტრს უნდა შეადგენდეს (დასაშვები მაქსიმალური მანძილი $l = 0,5\sqrt{S}$, სადაც S სანგრევის ფართობია).

დიდი სიგრძის გვირაბების გაყვანისას შემწოვი განიავება არასაიმედოდ ითვლება. მისი გამოყენება აკრძალულია აირის აფეთქების მხრივ საშიშ მაღაროებში.

განიავების კომბინირებულ ხერხს ვღებულობთ დამჭირხნი და შემწოვი განიავების სქემების შეუდლებით (ნახ. 16, ა). მავნე აირების სანგრევიდან მოცილება ხდება დამჭირხნი მიღსადენებიდან გამომავალი ჭავლის საშუალებით, ხოლო შემდეგ ეს აირები შემწოვი მიღსადენით გვირაბის გარეთ განიდევნება (პირველი ვენტილატორი მუშაობს დაჭირხენაზე, ხოლო მეორე შეწოვაზე). ამ ხერხით ვაღწევთ განიავების დროის შემცირებას და თავიდან ვიცილებთ მავნე აირების გადაადგლებას თვით გვირაბში (რასაც დამჭირხნი განიავების დროს ვხვდებით). ამრიგად, კომბინირებული განიავება აერთიანებს დამჭირხნ და

შემწოდ განიავებათა დადებით მხარეებს და თავიდან გვაცილებს მათ ნაკლოვანებებს.



ნახ. 16.

კომბინირებული სქემის ნაკლია ორი სავანტილაციო დანადგარის საჭიროება, რაც აძვირებს განიავების დირებულებას.

7. შანის დატვირთვა


7.1. ხელით დატვირთვა

მონგრეული ქანის ხელით დატვირთვა ვაგონებში მეტად შრომატევადი ოპერაციაა, რომელიც, დაახლოებით, საგამყვანო ციკლის 70%-ს მოიცავს. ამიტომ, ამჟამად, ხელით დატვირთვა კაპიტალური გვირაბების გაყვანისას თითქმის აღარსად გამოიყენება. მას ზოგჯერ კიდევ მიმართავენ მცირე სიგრძის და მცირებელიანი მეორეხარისხოვანი გვირაბების გაყვანის დროს.

ხელით დატვირთვისას მაქსიმალური მწარმოებლურობის მისაღებად საჭიროა, რომ ნიჩბის ტევადობა 8-9 კლოგრამს შეადგენდეს. უფრო დიდი ტევადობის ნიჩბების გამოყენებისას მუშა ადვილად იღლება და ცვლაში მწარმოებლურობაც ნაკლებია. ხელით დატვირთვის მწარმოებლურობაზე მეტად უარყოფითად მოქმედებს ნიადაგის უსწორმასწორობა; ამიტომ სასურველია ქანის აფეთქების წინ სანგრევთან დავაგოთ ფიცრები ან ლითონის ფურცლები. ამის შედეგად ქანის ნიჩბებით ახვეტა ადვილდება და მწარმოებლურობაც 20-25 %-ით იზრდება.

ხელით დატვირთვის გადაადგილებისა და მწარმოებლურობის გაზრდის მიზნით შეიძლება გამოგიყენოთ გადამტვირთავი. იგი წარმოადგენს მცირე სიგრძის დახრილ ლენტიან კონვეიერს (ლენტის სიგანე 500-700 მმ), რომელიც ბორბლებზე დგას (ნახ. 17). კონვეიერის ქვედა ბოლოზე მუშა ხელით ტვირთავს ქანს, რომელიც კონვეიერის ზედა ბოლოდან უშუალოდ ვაგონებში იცლება. გადამტვირთავზე ქანის დაყრა ერთდროულად შეიძლება ორმა მუშამ აწარმოოს.

გადამტვირთავის გამოყენების დროს მნიშვნელოვნად მცირდება ქანის ნიჩბით აწევის სიმაღლე, რაც მწარმოებლურობის გაზრდის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.



ნახ. 17.

გადამტვირთავის ქვეშ, ჩვეულებრივ, ერთი ან ორი ვაგონებით თავსძება. ზოგიერთი ტიპის გადამტვირთავი 3-10 ვაგონების დაყენების საშუალებას იძლევა. ამ შემთხვევაში გადამტვირთავის შეერთი (ზედა თარაზული ნაწილი) სათანადოდ არის წაგრძელებული. ასეთი ტპისაა ПЛ და П-5 გადამტვირთავები.

7.2. მტვირთავი მანქანები

აფეთქებით მონგრეული ქანის ასაღებად ამჟამად ფართოდ იყენებენ მტვირთავ მანქანებს.

ქანის ამღებით ორგანოს კონსტრუქციის მიხედვით მტვირთავი მანქანები შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად: ჩამჩიან და სახვეტებიან მტვირთავ მანქანებად.

მტვირთავი მანქანებია სკრეპერებიც, მაგრამ გვირაბების გაყვანის პრაქტიკაში მათ შედარებით ნაკლებად იყენებენ.

ჩამჩიანი მტვირთავი მანქანები, თავის მხრივ, შეიძლება გაიყოს ორ ქვეჯგუფად: უბონვეიერო და კონვეიერიანი. პირველ შემთხვევაში ქანით სავსე ჩამჩის განტვირთვა შესაძლებელია უშუალოდ ვაგონებში (მტვირთავი მანქანების ტიპებია ПМЛ-5, ПМЛ-5МО, ЭПМ-2, ППН-2, ППН-1с, ПМЛ-9) ხოლო მეორე შემთხვევაში ჩამჩიდან ქანი იყრება მანქანისავე კონვეიერზე, რომელიც მას ვაგონებში ტვირთავს (ППЛ-4, 1ППН-5, 2ППН-5, МПР-6).

მანქანების დამტვირთავი ნაწილი შედგება მბრუნავი პლატფორმის, ზედა რედუქტორის, ჩამჩისა (თავის კულისებით) და


ძრავისაგან. სახელო ნაწილი წარმოადგენს ოფიტმავალ შასს (თავისი კორპუსით) ქვედა რედუქტორითა და ძრავათი.

მანქანები (ПМЛ-5, ПМЛ-5МО, ППН-2, ППН-1с და ЭПМ-2) განკუთვნილია მშრალი ან ნოტიო ქანის დასატვირთავად, რომლის ნატეხების სიმსხო 350 მმ-ს არ აღემატება. ПМЛ-9 და 1ППН-3 ტიპის მანქანებს შეუძლიათ დატვირთონ, შესაბამისად, 500 და 600 მმ სიმსხოს ნატეხები.

თუ ზიდვა გვირაბში კონვეიერით ხდება, მაშინ მტვირთავი მანქანა მასზე ქანს ყრის გადამტვირთავი ვაგონების საშუალებით, რომელსაც დახრილი დარი აქვს (ვაგონები მიბმულია მანქანაზე და მასთან ერთად მოძრაობს).

მე-18 ნახაზზე ნაჩვენებია მტვირთავი მანქანა ПМЛ-5 (1 – შასი, 2 – მბრუნავი პლატფორმა, 3 – ჩამჩა, 4 – კულისები).

ჩამჩიანი უკონვეიერო მანქანის დადებითი მხარეა კარგი მანევრულობა, კონსტრუქციის კომპაქტურობა და საიმედოობა, მართვის სიმარტივე და მცირე რადიუსის მოხვეულობის მქონე გვირაბებში მუშაობის შესაძლებლობა. მათი ნაკლია დატვირთვის ფრონტის სიმცირე და განტვირთვის დროს ჩამჩის აწევის დიდი სიმაღლე.



ნახ. 18.


მცირებულების გვირაბების გაყვანისათვის კონსტრუირებულია მანქანა ППН-1с. ამ მანქანებით მუშაობა მოსახერხებელია საძიებო გვირაბების გაყვანის დროს. მისი გამოყენება შეიძლება დახრილ გვირაბებშიც, თუ დახრის კუთხე 15° არ აღემატება.

ასეთი დახრის გვირაბებში მუშაობა შეუძლია აგრეთვე ППН-2 ტიპის მანქანას. უფრო ნაკლები დახრის გვირაბებში ($\alpha < 8^{\circ}$) შეგვიძლია გამოვიყენოთ მანქანები ПМЛ-5МО და ეპმ-2. მანქანა ეპმ-2, სხვა ტიპებისაგან განსხვავებით, ელექტროენერგიაზე მუშაობს.

მანქანების ელექტრომოწყობილობა აფეთქებაუსაფრთხოა. მას თან ახლავს მანიპულატორები საბურლი მანქანების დასაყენებლად.

ჩამჩიანი კონვეიერიანი მანქანა ППМ-4м ნაჩვენებია მუ-19 ნახაზზე, მისი ძირითადი ნაწილებია: ქანის ამღები ჩამჩიანი აპარატი, კონვეიერი და თვითმავალი შასი, რომლის პლატფორმაზეც დამოტავებულია ყველა მუშა მექანიზმი და

მართვის სისტემა. ჩამჩის აწევა და შემობრუნება წარმოებს ჯაჭვებით (ППМ-4м) ან ბერკეტული მექანიზმის საშუალებით (ППН-5, 2ППН-5 და МПР-6).




ნახ. 19.

ქანის ამლები აპარატი შედგება ჩამჩისა და ძარისაგან, რომლებიც ერთმანეთან სახსრულადაა დაკავშირებული. სახსრული კავშირია აგრეთვე ძარასა და კონვეიერის ჩარჩოს შორის. კონვეიერის წინა (ქანის მიმდები) ნაწილი დახრილია დაახლოებით 20° -ით, ხოლო უკანა (ქანის განმტკირთავი) ნაწილი თარაზულია.

ППМ-4 ტიპის მანქანით შეიძლება ვტვირთოთ აფეთქებული ქანი, რომლის ნატეხების სიმსხო 400 მმ არ აღემატება. მანქანების ალექტრომოწყობილობა აფეთქებაუსაფრთხოა.

სახვეტებიან მტვირთავ მანქანებს უმეტეს შემთხვევაში აქვთ მუხლუხა სელა; ზოგჯერ მათი გადაადგილება ხდება ლიანდაგზე (ნახ. 20).



ნახ. 20.

ქანის ამხევტავი ორგანო დამონტაჟებულია დახრილ პლატფორმაზე და შედგება მრუდმხარა – ბარბაცა ან კულისა მექანიზმის მქონე ორი მოსაფოცხი თათისაგან, რომლებიც ავტომატურად და განუწყვეტლივ მოძრაობენ. ქანის დატვირთვა ვაგონებზე ხდება ხვეტია ღუნვადი კონვეიერით ან მიმდევრობით დადგმული ორი კონვეიერით, რომელთაგან პირველი ხვეტიაა, ხოლო მეორე – ლენტური.

სახვეტებიანი მტვირთავი მანქანის დადებითი მხარეა დიდი მწარმოებლურობა, კარგი მანევრულობა და მცირე სიმაღლე-მუხლუხა სვლის მქონე მანქანებს აქვთ დაწნევის დიდი ძალვა, რაც განპირობებულია ნიადაგთან მუხლუხების დიდი ჩაჭიდებით. უარყოფით მხარედ ითვლება ამხევტი ნაწილის კონსტრუქციის სირთულეს.

სახვეტებიანი მტკირთავი მანქანებით ПНБ-1 და 1 ПНБ-2 შეიძლება ვიმუშაოთ როგორც თარაზულ, ისე მცირედ დახრილ გვირაბებში ($\alpha < 10^0$). პირველი მათგანი ტკირთავს მონგრეულ ქანს, რომლის სიმაგრე პროტოდიაკონოვის სკალით $f \leq 10$, ხოლო მერე მანქანით მუშაობა მიზანშეწონილია ისეთი ქანების დასატკირთავად, როდესაც $f < 5$.

მტკირთავი მანქანა 2 ПНБ-2 მიზანშეწონილია გამოვიყენოთ შედარებით მაგარ ქანებში ($f < 12$) თარაზული გვირაბების გაყვანისას. მას ხმარობენ აგრეთვე საწმენდ სანგრევებში საბადოს კამერული სისტემით დამუშავების დროს. 2ПНБ-2 ტიპის მანქანა ხშირად მზადდება საკიდარი საბურლი მოწყობილობით და მაშინ იგი საბურლ-მტკირთავი მანქანის სახელწოდებას ღებულობს. საკიდარ საბურლ მოწყობილობას აქვს БУ-1 ტიპის ორი მანქანა ან ორი გრძელსვლიანი ელექტრობურლი.

მანქანა 2ПНБ-3კ განკუთვნილია მსხვილნაჭროვანი, ნებისმიერი სიმაგრის ქანის დასატკირთავად. შეიძლება გამოყენებულ იქნეს დახრილ გვირაბებში, თუ მათი დაქანების კუთხე 10^0 -ს არ აღემატება.

ПНБ-5 ტიპის მანქანა, სხვა სახვეტებიანი მტკირთავი მანქანებისაგან განსხვავებით, რომელთაც მუხლუხა სვლა აქვთ, ლიანდაგზე მოძრაობს. იგი უმთავრესად განკუთვნილია დახრილი გვირაბების ზევიდან ქვევით გაყვანისას, როდესაც დახრის კუთხე 25^0 -მდეა. მას იყენებენ თარაზულ გვირაბებშიც. მანქანა აღჭურვილია ისეთივე კიდული საბურლი მოწყობილობით, როგორც 2ПНБ-2 ტიპის მანქანას აქვს.


7.3. დატვირთული ქანის გაზიდვა სანგრევიდან

დატვირთული ქანის სანგრევიდან გაზიდვის ორგანიზაცია ისეთი უნდა იყოს, რომ რაც შეიძლება ნაკლები დრო დაიკარგოს დატვირთული ვაგონების ცარიელი ვაგონებით შეცვლაზე. ამ მიზანს ემსახურება ლიანდაგის სათანადო განლაგება სანგრევთან.

ორლიანდაგიანი გვირაბების გაყვანისას ვაგონებების შეცვლის მანევრები უფრო ადგილად ხორციელდება. ამ დროს გამოყენებული სამანევრო სქემები ნაჩვენებია 21-ე ნახაზზე.


მანევრები შეიძლება ვაწარმოოთ **სიმეტრიული გადასატანი ისრით** (ნახ. 21, ა). მისი საშუალებით გვირაბში დაგებული ორი ლიანდაგი უერთდება გვირაბის შუაში დაგებულ ლიანდაგს, რომელზეც მტვირთავი მანქანა მოძრაობს. ისრის გადატანა ხდება პერიოდულად, სანგრევის წინწაწევის შესაბამისად. სასურველია, რომ მანძილი დატვირთვის ადგილიდან ისრამდე 20 მეტრს არ აღემატებოდეს. ვაგონებების გაგორება ხდება სათითაოდ, ხელით ან მსუბუქი ჯალამბრით.

სამანევრო სქემა **ზესადები ასაჭრევის** გამოყენებით ნაჩვენებია 21, ბ ნახაზზე. მისი საშუალებით ხდება როგორც ვაგონების, ისე მტვირთავი მანქანების გადაყვანა ერთი ლიანდაგიდან



ნახ. 21

მეორეზე. ზესადები ასაქცევი (ნახ. 22) წარმოადგენს 8-10 მმ
სისქის ფოლადის ფილას 1, რომელზეც მიღუდებულია ფოლადის
წნელები 2. მათზე მიერთებულია გადასაყვანი




ნახ. 22

ისრები 3. ასეთი ფილა ზემოდან ედება ლიანდაგზე 4 და
მაგრდება კუთხოვანებით 5 და საჩერი ხრახნებით 6. იმისათვის,
რომ ვაგონების გადასვლა ლიანდაგიდან ზესადებ ასაქცევზე
მდოვრედ მოხდეს, ფოლადის წნელების ბოლოები 8 სათანადოდა
დაცერებული. ასაქცევის სიგრძე 5-8 მეტრია და დამოკიდებულია
სიმრუდის R რადიუსზე, რასაც ვაგონების ხისტი ბაზის
მიხედვით იღებენ. ასაქცევის გადატანა ხდება (ყოველ 10-15
მეტრის შემდეგ) მისი ლიანდაგებზე გათრევით მტვირთავი
მანქანის საშუალებით. ამისათვის ფილას გააჩნია ხვრებები 9,
რომლებსაც იყენებენ მტვირთავი მანქანის ჩასაბმელად. ზესადები
ასაქცევის გადატანასა და ახალ ადგილზე დამაგრებას
დაახლოებით 30 წთ ხქირდება. ვაგონების გაგორებას
მანევრების დროს აწარმოებენ ხელით ან მსუბუქი ჯალამბრით.

21. გ ნასაზზე ნაჩვენებია სქემა, როდესაც, ვაგონების
გადაყვანა ერთი ლიანდაგიდან მეორეზე ხდება გორგოლაჭებიანი
პლატფორმის გამოყენებით. ზესადები გორგოლაჭიანი პლატფორმა
(ნახ. 23) წარმოადგენს ხისტ ჩარჩოს 1, რომელზეც დგას
გასაგორებელი ურიკა 2. მასზე დამაგრებულია რელსები,
რომელთა გადასახსნელი ბოლოები 3 დაცერებულია ლიანდაგთან
მდოვრედ შერწყმის მიზნით (დაქანება დაახლოებით 10^0 -ია).
ჩარჩოს ნაპირებზე აქვს საჩერი კოჭები 4.

გასაგორებელი ურიკის მდებარეობის ფიქსირება ხდება
სპეციალური ასახსნელი საჩერებით 5. ცარიელი ვაგონები
შეიძლება შეგორდეს ურიკაზე ხელით, ხოლო დატვირთული
ვაგონების შესაგორებლად საჭიროა ელმავლის ან მტვირთავი
მანქანის გამოყენება.




ნახ. 23

ზოგჯერ ვაგონების გადადგმას ერთი ლიანდაგიდან მეორეზე აწარმოებნ ამწე-ირიბულას საშუალებით, რომელიც მტვირთავი მანქანის მახლობლად დგას (ნახ. 21, დ).

ერთლიანდაგიანი გვირაბების გაყვანისას მანევრები უფრო რთულია, რაც კვეთის სიმცირითაა გამოწვეული, სანგრევთან ლიანდაგების განლაგების სქემები მოცემულია 24 ნახაზზე.

24. ა ნახაზზე ნაჩვენებია ჟესადები ასაქცევის გამოყენების შემთხვევა. ჟესადები შექრული ასაქცევი (ნახ. 25) შედგება ლითონის შპალებზე 3 დამაგრებული რელსებისაგან 2, რომლებიც ნაპირა სქციებით 1 შეთავსებულია ძირითად ლიანდაგებთან. ასეთ ასაქცევს ხშირად იყენებენ ერთ ან ორგონიან ვაგონებით ზიდვისას. მისი სიგრძე დაახლოებით 14-15 მეტრია, რაც რამდენიმე ვაგონების მოთავსების საშუალებას იძლევა. სანგრევის გადადგილების ჟესაბამისად, ასაქცევი ოანდათან წინ

გადააქვთ იმ ვარაუდით, რომ მისი დაშორება მტკირთავი მანქანიდან 20 მეტრს არ აღემატებოდეს.



ნახ. 24

შეკრული ასაქცევი ერთ ვაგონებზე ნაჩვენებია 24, ბ ნახაზზე, ვაგონების მანევრები შემდეგნაირად წარმოებას: როდესაც მორიგი ვაგონები 2 დაიტკირთება, ელმავალი 3 წაიღებს მას დანარჩენ შედგენილობასთან ერთად და დატოვებს ასაქცევზე ხოლო იქიდან წინ გაიგდებს ადრე დატკირთულ ვაგონს 1 და უკან მიბმულ ცარიელ შემადგენლობასთან ერთად გაიყვანს მთავარ ლიანდაგზე. შემდეგ ელმავალი უკუსვლით იმოძრავებს მთავარ ლიანდაგზე და ცარიელ შემადგენლობას მტკირთავ მანქანასთან მიიყვანს. ასაქცევის მოწყობის ადგილზე საჭიროა

გვირაბის სათანადო გაგანიერება, რაც ამ სქემის ნაკლე წარმოადგენს. მანძილი ასაქცევიდან მტვირთავ მანქანამდე 75 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს.


24. გ ნახაზზე მოცემული სქემის შემთხვევაში იყენებენ **ჩიხურ ასაქცევებს**, რომელიც მცირეოდენი დაქანებით კეთდება. როდესაც მორიგი ვაგონები დაიტვირთება, ელმავალი, რომელიც ცარიელ შედგენილობის თავშია ჩაბმული, წაიღებს მას და უკუსვლით შეაგორებს ჩიხში, სადაც იგი შედგენილობიდან მოიხსნება და დამუხრუჭდება. ამის შემდეგ ელმავალი ცარიელ შედგენილობას უკანვე მიაწოდებს სანგრევში, ხოლო ჩიხში მდგარი ვაგონები განმუხრუჭდება და თვითგორვით გავა მთავარ ლიანდაგზე. ასე მეორდება ყოველი მორიგი ვაგონების დატვირთვის შემდეგ.

24.დ ნახაზზე ნაჩვენებია გორგოლაჭებიანი პლატფორმის გამოყენების შემთხვევა. როდესაც ელმავალი ცარიელ შედგენილობას სანგრევთან მიიყვანს, ბოლო ვაგონს 5 პლატფორმაზე დატოვებს, რომლის საშუალებითაც მას გვერდზე გაწევენ. შემდგ ელმავალი შედგენილობას უკან დახევს და გასცდება პლატფორმას; ვაგონებს 5 ისევე ლიანდაგისაკენ გამოწევენ და ელმავალი მტვირთავი მანქანისაკენ წაიღებს, ხოლო მის ადგილს ვაგონები 4 იკავებს. შემდეგ ელმავალს დატვირთული ვაგონები 5 გააქვს სანგრევიდან (ცარიელ შედგენილობასთან ერთად), გასცდება გორგოლაჭებიან პლატფორმას, ვაგონებს 4 გამოწევენ ლიანდაგისაკენ და ელმავალი ისევ სანგრევისაკენ წამოვა. ასეთი მანევრების შედეგად შედგენილობის დატვირთვის დამთავრების შემდეგ ელმავალი მის თავში აღმოჩნდება.



ნახ. 25

გორგოლაჭებიანი პლატფორმის ნაცვლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვაგონებების მექანიკური გადამდგმელი (ნახ. 26). სანგრევიდან 50-70 მეტრის მანძილზე გვირაბის გვერდზე, ჭერთან ახლოს, თარაზულად დადგმულია კოჭი 1 (რელსის ან ორგესებრი პროფილის), რომელზეც დადგმულია გორგოლაჭებიანი ურიკა 2. მას აქვს ამწე მოწყობილობა 3, რომლის საშუალებითაც ხდება ცარიელი ვაგონების 4 აწევა და ლიანდაგს ათავისუფლებენ.




ნახ. 26

ზემოაღწერილი სამანევრო სქემებისა და მოწყობილობათა გამოყენებისას მაინც ნიშვნელოვანი დრო იკარგება ვაგონების შეცვლაზე.

ამიტომ მტკირთავი მანქანების მაქსიმალური მწარმოებლურობის მისაღებად, რაც აუცილებელია გვირაბების ჩქაროსნული გაყვანისათვის, იყენებენ სპეციალურ სატრანსპორტო მოწყობილობებს, რომლებიც თავიდან იცილებენ ვაგონების შესაცვლელ მანევრებს.

ქანის დატკირთვის მწარმოებლურობის გაზრდის ეფექტური საშუალებაა გადამტკირთავის გამოყენება, რაც მთლიანად გვაცილებს თავიდან ვაგონების მანევრებზე დროის კარგვას (ნახ. 27).




ნახ. 27

7.4. გვირაბგასაყვანი კომპლექსები

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, არსებობს მრავალი ტიპის საბურლი და მტკირთავი მანქანები. მრავალგვარია აგრეთვე მათი გამოყენების ორგანიზაციული სქემები. საგამყვანო მოწყობილობის რაციონალური შერჩევის მიზნით რეკომენდებულია გვირაბგასაყვანი კომპლექსები. აფეთქების საშუალებით

თარაზული გვირაბების გაყვანისას იყენებენ კომპლექსებს კტ-1T, კტ-2, კტ-3 და კტ-4.

გვირაბგასაყვანი კომპლექსი კტ-1T (ნახ.28) განკუთვნილია სწორხაზოვანი თარაზული გვირაბებისათვის, რომელთა კვეთი სინათლეში 8,8-17,0 მ²-ია (სიმაღლე რელსის თავიდან – არანაკლები 2600 მმ, ქვედა სიგანე – არანაკლები 3800 მმ). კომპლექსში შედის ქანის მტვირთავი მანქანა 2 ПНВ-2 კიდული საბურლი მოწყობილობით, ლენტური კონვეიერი ППЛ-1, სამანევრო ურიკა МТ-1 და ზესადები გადასაყვანი ისარი.



ნახ. 28

თუ ქანის სიმაგრე პროტოდიაკონოვის სკალით 8-ს არ აღემატება, მაშინ ბურღას აწარმოებენ გრძელსვლიანი ელექტრული პერფორატორებით, ხოლო უფრო მაგარ ქანებში ($f=8\div12$) – პნევმატური დარტყმით-ბრუნვითი მანქანებით (БУ-1 და БГА-1). კიდული მოწყობილობა ითვალისწინებს ერთდროულად ორ საბურლი მანქანის მუშაობას.

ლენტური კონვეიერი იკიდება ლითონის თაღურ სამაგრზე, ამიტომ კომპლექსის გამოყენება მოითხოვს ასეთი სახის სამაგრის დადგმას. თუ გვირაბის მუდმივი სამაგრი სხვა სახისაა, მაშინ

ლითონის თაღები დროებით სამაგრებად უნდა იქნეს გამოყენებული (სანგრევიდან დაახლოებით 30 მეტრის სიგრძეზე).

კომპლექსში კტ-1T შემავალი ყველა მანქანის ელექტრომოწყობილობა აფეთქებაუსაფრთხოა. ორლიანდაგიანი გვირაბის შემთხვევაში ამ კომპლექსით გაყვანის თვიური სიჩქარე 225-315 მეტრია. სანგრევში მომუშავეთა მწარმოებლურობა 4,0-4,3 $\text{m}^3/\text{კაცვლა}$.

გვირაბგასაყვანი კომპლექსის კტ-2 (ნახ. 29, ა) გამოყენება შესაძლებელია ისეთ ორლიანდაგიან თარაზულ გვირაბებში, რომელთა სიმრუდის მინიმალური რადიუსი 15 მეტრია. შემუშავებულია ამ კომპლექსის ორი ვარიანტი. პირველი ვარაინტით კომპლექსში შედის მტვირთავი მანქანა 1-ПН-5, თვითმავალი საბურლი დანადგარი БУР-2 და თვითმავალი ლუნგადი ფირფიტოვანი კონვეიერი „Изгиб-1“. მეორე ვარიანტით გათვალისწინებულია მტვირთავი მანქანა 2 ПНБ-2 კიდული საბურლი მოწყობილობით და კონვეიერით „Изгиб-1“. პირველი ვარიანტი ითვალისწინებს აგრეთვე ზესადები გადასაყვანი ისრის გამოყენებას მოწყობილობათა მანქერების საწარმოებლად (მტვირთავი მანქანის შეცვლა სანგრევთან საბურლი დანადგარით და პირიქით).


საბურლ დანადგარს БУР-2 აქვს ორი სახის კიდული მოწყობილობა: 1. საკიდელა ხალხის აწევა-გადადგილებისათვის შპურების დამუხტვისა და სამაგრის ამოყვანის დროს; 2. სამარჯვი, სამაგრის ელემენტების აწევისა და დაკავებისათვის. ამ დანადგარით შესაძლებელია გვირაბის ჭერში ვერტიკალური შპურების ბურდვა შტანგური სამაგრის მოსათავსებლად.

თვითმავალი დუნგადი კონვეირის მწარმოებლურობაა 80-120 მ³/სთ; სიგრძე 40-60 მეტრი; მოლუნვის მინიმალური რადიუსი - 10 მ; წონა 15 ტონა.


გვირაბგასაყვანი კომპლექსი კტ-3 (ნახ. 30) განკუთვნილია სხვადასხვა კვეთის ორლიანდაგიანი თარაზული გვირაბებისათვის, რომელთა სიგრძე 150 მეტრზე მეტია. თუ გვირაბის სიმაღლე რელსის თავიდან 2200 მილიმეტრს აღემატება, კომპლექსში გამოიყენება მტვირთავი მანქანა 1-ППН-5. კტ-3 კომპლექსში შედის აგრეთვე საბურღი დანადგარი БУР-2 კიდული მოწყობილობით, ზესადები ისრები და სამანევრი ელექტრული ჯალამბარი ЛП-1 (წევის ძალა 175 კტ, წონა ბაგირით 75 კტ) ან თრი აკუმულატორული ელმავალი 4,5 АРП-2.

კომპლექსით კტ-3 მუშაობისას გვირაბის გაყვანის ჩვეულებრივი სიჩქარე შეადგენს 180 მ/თვეში, ხოლო გაყვანის ჩქაროსნული ტემპები ითვალისწინებს 300 მ/თვეში. უკანასკნელ შემთხვევაში საჭიროა ძირითადი საგამყვანო ოპერაციების პარალელური წარმოება (ხელის საბურღი მანქანებით მუშაობა ქანის დატვირთვასთან ერთად) და ვაგონებების შეცვლის დაჩქარება აკუმულატორული ელმავლების გამოყენების საშაულებით.

გვირაბგასაყვანი კომპლექსის კტ-4 გამოყენება მიზანშეწონილია სწორხაზოვანი გრძელი გვირაბების გასაყვანად, რომელთა კვეთი სინათლეში 8,8 მ²-ს აღემატება.



გან. 29



გან. 30

კომპლექსში შედის ქანის მტვირთავი მანქანა 1-ПН-5 ან
ППМ-4м საბურდი დანადგარი БУР-2 კიდული მოწყობილობით,
დასაკიდი გადამტვირთავი ППЛ-1, სამანევრო ურიკა МТ-1 და

ზესადები ისარი. გადამტვირთავებს კიდებენ თაღურ სამაგრზე მონორელსის საშუალებით.

ზემოაღწერილ გვირაბგასაყვან კომპლექსებს იყენებენ ქვანახშირის მრეწველობაში, როდესაც ქანების სიმაგრის კოეფიციენტი 12-ს არ აღემატება.

8. დამხმარე სამუშაოები


8.1. დროებითი სამაგრის დადგმა

გვირაბის სანგრევში მომუშავეთა უსაფრთხოებისათვის აუცილებელია სამაგრის დროული დადგმა. მუდმივი სამაგრის ამოყვანამდე იყენებენ დროებით სამაგრს.

ქვით, ბეტონით ან რკინაბეტონით გამაგრების შემთხვევაში დროებითი სამაგრი საშუალებას გვაძლევს შეუფერხებლად ვაწარმოოთ ძირითადი საგამყვანო ოპერაციები; მუდმივი სამაგრის ამოყვანის შრომატევადი სამუშაოები სანგრევიდან დაშორებით ტარდება და გავლენას არ ახდენს გვირაბის გაყვანის ორგანიზაციაზე. ასეთი ტიპის მუდმივი სამაგრების შემთხვევაში დროებით სამაგრად, ჩვეულებრივად, ხის ჩარჩოებს ან ლითონის თაღებს ხმარობენ. მათი ამოყვანა ისევე ხდება, როგორ საერთოდ გვირაბის ხით ან ლითონით გამაგრების დროს.

მდგრადი ქანების შემთხვევაში შეიძლება გამოვიყენოთ უფრო მსუბუქი ტიპის დროებითი სამაგრი. 31-ე ნახაზზე ნაჩვენებია ანკერული დროებითი სამაგრი, რომელსაც უმეტესად თაღური ჭერის დროს ვხვდებით. პირველად ბურდავენ $1,0\text{--}2,0$ მეტრის სიღრმის ცენტრალურ შპურს, შიგ ანკერს ათავსებენ და მასზე თაღური მოხაზულობის ლითონის უდელს ამაგრებენ. უდელს აქვს

ხვრეტები, რომლებიც განაპირა შპურების გაბურღვისა და მასში ანკერის ჩადების საშუალებას იძლევა. ხიმების დაყენების შემდეგ ანკერების ქანჩებს მჰიდროდ უჭერენ.



ნახ. 31


იქნებენ აგრეთვე ლითონის ინვენტარულ დროებით სამაგრს, რომელიც სწრაფად იდგმება. უდელი ერთ ბიგორი სახსრულად არის დამაგრებული, მეორეს კი თავისუფლად უკრდნობა. უდელი რომ არ გადოგარდეს, ამ ბიგის ბოლოზე ლითონის ორი ნაჭერია მიღუდებული. ინვენტარული სამაგრი, ჩვეულებრივ, მაღაროს რელსებისაგან მზადდება. ზოგჯერ ასეთი სამაგრის ფეხებს გასაშლელს აკეთებენ, რაც მოსახერხებულია გვირაბის სიმაღლის ცვალებადობის შემთხვევაში. გასაშლელი ფეხი მიღის ორი ნაჭრისაგან შედგება. მათი დაკავშირება ხდება ხრახნიანი დეროთი, რომელიც გადის მიღების ტორსულ ნაწილში ჩამაგრებულ ქანჩებში. ხრახნის ბრუნვით მიღები ერთმანეთს უახლოვდება ან შორდება.

სუსტი ჭერის არსებობის შემთხვევაში აუცილებელია გამოსაწევი დამცავი სამაგრის გამოყენება. ასეთი სამაგრი

წარმოადგენს ორ გამოსაწევ კოჭას, რომლებიც ადრე დაყენებულ ხის ჩარჩოებზე ან ლითონის თაღებზეა ჩამოკიდებული. კოჭებად იყენებენ რელსებს. ორტესებრ პროფილის ფოლადის ან ლითონის მილებს. კოჭებზე დაყრდნობილი ხის უღლები ან ლითონის სეგმენტები ჭერს ეპვრის და უზრუნველყოფს მის მდგრადობას სანგრევში სამუშაო ოპერაციების წარმოების დროს.

32-ე ნახაზზე მოცემულია გამოსაწევი დამცავი სამაგრის სქემა, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ გვირაბების ხით გამაგრების დროს (1 – ხის სამაგრი ჩარჩოები, 2 – გამოსაწევი კოჭი, 3 – საკიდარები, 4 – ნაგვარდულები).

კოჭები სანგრევის აფეთქებამდე იკიდება, ხოლო აფეთქების შემდეგ წინ გაიწევა. როდესაც ქანის აწმენდა დამთავრდება, კოჭებზე გადებულ უღლის ქვეშ ბიგებს დგამენ და ხიმეს აკეთებენ; კოჭს უბან გაწევენ და ახლად დადგმულ ჩარჩოზე საკიდარებს ჩამოკიდებენ. შემდეგ კოჭებს ისევ წასწევენ იმ ზომამდე, რომ მათი ბოლოები ახლად დაყენებულ საკიდრებში შევიდეს.



ნახ. 32

არსებობს დამცავი სამაგრის მრავალი კონსტრუქციული სახესხვაობა.


8.2. წყალსარინი არხების მოწყობა

თარაზული გვირაბების გაფანისას წყლის მოცილება თვითდინებით ხდება, ამისათვის გვირაბი მცირე დახრით გაჰყავთ (არანაკლები 0,003-0,004%) და მისი გაყოლებით წყალსარინ არხებს აწყობენ.

წყალსარინი არხი, ჩვეულებრივ, გვირაბის ერთ-ერთ გვერდს გაჰყვება. მის შესაქმნელად გვირაბის იატაკში ბურღავენ რამდენიმე მოკლე შპურს რომლებსაც სანგრევთან ერთად აფეოქტებენ, თუ გვირაბი მცირე სიმაგრის ქანებში გადის, მაშინ არხის ამოჭრა შესაძლებელია მომნარევი ჩაქუჩებით (სანგევიდან გარდევული დაშორებით).

ქანების დიდი სიმაგრის დროს ($f > 10$) წყალსარინ არხს გამაგრება არ სჭირდება (ნახ. 33, ა). ხალხის სასიარულოდ საჭიროა არხის გადახურვა ფიცარნაგით. ტიპიური კვეთის გაუმაგრებელი არხის გამტარობის უნარი 100 მ³/სთ (i=0,004).

უფრო რბილ ქანებში წყალსარინი არხები, უმეტეს შემთხვევაში, იმავე მასალით მაგრდება, რომელსაც თვით გვირაბში იყენებენ. ხით გამაგრებულ გვირაბებში არხს ხის ფიცრებით ამაგრებენ (ნახ. 33, ბ). ნახაზე ნაჩვენებია წყალსარინი არხის კვეთი მონოლითური ბეტონით გვირაბის გამარების შემთხვევაში. როგორც ვხედავთ, იგი თაგსდება ბეტონის მუდმივი სამაგრის გაგანიერებულ საძირკველში. წყლის გამტარობის უნარი აღწევს 200 მ³/სთ. ასეთი არხი შეიძლება გადაიხუროს ხით ან რკინაბეტონის თხელი ფილებით.



ნახ. 33

თუ გვირაბის ნიადაგში გაწყლიანებული ქანებია, მიზანშეწონილად თვლიან დახურულ სადრენაჟო არხების მოწყობას 0,5-1,0 მეტრის სიღრმეზე (ნახ. 33, დ). არხი შეიძლება გამაგრდეს ხოთ ან მასში ჩაიწყოს პერფორირებული რკინაბეტონის მილები.

ზოგჯერ თარაზული გვირაბების გაყვანისას მისი დაქანება სანგრევისკენაა (მაგალითად, შემხვედრი სანგრევებით მუშაობის დროს გვირაბის ერთ-ერთ ნაწილს ასეთი დაქანება ექნება). ამ შემთხვევაში სანგრევიდან წყლის მოცილება ხდება გადასატანი ტუმბოებით, ლითონის მილსადენის საშუალებით. ტუმბო გვირაბის ერთ-ერთ გვერდთან თავსდება.

8.3. ლიანდაგის დაგება


მონგრეული ქანის შეუფერხებელი გამოზიდვის უზრუნველსაყოფად საჭიროა, რომ სანგრევის წინაწევასთან ერთად ლიანდაგის წაგრძელებაც ხდებოდეს. ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ დროებითი და მუდმივი ლიანდაგები.

დოროებითი ლიანდაგი გვაქვს სანგრევიდან გაგონებების სამანევრო პუნქტებამდე. ვინაიდან სამანევრო პუნქტი სანგრევის წინაშევასთან ერთად პერიოდულად გადააღილდება, ამიტომ დოროებითი ლიანდაგის სამსახურის ვადა მცირეა და მისი დაგება შესაძლოა ბალისტის დაყრის გარეშე. უბალასტო ლიანდაგის მოწყობა ამ უბანზე გამართლებულია აგრეთვე გაგონებების მოძრაობის ნაკლები სიჩქარითაც.

დოროებითი ლიანდაგის დასაგებად გვირაბის ნიადაგს ასწორებენ, მასზე შპალებს აწყობენ და ზედ ომბოხებით რელსებს ამაგრებენ. რადგან რელსების სტანდარტული სიგრძე ბევრად აღემარტება სანგრევის ერთი წინაშევის სიდიდეს, ამიტომ უშუალოდ სანგრევთან ლიანდაგის წაგრძელება ხდება რელსის მოკლე ნაჭრებით (1,5-3,0), რომლებიც წინასწარვე ლითონის შპალებზეა დამაგრებული. მეზობელი მონაკეთები ერთმანეთს კავებით უკავშირდება. სანგრევის სათანადო სიგრძეზე გადა-ადგილების შემდეგ ლიანდაგის ასეთ მონაკეთებს იღებენ და ნორმალურ რელსებს აწყობენ. ლითონის შპალებად იყენებენ შველერების კოჭებს.

უშუალოდ სანგრევთან ლიანდაგის წაგრძელებისათვის შესაძლებელია აგრეთვე გამოვიყენოთ ე.წ. გამოსაწევი რელსები (ნახ. 34). ადრე დაგებული ლიანდაგის 1 შიგნით გვერდულად დებენ გამოსაწევ, ჩვეულებრივ რელსებს 2. დამტვირთავი მანქანის ბორბლები გამოსაწევ რელსებზე გადასვლისას რებორდებით მოძრაობს. ამიტომ გამოსაწევი რელსის ყელის მდებარეობა (დონე) ისე უნდა ყოს რომ მანქანის გადასვლა მდოვრედ მოხდეს. გამოსაწევ რელსებს შორის თავსდება განპრჯენები, რომელთა საშუალებით ისინი მჰიდროდ ეკვრიან ჩვეულებრივად დადგმულ


რელსებს. გამოწეული ნაწილის ქვეშ ათავსებენ ლითონის შპალებს. რელსების მდგომარების ფიქსირება ხდება მათი ბოლოების დამაკავშირებელი თასმით.



ნახ. 34

მუდმივი ლიანდაგის დაგება უნდა მოხდეს პროექტის მიხედვით. ქვანახშირის შახტებში ლიანდაგის სიგანე 600 ან 900 მილიმეტრია, ხოლო ლითონის მაღაროებში – 750 მმ (ლიანდაგის სიგანე იზომება რელსის თავების შიგა ნაპირებს შორის). საზიდ გვირაბებს გაყვანის პროცესში ეძლევათ გარკვეული დახრა ტვირთის ზიდვის მიმართულებით. მუდმივი ლიანდაგის დაგებისას აუცილებელია გზის საპროექტო პროფილის ზუსტი დაცვა, რისთვისაც შესაძლებელია საჭირო გახდეს ცალკეულ ადგილებში გვირაბის ნიადაგის დამატებითი მოთხრა ან, პირიქით, ქანის დაყრა. პროფილის სიზუსტეს საბოლოოდ აღწევენ ბალასტის შრის სისქის რეგულირებით. ლიანდაგის პროფილის შემოწმებისათვის იყენებენ თარაზოს. მოსახვევებში უნდა შემოწმდეს გარე რელსის აწევის სიდიდე (შიდა რელსთან შედარებით).

35-ე ნახაზზე ნაჩვენებია მუდმივი ლიანდაგის კონსტრუქცია.



ნახ. 35

ქვანახშირის მრეწველობაში უმეტესად იყენებენ P 18 და P 24 ტიპის მაღაროს რელსებს (რიცხვი გვიჩვენებს ერთი გრძივი მეტრის წონას). მძიმე ტენიონების ინტენსიური გადაზიდვისას სმართებენ P 32 და P 36 ტიპის სარკინიგზო რელსებს. მაღაროს რელსების სტანდარტული სიგრძე 8 მეტრია. რელსის თავის დასაშვები ცვეთა (ვერტიკალზე) 8-12 მილიმეტრია.


8.4. მილსადენებისა და კაბელების გაყვანა

გვირაბგასაყვანი სამუშაოების შეუფერხებელი წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მილსადენებისა და კაბელების წესიერ გაყვანასა და დროულ წაგრძელებას. მათი განლაგება ისეთი უნდა იყოს, რომ თავიდან იქნეს აცილებული მექანიკური დაზიანების საფრთხე (მატარებლების რელსებზე მოძრაობის ან რელსებიდან აცილების დოს) და ხელი არ შეეშალოს საწარმოო პროცესების ნორმალურ მსვლელობას. მილსადენების გაყვანისას აუცილებელია საჭირო ჰერმეტულობის დაცვა.

მიზანშეწონილი და მოხერხებულია მიღსაღენების დამაგრება გვირაბის გვერდის გაყოლებით, მის ზედა კუთხესთან (ნახ. 36), ვინაიდან წყალსაღენის მიღებს დიდი მექანიკური სიმტკიცე აქვთ, შესაძლებელია გვირაბის იატაგზე მათი დაწყობაც, ისე, რომ ხალხის სიარულს ხელს არ უშლიდეს.


პუმული პაერისა და წყალსაღენის მიღები მაგრდება ომბოსების, სქელი მავთულის, ხის თამასების ან ლითონის ცალუღლებისა და კაპვების საშუალებით. თუ გვირაბში ქვის ან ბეტონის სამაგრია, მაშინ მიღები მასში ჩამაგრებულ მანჭგალებზე ეყრდნობა. ასეთივე წესით ხდება ლითონის სავენტილაციო მიღების დამაგრება. ბრეზენტის სავენტილაციო მიღებს კი გვირაბში გაჭიმულ წვრილ ტროსზე ჰკიდებენ, რომლებიც კაპვებით არის სამაგრთან დაკავშირებული.

ძალური კაბელების დაკიდება შეიძლება ხისტად ან მოქნილად (ნახ. 37), ხისტი დაკიდება დასაშვებია ქვის, ბეტონისა და რკინაბეტონის მონოლითური სამაგრის დროს და დიდი სიმაგრის ქანებში გვირაბების გაუმაგრებლად გაყვანის შემთხვევაში. ხისტი დამაგრებისას კაბელი ეყრდნობა ლითონის კრონშტეინებს. მოქნილი დამაგრება, რომელიც ხორციელდება ბრეზენტისა და რეზინის საკიდარებით ან ხის თხელი კრონშტეინებით, მიზნად ისახავს კაბელის დაცვას გაწყვეტისაგან, რაც შეიძლება გამოიწვიოს გვირაბში ქანის ჩამოქცევამ ან სამაგრის დანგრევამ. კაბელზე დარტყმის დროს ასეთი საკიდრები ადვილად წყდება და იმტკრევა, რის შედეგად კაბელი იატაგზე დაწყება. ზოგჯერ კაბელი გვირაბის ნიადაგზე იგება და მას ზემოდან მტკიცე ცეცხლგამძლე საფარი უკეთდება (შეველერი, რკინაბეტონის დარი და სხვ.). კაბელის



ნახ. 36

საკიდარებს შორის მანძილი 3 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო კაბელის სხვადასხვა ხაზის ერთმანეთისაგან დაცილება 5 სანტიმეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს.



ნახ. 37

8.5 გვირაბების განათება

თვით გვირაბის განათება სტაციონალური გასანათებელი დანადგარებით ხდება, ხოლო სანგრევებისათვის გადასატან დანადგარებს იყენებენ. გადასატან გასანათებელ დანადგარებში მიწოდებული ძაბვა 127 ვოლტზე მეტი არ უნდა იყოს. სტაციონალურ დანადგარებში, რომელთაც ლუმინესცენციური სანათები აქვთ, დასაშეგებია 220 ვოლტი ძაბვა.

სანათების სიმძლავრე და მათ შორის მანძილი აუცილებელი უნდა იქნეს მე-6 ცხრილის მიხედვით.

ცხრილი 6

გვირაბის დასახელება	სანათებს შორის მანძილი, მ	სანათის სიმძლავრე, ვტ
1. გვირაბის სანგრევი	4-6	60-100
2. ძირითადი საზიდი გვირაბები ა) უსასრულო ბაგირით ზიდვისას	6-10	60-100
ბ) სხვა სახის მექანი- კური ზიდვისას	12-20	60-100
3. მაღაროს ეზოს გვირა ბები	4-6	60-100
4. მიმღები ბაქნები, ჩასასხდომი პუნქტები, კამერები	2-3	60-100

9. მუდმივი სამაგრის ამოწვანა

9.1. ზოგადი შენიშვნები

გვირაბის სამაგრი უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკურ, საწარმოო და ეკონომიკურ მოთხოვნების. ტექნიკური მოთხოვნებია: **სიმტკიცე** (დატვირთვის ატანის უნარი დასაშვები ძაბვების ფარგლებში), **მდგრადობა** (პროექტით გათვალისწინებული მდებარეობის შენარჩუნება), **სიხისტე** (დეფორმაციების განვითარება მხოლოდ დრეგადობის ფარგლებში). ზოგჯერ სიხისტის ნაცვლად სამაგრს მოეთხოვება გარკვეული დათმობის უნარი, რაც არ უნდა არდვევდეს მის მდგრადობას.

ეკონომიკური მოთხოვნები ითვალისწინებს: 1) სამაგრის მასალისა და კონსტრუქციის შესაბამისობას გვირაბის სამსახურის ვადასთან; 2) სამაგრის თავდაპირველი ლირებულებისა და გვირაბის სამსახურის ვადის განმავლობაში მისი რემონტის დანახარჯების საერთო მინიმალურ სიდიდეს.

გვირაბის სამაგრის კლასიფიკაცია შეიძლება გამოყენებული მასალის (ხის, ლითონის, ქვის, ბეტონის, რკინაბეტონისა და შრეული), კონსტრუქციის სახეობისა (ჩარჩოანი, თაღოვანი, რგოლური, კამაროვანი და შტანგური) და მუშაობის ხასიათის მიხედვით (ხისტი და დამტობი).

სამაგრის მასალის შერჩევისას ითვალისწინებენ გვირაბის სამსახურის ვადას, მისი განივცევის ზომებსა და სამთო წნევის ხასიათს.

სამაგრის კონსტრუქციული ფორმა დამოკიდებულია სამთო წნევის ხასიათზე, როდესაც მისი სიდიდე შედარებით მცირეა, სამაგრ კონსტრუქციას ტრაპეციის ან მართკუთხედის ფორმა ეძლევა. კონსტრუქციის ელემენტები ამ შემთხვევაში ძირითადად განივ ღუნვაზე მუშაობს. მნიშვნელოვანი სამთო წნევის შემთხვევაში საჭირო ხდება სამაგრი კონსტრუქციის მრუდხაზოვანი ფორმების გამოყენება. ამ დროს სამაგრის ელემენტებში უმეტესად მკუმშავი ძაბვები მოქმედებს, რაც მათი მუშაობის უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

სამაგრი კონსტრუქცია ხშირად შეიცავს როგორც მრუდხაზოვან ისე სწორხაზოვან ელემენტებს. მაგალითად, თუ ვერტიკალური სამთო წნევა მნიშვნელოვანი სიდიდისაა, ხოლო გვერდითი წნევა არ არსებოს, იყენებენ თაღურ გადახურვას, რომელიც სწორხაზოვანი ვერტიკალურ ელემენტებს ეყრდნობა.

9.2. ხის სამაგრის ამოყვანა

ხის სამაგრის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ სამსახურის მცირე ვადის მქონე გვირაბებში (არა უმეტეს 4-6 წლისა), შედარებით ნაკლები სიდიდის სამთო წნევის დროს.


ხის სამაგრის ელემენტების დამზადება, როგორც წესი, დღისეულ ზედაპირზე უნდა მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, სამაგრი ხე-ტყე სუფთავდება ქერქისა და ლაფნისაგან. ხე-ტყე იჭრება საჭირო სიგრძის ელემენტებად, რომლებსაც უკეთდება ამონაჭრები ამა თუ იმ სახის კლიტური შეერთების მისაღებად. ხე-ტყის დიამეტრი 15-30 სანტიმეტრია.

ხის მუდმივი სამაგრის ამოყვანა ხდება გვირაბის სანგრევის წინწაწევის კვალდაკვალ. სამაგრის ამოყვანის დაწყებამდე საჭიროა ჰერიდან და კედლებიდან ჩამოსუფთავდეს ქანის არამდგრადი ნატეხები და გაკეთდეს ორმოები ბიგების ჩასაყენებლად. ორმოების ამოსაღებად მიზანშეწონილია სანგრევი ჩაქუჩების ხმარება; ობილ ქანებში ორმოებს ხშირად ხელით თხრიან. ორმოების სიდრმე ქანის სიმაგრეზეა დამოკიდებული და 5-30 სმ შეადგენს.

სამაგრი ჩარჩოები ყოველთვის იდგმება გვირაბის გრძივი დერძის მართობულ სიბრტყეში (მოსახვევებში – რადიალურ სიბრტყეში).

ჩარჩოს დადგმა იწყება ბიგების დაყენებით, რისთვისაც მათ აკავშირებენ ადრე დაყენებულ ჩარჩოებთან ნაგვერდულების დაჭედებით (ნახ. 38, ა). ბიგებზე დებენ უდელს, ისე, რომ კლიტის ამონაჭრები მჭიდროდ შეუთავსდეს ერთმანეთს. ამის შემდეგ საჭიროა ჩარჩოს დადგმის სისწორის შემოწმება. ამისათვის

ჩარჩოს ზედა კუთხეებში კლიტის შუა წერტილებზე კიდებენ შვეულებს. ჩარჩოს ვერტიკალური მდებარეობა მაშინ იქნება დაცული, თუ ბიგები და შვეულები ერთ სიბრტყეში შეთავსდებიან. ბიგების დახრა, ტრაპეციულ ჩარჩოებში, ჩვეულებრივ, 80° -ს უდრის, მოწმდება შვეულისა და ბიგს შორის მანძილის გაზომვით იატაკის დონეზე (ნახ. 38, ბ). საჭიროა შემოწმდეს აგრეთვე ჩარჩოს სიმეტრიულობა გვირაბის გრძივ ღერძზე გამავალი ვერტიკალური სიბრტყის მიმართ. ამ მიზნით დასაყენებელი ჩარჩოს უდლისა და ადრე დაყენებული ორი ჩარჩოს ურლების შუა წერტილებში კიდებენ შვეულებს. თუ ეს შვეულები ერმანეთს შეუთავსდება, მაშინ სიმეტრიულობის პირობა დაცული იქნება (ნახ. 38, გ).



ნახ. 38

ჩარჩოს მდებარეობის სისწორის შემოწმების შემდეგ ხდება მისი მჭიდრო გასოლვა ზედა კუთხეებში (ნახ. 38, დ). ყოველ კუთხეში ერთი სოლი თავსდება უღელსა და ჰერს შორის, ხოლო მეორე - ბიგსა და კედელს შორის.

ჩარჩოს გაჭექვას მოსდევს ხიმეების დაყენება ჭერში და, საჭიროების შემთხვევაში, გვერდებშიც. ხიმედ უმეტეს შემთხვევაში იყენებენ ნაგვერდულებს, ხოლო ზოგჯერ – ფიცრებს (ნახ. 38, ე). თუ ხიმესა და ჭერის ქანებს შორის მცირე მანძილია, მაშინ უღელსა და ხიმეს შორის სოლების გაჭექვით ამ უკანასკნელს მჭიდროდ აკრავენ ჭერს. სამაგრის გარეთ სიცარიელების არსებობის დროს საჭიროა მათი მჭიდრო ამოყორვა ქანის წვრილი ნატეხებით.

სრული სამაგრი ჩარჩოების დადგმა ზემოაღწერილის ანალოგიურად ხდება, მხოლოდ ამ შემთხვევაში პირველად იდება წოლანა, რაზედაც შემდეგ ბიგები ეყრდნობა. წოლანას მოსათავსებლად ხდება გვირაბის იატაკის ამოთხრა მისი დიამეტრის 2/3-ის სიღრმეზე.

გაძლიერებული სამაგრი ჩარჩოების გამოყენებისას ჯერ იდგმება ძირითადი სამაგრი ჩარჩო, ხოლო შემდეგ – მაძლიერებელი ელემენტები (ჯერ მაძლიერებელი სამაგრის ბიგები, შემდეგ - გრძივი ნაწილები და ბოლოს იჭექება ქვესაბრჯენები).

ხის სამაგრი ჩარჩოების დადგმა, ჩვეულებრივ, ერთმანეთისაგან 0,5-0,8 მეტრის დაცილებით ხდება. სუსტ ქანებში, როდესაც საქმაოდ დიდი წნევაა მოსალოდნელი, სამაგრი ჩარჩოები ერთმანეთის მიჯრით იდგმება, რის გამოც ამოხიმვის საჭიროება აღარ არსებობს.

9.3. ლითონის სამაგრის ამოყვანა

ტრაპეციული ან მართკუთხა ჩარჩოიანი ლითონის სამაგრის ამოყვანა ხის სამაგრის ამოყვანის ანალოგიურად ხდება. ასეთ სამაგრს, უმთავრესად, დამყარებული სამთო წნევის პირობებში იყენებენ, როდესაც გვირაბის სამსახურის ვადა დიდია და მისი კვეთის ფართობი 6-7 მ²-ს არ აღემატება. ჩარჩოიან სამაგრში ხმარობენ ორტესებრ კოჭებს (№14, 16, 18 და 20) ან ძველვარგის რელსებს. უდელს ფეხებთან აერთებენ სპეციალური სხმული ქუსლებით ან სხვადასხვა სახის ზესადებებითა და ჭანჭიკებით. სამაგრის დაშლა, მისი გამოღების საჭიროების დროს, ჭანჭიკებით შეერთების შემთხვევაში გაძნელებულია, რის გამოც უფრო მეტად გავრცელდა უჭანჭიკო შეერთებები.

მნიშვნელოვანი სიღიდის დამყარებული სამთო წნევის პირობებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს თაღოვანი ხისტი სამაგრი, რომელიც შედგება რკინიგზის ან მაღაროს რელსებისაგან დამზადებული ორი რკალისებრი ელექტრისაგან. მათი შეერთება ზესადებებისა და ჭანჭიკების საშუალებით ხდება. ასეთ შეერთების სიმტკიცე, თვით ელემენტების სიმტკიცესთან შედარებით ბევრად ნაკლებია და ამიტომ სამაგრის დეფორმაციაც შეერთების ადგილას ხდება. ზოგჯერ ხმარობენ გაზრდილი სიხისტის ფიგურულ ზესადებებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მატულობს სამაგრის ლირებულება. გარდა ამისა, ფიგურული სხმული ზესადების დამზადება გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ხისტი თაღოვანი სამაგრის დაღებით მხარეს შეაღენს მისი კონსტრუქციის სიმარტივე, მისი ნაკლია


ელემენტების დიდი სიგრძე და წონა (170-300 კგ), რაც აძლევებს მათ ტრანსპორტირებასა და სამაგრის ამოუფანას.

ლითონის სამაგრებიდან უფრო მეტად გავრცელდა თაღური დამთმობი სამაგრი და თაღური სახსროვანი სამაგრი (ნახ. 39, 40).

თაღური დამთმობი სამაგრი მზადდება სპეციალური პროფილის ფოლადის კოჭებისაგან, რომელთა ერთი გრძივი მეტრის წონა 18 ან 28 კოლოგრამს შეადგენს. თითოეული წონის კოჭები ორი ტიპისაა – A და B. ამ უკანასკნელს უფრო ნაკლები სიგანე აქვს და შესაძლებელია მისი მოთავსება A პროფილის კოჭში, რომლის დროსაც ვდებულობთ განბრჯენის კოჭების გვერდებს შორის. ამჟამად მზადდება აგრეთვე სპეციალური ურთიერთშენაცვლებადი პროფილის კოჭები (წონა 17, 22 და 27 კგ/ზ).

თაღური დამთმობი სამაგრი შედგება სამი ელემენტისაგან (ნახ. 39). ზედა ელემენტი (სეგმენტი) 1 მზადდება B ტიპის კოჭისაგან, ხოლო გვერდითი ელემენტები 2 (ფეხები) – A ტიპის კოჭისაგან. სეგმენტის ბოლოები ჯდება ზედა ბლოებში 40 სანტიმეტრის სიგრძეზე. ყოველი ასეთი შეერთების ადგილზე კეთდება ორი ცალური 3. სამაგრის დათმობა ხორციელდება სეგმენტის ბოლოების ჩასრიალებით ფეხების გასწვრივ. რაც უფრო მაგრად იქნება მოჭერილი ქანჩები ცალუდებზე, მით უფრო ნაკლებად დამთმობი იქნება სამაგრი და პირიქით; ცალუდების მოჭერის საშუალებით იქმნება განმბრჯენის ძალა სეგმენტისა და ფეხების შეხების ზედაპირზე, რაზედაც დამოკიდებულია მათ შორის ხახუნის ძალის სიდიდე, რაც, თავის მხრივ, განსაზღვრავს სამაგრის დათმობის ხარისხს. სამაგრის კონსრუქციული გერტიკაური დათმობა 30-35 სანტიმეტრია.

ლითონის თაღები ერთმანეთისაგან 0,5-1,0 მეტრის დაშორებით იდგმება და ლითონის თამასებით 6 ერთდება, რაც საჭიროა სამაგრის გრძივი მდგრადობისათვის. ფეხები, ისევე როგორც ჩარჩოიანი სამაგრის დროს, შეიძლება უშუალოდ იდგმებოდეს გვირაბის ნიადაგზე ან (სუსტი ქანების შემთხვევაში) ეყრდნობოდეს გრძივად დადგბულ წოლანას 5 სპეციალური ქუსლებით 4. ცალუდებს შორის მანძილი 200 მილიმეტრი აიღება, ხოლო მათი დაცილება შეერთების ბოლოებთან – 100 მილიმეტრი. ცალუდების მოჭერა იმ ზომამდე ხდება, რომ შესაერთებელი ელემენტების ფსკერებს შორის ლრებო 10-12 მილიმეტრი მივიღოთ. თაღოვანი სამაგრის დადგმის შემდეგ გვირაბის ჭერსა და გვერდებში ხიმე კეთდება და სამაგრის გარე სივრცე ამოიყორება. ხიმედ შეიძლება ვიხმაროთ ხის ფიცრები ან ნაგვერდულები, რკინაბეტონის ფილები და ლითონის ბადეები.




6ახ. 39

როდესაც ასეთი სამაგრი საწმენდი სამუშაობის გავლენის ქვეშ მოექცევა, მაშინ წევის შესამცირებლად შესაძლებელია საჭირო გახდეს ცალუდებზე ქანჩების მოშვება, რითაც ხელოვნურად იწვევენ სეგმენტის ბოლოების ჩასხლებას. შემდეგ, როცა სამთო წევა შემცირდება და დამყარებულ მნიშვნელობას მიიღებს, ქანჩებს ცალუდებზე ბოლომდე უჭერენ და სამაგრი მუშაობას იწყებს როგორც ხისტი კონსტრუქცია.


თაღური სახსრიანი სამაგრი (**შემოკლებული აღნიშვნა AIII**), ჩვეულებრივ, შედგება ლითონის ორი ნახევართაღისაგან, რომლებიც რეინაბეტონის ან ლითონისავე ბიგებზე ეყრდნობიან (ნახ. 40). სამაგრი ელემენტების ერთმანეთთან შეერთება სახსრულია, რისთვისაც მათ ბოლოებზე მიღებულ ლითონის თათებს შორის ხის გრძივები თავსდება. თითოეული გრძივი ორი ან სამი მეზობელი თაღისათვის საერთოა. ლითონის ნახევართაღები კეთდება ორტესებრი კოჭებისაგან (№14-№20) ან რეინიგზისა და მაღაროს ძველვარგისი რელსებისაგან. მეზობელ ნახევართაღებს შორის თავსდება ხის განბრჯები, რომლებიც სამაგრს გრძივ მდგრადობას აძლევენ.

სამსახსრიანი სამაგრი გამოიყენება მნიშვნელოვანი სიღიდის არათანაბარი სამთო წევის დროს. სახსრების არსებობა ამცირებს მღუნავი მომენტების მნიშვნელობებს და ხელს უწყობს წევის გათანაბრებას სამაგრის პერიმეტრზე. დათმობა ხორციელდება ხის გრძივი დათელვის ხარჯზე.



ნახ. 40


სამაგრის დადებითი მხარეა მისი გამოყენების შესაძლებლობა
მძიმე სამთო-გეოლოგიურ პირობებში. რემონტის საჭიროების
შემთხვევაში ადვილად ხდება ცალკეული თაღების დაშლა ხის
გრძივების გამოჭრით. უარყოფით მხარედ ითვლება შედარებით
ნაკლები დათმობა, რომლის ამოწურვის შემდეგ საჭიროა
გვირაბის გადამაგრება. თაღურ დამთმობ სამაგრთან შედარებით,
მისი ამოყვანა უფრო შრომატევადია და მეტ სიზუსტეს მოითხოვს.



ნახ. 41

სახსრიანი სამაგრის ამოყვანის თანმიმდევრობა ნაჩვენებია 41-ე ნახაზზე. ჯერ ხდება ზედა ხის გრძივის 1 დაყენება, რომლის ერთი ბოლო კლიტური ამონაჭერით უერთდება აღრე დაყენებულ გრძივს, ხოლო მეორე ბოლოთი უერდნობა დროებით ბიგს 2.

მეტად მძიმე სამთო-გეოლოგიური პირობების დროს, როდესაც ლითონის სამაგრს როგორც სახსრიანობა, ისე მნიშვნელოვანი დათმობის უნარი მოეთხოვება, მიზანშეწონილია კომბინირებული დამთმობ-სახსრული სამაგრის გამოყენება (ნახ. 42).



ნახ. 42.


9.4. ასაწყობი რკინაბეტონის სამაგრი

ასაწყობი რკინაბეტონის სამაგრი საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ ადგილობრივი საშენი მასალები და შევამციროთ ლითონის ხარჯი (ლითონის სამაგრთან შედარებით). მონოლითური ბეტონისა და რკინაბეტონის სამაგრებისაგან განსხვავებით ასეთ სამაგრს შეუძლია ამოყვანისთანავე მიიღოს სამთო წნევა; მისი ამოყვანა ნაკლებად შრომატევადია და არ საჭიროებს სველი სამუშაოების წარმოებას, რითაც უმჯობესდება

შრომის პირობები. ასაწყობი რკინაბეტონის ელემენტების დამზადება ხდება მიწის ზედაპირზე, საქარხნო წესით.

ტრაპეციული და მართკუთხა კვეთის გვირაბებში, რომელთა სამსახურის ვადა 2-3 წელს აღემატება, დამყარებული სამოო წნევის დროს მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს სამაგრი ჩარჩოები რკინაბეტონის მილისებრი ბიგებითა და ასეთივე უდლით. თუ სამოო წნევა შედარებით დიდია, უმჯობესია უდლებად გამოვიყენოთ ლითონის ორტესებრი კოჭები ან რელსები (ნახ. 43). ჩარჩოები იდგმება 0,7-1,0 მეტრის დაშორებით. ხიმედ ხმარობენ ხის ან რკინაბეტონის ფილებს (სამსახურის დიდი ვადის შემთხვევაში).


მილისებრი რკინაბეტონის ბიგების სიგრძე 2,1-3,0 მეტრია, ხოლო მათი დიამეტრი – 145 ან 186 მილიმეტრი. მილის კედლის სისქე 35 მმ-ია, მილების წონა – 72-139 კილოგრამი, ხოლო ზღვრული დატვირთვა ღერძული კუმშვის დროს 30-50 ტონას შეადგენს. ზღვრული მღუნავი მომენტია 1,2-1,8 ტ/მ. ბოლო ხანებში მილისებრი ბიგების ნაცვლად იყენებენ მართკუთხა კვეთის რკინაბეტონის ბიგებს.



ნახ. 43

მოცემული სამაგრის ამოყვანა ხის სამაგრი ჩარჩოების ამოყვანის ანალოგიურად წარმოებს.


სამაგრის ზიდვის უნარის გაზრდის მიზნით მიმართავენ ასაწყობი რკინაბეტონის თაღოვან კონსტრუქციებს. ამ შემთხვევაში სამაგრის ამოყვანა ხდება რკინაბეტონის მრუდხაზოვანი ელემენტებისაგან (ნახ. 44 და 45). 44-ე ნახაზზე ნაჩვენებია თაღური სახსრიანი რკინაბეტონის ერთ-ერთი სამაგრი (სკონისკის სახ.). სამთო ინსტიტუტის კონსტრუქცია). იგი წარმოადგენს ცალკეულ თაღებს, რომლებიც ერთმანეთისაგან 0,5-1,5 მეტრის დაშორებით იდგმება. მრუდხაზოვანი ელემენტების შეერთება



ნახ. 44

ხდება ორ-ორი ჭანჭიკით (ტიპი M 12x320). გრძივი მდგრადობის მისაცემად ელემენტების შეერთების ადგილებში აყენებენ რკინაბეტონის გამბრჯენებს. ყოველი თაღი შედგება ოთხი მრუდხაზოვანი ელემენტისაგან, რომელთაც ტესებრი

განიგვეთი აქვთ, თუ სამთო წევა გვირაბის იატაკიდან გლინდება, მაშინ დამატებით დებენ წოლანას, რომელზეც



ნახ. 45

თაღი ამოჟავთ. ერთლიანდაგიან გვირაბებში წოლანა მთლიანია, ორლიანდაგიან გვირაბებში კი ორი ნაწილისაგან შედგება.


ზედა ელემენტების წონა ერთლიანდაგიან გვირაბებში 67 კილოგრამია, ორლიანდაგიანში – 92 კგ. გვერდითი ელემენტების წონა – 65 კგ, ხოლო წოლანასი – 80 და 120 კგ. თითოეული თაღის ზიდვის უნარი 25 ტონას შეადგენს.

ხიმე კეთდება ხის, რკინაბეტონის ან ლითონის. უფრო მეტად გავრცელებულია ხის ხიმე, მაგრამ სამსახურის დიდი ვადის მქონე გვირაბებში მისი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. რკინაბეტონის ხიმეს სისქე 4-5 სანტიმეტრია; სიგანე 0,1-0,4 მეტრი, ხოლო სიგრძე დამიკიდებულია თაღებს შორის მანძილზე და 0,8-1,5 მეტრს შეადგენს.


არსებობს ასაწყობი რკინაბეტონის მთლიანი თაღოვანი სამაგრის მრავალი კონსტრუქცია. 46-ე ნახაზზე ნაჩვენებია

თაღური გლუვი სამაგრი (АГК), რომელიც განკუთვნილია კაპიტალური გვირაბებისათვის, დამყარებული სამთო წნევის პირობებში ($f=3\ldots 6$). თითოეული თაღი შეიცავს ორ ფილა-ბიგს, რომლებიც ეყრდნობიან საძირკვლის ფილებს, ორ ქვესაბრჯენსა და უდელს. ყოველი ელემენტის ცალი მხარე გლუვია, ხოლო მისი მოპირდაპირე, რომელიც ქანისკენაა მიქცეული – წიბოვანია. მათი სიგანე 320 მილიმეტრია. ელემენტების ბოლოები ისეთი კონსტრუქციისაა, რომ სამაგრის აწყობისას სახსრული შეერთებები მიიღება. ერთლიანდაგიან გვირაბებში ქვესაბრჯენებს არ იყენებენ და უდელი უშუალოდ ბიგებს ეყრდნობა. სამაგრის ზიდვის უნარი ორლიანდაგიან გვირაბებში 4,5 ტ/ტ²-ს, ხოლო ერთლიანდაგიან გვირაბებში 13 ტ/ტ²-ს შეადგენს. როგორ სამთო-გეოლოგიურ პირობებში აუცილებელია უფრო მეტი ზიდვის უნარის მქონე ნაკრები რკინაბეტონის სამაგრის გამოყენება. ამ მოთხოვნების შესაბამისად დამუშავებულია მცირე და მსხვილი რკინაბეტონის (ბლოკების) კონსტრუქციები.

მცირე ტიუბინგები სამი ტიპზომისაა: MT-1 – ერთლიანდაგიანი გვირაბებისათვის, MT-2 – ორლიანდაგიანი გვირაბების ზედა თაღისათვის და MT-3 შებრუნებული თაღისათვის. ზედა და შებრუნებული თაღების შეერთების ადგილებში მოთავსდება სპეციალური გადამყვანი ბლოკები (ყველა შემთხვევაში გამოიყენება ერთი და იგივე ტიპზომა).




ნახ. 46



ნახ. 47

ექვსი ტიპ-ზომის: ერთლიანდაგიანი გვირაბებისათვის, დიამეტრით 3,4 და 4,0 მ (სინათლეში) და ორლიანდაგიანი გვირაბებისათვის – 4,9; 5,2; 5,4 და 5,7 მ. ტიუბინგების წონაა 435-470 კგ. მათი დაყენება ხდება სამაგრდამდგმელით. ასეთი სამაგრის ზიდვის უნარი ერთლიანდაგიან გვირაბებში შეადგენს 15 ტ/მ^2 (მრღვევი დატვირთვა 30 ტ/მ^2), ხოლო ორლიანდაგიან გვირაბებში – 20 ტ/მ^2 (მრღვევი დატვირთვა 40 ტ/მ^2). ქTAAM ტიუბინგების სამაგრს წრიული მოხაზულობის შეუკვრელი ფორმა აქვს (ნახ. 47 და ნახ. 48). გარდა წიბოვანი ტიუბინგებისა, დამუშავებულია გლუვი ტიუბინგების (ბლოკების) კონსტრუქციების (ГТК, ГТАГ და



ნახ. 48

სხვა ტიპები), რომელთაც გაცილებით ნაკლები აეროდინამიკური წინაღობა აქვთ.

რეინაბეტონის ტიუბინგების დაკავშირება რგოლში ხდება განაპირა წიბოების სათანადო მოხაზულობის საშუალებით, რის შედეგად სახსრულ სისტემას ვდებულობთ. ამიტომ პროექტით გათვალისწინებული ზიდვის უნარის მისაღწევად საჭიროა გვერდითი ქანების უკურნევის უზრუნველყოფა. ამისათვის ტიუბინგების დაყენების კვალდაკვალ უნდა წარმოებდეს მჭიდრო ამოყორვა. თუ რაიმე მიზეზის გამო ვერ ხერხდება ამოყორვის სათანადო სიმჭიდროვის მიღება, საჭიროა დამატებით ჩატარდეს სამაგრსგარე სივრცის ტამპონაჟი ცემენტ-ქვიშის ან ქვიშა-თიხის დუღაბით, რომლის დროსაც იყენებენ ტიუბინგების სამონტაჟო ხვრეტებს.

ტიუბინგოვანი რგოლური სამაგრის ამოყვანა იწყება შებრუნებული თაღის ტიუბინგების დაყენებით, რის შემდეგ ხდება მომდევნო ტიუბინგების სიმეტრიული ამოყვანა. სულ ბოლოს

იდგმება კლიტის ტიუბინგი. სამაგრის მოხაზულობის ზუსტი დაცვისათვის სასურველია ლითონის ჩარჩო-თარგის გამოყენება.


ასაწყობი რეინაბეტონის სამაგრის გაფრცელება ბევრად არის დამოკიდებული მისი ამოფვანის მექანიზაციის საშუალებათა სრულყოფაზე.

არსებული სამაგრამოყვანი საშუალებანი შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1) სპეციალური მანქანები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამაგრის ამოფვანის უკელა ძირითად სამუშაოს მექანიზაციას; 2) მექანიზაციის საშუალებანი, რომლებიც ამსუბუქებენ გამმაგრებლის შრომას სამაგრის ელემენტების დაყენების დროს.

პირველი ჯგუფის მანქანებიდან ამჟამად სერიულად მზადდება უნივერსალური სამაგრდამდგმელი УТ-1М (ნახ. 49). იგი განკუთვნილია ორლიანდაგიანი თაღური ან პოლიგონალური კედელის გვირაბებისათვის, რომლებშიც ზიდვა ხდება აკუმულატორული ელმაგლებით ან კონვეირებით (ლიანდაგის დერებს შორის მანძილი 1600-1800 მმ). სამაგრდამდგმელი УТ-1М წარმოადგენს თვითმავალ ურიკას 1. მასზე დადგმულია ვერტკალური სვეტი 2, რომელიც პიდროვილინდრისა და პოლისპასტების საშუალებით ამოძრავებს ამწევ ისარს 3. ამ უკანასკნელის ბოლოზე გაკეთებულია ჩამჭიდი მოწყობილობა 4, რომლითაც ხდება სამაგრი ელემენტების 6 აღება (აწყვია პლატფორმაზე 7). ურიკაზე დამონტაჟებულია აგრეთვე გამოსაწევი პლატფორმა მეშებისათვის 9, სატურბო სადგური, ზეთის ავზი, ელექტრომოწყობილობა და მართვის პულტი 8.


ჩარჩოს ტიპის სამაგრების (რეინაბეტონის, ლითონის, ხის) ამოსაყვანად კონსტრუირებულია სამაგრდამდგმელი ГС 03-1 (ნახ.

50). იგი წარმოადგენს თვითმავალ ურიას, რომელზეც
მოთავსებულია მანიპულატორი, მართვის პულტი, კაბელის დოლი
და მემანქანის კაბინა.




სახ. 49

მანიპულატორი წარმოადგენს პიდროდომკრატების სისტემას,
რომლის საშუალებითაც ხდება სამაგრი ელემენტების ჩაჭიდება
და ისრის მობრუნება თარაზულ და ვერტიკალურ სიბრტყეში.
სამაგრდამდგმელის ზიდვის უნარი არის 300 კგ, აწევის
სიმაღლე -3,0 მ; მოძრაობის სიჩქარე -6,0 კმ/სთ; სიგრძე - 5,3 მ;
სიგანე - 1,2 მ; სიმაღლე - 1,6 მ; წონა - 6,5 ტ.




ნახ. 50



ნახ. 51

ასაწყობი რკინაბეტონისა და ლითონის სამაგრების ეფექტური
მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მჭიდრო ამოცორვას, რაც
ხელით წარმოებს და მეტად შრომატევადია. ამ პროცესის
მექანიზაციის საშუალებათა შექმნას ბოლო ხანებში სათანადო
ყურადღება ექცევა.



ნახ. 52

მაგალითისათვის მოვიყვანოთ ამოსაყორი მანქანა M3-3 (ნახ. 51). მანქანა M3-3-ს აქვს დოლური მკვებავი, რომლის საშუალებით შესაძლებელია საათში 7-8 მ³ ამოსაყორი მასალის მიწოდება მიღებით 50 მეტრის მანძილზე (მასალის ფრაქციების სიმსხო 60 მილიმეტრამდე). M3-3 მანქანის დაყენების სქემა მოცემულია 52-ე ნახაზზე (1 – მანქანა M3-3, 2 – მასალის მიღსადენი, 3 – მოქნილი შლანგი, 4 – დროებითი სამაგრი, 5 – მუდმივი სამაგრი). M3-3-ის მწარმოებლურობაა 6-7 მ³/სთ, ხოლო მიღებით ტრანსპორტირების მანძილი 30 მეტრს შეადგენს (მასალის სიმსხო - 50 მმ). ორივე მექანიზმი პნევმატური ენერგიის ხარჯზე მუშაობს.


9.5. მონოლითური ბეტონის სამაგრი

მონოლითური ბეტონის სამაგრის გამოყენების პირობები, მისი ძირითადი სახეობანი და ამოვანის თანმიმდევრობა ისეთივეა, როგორც ქვის სამაგრის შემთხვევაში გვაქვს. ბეტონის სამაგრი არ საჭიროებს ცალკე ამოყორვას, რადგან თვით ბეტონი კარგად ავსებს გვერდითი ქანების ყოველ უსწორმასწორობას და მჟიდროდ უკავშირდება მათ. ბეტონის სამაგრის სისქე, ჩვეულებრივ, 26-35 სმ შეადგენს. ქვის სამაგრთან შედარებით, ბეტონის მონოლითური სამაგრი უფრო მეტად წყალგაუვალია.

როგორც თაღის, ისე კედლების ამოვანისას საჭიროა სათანადო ყალიბის (შეფიცვრის) გამოყენება, რომლის დანიშნულებაა სამაგრის საპროექტო ფორმის უზრუნველყოფა ბეტონის ჩაწყობისა და გამაგრების განმავლობაში. ყალიბები კეთდება ხის ან ლითონისაგან. ყალიბები შეიძლება იყოს

სტაციონალური, ფარისებრი (დასაშლელ-გადასატანი) და მოძრავი. სტაციონალურ ყალიბებს იყენებენ გვირაბების შეუდლებისა და გადაკვეთის ადგილებში, კამერებში და სხვა მცირე სიგრძის გვირაბებში. ამ დროს მათი განმეორებითი გამოყენება არ ხდება. დღით სიგრძის გვირაბებში მიზანშეწონილია ფარისებრი ან ლითონის მოძრავი ყალიბების გამოყენება.

ვერტიკალური კედლების ამოსაყვანი სტაციონალური ყალიბები შედგება ბიგებისა და ფიცრებისაგან (ნახ. 53). ბიგები ეყრდნობა წოლანებს, რომლებიც საძირკვლის ნაპირზე ან გვირაბის იატაკზე იდგმებიან. ბიგებზე ზემოდან გაიდება გრძივები, რომლებიც შემდეგში ქარგილების დასადგმელად გამოიყენებიან. ბიგებს შორის მანძილი 0,7-1,0 მეტრს შეადგენს. ამოფიცრა კეთდება 25-35 მმ სისქის ფიცრებისაგან.



ნახ. 53


ბეტონის ჩასხმისას ამოფიცრის გაკეთება (ყალიბების დაყენება) თანდათანობით წარმოებს. ბეტონს 15-26 სმ სისქის შრეებად ასხამენ. ყოველი შრე იტკეპნება ხელის ან მექანიკური სატკეპნელებით. ამ მიზნით გამოყენება ჰპოვა სხვადასხვა

კონსტრუქციის ვიბრატორებმა. ბეტონის ვიბრაცია ზრდის მის სიმკვრივეს, სიმტკიცეს და წყალგაუგალობას და ფალიბის უფრო მაღალ მოხსნის საშუალებას იძლევა.

თაღის ამოუვანა იწყება კედლების სათანადოდ გამაგრების შემდეგ და წარმოებს ერთდროულად ორივე საყრდენიდან კლიტის მიმართულებით. ბეტონის თაღის ამოუვანა ისეთივე ქარგილების გამოყენებით ხდება, როგორც ქვის სამაგრის დროს იხმარება. ქარგილის სიგრძე ერთი მეტრია. ერთი ქარგილის სიგრძეზე თაღის ამოუვანა უნდა წარმოებდეს განუწყვეტლივ, მის სრულ დამთავრებამდე. თაღში ბეტონის გამკვრივებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ამ დროს უმჯობესია სიღრმის ვიბრატორების ხმარება.

საჭირო შედგენილობის ბეტონის მასა მზადდება ზედაპირზე ან მიწის ქვეშ. სამაგრის ამოუვანის ადგილზე მისი მიწოდება ხდება პლატფორმაზე დადგმული ბადიებით ან ვაგონებებით, რომელთაც აქვთ გადასაყირავებელი ძარა.

მონოლითური ბეტონის სამაგრის ამოუვანის მექანიზაციის მიზნით იყენებენ ლითონის გადასაადგილებელ ფალიბებს და ბეტონჩამწყობ მანქანებს.



6ახ. 54


54-ე ნახაზზე ნაჩვენებია ოცუ ტიპის უნივერსალური ყალიბი. მას იყენებენ ერთ და ორლიანდაგიან გვირაბებში (სწორხაზოვან უბნებზე), რომელთა კვეთია 10,9-16,64 მ². ასეთი ყალიბები შეიძლება ვისმაროთ ბეტონის როგორც ხელით, ისე მექანიზებული ჩასხმის დროს. უნივერსალური ყალიბის კომპონენტი შედგება ათი სექციისაგან, რომელთა საერთო სიგრძე 10 მეტრია. თითოეული სექციის ძირთადი ნაწილებია ლითონის ბიგები (გარე 1 და შიგა 2), მარცხენა 4 და მარჯვენა 3 ნახევართაღები და ხიმე 5, სათანადო სამაგრი დეტალებით.

ერთლიანდაგიან გვირაბებში იყენებენ საინენტარო ყალიბს ოც-1 (გვირაბის კვეთი სინათლეში 5-11,1 მ²). იგი შეიცავს ხუთ სექციას, რომელთა საერთო სიგრძე 10 მეტრს უდრის (ნახ. 55). ქარგილის ნეკნი შედგება ორტესებრი კოჭისაგან დამზადებული ორი ნახევართაღისაგან 1, რომლებიც შეერთებულია საყრდენებთან 2 და საგრძელებელთან 3 ფიქსატორების 4 საშუალებით. ყალიბის მონტაჟის დროს ქარგილის თაღები ერთი მეტრის დაშორებით იდგმება და ერთმანეთთან კავებით ერთდება.

თაღებზე სხმული მომჭერების საშუალებით მაგრდება ფოლადის ხიმები 5, რომელთა სიგრძე 2 მეტრია, ხოლო სიგანე – 0,25 მ. ყალიბის მდგრადობის უზრუნველსაყოფად იყენებენ განმბრჯენებს 6, რომლებითაც საყრდენები რელსებს უკავშირდება.


ლითონის ყალიბის გადატანის გასაადვილებლად შემუშავებულია მგორავი ყალიბის კონსტრუქციები. ერთ-ერთი მათგანი მოცემულია 56-ე ნახაზზე, რომლის მარჯვენა ნაწილზე ნაჩვენებია ყალიბის მდგომარეობა დაბეტონების მომენტში, ხოლო

მარცხენაზე – ტრანსპორტირების დროს. ყალიბის გვერდითი ფარების 2 მოცილება ბეტონის მასისაგან ხდება თარაზული ფორმოვებით 1, რის შემდეგ ჭანჭიკების 3 საშუალებით



ნახ. 55


გაიწევა ვერტიკალური ფარები 4. ამას მოხდევს თაღის ფარების 6 მოხსნა ვერტიკალური ფორმოვით 5. სავენტილაციო მილების 7 გასაგორებლად იყენებენ სპეციალურ გორგოლაჭებს 8. ყალიბის შიგნით იკიდება ტროლერის სადენი, კაბელები, ჰაერსადენი და სხვ. ყალიბის გაგორება ხდება კედლის გასწვრივ დაგებულ რელსებზე ან სპეციალური კოჭებზე ჯალამბრის ან ელმავლის საშუალებით.



ნახ. 56

როგორც ავღნიშნეთ, ლითონის გადასატანი ყალიბები შეიძლება ვიხმაროთ ხელით დაბეტონებისას, მაგრამ ბეტონის სამაგრის ამოცანის ტექნიკური სრულყოფა შესაძლებელია მხოლოდ ბეტონჩამსხმელი მანქანების გამოყენების შემთხვევაში.


ბეტონჩამსხმელი უБ-1, რომელიც სერიულად მზადდება, ბეტონის მასის ტრანსპორტირებას აწარმოებს კუმშული ჰაერის საშუალებით. იგი უფრო მძლავრი დანადგარია. ბეტონის მიწოდება მილსადენით ($d=150$ მმ) შესაძლებელია თარაზულად 150 მეტრის, ხოლო ვერტიკალურად – 15 მეტრის მანძილზე. იგი გამოირჩევა მნიშვნელოვანი გაბარიტული ზომებითა (სიგრძე – 4,38 მ; სიგანე – 1,17 მ და სიმაღლე – 1,7 მ) და დიდი წონით. მისი გამოყენება მიზანშეწონილია ორლიანდაგიან გვირაბებში.



ნახ. 57

მონოლიტური ბეტონის სამაგრის ამოცვანის სრული მექანიზაციისათვის შემუშავებულია მოწყობილობათა კომპლექსები. ერთ-ერთ მათგანს წარმოადგენს „პორიზონტი 1“, რომელშიც შედის ბეტონჩამსხმელი უბმ3-5 და გადასატანი ყალიბი ՕГБ (ნახ. 57). კომპლექსები გამოიყენება თარაზულ გვირაბებში, რომელთა კვეთი სინათლეში 5-12,2 მ² შეადგენს, ამძრავი მზადდება პნევმატური ან ჰლექტრული ტიპის (ჩვეულებრივი ან აფეთქებაუსაფრთხო).

საშახტო მშენებლობის ორგანიზაციისა და მექანიზაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიერ რეკომენდებულია ბეტონჩამსხმელი კომპლექსი БУК-1 (ნახ. 58). მასში შედის ბეტონჩამსხმელი დანადგარი 2 ჩამჩიანი დამტკირთავით, ბეტონსაზიდი 1, მექანიკური ამწევი ბიგი 4 და გადასატანი ლითონის ყალიბი 5. დანადგარს შეუძლია ბეტონის ნარევის მიწოდება თარაზულად 300 მეტრის, ხოლო ვერტიკალურად 30 მეტრის მანძილზე. იგი კუმშული ჰაერის ენერგიით მუშაობს. ბეტონსაზიდარს, რომლის ტევადობა 1,5 მ³, გააჩნია დახრილი ძირი (დახრის კუთხე ტრანსპორტირებისას 13°, გაცლისას 22°). ბეტონსაზიდარის დაცლა ხდება ვიბრაციის საშუალებით. მექანიკური ბიგის დანიშნულებაა ბეტონსადენის 3 დამაგრება საჭირო.



ნახ. 58


მონოლითური რკინაბეტონის ამოცვანა ბეტონის სამაგრის ამოცვანის ანალოგიურად ხდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში ყალიბის დაყენებამდე კეთდება ლითონის არმატურის მონტაჟი. კედლების ამოცვანასთან ერთად თანდათან ხდება არმატურის დაგრძელება. ბეტონის ჩასხმისას წარმოქბს მისი გამკვრივება ვიბრატორების საშუალებით.

როგორც შახტმშენებლობის პრაქტიკა გვიჩვენებს, ბეტონჩამსხმელი კომპლექსების გამოყენება ზრდის შრომის ნაფოფიერებას 1,7-2,0-ჯერ და მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სამაგრის ხარისხს.

9.6. ანგერული (შტანგური) სამაგრი

ანგერული სამაგრის დანიშნულებაა გვირაბის ირგვლივ მდებარე ქანების მდგრადობის გაზრდა. ეს ხდება გვირაბის

უშუალო ჭერის ნაკლებმდგრადი შრების დაკავშირებით („მიკერებით“) მის ზემოთ მდებარე მდგრად ქანთან ან რამდენიმე თხელი შრის შეკვრით („შეკერვით“) რაც მნიშვნელოვნად ზრდის შრების ჯამური წინაღობის მომენტს. ნაპრალოვან, არაშრეულ ქანებში ანგერების გამოყენება ზრდის მათ ბმულობას და მაშასადამე, მდგრადობასაც.



ნახ. 59

საშუალებით გვირაბის ჭერის სიმდგრადე

შესაძლოა იმდენად გაიზარდოს, რომ გვირაბი დამატებით გამაგრებასაც აღარ საჭიროებდეს. ზოგჯერ კი შტანგური სამაგრი დამხმარე საშუალებას წარმოადგენს, რომელიც აუმჯობესებს ძირითადი სამაგრის მუშაობის პირობებს. გვირაბების მშენებლობის პრაქტიკაში ხშირად გხვდებით შტანგების გამოყენებას შპრიც-ბეტონის, ლითონისა და ხის სამაგრ კონსტრუქციებთან ერთად.

ანკერული (შტანგური) სამაგრის მასალად შეიძლება გამოვიყენოთ ლითონი, რკინაბეტონი ან ხე. ამჟამად უმეტესად ლითონის ანკერებს იყენებენ.

ლითონის შტანგებით (ანკერებით) გამაგრებული გვირაბის სქემა ნაჩვენებია 59-ე ნახაზზე. ყოველ ანკერს ცალ მხარეს გააჩნია კლიტე, რომელიც ქანში იჭექება, ხოლო მეორე მხარეს – კუთხვილი ქანჩით, რომლის საშუალებითაც სამაგრი საჭირო დაჭიმულობას აღწევს. კლიტე უნდა მოთავსდეს შეძლებისდაგვარად, მაგარ ქანში.

9.7. გვირაბგასაყვანი ციკლი

აფეთქების საშუალებით ერთგვაროვან ქანებში გვირაბის გაყვანის დროს სრულდება სხვადასხვა სახის ძირითადი და დამხმარე საწარმოო პროცესები. ძირითადი პროცესებია შპურების ბურღვა, დამუხტვა და აფეთქება, სანგრევის განიავება, ქანის დატვირთვა და გვირაბის გამაგრება. დამხმარე პროცესები უზრუნველყოფებ ძირითადი პროცესების ნორმალურ შესრულებას. მათ რიცხვს ეკუთვნის ქანის ტრანსპორტირება,

ლიანდაგების დაგება, მიღსადენებისა და კაბელების გაყვანა, დროებითი სამაგრის დადგმა, წყალსაქცევი არხების მოწყობა და სხვ.

სანგრევის ყოველი აფეთქების შემდეგ ხდება მისი წინწაწევა, რომლის სიდიდეს განსაზღვრავს შპურების სიღრმე და მათი გამოყენების კოეფიციენტი.

საწარმოო პროცესების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს, გვირაბის გაყვანას სანგრევის ერთი გადაადგილების მანძილზე, გვირაბგასაყვანი ციკლი ეწოდება. გვირაბგასაყვანი ციკლის ძირითადი მახასიათებელია მისი სანგრძლივობა და სანგრევის გადაადგილების სიდიდე.

ციკლის სანგრძლივობა ისე უნდა შეირჩეს, რომ მის შესრულებას სჭირდებოდეს სამუშაო ცვლების სრული რიცხვი ან ერთ ცვლაში მთავრდებოდეს ციკლების სრული რაოდენობა. გვირაბგასაყვანი ციკლის სწორი ორგანიზაცია ხელს უწყობს შრომის მწარმოებლურობის ზრდას, უზრუნველყოფს მანქანებისა და მექანიზმების სრულყოფილად გამოყენებას. რაც განაპირობებს გვირაბის გაყვანის მაღალ სიჩქარეს.

არჩევენ გვირაბგასაყვანი სამუშაოების ორგანიზაციის ორ ძირითად სქემას:

1) ძირითადი საწარმოო პროცესების თანმიმდევრობით შესრულება;

2) შრომატევადი ძირითადი საწარმოო პროცესების პარალელური (ერთდროული) შესრულება (ბურღვა და ქანის დატვირთვა).

დამხმარე საწარმოო პროცესები, უფრო ხშირად, ძირითად პროცესებთან შეთავსებით სრულდება და ამიტომ ციკლის ხანგრძლივობაზე მათ გავლენა არა აქვთ.

თანმიმდევრობით მუშაობა ორგანიზაციულად უფრო მარტივია და შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი კვეთის გვირაბებში, ყოველგვარი სახის მექანიზაციის დროს. ამ შემთხვევაში სანგრევში ერთდროულად მყოფი მუშების რაოდენობა უფრო ნაკლებია, მაგრამ მცირე მწარმოებლურობის მქონე პერფორატორებითა და მტვირთავი მანქანებით (ან ქანის ხელით დატვირთვით) მუშაობისას, შპურების ბურღისა და ქანის აღების თანმიმდევრული წარმოება ციკლის გაჭიანურებას იწვევს, რის გამოც ხშირად შეუძლებელი ხდება გაყვანის სასურველი სიჩქარის მიღწევა. ამიტომ, ციკლის ხანგრძლივობის შემცირების მიზნით, შემუშავებულ იქნა ისეთი ორგანიზაციული სქემები, როდესაც სხვადასხვა ძირითადი საწარმოო ოპერაციები ერთდროულად წარმოება.

1 პროცესი, ღასახელება	2 გარემოს მომზადება	3 გრ. საკრ. ტა						
		1	2	3	4	5	6	7
პროცესი პრ-ცა ნახევრობა	გ 57,2	2	4	1	2	1	2	1
პრაკატის ღამისამა	გრ. 26		3					
პროცესი და განეკვება								
ნაკრისის ღამისამა	გ 26,8							
პრაკატის	გრ. 2,77							
რეაქტორი ღამისამა	გ 3,7							
ნაკრისის პრ-ცა მომზადება	გ 1,85							
ლიკ ლაბორატორიენტრანს								
პროცესის სამუშავება	გ 1,85							
რეაციური ღამისამა	-	-						

შპურების ბურღვისა და ქანების დატვირთვის ერთდღოულად წარმოების საშუალება რომ გვქონდეს, საჭიროა ზოგიერთი დამხმარე დონისძიების ჩატარება. მაგალითად, სანგრევთან შეიძლება მოეწყოს თარო, რომელზეც განლაგდებიან მბურღვავები (ხელის საბურღვი მანქანებით), ხოლო მის ქვეშ იწარმოებს ქანის დატვირთვა; პნევმოსაყრდენებიანი ხელის საბურღვი მანქანების გამოყენების შემთხვევაში სანგრევის ქვედა შპურებში გაძლიერებული მუხტის აფეთქებით აღწევენ ქანის გადაყრას 1,5-2,0 მეტრის მანძილზე და შემდეგ ერთდღოულად ხდება ბურღვა და დატვირთვა. ამავე მიზნით, ზოგჯერ, მონგრეული ქანი სკრეპერით გააქვთ სანრევიდან 4-5 მეტრის მანძილზე.

გვირაბგასაყვანი ციკლის სრულყოფილი შესრულებისათვის აუცილებელია სამუშაოთა ორგანიზაციის გრაფიკის შედგენა, რომელიც ასახავს ყველა სახის საწარმოო ოპერაციის სანგრძლივობასა და მათ ოანგიმდევრობას.

გრაფიკში აღინიშნება აგრეთვე სამუშაოთა მოცულობა ერთ ციკლზე და მათ შესასრულდებლად საჭირო გამყვანთა რაოდენობა. მაგალითისათვის 60-ე ნახაზზე ნაჩვენებია კვერშლაგის გაყვანის გრაფიკი ცვლაში ერთი ციკლის შესრულებით ($S=15,5\vartheta^2$, $f=8$).

ციკლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია გვირაბის კვეთის ფართობზე, ქანის ფიზიკურ-მექანიკურ თვისებებზე, შპურების არჩევლ სიგრძეზე, ძირითადი საგამყვანო მოწყობილობის ტიპსა და რაოდენობაზე და მუშაობის ორგანიზაციაზე. ციკლის სასურველი ხანგრძლივობის მიღწევა ძირითადად ხდება შპურის სიგრძის სათანადო შერჩევისა და საკმარისი რაოდენობის და საჭირო მწარმოებლურობის მქონე მანქანებისა და სატრა-

პროცესის დასახურება	მდგრადი მუშაობა	მდგრადი სამოვალი						
		1	2	3	4	5	6	7
გარეაგის გარეობა კანკი	მ	135,0	135					
გარეაგის დაფარვა	მეტ.	46		60				
კარისტა სანიტარია	-	-		20				
ხარმილის ცავიროვა	გვ.	38,8			37	40		
გამოტოვა	მასი	2,5	2		2	2	2	2
კისლაგის ლამაზა	მ	5,0	65					
წყალსარიგის არაგა მიზანება	მ	2,5				2		
სხვა ლამაზარი სამუშაოები	-	-			200	25		
რაზეცანის გარეობა	-	-		2				3

ნახ. 61

ნსპორტო საშუალებათა გამოყენებით. ციკლის ხანგრძლივობის რეგულირება ორგანიზაციული დონისძიებებით, როგორც აღნიშნული იყო, გულისხმობს ბურღვისა და ქანის დატვირთვის პროცესების ნაწილობრივ შეთავსებას, რაც ართულებს მუშაობის წარმოებას და ყოველთვის არც არის შესაძლებელი.

ციკლის ხანგრძლივობის T_c პრაქტიკული გაანგარიშება წარმოებს მოცემულ სამთო-ტექნიკურ პირობებში შეურის ოპტიმალური სიღრმის შემთხვევისათვის, ცალკეული, ერთმანეთთან შეუთავსებელი, საწარმოო ოპერაციების შესრულებისათვის საჭირო დროთა შეჯამების საფუძველზე

$$T_c = t_{bur} + t_{dat} + t_{af} + t_d \quad (9.1)$$

აქ t_{bur} არის ბურღვის შეუთავსებელი დრო, სთ;

t_{dat} – მონგრეული ქანის დატვირთვის დრო, სთ;

t_{af} – შპურების დამუხტვის, მათი აფეთქებისა და სანგრევის განიავების დრო, სთ;

t_d – ძირითად საწარმოო ოპერაციებთან შეუთავსებელი დამხმარე სამუშაოებისა და მოსალოდნელი გაცდენების დრო, სთ.

შპურების ბურღვისა და ქანის დატვირთვის მიმდევრობით წარმოების შემთხვევაში

$$T_C = \frac{l \cdot N}{m \cdot v} + \frac{\eta \cdot l \cdot \cos \alpha \cdot S \cdot K}{m_l \cdot P} + t_{af} + t_d \quad (9.2)$$

სადაც: l არის შპურის სიგრძე, მ;

α – გვირაბის დერძის გასწვრივ შპურის დახრის კუთხე;

N – შპურების რიცხვი;

η – შპურების გამოყენების კოეფიციენტი;

v – არჩეული საბურღლი მანქანით შპურების ბურღვის სიჩქარე საერთო მუშაობის ერთ საათში, მ/სთ;

m – სანგრევში ერთდროულად მომუშავე საბურღლი მანქანების რიცხვი;

S – სანგრევის ფართობი გაყვანისას, მ²;

K – ქანის გაფხვიერების კოეფიციენტი;

P – დამტვირთავი მანქანის მწარმოებლობა საერთო მუშაობის ერთ საათში, მ³/სთ;

m_l – სანგრევში ერთდროულად მომუშავე მტვირთავი მანქანების რიცხვი.

გვირაბის გაყვანის სიჩქარე და შრომის მწარმოებლობის გაზრდისათვის საჭიროა შეძლებისდაგვარად შემცირდეს t_{af} და, განსაკუთრებით, t_d მნიშვნელობანი. ამ უკანასკნელში გათვა-

ლისწინებული უნდა იქნეს აგრეთვე გვირაბის გამაგრებისათვის საჭირო დროის ნაწილი, რომელიც ვერ უთავსდება სხვა ძირითად ოპერაციებს. ციკლის ხანგრძლივობის გამოთვლის შემდეგ შესაძლოა საჭირო შეიქმნეს მისი კორექტირება, რათა დღე-დამეში ციკლის ჯერადი რიცხვი მივიღოთ.

როგორც ფორმულიდან ჩანს, ციკლის ხანგრძლივობა ძირითადად დამოკიდებულია, ერთის მხრივ, შპურის სიგრძეზე (სანგრევის ერთ წინწარვის სიდიდეზე), ხოლო მეორე მხრივ, არჩეული საბურღი და დამტკირთავი მანქანების მწარმოებლურობასა და რაოდენობაზე.

ციკლის ხანგრძლივობა T_c შეიძლება განისაზღვროს გვირაბის გაყვანის დადგენილი V სიჩქარის უზრუნველყოფის პირობიდან

$$V = l_c \frac{T}{T_c} \cdot n \quad (9.3)$$

აქ l_c არის სანგრევის წინწარვა ციკლში ($l_c = \eta \cdot l \cdot \cos\alpha$), მ;

T – დღე-დამეში სამუშაო საათების რაოდენობა;

n – სამუშაო დღეთა რიცხვი თვეში.

აქედან ვდებულობთ ციკლის საჭირო ხანგრძლივობას

$$T_c = l_c \frac{T}{V} \cdot n \quad (9.4)$$

გვირაბთმშენებლობის თანამედროვე პრაქტიკის მონაცემების თანახმად, შპურების ბურღვისა და ქანის დატვირთვის ხანგრძლივობა დაახლოებით თანაბარია და თითოეული მათგანი ციკლის 30-40%-ს იკავებს. შპურების დამუხტვა-აფეთქებასა და სანგრევის განიავებას კი ციკლის მთელი ხანგრძლივობის დაახლოებით 20% სჭირდება.

მუდმივი სამაგრის ამოყვანა, როცა იგი სანგრევიდან მნიშვნელოვანი დაშორებით წარმოებს, ციკლის ხანგრძლივობაზე გავლენას არ ახდენს, ვინაიდან სანგრევში წარმოებულ სამუშაოებთან იგი დაკავშირებული არ არის. ხისა და ლითონის მუდმივი სამაგრი სანგრევის გადაადგილების ქვალდაპვალ ამოპყვავთ და ამიტომ იგი ასახული უნდა იყოს გაყვანის ორგანიზაციის გრაფიკში. ასეთი სამაგრის ამოყვანა შეძლებისდაგვარად უნდა შეუთავსდეს შპურების ბურღვის ან ქანის დატვირთვის სამუშაოებს.

კომპლექსური ბრიგადის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება ერთ ციკლში შესასრულებელი სამუშაოს მოცულობისა და არსებული გამომუშავების ნორმების მიხედვით. ჯერ ისაზღვრება ერთ ციკლზე თითოეული საწარმოო პროცესების შესასრულებლად საჭირო კაცცვლების რიცხვი $N_i = \frac{V}{H}$ ($V -$ შესაბამისი სამუშაოს მოცულობაა ციკლში, $H -$ გამომუშავების ნორმა ცვლაში), ხოლო შემდეგ ანგარიშობენ კაცცვლების ჯამურ რაოდენობას

$$\sum N_i = N_1 + N_2 + N_3 + \dots + N_n \quad (9.5)$$

10. თარაზული გვირაბების გაყვანა ქანის მანქანური მონიტორი


ქანის მანქანური მონიტორები შეიძლება სანგრევი ჩაქტებით, გვირაბგამყვანი კომბაინებით ან პიდრომონიტორებით (პიდრომონგრევა). გვირაბების გაყვანის მოცემული ხერხები გამოიყენება შედარებით მცირე სიმაგრის ქანებში. მათი

გავრცელების არე, ბურღა-აფეთქებით გაყვანის ხერხთან შედარებით, გაცილებით ნაკლებია.

10.1. გვირაბების გაყვანა სანგრევი ჩაქუჩებით

სანგრევი ჩაქუჩების საშუალებით გვირაბები შეიძლება გავიყვანოთ ქვანახშირისა და მანგანუმის ფენებში ან სხვა რბილ, მსხვრევად ქანებში ($f < 5$).


გვირაბის გაყვანისას მიზანშეწონილად ითვლება სანგრევი ჩაქუჩების შეწყვილებული მუშაობა. ამ დროს ჩაქუჩებს ურთიერთდახრილი მდებარეობა ეჭლევათ და ქანის ახლება ორი მნგრეველის საერთო ძალით ხდება. ამ შემთხვევაში სანგრევს სამ ნაწილად ყოფენ (ნახ. 62). ჯერ იდებენ სანგრევის შუა ნაწილს, რითაც ქმნიან ყელს, შემდეგ ანგრევენ ქვედა საფეხურს და ბოლოს – ზედა საფეხურს. სანგრევის წინწაწევა ცვლაში 2-2,5 მეტრს შეადგენს და ორჯერად ხორციელდება (თითოეულ ჯერში შეჭრის სიღრმე 1-1,25 მ-ია). ერთ ჯერზე ქანის სრულად მონგრევის შემდეგ იდგმება სამაგრის ჩარჩო. ამასთანავე, წინა ცვლაში დადგმულ ჩარჩოებს შორის აყენებენ დამატებით ჩარჩოებს, რის შედეგად მათ შორის მანძილი 0,5-0,7 მეტრი გამოდის.



ნახ. 62

სანგრევი ჩაქუჩებით მუშაობისას მიზანშეწონილი არ არის ქანის მტკირთავი მანქანების გამოყენება, ვინაიდან ქანის მონგრევის მწარმოებლურობა მცირება. გარდა ამისა, მტკირთავი მანქანებისა და მნგრეველების ერთდროული მუშაობა სახითაოდა.

ამიტომ დატვირთვას აწარმოებენ ხელით, გადამტკირთველის საშუალებით. ქანის ხელით დატვირთვის საჭიროება გვირაბის გაყვანის მოცემული ხერხის დიდ ნაკლს წარმოადგენს. ამიტომ ცდილობენ განახორციელონ მონგრეული ქანის ოვითდაყრა გადამტკირთავზე (ნახ. 63); სანგრევის ქვედა ნაწილში აკეთებენ ყელს 1, რომლის სიღრმე $0,8$ მეტრია, ხოლო კვეთი — $0,6 \times 0,6$ მ. მასში შეპყავთ გადამტკირთავის ქვედა ბოლო. ამის შემდეგ იწყებენ სანგრევის დამუშავებას ნახაზზე აღნიშნული თანმიმდევრობით. II და III უბნებიდან მონგრეული ნახშირი თავისთავად ცვივა გადამტკირთავზე, ხოლო IV უბნებზე მონგრეული ნახშირი მასზე ხელით იტვირთება (სინამდვილეში ხელით დატვირთვა ნაწილობრივ საჭირო იქნება II და III უბნების მონგრევის დროსაც).



ნახ. 63

ქანის (ნახშირის) გაზიდვა სანგრევიდან წარმოებს ვაგონებით ან კონვეიერის საშუალებით. მასალების მიწოდება სანგრევში დიდი კვეთის გვირაბებში ($S>8$ მ²) ხდება სალიანდაგო

ტრანსპორტის გამოყენებით, მცირე კვეთის გვირაბებში კი საჭიროა რევერსიული კონვეიერების გამოყენება. ამ მიზნით ზოგჯერ იყენებენ მონორელსზე გადასაადგილებელ ურიკებს (მონორელსები სამაგრის უდლებზე მაგრდება).

64-ე ნახაზზე ნაჩვენებია მუშაობის ორგანიზაციის გრაფიკი სანგრევი ჩაქუჩებით შტრეკის გაყვანისას, თვეში 270 მეტრის სიჩქარით; გვირაბის კვეთი 5,0 მ², მონგრევა – შეწყვილებული ჩაქუჩებით, ქანის დატვირთვა – გადამტვირთავის დახმარებით, ზიდვა – ელმავლებით, ცვლაში ბრიგადის შემადგენლობა – 5 პაცი.

რკერაციები		I ვერ							
		9	10	11	12	13	14	15	16
ნაზღირის მოძროვა									
საზღიროა									
კარგიდა									
გვარეული									
რიგის დამატება									
ანგრევის რაოდენობა									


ნახ. 64

10.2. გვირაბის გაყვანა ქანის ჰიდრომონგრევით

გვირაბის გაყვანას ქანის ჰიდრომონგრევით აწარმოებენ მხოლოდ ე.წ. ჰიდროშახტებში, სადაც სასარგებლო ნამარხის მოპოვება, ძირითადად, წყლის ენერგიის ხარჯზე ხდება.

ჰიდრომონგრევა ხორციელდება ჰიდრომონიტორით, რომელიც ახდენს მაღალწნევიანი წყლის ჭავლის მიმართვას სანგრევზე. ჰიდრომონიტორს მარტივი კონსტრუქცია აქვს. ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: სამონტაჟო ციგურები 7,

მოსაბრუნებელი მოწყობილობა 3, 4, ლულა 2, კონუსური საცმი 1
და საჭევარი 5, რომლითაც ხდება ჭავლის მართვა (ნახ. 65).



ნახ. 65

ჰიდრომონგრევით შტრეკის გაყვანის სქემა ნაჩვენებია 66-ე ნახაზზე. ჰიდრომონიტორს 1 აყენებენ 1,5-2,0 მეტრის მანძილზე. ამასთან წყლის მიწოდება ხდება 2,0-3,0 მგპ. წნევის ქვეშ მილსადენით 3, რომლის დიამეტრიც 150-200 მილიმეტრია. კონუსური საცმიდან წყლის ჭავლის გამოტყორცნისას მისი წნევა – 8,0 – 10,0 მგპ-მდე იზრდება. თავდაპირველად ჭავლს მიმართავენ ნახშირის ფენის უფრო რბილ შუაშრეში და ქმნიან 0,5-1,0 მეტრი სიღრმისა და 0,2-0,3 მეტრი სიმაღლის ყელს. თუ ნახშირის ფენა ერთგვაროვანია, მაშინ ყელს სანგრევის ძირში აკეთებენ. ყელის შექმნის შემდეგ აწარმოებენ სანგრევის დამუშავებას თარაზულ ზოლებად. ჭავლის საშუალებით ხდება აგრეთვე გვირაბის კვეთის შემოფარგვლა საპროექტო ზომების შესაბამისად.

მონგრეული ნახშირი, ერევა რა წყალს, პულპის სახით თვითდინებით მიემართება გვირაბში დაგებულ დარში 2, რომელიც

მომინანქრებული რეშტაკებისაგანაა შედგენილი და გროვდება შემკრებ თრმოში, საიდანაც პიდროელევატორით ზედაპირზე აიტანება. დარი გვირაბის ერთ-ერთი გვერდის გასწვრივ არის გაწყობილი. პულპის დარში მიშვება ხორციელდება მიმმართველი ფარის საშუალებით, რომელიც გვირაბის იატაკზეა დაყენებული. ფარი ფურცლოვანი ფოლადისაგან მზადდება. ტრანსპორტირების დიდი სიგრძის შემთხვევაში პულპის გაუწყლოება შესაძლებელია გვირაბშივე მოხდეს სპეციალური საცრების გამოყენებით. საცრიდან ნახშირი კონვეიერზე გადადის და შემდეგ ვაგონებებში იტვირთება.


პულპის თვითდინების უზრუნველსაყოფად გვირაბი აღმავლობით გაიყვანება, რომლის დახრა 3%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ნახშირის მონგრევასთან ერთად მანძილი პიდრომონიტორსა და სანგრევს შორის თანდათან იზრდება, რაც ჭავლის მოქმედების ეფექტურობის შემცირებას იწვევს. ამიტომ პიდრომონიტორს გააჩნია ორი ლულა: მუშაობის დაწყებისას კეთდება მოკლე ლულა, სიგრძით 1 მეტრი, რომელიც შემდეგში გრძელი ლულით იცვლება (2,5 მ). როდესაც სანგრევი 5-10 მეტრის მანძილზე წაიწევს, საჭირო ხდება პიდრომონიტორის გადაადგილება, რისთვისაც სპეციალურ ჯალამბარს იყენებენ. ამასთან ერთად საჭიროა დარის სათანადო წაგრძელებაც.

წყლის ხარჯი პიდრომონგრევის დროს 1 ტონა ნახშირზე ცვალებადობს 6-12 მ³ ფარგლებში და დამოკიდებულია ქვანახშირის სამაგრსა და წყლის წნევაზე.

გვირაბის გამაგრება, პიდრომონგრევით მისი გაყვანის პირობებში ყველაზე უფრო შრომატევად ოპერაციას წარმოადგენს,

რომელიც ციკლის 50-70%-ს შეადგენს (პიდრომონგრევა 20-30%, მიღებისა და დარის წაგრძელება და სხვა დამხმარე სამუშაოები – 20%). გამაგრება ხდება ჩვეულებრივი სამაგრი ჩარჩოებით, რომელიც 1,0-1,5 მეტრის მანძილზე იდგმება (ზოგჯერ უფრო მჭიდროდ). სამაგრის დადგმისას პიდრომონიტორის მუშაობა წყდება. მისი მოცდების შემცირებისათვის მიზანშეწონილად ითვლება საგამყვანო ბრიგადაზე ორი სანგრევის მიმაგრება; როდესაც ერთში პიდრომონგრევა წარმოებს, მეორეში სამაგრი იდგმება და პირიქით.



6ახ. 66

პიდრომონიტორის მწარმოებლურობა საათში შეადგენს 10-15 მ³, რაც დამოკიდებულია ქანის სიმაგრისა და წყლის ჭავლის წნევაზე.

10.3. გაყვანა კომბაინების საშუალებით

გვირაბგასაყვანი კომბაინი ეწოდება ისეთ სამთო მანქანას, რომელიც განკუთვნილია გვირაბის მექანიზებული გაყვანისათვის და ერთდროულად ასრულებს ქანის მონგრევისა და დატვირთვის სამუშაოებს.

ჩვენი კომბაინები უმთავრესად განკუთვნილია 6-16 მ² კვეთის მქონე თარაზული გვირაბების გასაყვანად, როდესაც ქანის სიმაგრე , ხოლო მისი აბრაზიულობა არ აღემატება

5-10 მგ-ს.

გვირაბგამყვანი კომბაინის ტიპი. თარაზული და დახრილი გვირაბების გასაყვანად განკუთვნილი კომბაინები შეიძლება დაიყოს ქანის მონგრევი ორგანის (აღმასრულებელი ორგანოს) ტიპის, მონგრეული ქანის აწმენდის ხერხისა და კომბაინის გადამაადგილებელი ორგანოს სახეობის მიხედვით.

კომბაინის ქანის მონგრევი ორგანო ძირითადად ორი ტიპისაა ბურლვითი და ამორჩევითი მოქმედების. პირველ შემთხვევაში ქანის მონგრევა სანგრევის მთელ ფართობზე ერთდროულად წარმოებს, მეორე შემთხვევაში კი სანგრევის დამუშავება ხდება ნაწილ-ნაწილ, თამნიმდევრულად. ბურლვითი მოქმედების მონგრევი ორგანოთი, ჩვეულებრივ, შესაძლებელია მხოლოდ ერთი გარკვეული კვეთის მქონე გვირაბის გაყვანა, ამორჩევითი მოქმედების მონგრევი ორგანო კი კვეთის ფორმისა და ფართობის გარკვეულ დიაპაზონში შეცვლის საშუალებას იძლევა.

მონგრეული ქანის ამღები მოწყობილობა კომბაინებში კეთდება მომხვეტი თათქბის, ჩამჩების, შეეკებისა და სხვათა სახით.

კომბაინის გადამაადგილებელი მექანიზმი შეიძლება იყოს მუხლუხა ან განმბრჯენ-მაბიჯი.

გვირაბგასაყვანი კომბაინის ამძრავი მუშაობს ელექტრული, პნევმატური ან ჰიდრავლიკური ენერგიით.


ბურღვითი მოქმედების როტორული მომნგრევი ორგანოები აქვთ გვირაბგასაყვან კომბაინებს შემ-2, შემ-3, პკ-6, პკ-10, ასეთივე მოქმედების პლანეტარული მომნგრევი ორგანოები აქვთ კობაინებს „ყარაგანდა 7/15 (3ПУ), პკგ-3, პკგ-4 და „ყარაგანდა პპ-2“.

გვირაბგამყვანი კომბაინების ერთ-ერთ ადრინდელ მოდელს ეყუთვნის კომბაინი შემ-2 (ნახ. 66). იგი განკუთვნილია ერთლიანდაგიანი თაღური ფორმის გვირაბების გასაყვანად ან მცირე სიმაგრის ქანებში (. ქანის დამანგრეველი ორგანო როტორული ტიპისაა, რომელიც ჭრის პრინციპით მუშაობს. იგი შედგება სამი სხივისაგან, რომლებზეც დამაგრებულია მჭრელი კბილები 1. მათი ბრუნვის დროს სანგრევები ამოიჭრება წრიული დრმულები – სიგანით 300 მმ და სიდრმით 60 მმ. დრმულებს შორის იქმნება 120 მმ სიგანის ქანის წრიული მთელანები, რომელთა დანგრევა კონუსური ამხლებებით ხდება. კომბაინის მუშაობისას ქანის 40% საჭრისებით ინგრევა, ხოლო 60% – ამხლებების მოქმედებით.

მონგრეული ქანი ცვივა სანგრევსა და გადამდობ ფარს 2 შორის და ჩამჩების 3 საშუალებით, რომლებიც სხივების ბოლოებთანაა დამაგრებული, აიხვეტება გვირაბის იატაკიდან (ჩამჩებს აქვთ კბილები 14). ახვეტილი ქანის განტვირთვა ხდება კომბაინის ლენტიან კონვეიერზე 4, რისთვისაც გადამდობი ფარის ზედა ნაწილში გაკეთებულია ამონაჭრები 16. დასატვირთავი

ვაგონების რაოდენობის გაზრდისათვის კომბაინის ლენტიან კონვეიერს მიერთებული აქვს გადამტვირთავი, რომელიც მონორელსზეა დაკიდებული და კომბაინთან ერთად მოძრაობს. კომბაინს აქვს წინა 10 და უკანა 6 საყრდენები.

კომბაინის როტორული მჭრელი ორგანოს მოქმედებით გვირაბის კვეთი წრიული მიიღება. მისთვის თაღური ფორმის მისაცემად იყენებენ საბერმე ფრეზებს 5; მათი საშუალებით იქმნება საბერმე ბილიკები, რომლებზეც ხდება კომბაინის უკანა საყრდენების 6 გაცურება. ამავე ფრეზებით ჩაჭრიან სამაგრის დასაყენებელ დრმულებს. კომბაინის უკანა საყრდენებზე დამონტაჟებულია სპეციალური თხრილგამყვანი, რომელიც გვირაბის გაყვანის კვალდაკვალ წყალსარინ თხრილს ქმნის.



ნახ. 67

კომბაინს აქვს მთავარი რედუქტორი 7, რომლის გვერდით კედლებზე მიმაგრებულია მიმწოდებელი დომპრატების ჰიდრავლიკური ცილინდრები 11, მათი შტოკები სათანადო ტრაგერსების 12 საშუალებით დაკავშირებულია გამბრჯენებთან

13. რომლებიც კომბაინის მუშაობის დროს იქცევა გვირაბის გვერდებს შორის.


გამბრჯენები თავიდან გვაცილებენ გრძივი დერძის ირგვლივ კომბაინის შეტრიალების საშიშროებას ქანის მონგრევისას წარმოშობილი რეაქტიული მომენტის გავლენით და ამასთანავე თავისთავზე დებულობენ კომბაინის მიწოდების დროს განვითარებულ ძალვის რეაქციას.

როდესაც კომბაინი 0,7 მეტრით წაიწევს, წნევას ჰიდროცილინდრებში ხსნიან, განბრჯენებს ათავისუფლებენ და წინ გადაადგილებენ, რის შემდეგ მათ ხელახლა გაჭექავენ და მუშაობას განაახლებენ. თვით კომბაინის უპან დახევა ამავე ჰიდროდომეტრატებით წარმოებს.

კომბაინისა და მომუშავე პერსონალის დაცვა გვირაბის ჭერთან ქანის შესაძლო ჩამოქცევის შემთხვევაში ხდება დამცავი ფარით 15. მუდმივი სამაგრის ამოცანა წარმოებს კომბაინის წინწაწევის კვალდაპალ. სანგრევში წარმოშობილი მტკრის ჩასახშობად კომბაინზე დადგმულია სარწყავი მოწყობილობა, რომელიც ქანის მონგრევისას გამუდმებით მოქმედებს (წყლის ხარჯი 0,25-0,3 მ³/სთ). ამასთან ერთად იყენებენ მტკერსასრუტ მოწყობილობას.

კომბაინის მოძრაობის მიმართულების შეცვლა ვერტიკალურ სიბრტყეში ხდება წინა საყრდენის სიმაღლის შეცვლით, რაც ჰიდროდომეტრატებით ხორციელდება. თარაზულ სიბრტყეში მიმართულების შეცვლა ხდება გამბრჯენების ჰიდროდომეტრატებისა და უკანა საყრდენებთან მოთავსებული ჰიდროდომეტრატის საშუალებით (გვირაბის მოხვეული უბნების გაყვანისას).

კომბაინ შემ-2-ის ელექტრომოწყობილობა აფეთქება-



ნახ. 68

უსაფრთხოა. კომბაინი შემ-3 შეიქმნა კომბაინ შემ-2-ის ბაზაზე და ამ უკანასკნე-ლისაგან განსხვავებით მას აქვს მუხლუხა სვლა. განკუთხნილია უმთავრესად კალიუმის მარილის მაღაროებში სამუშაოდ.

კომბაინი ПК-6 (ნახ. 68) გამოიყენება თაღური ფორმის მცირე კვეთის გვირაბების გასაყვანად ($S=4,3 \text{ მ}^2$) კალიუმის მაღაროებში. შემ ტიპის კომბაინისაგან განსხვავებით, აქ საჭრისები განლაგებულია ორ კონცენტრულ საბურდ თრგანოზე, რომლებიც ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით ბრუნავენ; ორსხივიანი შიდაბურლი 1 საათის ისრის მიმართულებით ბრუნავს, ხოლო სამსხივიანი გარებურლი 2 საათის ისრის საწინააღმდეგოდ. ამის გამო, ქანის ჭრის დროს წარმოშობილი რეაქტიული მომენტები ერთმანეთს აწონასწორებენ და კომბაინი მათ მავნე გავლენას არ განიცდის. ეს კი საშუალებას იძლევა აღარ ვიხმაროთ გამბრჯენი მოწყობილობა და გამოვიყენოთ მუხლუხა სვლა, რითაც მნიშვნელოვნად იზრდება მანევრულობა.

გარებურლის ნაპირებზე მიღუდებულია ქანის დამტვირთავი ჩამჩები 3. სანგრევის ცენტრალური ნაწილის მონგრევა ხდება წინაბურლით 4, რომლის დიამეტრია 320 მმ. საჭრისებით შექმნილ კონცენტრულ ღრმულებს შორის დარჩენილი ქანის მთელანების დანგრევა ხდება კონცენტრი ამხლებებით. წრიული კვეთისათვის

თაღური ფორმის მიცემა, ისევე როგორც შემ ტიპის კომბაინების შემთხვევაში, ხორციელდება საბერმე ფრეზების საშუალებით.

კალიუმისა და ქვამარილის მაღაროებში სამუშაოდაა განკუთვნილი აგრეთვე კომბაინები ПК-8 და ПК-10.

ქანის დამანგრეველი ორგანოს კონსტრუქცია ПК-6 და ПК-8 კომბაინებს მსგავსი აქვთ, მხოლოდ ПК-8 კომბაინში მისი დიამეტრიც უფრო დიდია, რაც უფრო მეტი კვეთის მქონე გვირაბების გაყვანის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, გარე ბურლის მჭრელი სხივები გასაშლელია, რის გამოც შესაძლებელია გვირაბის კვეთის ფართობის შეცვლა 8,0-9,0 მ²-ის ფარგლებში. მონგრეული ქანის დატვირთვაც ლენტიან კონვეიერზე ПК-6-ის ანალოგიურად ხდება. კომბაინი ПК-8 მუხლება სვლაზეა და მუშაობის დროს მდგრადობის გასაზრდელად, საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გაიჭექოს გვირაბის კედლებს შორის ჰიდრავლიკური დომკრატებით. მას გააჩნია ჭერთან გამჭექი დომკრატიც. კომბაინზე დამონტაჟებულია მტვერშემწოვი დანადგარი.

ПК-8 კომბაინით შეიძლება დახრილი გვირაბების გაყვანაც ($\pm 15^0$). ეს კომბაინი ამჟამად სერიულად მზადდება.

კომბაინ ПК-10-ს იყენებენ თაღური კვეთის გვირაბების გასაყვანად ($S=12, 14 \text{ მ}^2$) და აგრეთვე კალიუმის მაღაროების კამერული სისტემით დამუშავებისათვის. კომბაინის მჭრელი ორგანო შედგება სამი მბრუნავი ბურლის, ზედა მომნგრევი მოწყობილობისა და საბერმე ფრეზებისაგან. გვირაბის ზედა ნაწილის დაპროფილება ხდება ზედა მომნგრევი მოწყობილობით, ქვედა ნაწილისა კი – ბურლვითა და საბერმე ფრეზებით. ქანის

მომნერევი ორგანო (ამძრავ მექანიზმებთან ერთად) სახსრულად არის დაკავშირებული კომბაინის ჩარჩოზე, რაც გვირაბის გაყვანისას მისი მდებარეობის შეცვლის საშუალებას იძლევა (დახრის კუთხე $\pm 15^0$).

კომბაინი ПК-10 აღჭურვილია ცენტრალური ხვეტია კონვეირით, რომელზედაც მონგრეული ქანის დატვირთვა მბრუნავი ბურღებისა და საბერმე ფრეზებთან დაკავშირებული შეკების საშუალებით წარმოებს. ხვეტია კონვეირებიდან ქანი დამტვირთველზე გადადის.


ბრუნვითი მოქმედების კომბაინებს შორის უკეთესი საექსპლუატაციო თვისებები გამოამჟღავნა კომბაინმა „ყარაგანდა“.

კომბაინი „ყარაგანდა“ (უკანასკნელ ხანს გამოშვებული მოდელი ცნობილი მარკა 3ПУ) განკუთვნილია თაღური ფორმის ძირითადი მოსამზადებული გვირაბების გასაყვანად (გვირაბის კვეთის ფართობი ϑ^2 : 8,4; 10,0; 15,6 და 17,0, დახრის კუთხე $\pm 12^0$). ქანის დამანგრეველი ორგანო პლანეტარულ-საბურღი ტიპისაა (ნახ. 68). იგი შედგება ოთხი მჭრელი დისკოსაგან. შეკა დისკოები 1 ბურღავენ სანგრევის ცენტრალურ ნაწილს (დისკოების დიამეტრია 640 მმ), ხოლო განაპირა დისკოები 2 მოქმედებენ სანგრევის დანარჩენ ფართობზე (2 მმ). დისკოები ბრუნავენ როგორც საკუთარი დერძის, ისე კომბაინის მთავარი დერძის (გასაყვანი გვირაბების გრძივი დერძის) გარშემო. საბერმე ფრეზების 3 მოქმედებით გვირაბის კვეთს, რომელიც თავდაპირველად წრიული გამოდის, თაღური ფორმა უძლევა.

გვირაბის ერთი კვეთიდან მეორეზე გადასვლა საჭიროებს კომბაინის ხელახალ გამორთვასა და ზოგიერთი კვანძისა და დეტალის შეცვლას. ორლიანდაგიანი გვირაბების კვეთის მისაღებად აწარმოებენ ქანის დამანგრეველი ორგანოს რხევას სანგრევის სიბრტყის პარალელურად სპეციალური მერხევი მექანიზმის საშუალებით (რხევა შეიძლება როგორც თარაზული, ისე ვერტიკალური მიმართულებით).

მონგრეული ქანი შენეკების 4 საშუალებით, რომლებიც საბერძე ფრეზებთან ერთ მთლიანს წარმოადგენს, მიიხვეტება ცენტრალურად განლაგებული ხვეტია კონკვიერის ქვედა ნაპირთან, საიდანაც იგი ზევით გადაიტანება და ბოლოს ლენტიან გადამტვირთავზე დაიყრება. ეს უკანასკნელი მონორელსზეა ჩამოკიდებული და მასზე გადაადგილდება კომბაინის წინწაწევის შესაბამისად. მონორელსი ლითონის თაღური სამაგრის ზედა სეგმენტზეა დამაგრებული (სამაგრის დაყენების მინიმალური შესაძლებელი მანძილი სანგრევიდან 2,2 მეტრს შეადგენს).

მტვერთან საბრძოლველად კომბაინი აღჭურვილია მტვერშემწოვი და სარწყავი მოწყობილობებით. იმისათვის, რომ მტვერი ნაკლებად გავრცელდეს გვირაბში, კომბაინზე მომნგრევი ორგანოს უკან დაყენებულია გადამდობი ფარი 5.



კომბაინს მუხლუხა სვლა აქვს, რაც მას კარგ მანევრულობას ანიჭებს. მუხლუხები საბერძე ფრეზებით შექმნილ ბილიკზე გადაადგილდება. მუშაობისას კომბაინი კარგადაა გაწონასწორებული.

ნახშირში მუშაობისას კომბაინის მწარმოებლურობაა
130 მ³/სთ, ხოლო ფუჭი ქანის შემთხვევაში (*f* = 36 მ³/სთ.

კომბაინის ელექტრომოწყობილობა ფეთქებაუსაფრთხოა.

ამორჩევითი მოქმედების მომნგრევი ორგანოს მქონე კომბაინები განკუთვნილია ნებისმიერი ფორმის თარაზული და მცირედ დახრილი გვირაბების ($\alpha=12^0$) გასაყვანად. მათი გამოყენება შესაძლებელია შედარებით რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში (სუსტი ქანები გვირაბის ჭერსა და იატაკში, მნიშვნელოვანი წყლისმოდენა, მაგარი ქანის ჩანართები). ამ ტიპის კომბაინის მუშაობის შემთხვევაშიც ქანის სიმაგრე პროტოდიაკონფის სკალით 4-ზე მეტი არ უნდა იყოს. ასეთი ტიპის კომბაინებია ПК-3М; (ПК-7); ПК 9р; 5ПУ (ПКУ-1); 6ПУ-56МГ.


ყველა ამ კომბაინისათვის დამახსიათებელია გვირგვინა ჭრელი ორგანო, რომელიც მბრუნავი ისრის ბოლოზე მოთავსებული. ბურღვითი მოქმედების მომნგრევი ორგანოს მქონე კომბაინებისაგან განსხვავებით, რომლებიც ქანს გვირაბის კვეთის მთელ ფართობზე ერთდროულად ანგრევენ, ასეთი ტიპის კომბაინები სანგრევის დამუშავებას არჩეული თანმიმდევრობით აწარმოებენ. ქანის დამანგრეველი ორგანოს კონსტრუქცია საშუალებას იძლევა მონგრევის თანმიმდევრობა სურვილისამებრ ავირჩიოთ და გვირაბის კვეთს საჭირო მოხაზულობა მივცეთ. გარდა ამისა, შესაძლებელია გვირაბის კვეთის ფართობის

შეცვლა მნიშვნელოვან ფარგლებში, რაც არ ხერხდება ბურღვითი მოქმედების კომბაინების გამოყენებისას.

საქმაო გაცრცელება პპოვა გვირაბგასაყვანმა კომბაინმა ПК -3 (ნახ. 70), რომელიც 1961 წლიდან სერიულად მზადდება. კომბაინის აღმასრულებელი ორგანო წარმოადგენს ფრეზულ გვირგვინს 1, რომელიც წაკვეთილი კონუსის ფორმისაა და აღჭურვილია სპირალურად განლაგებული საჭრისებით. მათი ასეთი განლაგება უზრუნველყოფს მონგრეული ქანის გამოტანას გვირგვინის გრძივი მიმართულებით სანგრევში შეჭრის დროს. პიდროცილინდრების სისტემის საშუალებით შესაძლებელია ისრის გადაადგილება ვერტიკალური და თარაზული მიმართულებით რაც ნებისმიერ ადგილზე ქანის მონგრევის საშუალებას იძლევა.


კომბაინის დამტვირთავი ორგანო 3 შედგება შეკრული რგოლური დარისაგან, რომელშიც მოძრაობს ერთჯაჭვიანი ხვეტია კონვეიერი, კონსოლურად დამაგრებული სახვეტებით, გვირაბის იატაკზე ჩამოქცეული მონგრეული ქანი მათი საშუალებით ზევით აიტანება დარის მარცხენა შტოთი და ლენტიან კონვეიერზე 4 იურება. აქედან იგი ვაგონეტებში ან გვირაბში გაწყობილ სხვა კონვეიერებზე გადაიტვირთება. კომბაინის გადაადგილება მუხლუხა სელით ხდება.

მუშაობის დაწყებისას აღმასრულებელ ორგანოს მიმართავენ გვირაბის ერთ-ერთ ქვედა კუთხეში და მჭრელი გვირგვინის ბრუნვასთან ერთად კომბაინს წინ წასწევენ 40-70 სმ მანძილზე. სანგრევში გვირგვინის შეჭრის შემდეგ ხდება აღმასრულებელი ორგანოს გადაადგილება გარკვეული თანმიმდევრობით, რითაც აღწევენ ქანის დანგრევას გვირაბის მთელ კვეთზე. სანგრევის დამუშავების თანმიმდევრობა



ნახ. 70

დამოკიდებულია სანგრევის ხასიათსა და გვირაბის კვეთის ფორმაზე. 71-ე ნახაზზე ნაჩვენებია ერთგვაროვანი სანგრევის დამუშავების რეკომენდებული სქემები (მარცხენა სქემას იყენებენ მაგარ ნახშირში და ფუჭ ქანებში, მარჯვენას კი – სუსტ და დაშლილ ნახშირებში). შერებული სანგრევის შემთხვევაში კომბაინი სასარგებლო ნამარხისა და ფუჭი ქანის ცალ-ცალკე გამოღების საშუალებას იძლევა.



ნახ. 71

გვირაბის გაყვანასთან ერთად კომბაინი ПК -3 აწარმოებს წყალსარინი არხის მექანიზებულ გათხრას. კომბაინის წინწაწევასთან ერთად წარმოებს გვირაბის გამაგრება. კომბაინის

კონსტრუქცია საშუალებას იძლევა საჭიროების შემთხვევაში სამაგრი უშუალოდ სანგრევთან დავაყენოთ. ამ დროს უდლის აწევა შესაძლებელია ისრის დახმარებით, რისთვისაც მას წინა ბოლოსთან სპეციალური საყრდენი აქვს. მტკიცებულებით, ისე სარწყაფი დანადგარებით. კომბაინის ელექტრომოწყობილობა აფეთქებაუსაფრთხოა.




ნახ. 72

გვირაბგასაყვანი კომბაინი 4ПУ (იგი ცნობილია ПК-7-ის სახელწოდებითაც). მუშაობის პრინციპითა და კონსტრუქციით ძირითადად ПК-3მ-ის ანალოგიურია (ნახ. 72), მაგრამ იგი გამოირჩევა შედარებით მცირე გაბარიტებითა და დიდი მანევრულობის უნარით, კონსტრუქციულად განსხვავებულია ქანის მტკირთავი ორგანო, რომელიც შედგება დახრილი ფილისა 1 და მუდმივმოქმედი ორი სახეები თათისაგან 2, აღმასრულებელი ორგანოს ისარი ტელესკოპური მოწყობილობისა; ეს საშუალებას იძლევა გვირგვინას შექრა სანგრევში მოხდეს არა კომბაინის გადაადგილებით (როგორც ПК-3-ის მუშაობისას), არამედ ისრის ტელესკოპური გაშლით.

11. ბვირაპების ბაზანის ძრითადი სტემპი არაერთგვაროვან ქანებში

11.1. ზოგადი ცნობები

როდესაც გვირაბის სანგრევი ერთდღოულად შეიცავს სასარგებლო ნამარხსა და ფუჭი ქანს, მაშინ ვამბობთ, რომ გვირაბი გადის არაერთგვაროვან ქანებში. სასარგებლო ნამარხის მაღალი დირებულების გამო საჭირო ხდება მისი ცალკე გამოღება, რისთვისაც გვირაბის სანგრევი ორ ნაწილად იყოფა (ფუჭი ქანის სანგრევი და სასარგებლო ნამარხის სანგრევი).



ნახ. 73

მუშაობის ორგანიზაციას. თუ

სასარგებლო ნამარხის დირებულება მცირება ან ფენა (ძარღვი) უმნიშვნელო სისქისაა, მისი გამოღება ფუჭი ქანთან ერთად ხდება. ამ შემთხვევაში გვირაბის გაყვანის ტექნოლოგია ერთგვაროვან ქანებში გამოყენებული ტექნოლოგიის ანალოგიურია.


ნახშირის ფენის მიმართ ფუჭი ქანის სანგრევის მდგბარეობის მიხედვით არჩევენ შტრეკის გაყვანას ქვედა მონგრევით (ნახ. 73, ა), ზედა მონგრევით (ნახ. 73, ბ) და ორმხრივი მონგრევით (ნახ. 73, დ). ფუჭი ქანის მონგრევის ადგილი ისე უნდა შეირჩეს, რომ ნახშირის სანგრევის ფართობი, რაც შეიძლება მეტი მივიღოთ. დამრეცი ფენების შემთხვევაში ($\alpha > 10-15^{\circ}$) ფუჭი ქანის

მონგრევის ადგილის შერჩევა მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ქვანახშირის სანგრევის ფართობზე. დახრილი ფენების შემთხვევაში კი ($\alpha=25-50^{\circ}$) უმჯობესია ორმხრივი მონგრევის გამოყენება, ვინაიდან მხოლოდ ზედა ან ქვედა მონგრევისას ნახშირის სანგრევის ფართობი უმნიშვნელო გამოდის. ციცაბო ფენებში ($\alpha>60^{\circ}$) შტრეკი, ჩვეულებრივ, ქვედა მონგრევით გაჰყავთ (ნახ. 73, დ).

ფუჭი ქანის მონგრევის ადგილის შერჩევისას უნდა გავითვალიშონოთ ფენის საგებ და სახურავ გვერდებში არსებული ქანების სიმაგრე. უმჯობესია შტრეკის გაყვანა უფრო ნაკლები სიმაგრის ფუჭი ქანის მონგრევით. ზოგჯერ, თუ ჭერში მეტად სუსტი ქანებია, გვირაბის მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით შესაძლებელია მიზანშეწონილი აღმოჩნდეს უფრო მაგარი ქანების მონგრევა საგებ გვერდში. საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული საწმენდი სანგრევიდან შტრეკში ნახშირის გადმოტვირთვის ხერხი. თუ ეს კონვეიერის საშუალებით ხდება, მაშინ ვაგონების დატვირთვა შტრეკში უფრო მოსახერხებელია ქვედა მონგრევით გაყვანისას. უმეტეს შემთხვევაში, დამრეც და ციცაბო ფენებში საზიდი შტრეკები ქვედა მონგრევით გაჰყავთ, ხოლო დახრილ ფენებში – ორმხრივი მონგრევით. საგენტილაციო შტრეკები, როგორც წესი, ზედა მონგრევით გაიყვანება, რათა მოხერხებული იყოს ლავში სამაგრი მასალებისა და მოწყობილობების მიწოდება, ყორე ზოლების ამოყვანა და სხვ.

სასარგებლო ნამარხისა და ფუჭი ქანის განცალკევებული გამოდების დროს შტრეკის გაყვანა შესაძლებელია წარმოებდეს ვიწრო ან ფართო სანგრევით. ვიწრო სანგრევით გაყვანისას (ნახ. 74, ა) ქვანახშირის გამოდება ხდება მხოლოდ შტრეკის სიგანეზე;

მონგრეული ფუჭი ქანი გვირაბიდან გამოაქვთ. ფართო სანგრევით
გაყვანის შემთხვევაში ნახშირის სანგრევის სიგანე
მნიშვნელოვნად აღემატება შტრეკის სიგანეს, რის შედეგადც
იქმნება უბე, რომელშიც მონგრეული ფუჭი ქანი თავსედება
(ნახ. 74, გ)



ნახ. 74

ამჟამად პრაქტიკაში მეტად გავრცელებულია ვიწრო
სანგრევებით გაყვანა. ამ ხერხის გამოყენებისას, ფართო
სანგრევებით გაყვანის ხერხთან შედარებით, უფრო მეტია გვირაბის
გაყვანის სიჩქარე, უკეთესია გვირაბის მდგრადობა და მარტივია
მუშაობის ორგანიზაცია. ვიწრო სანგრევებით მუშაობის ძრითად
ნაკლად ითვლება ფუჭი ქანის გამოზიდვის აუცილებლობა
გვირაბის გაყვანის პროცესში, რაც მიწისქვეშ ტრანსპორტის
გადატვირთვას იწვევს. გრძელი შტრეკების ვიწრო სანგრევით
გაყვანის დროს გაძნელებულია ვენტილაცია.

ფართო სანგრევით გაყვანის დადებითი მხარეებია მონგრეული
ფუჭი ქანის ადგილზე დატოვება, სასარგებლო ნამარხის მეტი
რაოდენობით მოპოვება გაყვანის პროცესში და ვენტილაციის
პირობების გაუმჯობესება. ამ ხერხის ნაკლს შეადგენს შტრეკის
შენახვის პირობების გაუარესება (ზემდებარე ქანების დიდ

ფართობზე გაშიშვლების გამო), შრომის ორგანიზაციის სირთულე, საწარმოო პროცესების დიდი შრომატევადობა და გაყვანის შედარებით მცირე სიჩქარე.

ფართო სანგრევებით გაყვანილი შტრეკის ხით გამაგრების შემთხვევაში ხშირად საჭირო ხდება სარემონტო სამუშაოების ჩატარება შტრეკის გადასამაგრებლად, რომლის დროსაც ფუჭი ქანის დიდი რაოდენობა მიიღება. როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, შტრეკების სამსახურის მოელი ვადის მანძილზე გადამაგრებისას ჩამოქცეული ქანის მოცულობა 60%-ით აღემატება გაყვანის დროს მონგრეული ქანის მოცულობას. ამიტომ ფართო სანგრევით გაყვანილი შტრეკებიდან (ხის სამაგრის გამოყენებისას), საბოლოო ჯამში, უფრო მეტი ფუჭი ქანის გამოტანაა საჭირო, გიდრე შტრეკის ვიწრო სანგრევით გაყვანის დროს. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეზღუდა ფართო სანგრევებით გაყვანის გამოყენების არე. ბოლო ხანებში ლითონის დამთმობი სამაგრისა და ნაკრები რკინაბეტონის სამაგრის დანერგვის შედეგად მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შტრეკების შენახვის პირობები, რამაც პკლავ აღმრა ინტერესი ფართო სანგრევით გაყვანის ხერხისადმი.

საწმენდი სამუშაოების მაგნე გავლენის თავიდან ასაცილებლად შტრეკების გასწროვ (საშახტო ველის პირდაპირი დამუშავების დროს), ლავის მხრიდან, აუცილებლად ტოვებენ ნახშირის დამცავ მთელანებს ან ამოჰყავთ საყორე ზოლები.

11.2 ვიწრო სანგრევით გაყვანა

შტრეკების ვიწრო სანგრევით გაყვანისას ვხვდებით სამძირითად ტექნოლოგიურ სქემას:

გაყვანა საერთო სანგრევით, ფუჭი ქანის და სასარგებლონამარხის განცალკავებული გამოღების გარეშე.

გაყვანა სასარგებლონამარხისა და ფუჭი ქანის სანგრევში სამუშაო ოპერაციების თანმიმდევრული წარმოებით.

გაყვანა სასარგებლონამარხისა და ფუჭი ქანის სანგრევებში სამუშაო ოპერაციების შეთავსებით.

გაყვანა საერთო სანგრევით უმეტესად გამოიყენება სასარგებლონამარხის ფენის (ძარღვის) მცირე სისქის ან მისი უმნიშვნელო ღირებულების დროს.


საერთო სანგრევით გაყვანა უმეტესად ბურღა-აფეთქებითი სამუშაოებით ხდება. თუ ფუჭი ქანის სიმაგრის კოეფიციენტი , შეიძლება გამოყენებულ იქნეს გვირაბგამყვანი კომბაინები.

ნახშირისა და ფუჭი ქანის განცალკევებული გამოღებისას ნახშირის სანგრევი წინ უსწრებს ფუჭი ქანის სანგრევს. სანგრევის ასეთი ურთიერთგანლაგება იმითაა გამოწვეული, რომ ნახშირი უფრო მცირე სიმაგრისაა და მისი გამოღება ერთი გაშიშვლებული სიბრტყის პირობებში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს; ნახშირის სანგრევის წინსწრებისას უფრო მაგარ ფუჭი ქანის სანგრევს მეორე გაშიშვლებული სიბრტყე უზნდება, რაც მის მონგრევას მნიშვნელოვნად აადვილებს.

როდესაც შტრეკის გაყვანა ნახშირისა და ფუჭი ქანის სანგრევებში სამუშაო ოპერაციების თანმიმდევრული წარმოებით მიმდინარეობს, მაშინ სამუშაო ციკლის დასაწყისში ნახშირის

სანგრევი შეიძლება ერთი ან ორი გავლით უსწრებდეს ფუჭი ქანის სანგრევს, ან მასთან თანაპირად იმყოფებოდეს.

75-ე ნახაზზე ნაჩვენებია შეურების განლაგება და მათი აფეთქების რიგი. ამით აფეთქებისა და მონგრეული ნახშირის აწმენდის შედეგად შტრეკის სანგრევი საფეხურისებურ ფორმას დებულობს. ამის შემდეგ ნახშირის სანგრევში სამუშაო ციკლს იმეორებენ, რასაც თან მოსდევს ფუჭი ქანის დაბურდვა, აფეთქება და აწმენდა, რითაც ნახშირისა და ფუჭი ქანის სანგრევები კვლავ თანაპირა მდებარეობას დებულობს.




ნახ. 75

გვირაბის გაყვანის სიჩქარის გაზრდის მიზნით მიმართავენ სასარგებლო ნამარხისა და ფუჭი ქანის სანგრევებში სამუშაო ოპერაციების შეთავსებას.

75-ე ნახაზზე ნაჩვენები ტექნოლოგიური სქემის შემთხვევაში, რომელიც ქვედა მონგრევას ითვალისწინებს, შტრეკის გაყვანა ხდება ნახშირის სანგრევის წინაშევით 3-5 მეტრის მანძილზე. ნახშირის სანგრევის სიგანე გვირაბის სიგანეზე 1.0-1.5 მეტრით მეტი აიღება, რის შედეგად იქმნება ბერმა, რომელზეც ხვეტია კონვეიერი იდგმება, მისი საშუალებით მონგრეული ნახშირის

ნაკადი მიემართება ფუჭი ქანის სანგრევის გვერდზე ავლით და დახრილი დარით ვაგონებებში იყრება. ხვეტია კონვეიერზე მონგრეული ნახშირის დასატვირთად იყენებენ გადამტვირთავს.

ნახშირის დატვირთვის პარალელურად წარმოებს მონგრეული ფუჭი ქანის აღება სატვირთავი მანქანით. გვირაბის სანგრევის წინწაწევასთან ერთად ხდება ხვეტია კონვეიერის გადაადგილება. ამის შედეგად ბერმის ნაწილი თავისუფლდება, რომლის ზემოთ მდებარე სივრცე ფუჭი ქანით ამოივსება. ბერმის თავზე ჭერის გასამაგრებლად მისი ნაპირის გასწვრივ მოკლე ბიგები იდგმება. ამოყორების დროს ამ ბიგებზე ნაგვერდულებს აკრავენ. ნახშირისა და ფუჭი ქანის სანგრევებს შორის ჭერის გასამაგრებლად ცალკეულ ბიგებს იყენებენ.




ნახ. 76

ახეთი სქემით მუშაობა საშუალებას იძლევა შეთავსებულ იქნეს ნახშირისა და ფუჭი ქანის სანგრევებში ძრითადი საწარმოო ოპერაციები (შპურების ბურდვა, ქანის აწმენდა, გამაგრება); ეს შესაძლებელს ხდის შტრეკების გაყვანის სიჩქარე თვეში 250-300 მეტრამდე გაგზარდოთ. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ნახშირისა

და ფუჭი ქანის სანგრევებში სამუშაოთა შეთავსება ართულებს მუშაობის ორგანიზაციას და მეტ ოპერატიულობას მოითხოვს.

77-ე ნახაზზე ნაჩვენებია ნახშირისა და ფუჭი ქანის სანგრევებში სამუშაოთა შეთავსებით წარმოების ტექნოლოგიური სქემა ზედა მონგრევის შემთხვევაში. ნახშირის სანგრევი წინ უსწრებს ფუჭი ქანის სანგრევს 3-5 მეტრით. მონგრეული ნახშირის გამოტანას ემსახურება ხვეტია კონვეიერი 1 და გადამტვირთავი 2. ფუჭი ქანის დატვირთვა



ნახ. 77

წარმოებს სატვირთავი მანქანით 3. ვაგონებების მანევრებისათვის გამოიყენება გორგოლაჭებიანი გადამყვანი ისარი 4. აფეთქების წინ კონვეიერი ფუჭი ქანის სანგრევთან იხურება ლითონის დარით 5. ეს საშუალებას იძლევა ფუჭი ქანის აწმენდასთან ერთად კონვეიერიც ვამუშაოთ ნახშირის გამოსაზიდად. ფუჭი ქანისა და ნახშირის სანგრევში ბურღვა და მათი აფეთქება ასევე შეთავსებით ხდება.

11.3. ფართო სანგრევით გაყვანა

როგორც აღნიშნული იყო, შტრეგის ფართო სანგრევით გაყვანა ნაკლებადაა გავრცელებული. მას უმეტესად დამრეც ფენებში იყენებენ.

ფართო სანგრევით გაყვანა შეიძლება ქვედა, ზედა ან ორმხრივი უბით. ჩვეულებრივ, უპირატესობას აძლევენ ქვედა უბეს (ნახ. 78, ბ) ორმხრივ უბეს მიმართავენ მეტად თხელ ფენებში, როდესაც ფუჭი ქანი მნიშვნელოვანი რაოდენობით მიიღება და მის მოსათავსებლად საჭირო ცალმხრივი უბის სიგანე მეტად დიდი გამოდის.

უძეში შტრეგის მოპირდაპირე მხარეს, 1,2-2,0 მეტრის სიგანის თავისუფალ სივრცეს ტოვებენ. ამის შედეგად მიღებულ გვირაბს ირიბულას უწოდებენ. იგი, ძირითადად, გვირაბის სანგრევის განივებას ემსახურება. მას ზოგჯერ ნახშირის ტრანსპორტისა და სხვა დამხმარე სამუშაოებისათვის იყენებენ. შტრეგისა და ირიბულას ერთმანეთთან დასაკავშირებლად უძეში, ყოველი 30-50 მეტრის გავლის შემდეგ, ტოვებენ ამოუქსებელ ზოლებს ფენის დაქანების მიმართულებით – ირიბულას სასვლელებს. მათი სიგანე 1,5-2,0 მეტრია.

შტრეგის ფართო სანგრევით გაყვანისათვის საჭიროა უბის სიგანის განსაზღვრა. თუ ფუჭ ქანს შტრეგის კვეთში უპავია $S \cdot \hat{F}$, ხოლო აფეთქების შედეგად ქანის გაფხვიერების კოეფიციენტი არის K , მაშინ გვირაბის ერთ გრძივ მეტრზე მონგრეული ფუჭი ქანის მოცულობა იქნება $S \cdot K \cdot \hat{F}$. ფუჭი ქანის მოსათავსებლად განკუთვნილი უბის მოცულობა ერთ გრძივ მეტრზე არის $m \cdot \hat{F}$,

სადაც თ ნახშირის ფენის სისქეა, ხოლო უბის სიგანე-
შეგვიძლია დავწეროთ $S \cdot K=m$, საიდანაც განვსაზღვრავთ უბის
სიგანეს.


(11.1)

ნახშირის სანგრევის სიგანე შედგება შტრეკის, უბისა და
ირიბულას სიგანეთა ჯამისაგან

$I = a \cdot$. (11.2)

ვინაიდან უბის მჭიდროდ ამოყორვა არ ხერხდება, ამიტომ
აფეთქებით გაფხვიერებული ქანი უბეში კიდევ უფრო მეტ
მოცულობას იკავებს. ამას ანგარიში უნდა გაეწიოს გაფხვიერების
კოეფიციენტის დადგენისას, ჩვეულებრივ, დებულობენ $K=2$.

შტრეკის ფართო სანგრევით გაყვანას მიზანშეწონილად
თვლიან, როდესაც ნახშირის ფენის სისქე 0,5-1,5 მეტრია.



ნახ. 78

მუშაობის ორგანიზაცია ნახშირისა და ფუჭი ქანის სანგრევებში ისე უნდა მოეწყოს, რომ მათში წარმოებულმა ოპერაციებმა ერთმანეთს ხელი არ შეუშალოს. ეს პირველ რიგში ეხება ნახშირის გამოზიდვისა და ფუჭი ქანის მოთავსებას უბევებში.

78-ე ნახაზზე ნაჩვენებია ნახშირის გამოზიდვის ზოგიერთი სქემა. როდესაც შტრეკის სანგრევი წინ უსწრებს საწმენდი სამუშაოების სანგრევს. იმისათვის, რომ ნახშირის ნაკადი ააცილონ ფუჭი ქანის სანგრევს და შეუფერხებლად ტვირთონ იგი ვაგონეტებში, შტრეკის გასწვრივ ქმნიან ზედა ბერმას 1 (ნახ. 78, ა). ამ მიზნით ნახშირის სანგრევს აფაროოებენ 1,0-1,5 მეტრით უბის მოპირდაპირე მხარეს. მონგრეული ნახშირი იყრება სანგრევის გსწვრივ დადგმულ კონვეიერზე 2, რომლიდანაც იგი გადაეცემა ბერმაზე გაწყობილ კონვეიერს 3 და მის ბოლოსთან დაყენებული დახრილი დარით ვაგონეტებში იყრება. ფენების დამრეცი დაქანებისას ამ სქემას ყველაზე მეტი გავრცელება აქვს.

დახრილ ფენებში მნელდება ბერმაზე კონვეიერის დაყენება. შტრეკის სანგრევის წინაწევასთან ერთად კონვეიერები სათანადოდ გადაადგილდება და ბერმის განთავისუფლებული უბანი ფუჭი ქანით ამოიყორება. სქემის ნაკლია შტრეკის ჭერის დამატებით ფართობზე გაშიშვლება.

ზოგჯერ ნახშირის ტრანსპორტირება ხდება ირიბულას 2 და ირიბულას სასვლელის 3 გავლით (ნახ. 78, ბ). სანგრევის გასწვრივ მდებარე კონვეიერებიდან 1 ნახშირი იტვირთება ირიბულაში დადგმულ კონვეიერზე 4, საიდანაც იგი გადადის ირიბულას სასვლელში დაყენებულ ხვეტია კონვეიერზე 5 და

მიემართება შტრეკისაკენ. დახრილ ფენებში ნახშირის ზიდვა სანგრევის გასწვრივ შეიძლება თვითდინებით მოეწყოს, რისთვისაც ლითონის ფურცლებს აგებენ. ეს სქემა მოითხოვს ირიბულას და ირიბულას სასვლელის კარგ მდგომარეობაში შენახვასა და დიდ მანძილზე განლაგებულ კონვეიერებზე მეოვალყურეობას, რაც ამ სქემის ნაკლად უნდა ჩაითვალოს.

როდესაც უბის სიგანე მცირეა, ნახშირის დატვირთვა შეიძლება ფუჭი ქანის სანგრევის გავლით (ნახ. 78, გ). ამისათვის იყენებენ გადამტვირთავს 4. ამ შემთხვევაში ნახშირისა და ფუჭი ქანის სანგრევში სამუშაო ოპერაციების სრული შეთავსება არ ხდება. უბის მცირე სიგანის დროს მიიღება პაერის დიდი რაოდენობით გაპარვა (შტრეკიდან ირიბულაში). ამიტომ ზოგჯერ უპირატესობას აძლევენ შტრეკის სანგრევში პაერის მიწოდებას მილსადენის საშუალებით.

12. დახრილი ბვირაბების გაყვანა

12.1. ბრემსბერგის გაყვანა

ბრემსბერგი და მისი პარალელური სასვლელი, ჩვეულებრივ, აღმავლობით გაჟყავთ. მეთანის დიდი რაოდენობით გამოყოფის შემთხვევაში (მესამე და ზეპატეგორიის შახტებში) მიმართავენ დაღმავლობით გაყვანას.

ფუჭი ქანის მონგრევას აწარმოებენ ჭერში ან იატაკში. მიზანშეწონილია მონგრევის ადგილი ბრემსბერგსა და მასთან შეუდლებულ შტრეკში თანხვდენილი იყოს.

ბრემსბერგი თავისი დანიშნულების მიხედვით შეიძლება იყოს კაპიტალური, საპანელო ან საუბნო. კაპიტალური ბრემსბერგის სამსახურის ვადა მნიშვნელოვანია და შახტის ექსპლუატაციის ვადით განისაზღვრება, საპანელო ბრემსბერგი 5-10, ხოლო საუბნო ბრემსბერგი 2-3 წელს მსახურობს.


ბრემსბერგისა და სასვლელის გაყვანა ერთდროულად ხდება. სასვლელის სიმაღლე 1,8 მეტრზე, ხოლო სიგანე 1,5 მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს. ზოგ შემთხვევაში სასვლელი ბრემსბერგის ორივე მხარეს გაჰყავთ (სავენტილაციო და სახალხო). ბრემსბერგისა და სასვლელს შორის მანძილი 20-40 მეტრია.

ბრემსბერგის გაყვანა ვიწრო სანგრევით გამოიყენება გვირაბის სამსახურის დიდი ვადის შემთხვევაში, მისი უკეთესი მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ამ დროს ბრემსბერგი და მისი პარალელური სასვლელი დამოუკიდებელი სანგრევით გაჰყავთ. განიავების გადაადგილების მიზნით მათ ყოველი 15-20 მეტრის გავლის შემდეგ აერთობენ სასულეთი, რომელიც ფენის სისქეზე გადის. 79-ე ნახაზზე ნაჩვენებია ბრემსბერგისა და სასვლელის ვიწრო სანგრევით გაყვანის შესაძლო ტექნოლოგიური სქემა (1 – ბრემსბერგი, 2 – სასვლელი, 3 – სასულე, 4 – მტვირთავი მანქანა, 5 – ხელტია კონვეირი, 6 – ვაგონები, 7 – ბაგირის მიმმართველი ჭაღი).

გაყვანა წარმოებს ერთიანი სანგრევით, ფუჭი ქანისა და ნახშირის განცალკევებული გამოლების გარეშე. შპურების სიღრმე 2,0 მეტრია, აფეთქება ხდება მცირედ დაყოვნებული მოქმედების ელექტროდეტონატორებით. ფეთქებადი ნივთიერება ПЖВ-20; ბურლვისათვის იყენებენ ხელის ელექტრობულს СЭР-19Д.

მონგრეულ ნახშირსა და ფუჭ ქანს მტვირთავი მანქანა ყრის ხევტია კონვეიერზე. სასვლელის სანგრევიდან გამოზიდული ტვირთის ნაკადი სასულეში დადგმული კონვეიერის საშუალებით გადაეცემა ბრემსბერგის კონვეიერს, რომლითაც ხდება შტრეგში დაყენებული ვაგონების დატვირთვა, ბრემსბერგში დაგებულია ლიანდაგი და მოწყობილია ბაგირიანი წევა (ცალბოლოიანი), რომელიც მასალებისა და მოწყობილობის მიწოდებას ემსახურება. ამწევი ჯალამბარი დადგმულია შტრეკის გვერდში გაჭრილ კამერაში, ბრემსბერგთან შეუდლების მოპირდაპირე მხარეს. სანგრევთან ახლოს დამაგრებულია მიმმართველი შეივარდება რომელზეც შემოვლებულია ამწევი ბაგირი.

კონვეირული ტრანსპორტი მოსახერხებელი და მაღალმწარმო-
ებლურია. ხელია კონვეიერების გამოყენება შესაძლებელია 25-28°-
მდე დახრის შემთხვევაში. დიდი სიგრძის გვირაბებში, თუ დახრის
კუთხე 180°-ს აღემატება, მიზანშეწონილია ლენტიანი კონვეიერების
გამოყენება, რომელიც სანგრევთან დადგმულ ხვეტია კონვეიერით



იტვირთება. სანგრევის წინაშევისას ხვეტია კონვეიერი ადვილად წასაგრძელებელია; ლენტიანი კონვეიერის წაგრძელება ხდება სანგრევის 80-150 მეტრზე გადაადგილების შემდეგ (ხვეტია კონვეიერის ზღვრული სიგრძის შესაბამისად).

მუდმივი სამაგრის დაცილება სანგრევიდან 3,0 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, ჩარჩოები ჯერ შეიძლება თითო გამოშვებით დაიდგას მათი დაყენება ხდება გვირაბის ლერძის მართობულ სიბრტყეში ან 10-15 სანტიმეტრის გადახრით აღმავლობისაპარ.

ბრემსბერგისა და სასვლელის ერთდროულ გაყვანას ჩვეულებრივ, ერთი კომლექსური ბრიგადა ემსახურება.

ნახშირისა და ფუჭი ქანის განცალკავებული გამოღების საჭიროებისას, ხშირად, ბრემსბერგის გაყვანას ბერმის დატოვებით აწარმოებენ. ნახშირისა და ფუჭი ქანის გამოზიდვა განცალკავებულად ხდება ორი ხვეტია კონვეიერის საშუალებით (ნახ. 79).


მუშაობას ნეშირისა და ფუჭი ქანის სანგრევში აწარმოებს ერთი კომპლექსური ბრიგადა. ბერმის გამოყენება, რაც შესაძლებელს ხდის ნახშირისა და ფუჭი ქანის სამუშაოების შეთავსებას, გვირაბის გაყვანის სიჩქარეს 20-25%-ით ზრდის.

ბრემსბერგის გაყვანა ფართო სანგრევებით. ამ სქემას მიმართავენ მცირე სამსახურის ვალის მქონე საუბნო ბრემსბერგისა და მათი სასვლელების გაყვანისას, როდესაც ფენა მცირე დახრისაა, მისი სისქე 1,3 მეტრს არ აღემატება და ჭერის ქანები საკმაოდ მდგრადია. ვინაიდან ამ შემთხვევაში ნახშირის

ფენა მნიშვნელოვან ფართობზე შიშვლდება, რაც ხელს უწყობს მეთანის დიდი რაოდენობით გამოყოფას, ამიტომ აირისა და მტკრის მხრივ საშიშ შახტებში ბრემსბერგის ფართო სანგრევით გაყვანას არ იყენებენ.

ფართო სანგრევით გაყვანისას არჩევენ ორ ძირითად სქემას:

1. ბრემსბერგსა და სასვლელს აქვთ საერთო ნახშირის სანგრევი;
2. ბრემსბერგსა და სასავლელს გააჩნიათ დამოუკიდებელი ნახშირის სანგრევები.



ნახ. 81

გაყვანის პირველი სქემა მოცემულია 81-ე ნახაზზე. ნახშირის გამოღება წარმოებს კომბაინის საშუალებით ან ბურდვა-აფეთქებით. ნახშირის სანგრევს აფეთქებამდე შეიძლება მისი

წინასწარ გაყელვა საყელავი მანქანით 1. ამ შემთხვევაში შპურები იბურღება ერთ რიგად.


ნაშირი იტეროგება სანგრევის გასწვრივ გაწყობილ კონვეირზე 2, საიდანაც იგი სასვლელის ბერმაზე დადგმულ კოვეირზე 3 გადადის და დახრილი დარით 4 ვაგონებებში 5 იყრება. ვაგონებების ტრანსპორტირებისათვის სასვლელში მოწყობილია ერთბოლოიანი ბაგირიანი ზიდვა. შესაძლებელია ბერმის კონვეირი შტრეკამდე გაგრძელდეს და ვაგონებების დატვირთვა უშუალოდ მისი საშუალებით მოხდეს.

აფეთქებით მონგრეული ფუჭი ქანი თაგსდება უბეში, რომელიც ბრემსბერგისა და სასვლელისათვის საერთოა. ამისათვის შეიძლება გამოვიყენოთ გადამტვირთავი 6 და მერხევი კონვეირი 7. სასვლელებში მიღებული ფუჭი ქანი უბეში ხელით თაგსდება. ზედა მონგრევის შემთხვევაში უბის ამოსავსებად მიზანშეწონილია სასკრეპერო დანადგარების გამოყენება, რომლებიც ამოყორვის უფრო მეტ სიმკვრივეს იძლევა.

12.2. შუროების და სასულევების გაყვანა

როდესაც ფენის დახრა მნიშვნელოვანია (), ბრემსბერგის დანიშნულებას ასრულებს შურო, რომელშიც მონგრეული სასარგებლო ნამარხისა და ფუჭი ქანის ზიდვა თვითგორვით ხდება.

შუროს განივალეთის ფორმა მართკუთხოვანი ან ტრაპეციულია, მისი სიგანე 2-2,5 მეტრია, ხოლო სიმაღლე 1,5-1,8 მ. განივალეთის ფართობი დამოკიდებულია ჩასაშვები ტვირთის რაოდენობაზე. იგი უნდა აკმაყოფილებდეს აგრეთვე ვენტილაციის მოთხოვნებს.



ნახ. 82


შუროები, ჩვეულებრივ, ქვევიდან ზევით გაჰყავთ. გაყვანას ყოველთვის ვიწრო სანგრევებით აწარმოებენ. შუროში ეწყობა ორი ან სამი განყოფილება (ნახ. 82) ერთი მათგანი განკუთვნილია ხალხის გადასაადგილებლად 1, ხოლო დანარჩენი ნახშირისა და ფუჭი ქანის ჩამოსაშვებად (2 და 3).

შუროებს ამაგრებენ ხის სრული სამაგრი ჩარჩოებით, ჭერისა და გვერდების გახიმვით. სუსტ ქანებში სამაგრი ჩარჩოები მიჯრით იღგმება. ტვირთის განყოფილებებს უკეთებენ შეფიცვრას, რომელშიც ტვებენ 200×200 მმ ფანჯრებს, ერთმანეთისაგან 5 მ მანძილზე (გაჩერილი ნატეხების საჩხრეკად). ხალხის განყოფილებაში კიბე კეთდება. თუ შუროს დახრის კუთხე 40^0 -ზე ნაკლებია, მაშინ ტვირთის განყოფილებაში აგებენ ლითონის ფურცლებს ან აყენებენ ლითონის უძრავ დარებს. ამით უმჯობესდება ქანის სრიალის პირობები და მცირდება ფიცრების ცვეთა.

შუროს გაყვანა შეიძლება სანგრევი ჩაქუჩებით ან ბურღა-აფეთქებით. მონგრეული ქანი საკუთარი წონის გავლენით შუროს ქვედა ბოლოსაკენ მიემართება, საიდანაც სპეციალური ლიუკის

მეშვეობით შტრეკში დაყენებულ ვაგონების ან კონვეიერზე იტვირთება.

შუროების გაყვანის პირობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება შესაძლებელი გახდა დიდი დიამეტრის ბურლილის წინასწარი გაყვანით გვირაბის მთელ სიგრძეზე (ქვედა შტრეკიდან ზედა შტრეკამდე). შემდეგში, გვირაბის მთელი კვეთით გაყვანის დროს, სანგრევში გამოყოფილი მეთანი ადვილად აღის ამ ჭაბურლილით ზევით და სავენტილაციო პორიზონზე პაერის საერთო გამომავალ ჭავლს უერთდება, რაც უზრუნველყოფს სამუშაოთა უსაფრთხოებას.



ნახ. 83

დიდი დიამეტრის აღმავალი ბურლილების გასაყვანად მიწისქვეშა სამუშაოების წარმოების პირობებში გამოიყენება საბურლ-საკვეთი მანქანები (ნახ. 83).

შუროს გაყვანა საბურლ-საკვეთი მანქანის დახმარებით იწყება ბურლილის გაყვანით, რასაც წინა ბურლითა 1 და პირდაპირი

სვლის გამაგანიერებლით 2 აწარმოებენ. ბურღილის
მიმართულების დასაცავად საბურღ შტანგებს 4 აქვს
მიმმართველი ფარნები 6 (მათ იყენებენ ყოველ 4-5 მეტრის
გავლის შემდეგ). ახალი შტანგების დამატების დროს საბურღ
ინსტრუმენტს იჭერენ ტაციათი 5, ხოლო შტანგების ჩამჭერ
კლიტებს 7 საწყის მდგომარეობაში აბრუნებენ; როდესაც ბურღილს
მთელ სგრძეზე გაიყვანენ, იწყებენ მის გადაბურღვას
უკუმიმართულებით (ზევიდან ქვევით), გამაგანიერებლის
3 საშუალებით.


ბურღილის სრულ დიამეტრზე გადაბურღვის შემდეგ იწყებენ
ქანის გამოდებას (ზევიდან ქვევით) შუროს სრული კვეთის
ფარგლებში, რაც შეიძლება მოხდეს სანგრევი ჩაქუჩების ან
ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების საშუალებით.

12.3. ქანობების გაყვანა

ქანობების გაყვანა, ჩვეულებრივ, ზევიდან ქვევით წარმოებს.
კაპიტალური ქანობის პარალელურად, მისგან 30-40 მეტრის
დაშორებით, გაჰყავთ ორი სასვლელი – სავენტილაციო და
ხალხის სასიარულო. საუბრო ქანობი კი ერთი სასვლელით
გაიყვანება. ქანობის განივავთის ფორმა, მისი ზომები და
სამაგრის სახე ისევე განისაზღვრება, როგორც ორაზული
გვირაბების შემთხვევაში.

ქანობი და სასვლელი ყოველ 25-75 მეტრზე ერთმანეთს
უერთდება სასულეებით, რომელთაც ვენტილაციისა და
წყალქცევის მიზნით იყენებენ.

ქანობისა და მათი სასვლელების გაყვანისას შეიძლება გავარჩიოთ ორი ძირითადი სქემა: 1) ორივე გვირაბი გაიყვანება ზევიდან ქვევით დამოუკიდებელი სანგრევებით, 2) ერთი გვირაბი ზევიდან ქვევით გაჟყავთ, ხოლო მეორე გვირაბი, პირველის დამთავრებისა და მისგან შტრეკის სათანადო სიგრძეზე გაჭრის შემდეგ, – ქვევიდან ზევით. პირველი სქემა გამოიყენება წყლის შედარებით მცირე მოდენისას ($10-15 \text{ მ}^3/\text{სთ}$) და აირის მხრივ საშიშ ფენებში. მეორე სქემის გამოყენება მიზანშეწონილია წყლის დიდი მოდენის შემთხვევაში (ნახ. 84).



ნახ. 84


ქანის მონგრევა ქანობის გაყვანისას ისევე წარმოებს, როგორც შტრეკის ან ბრემსბერგის გაყვანის შემთხვევებში (ბურღა-აფეთქებით, სანგრევი ჩაქუჩებით, გვირაბგასაყვანი კომბაინებით). ქანობები უმეტესად ბურღა-აფეთქებით გაჟყავთ.

შპურები ნახშირში ხელის ელექტრული პერფორატორებით იბურდება, ფუჭ ქანს კი სკეტიანი ელექტროპერფორატორებით ან პეგმატური ჩაქუჩებით ბურდავენ. მიზანშეწონილია საბურდი მანქანების დადგმა მტვირთავი მანქანის მანიპულატორებზე.

მონგრეული ნახშირისა და ფუჭი ქანის დატვირთვა ქანობის ბურდვა-აფეთქებით გაყვანის დროს შეიძლება წარმოებდეს ხელით, მტვირთავი მანქანით ან სასკრეპერო დანაღვარით. ხელით დატვირთვის დროს საჭიროა გადამტვირთავების გამოყენება. 85-ე ნახაზზე ნაჩვენებია დატვირთვის ტიპიური სქემები:


ა) გადამტვირთავიდან 1 ქანი ცალკეულ ვაგონებებში 2 იყრება;

ბ) ლიანდაგებშუა განლაგებული გრძელისრიანი დამტვირთავი 1 გადასაადგილებელი კოდის 2 საშუალებით ორივე ლიანდაგზე დაყენებულ შედგენილობებს ტვირთავს; გ) სანგრევის კონვეირიდან ქანი გადამტვირთაგზე გადადის და შემდეგ სტაციონარულ ლენტიან კონვეირზე იყრება (სანგრევის კონვეირის გამოყენება გამორიცხავს სტაციონარული კონვეირის ხშირ გაჩერებას მისი წაგრძელების მიზნით); განცალკავებული გამოდების შემთხვევაში ფუჭი ქანი გადამტვირთავით იყრება ვაგონებებში, ხოლო ნახშირი ბერმაზე დადგმული კონვეირით შედგენილობაში იტვირთება. გადამტვირთავებით მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ 180-მდე დახრილ ქანობებში.



ნახ. 85


როდექსაც ქანობის დახრის კუთხე 12⁰-ს არ აღემატება, მონგრეული სამთო მასა შესაძლებელია დავტვირთოთ ლიანდაგზე მოძრავი ჩამჩური ტიპის სატვირთავი მანქანებით (ჟრმ-2, ურ-2, 2ურ-5 და სხვ) (ნახ. 86).



ნახ. 86


თარაზული გვირაბებისათვის განკუთვნილი მუხლუხა სელის მქონე სატვირთავი მანქანები (1ПНБ-2, 2ПНБ-2, ПНБ-3 და სხვ.) შეიძლება გამოვიყენოთ ქანობებში, რომელთა დახრა 15° არ აღემატება. ამ დროს გვირაბის საგებზე მუხლუხების შემთხვევაში მიზნით მათზე განივ ნეკნებს აღუდებენ.

ქანობში სამუშაოდ კონსტრუირებულია სპეციალური სატვირთავი მანქანები ПНБ-5 და ППН-7. მათი საშუალებით შესაძლებელია ქანის დატვირთვა ქანობის 25° -მდე დახრის შემთხვევაში. მანქანა ППН-7 ჩამზური ტიპისაა (ნახ. 87). იგი შედგება მუშა და ამძრავი ნაწილისაგან, რომლებიც წყვილ თვლებზეა დაყენებული. მუშა ნაწილი შეიცავს ჩამჩას 1 და ბერკეტულ სისტემას 2, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს პიდრავლიკურ ცილინდრებს 3. ამძრავ ნაწილში შედის რედუქტორი 7 ელექტროძრავით, ჯალაბარი 8, პიდრავლიკური მანაწილებელი კუთი 5 და პიდრავლიკური ტუმბოები 6. მუშა და ამძრავი ნაწილები შეერთებულია გადასაბმელით. მათ ზემოთ



ნახ. 87

განლაგებულია ხვეტია კონვეიერი, 4, რომლითაც ქანი ვაგონებებში ან სასანგრევო კონვეიერზე იტვირთება ორლიანდაგიანი ქანობებისა და დახრილი ჭაურების გასაყვანად, როდესაც დახრის კუთხე 55^0 -მდეა, შექმნილია გვირაბგასაყვანი კომპლექსი კჟС-1 (ППВ-2) (ნახ. 88).



ნახ. 88


კომპლექსის ძრითადი ნაწილია მტვირთავი მანქანა, რომელსაც აქვს მოსახსნელი ორგანოები: ორფრთიანი ან ექვსფრთიანი გრეიფერი $0,14 \text{ m}^3$ და პირდაპირი ან შებრუნებული ნიჩაბი $0,15 \text{ m}^3$ მოცულობით, მანიპულატორები საბურღი მანქანების დასაყენებლად და სამაგრის ამომყვანი (ასაწყობი რეინაბეტონისათვის).

ქანობის გაყვანის დროს მონგრეული მასის დატვირთვა შესაძლებელია სკრეპერითაც, თუ გვირაბის დახრის კუთხე 35^0 -ს არ აღემატება. სასკრეპერო დანადგარი СКУ-1 (ნახ. 89) შესაძლებელია ისეთ გვირაბებში გამოვიყენოთ, რომელთა განივევთი სინათლეში $6 \text{ m}^2\cdot\text{წე}$ ნაკლები არ არის.

ზიდვის ხერხი ქანობის გაყვანისას ისეთივეა, როგორც მისი ექსპლუატაციის დროს გამოიყენება. თუ გვირაბის დახრა 18^0 -ს არ აღემატება, უპირატესობა კონვეიერულ ტრანსპორტს ენიჭება,

ხოლო უფრო მეტი დახრის შემთხვევაში ბაგირიან ტრანსპორტს იყენებენ.

ქანობის განიავების პირობები ბრემსბერგთან შედარებით უკეთესია, ვინაიდან მეთანი ჰაერზე მსუბუქია და ამიტომ სანგრევში არ გროვდება, აქ შესაძლებელია მოხდეს ნახშირორჟანგის დაგროვება. განიავება, წვეულებრივ, ადგილობრივი განიავების ვენტილაციონებით წარმოებს, რომლებიც დაწესებული მუშაობენ. მცირე სიგრძის ქანობის გაყვანისას ვენტილაციონი ზედა შტრეგში იდგმება; სუფთა ჰაერი ქანობისა და სასვლელის სანგრევებში მიღსადენებით მიეწოდება, ხოლო უკან სასვლელით ბრუნდება და საერთო საშახტო ნაკადს უერთდება.




ნახ. 89

ქანობის სამაგრი უმეტესად ხის ან ლითონისაა (თაღური სამაგრი). სამაგრის კონსტრუქცია და მისი ამოცვანის ტექნილოგია ისეთივეა, როგორც ბრემსბერგის გაყვანის შემთხვევაში გვაქვს.

ქანობის სანგრევში წყლის დაგროვება ხელს უშლის გვირაბგასაყვანი სამუშაოების წარმოებას. რაც აუცილებელს ხდის წყალქცევის მოწყობას. წყალი შეიძლება გამოდიოდეს როგორც თვით სანგრევში, ისე ქანობის მთელ სიგრძეზე მის ირგვლივ მდებარე ქანებიდან. არსებობს შტრეკიდან ქანობში წყლის მოხვედრის საშიშროებაც.

უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ აღკვეთონ ქანობისა და შტრეკში გამომდინარე წყლის სანგრევში მოხვედრის შესაძლებლობა და ამით უშუალოდ სანგრევიდან ამოსატუმბი წყლის მოცულობა შეამცირონ. ამისათვის შტრეკისა და ქანობის შეუდლების უბანზე წყალსაქცევ თხრილს აბეტონებენ ან ლითონის მიღს ათავსებენ. გარდა ამისა, ქანობის ნიადაგში ყოველ 10-15 მეტრზე კეთდება განივი თხრილები, საიდანაც წყალი გრძივად გაჭრილ არხში გადადის და იქიდან შუალედ



ნახ. 90

წყალშემკრებში ჩადის (ნახ. 90). როდესაც წყლის მოდენა მნიშვნელოვანია, საჭიროა წყალსაქცევი სისტემის მოწყობა, რომლის სქემა დამოკიდებულია ქანობის სიგრძესა და ატუმბების სიმაღლეზე.

ერთსაფეხურიანი წყალქცევის შემთხვევაში ქანობის სანგრევთან დადგმული ტუმბო წყალს უშუალოდ ზედა შტრეკში ტუმბავს. ეს სქემა გამოიყენება მცირე სიგრძის ქანობების გაყვანისას (300 მეტრამდე),

როდესაც დახრის კუთხე 20°-ს არ აღემატება და წყლის მოდენა საათში 6-12 მ³-ს შეადგენს, სანგრევის წინწაწევასთან ერთად ხდება ტუმბოს გადატანა იმ

ვარაუდით, რომ წყლის შეწოვის სიმაღლე 5-7 მეტრზე მეტი არ იყოს. სანგრევის ტუმბოს გადატანა ხშირად ხდება. მისი მაქსიმალური დაცილება სანგრევიდან ტოლია | (– შეწოვის სიმაღლე, – ქანობის დახრის კუთხე).

მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი პრინციპები ქანობების გაყვანის დროს ისეთივეა, როგორითაც შტრეკების ან ბრემსბერგების გაყვანისას ხელმძღვანელობენ. მხედველობაშია მისაღები საწარმოო პროცესების მეტი შრომატევადობა და წყალქცევის შეუფერხებელი წარმოების აუცილებლობა.

13. ვერტიკალური გვირაბის გაყვანა (ჭაურების გაყვანა)


დანიშნულების მიხედვით ჭაურები იყოფა მთავარ და დამსმარედ, აგრეთვე საზიდ და სავენტილაცოდ. ზოგჯერ ჭაურის სახელწოდება განისაზღვრება ამწევი ჭურჭლების ტიპის მიხედვით – სასკიპე ჭაური, საგალე ჭაური.

მთავარი ჭაური ემსახურება სასარგებლო წიაღისეულის გამოტანას მიწის ზედაპირზე.

დამსმარე (სავენტილაციო) ჭაური ემსახურება ვენტილაციას, ხალხის ჩაშვებასა და ამოყვანას, მასალების მიწოდებას, წყალამოღვრის მიღებისა და კაბელების გაწყობას და სხვ.

ჭაურებს, ხშირ შემთხვევაში, აქვთ წრიული ფორმა, იშვიათად სწორკუთხა ან ელიფსური (ნახ. 91). მათი განივევეთის ზომების განსაზღვრა ხდება ამწევი ჭურჭლების გაბარიტული ზომების, მათი რაოდენობის და განლაგების მიხედვით აგრეთვე

მხედველობაში ღებულობენ უსაფრთხო მანძილებს (დრეჩოს ზომებს) მოძრავ ჭურჭელს, სამაგრს და არმირების ელემენტებს შორის. ჭაურის განივევთის ზომა შემოწმებული უნდა იქნეს ჰაერის მოძრაობის დასაშვებ სიჩქარეზე.



ნახ. 91

ნახშირის მრეწველობაში წრიული ფორმის ჭაურებისათვის მიღებულია შემდეგი ტიპიური დიამეტრები: 4,5; 5,0; 5,5; 6,0; 6,5; 7,0; 7,5; 8,0 და 8,5 მ სინათლეში. ჰაერის მოძრაობის დასაშვები სიჩქარე ჭაურებში, რომელიც ემსახურება ხალხის ჩაშვებასა და ამოყვანას, არ უნდა აღემატებოდეს 8 მ/წმ, საზიდ ჭაურებში – 12 მ/წმ, ხოლო სავენტილაციო ჭაურებში – 15 მ/წმ.

ჭაურის გაყვანის ადგილის, შახტის ველის პირობების, პიდროგეოლოგიური და სამთო-გეოლოგიური პირობების მიხედვით შეირჩევა ჭაურის გაყვანის წვეულებრივი ან სპეციალური ხერხი.

ჭაურის ჩვეულებრივი ხერხით გაყვანისას სამაგრად იყენებენ მონოლითურ ბეტონს, რომელიც ამოიყვანება გადასატანი ლითონის ყალიბით. ბეტონის მიწოდება წარმოებს მიღების საშუალებით.

ჭაურში ხალხის ჩაშვებისა და ამოიყვანის, მასალების, ნახშირისა და ფუჭი ქანის უსაფრთხო ტრანსპორტირების მიზნით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამწევი ჭურჭლის რხევითი მოძრაობები, მასში აწყობენ მუდმივ დაარმატურებას. ეს უკანასკნელი შედგება გამბრჯენებისაგან, გამყოლებისაგან, საკიბე განყოფილებისაგან, მიღებისა და კაბელების ჩასამაგრებელი ცალუდებისაგან. დაარმატურების ელემენტები, როგორც წესი, მზადდება ლითონისაგან, იშვიათად რკინაბეტონისაგან ან ხისაგან.

ანსხვავებენ დაარმატურების სამ სახეს – ხისტს, მოქნილს და შერეულს.

ლითონის დაარმატურება გამოიყენება ჭაურებში, რომლებიც აღჭურვილია სასკიპე ან საგალე აწევით დიდი ბოლოკიდული დატვირთვით, შერეული-მცირე სიღრმის ჭაურებში რომლებიც აღჭურვილია უმნიშვნელო ბოლოკიდული დატვირთვის მქონე ამწევი ჭურჭლებით.

შერეული დაარმატურებისას ამწევი ჭურჭლებისათვის იყენებენ ხისტ არმატურას, ხოლო საპირწონეებისათვის მოქნილს.

ჭაურების მშენებლობა ხორციელდება გარკვეული თანმიმდევრობით:

1. მოსამზადებელი პერიოდი. 2. საკუთრივ ჭაურის აგება.
3. ჭაურის შეუდლება ჭაურის ეზოსთან.
4. ჭაურის დაარმატურება.
5. ჭაურის მოწყობილობების კვლავგაწყობა.

ძირითადი ჭაურების მშენებლობის ხანგრძლივობა თითქმის ორჯერ აღემატება დამხმარე და სავენტილაციო ჭაურების მშენებლობის ხანგრძლივობას რაც გამოწვეულია მისი აღჭურვის, დაარმატურების და მაღაროს ეზოს გვირაბებთან შეუდლების შრომატევადი სამუშაოებით.

13.1. მშენებლობის მოსამზადებელი პერიოდი

საამშენებლო მოედანზე შესასრულებელ მოსამზადებელ სამუშაოებს მიეკუთვნება: მშენებლობის ტერიტორიის ათვისება, წინასწარი ვერტიკალური დაკვალვა; შიგასაამშენებლო გზების მოწყობა; წყლით, ორთქლით, ელექტროენერგიით და სამშენებლო მოედნის გარე განათებით მომარაგება, მათი მოწყობილობების დამონტაჟება და აგება; მიწისქვეშა კომუნიკაციების ჩაგება; მუდმივი შენობა-ნაგებობების საძირკვლის ამოცვანა და სხვ.

მოსამზადებელი სამუშაოების კვალდაკვალ წარმოებს მშენებლობის გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიურ პირობების, ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დაზუსტება, შესაძლო წყლისმოდენის სიდიდის დადგენა და ჭაურის მშენებლობის ტექნოლოგიის დაზუსტება.

საამშენებლო მოედნის დაკვალვა ხორციელდება შახტის ზედაპირის გენერალური გეგმის შესაბამისად. დაკვალვისას საჭიროა შახტის ზედაპირს მიეცეს სათანადო დაქანება, გაყვანილი იქნეს წყალსარინი არხები, შერჩეული იქნეს ქანის სანაყარო ადგილი.

სარკინიგზო ხაზის მშენებლობისას განისაზღვრება მისი სიგრძე და ზედაპირის რელიეფი. თუ ზედაპირს სასურველი

რელიეფი აქვს და სარკინიგზო ხაზის სიგრძე არ აღემატება 4-6 კმ-ს. ამ უკანასკნელის მშენებლობას აწარმოებს შახტამშენებლობის ორგანიზაცია საკუთარი საამშენებლო სამმართველოს ძალებით. როდესაც ზედაპირი წარმოდგენილია რთული რელიეფით და სარკინიგზო ხაზს საქმაოდ დიდი სიგრძე აქვს მაშინ სარკინიგზო და სავტომობილო გზების მშენებლობა გადაეცემა სპეციალურ ორგნიზაციებს.

გარდა ზემოთ თქმულისა შახტის მშენებლობის მოსამზადებელ პერიოდში უნდა იქნეს მოწყობილი სასაწყობო მეურნეობა, საწვავი და საცხები, სამშენებლო და სამონტაჟო მასალებისა და მოწყობილობებისათვის. ამასთანავე მშენებლობა უნდა მომარაგდეს ავტოვიოთმცლელებით, ცემენტსაზიდრებით, ავტომისაბმელებით, ტრაქტორებით, ტრალერებით და სხვ.

წყლის ხარჯი სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მშენებლობისათვის განისაზღვრება ტექნიკური (საქვაბეთა კვება, კომპრესორების გაცივება, ბეტონამრევი კვანძის მომარაგება და სხვ), სამურნეო საჭიროების (სახმელი წყალი, აბანო, სამრეცხაო და სხვ) და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის მოთხოვნილების მიხედვით. წყლის სადღელამისო ხარჯი განისაზღვრება სამუშაოთა მოცულობის მიხედვით. საშუალოდ სამრეწველო მიზნებისათვის იგი შეადგენს 80-120 მ³, ხოლო სამურნეო მიზნებისათვის – 60-80 მ³.

მშენებლობის საწყის პერიოდში, მუდმივი ელექტროგადამწოდი ხაზების აგებამდე, მშენებლობა ელექტროენერგიით შეიძლება მომარაგებული იქნეს ჯეC-65 ტიპის გადასატანი ელექტროსადგურით, რომლის სიმძლავრე შეადგენს 65 კვტ-ს. ერთდროულად უნდა დამონტაჟდეს დროებითი ელექტროსადგური.

მშენებლობის პერიოდში აუცილებელია ხანძარსაწავალმდეგო ღონისძიებების გატარება. სამშენებლო მოედანზე უნდა მოეწყოს წყლის რეზერვუარი (აგზი), ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის სრული კომპლექტი, სახანძრო გიდრანტები, ცეცხლმაქრობები და სხვ. უნდა იქნეს ორგანიზებული მუდმივი სახანძრო დაცვა და სახანძრო რაზმის გამოსაძახებელი სიგნალიზაცია.

მშენებლობის თბომომარაგებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ ПКУ-1/9-1/T ტიპის გადასატანი ქვაბაგრეგატი, რომლის მწარმოებლურობა შეადგენს 1000 კგ.ორთქ/გ, 0,35-0,6 მპა, ორთქლის ტემპერატურა – 174,5°, საწვავის ხარჯი – 130 კგ/სთ.

მშენებლობის პერიოდში საჭიროა მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული მუდმივი შენობა-ნაგებობები. დროებითი ნაგებობები გამოიყენება კომპრესორების, საგამყვანო ჯალამბრების, ვენტილატორების და კალორიფერების განსაღაბებლად. დროებითი შენობები მზადდება ჩარჩოსებური კარგასების სახით, ხოლო სამირკვლებად ხმარობენ ასაკრებ უნიფიცირებულ რკინა-ბეტონის ბლოკები.

ჭაურის მშენებლობის მოსამზადებელი პერიოდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენს მისი აღჭურვა საგამყვანო და სამშენებლო მოწყობილობებითა და მექანიზმებით. მოწყობილობების შერჩევა და მათი რაოდენობის განსაზღვრა უნდა წარმოებდეს მშენებლობის საერთო ორგანიზაციის პროექტის მიხედვით. ამ მოწყობილობებზე დროულად უნდა იქნეს წარდგენილი განაცხადი. განაცხადში ნაჩვენები უნდა იყვნეს მათი ტექნიკური მახასიათებლები.

ჭაურის მშენებლობის მოსამზადებელ პერიოდში შეიქმნება სამარკშეიდერო სამსახური, რომელიც აწარმოებს გეოლოგიურ და

სამარკშეიდერო სამუშაოებს. ამავე პერიოდს მიეკუთვნება საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობები (საერთო საცხოვრებელი, სასადილო, მაღაზია, სამედიცინო პუნქტი და სხვ.).

სამშენებლო ნორმების მიხედვით მშენებლობის მოსამზა-დებელი პერიოდის ხანგრძლივობა შეადგენს 12-16 თვეს.

13.2 ჭაურის პირისა და ტექნოლოგიური ნაწილის გაყვანა


ჭაურის პირის გაყვანა, ჩვეულებრივ, წარმოებს მშენებლობის მოსამზდებელ პერიოდში.

ჭაურის პირი, როგორც წესი, გაიყვანება არამდგრად ქანებში (ნაყარი) და ამიტომ საჭიროა მისი გამაგრება მტკიცე სამაგრით. ამ სამაგრმა უნდა გაუძლოს როგორც სამთო ქანებით გამოწვეულ დატვირთვას, აგრეთვე ვერტიკალურ დატვირთვას, გამოწვეულს მასზედ დაყრდნობილი დროებითი ან მუდმივი ჭაურზედა ნაგებობის (ურნალის) და მისი საძირკვლის საერთო მასით. ჭაურის პირის საყრდენი გვირგვინი უნდა მოქმედოს მდგრად (ძირითად) ქანებში ხოლო მისი ტექნიკური ნაწილი კი გაიყვანება დამატებით 30-40 მ-ის სიღრმეზე.

ჭაურის დანიშნულებისა და ამწევი მოწყობილობების (ფერმის ტიპის ან კოშკურა ამწევი ურნალი) მიხედვით შესაძლებელია ჭაურის პირი გამაგრდეს სხვადასხვა კონსტრუქციის სამაგრით. როდესაც ჭაურის პირი გაიყვანება მდგრად ქანებში და მონალექი (ნარიყი) ქანების სისქე არ არის დიდი, ჭაურის პირის გამაგრებას


შეიძლება პქონდეს 92-ე ნახაზე ნაჩვენები კონსტრუქციული სახეები.

გამოყენების პირობების მიხედვით ჭაურის პირის სამაგრს უმეტეს შემთხვევაში საფეხუროვან ფორმას აძლევენ (ნახ. 92). ჭაურის პირის კონსტრუქცია შეიძლება იყოს საფეხუროვანი (ნახ. 92, 1-5), გვირგვინისებრი (ნახ. 92, 6-7), საფეხუროვან-გვირგვინისებრი (ნახ. 92, 8-9), სპეციალური (ნახ. 92, 10-12).




ნახ. 92 ჭაურის პირის კონსტრუქციული სახეები.

ჭაურის პირის აგება, დროებითი საგამყვანო მოწყობილობების საშუალებით წარმოებს დია წესით. ქვაბურის ამოდება, 3-5 მ-ის სიღრმეზე დროებითი სამაგრის გარეშე, წარმოებს ექსკავატორის საშუალებით (ნახ. 93). შემდეგ ორმხრივი ქარგილის საშუალებით ამოჰყავთ ბეტონის ან რკინაბეტონის სამაგრი, ქვაბურის დარჩენილ ნაწილს კი შეავსებენ გამოდებული ქანის საშუალებით. ჭაურის პირის ზედა ნაწილის აგების შემდეგ განაგრძობენ სამუშაოებს მისი დარჩენილი ნაწილის ასაგებად.



ნახ. 93. 1. ქვაბური; 2. ექსკავატორი; 3. ორმხრივი ქარგილი;
4. ბეტონი (რკინაბეტონი); 5. ქვაბურის შეესქბა;
6. ანკერები.

ქანის გამოღება, ჩვეულებრივ, მიმდინარეობს მომნგრევი ჩაქუჩებით. მაგარი ქანის ჩანართების არსებობისას მიმართავენ ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებს. ქანის ჩატვირთვა ბადიებში შეიძლება წარმოებდეს ხელით ან ამწევრანზე დაკიდებული მსუბუქი ტიპის დამტვირთავი მანქანებით (ГП-2, КС-3). ქანის გამოღებასთან ერთად ჭაურის კედლები მაგრდება ლითონის რგოლური დროებითი სამაგრით (ნახ. 94), დროებითი სამაგრის პირველი რგოლი დაიკიდება ამოჟვანილი ჭაურის პირში ჩაყოლებულ ანკერებზე (კაკვებზე). სუსტი ქანების გადაკვეთის შემთხვევაში, დროებითი სამაგრის ნაცვლად, მიზანშეწონილია რკინაბეტონის ტუბინგების გამოყენება, რომელიც ქანის გამოღების კვალდაკვალ დაიკიდება ზევიდან ქვევით.



ნახ. 94


რადგან ქანები არამდგრადია და რდოებითი სამაგრის მზიდუნარიანობა მცირეა, საჭიროა ამოყვანილი იქნეს მუდმივი სამაგრი 6-8 მ სიმაღლის უბნებად. ბეტონის მიწოდება ხდება ქარგილს მიღმა მილების საშუალებით დროებითი სამაგრის რგოლების მოუხსნელად.

წყლის მოშორება სანგრევიდან წარმოებს ქანთან ერთად ბადიების ან სასანგრევო ტუმბოების საშუალებით. სანგრევის განიავება საწყის ეტაპზე ხდება ბუნებრივი დიფუზიით, სანგრევის საკმაოდ გადაადგილების შემთხვევაში კი ვენტილატორის საშუალებით. ხალხის ჩაყვანა-ამოყვანისათვის გამოიყენება კიბეები.

ჩვეულებრივი ხერხით ჭაურის პირის და მცირე სიღრმის ჭაურების გასაყვანად გამოიყენება კომპლექსები კПШ-2 (ნახ. 95); ჩ-14 (ნახ. 96). ეს კომპლექსები გვაძლევს საშაულებას გავიყვანოთ ჭაურის პირი 25-50 მ-ის სიღრმეზე. 7 ცხრილში მოყვანილია


ჭაურის პირის გამყვანი კომპლექსების ზოგიერთი ტექნიკური მახასიათებელი.

დროებითი მოწყობილობებით ჭაურის პირის გაყვანის სიჩქარე შეადგენს 20-30 მ/თვ; ხოლო გამყვანთა შრომის ნაყოფიერება შეადგენს 0,7-1 მ³/კაც-ცვლ.



ნახ. 95. კომპლექსი კПშ

1 – ავტოამტე; 2 – პნევმომტვირთველი (KC-3); 3 – ჩამოსაკიდი ქარგილი; 4 – საგამყენო ჯალამბარი; 5 – ექსკავატორი; 6 – ბადია; 7 – უნივერსალური ჩარჩო; 8 – ბეტონის მიმღები ბუნკერი; 9 – ბეტონის მილსადენი.



ნახ. 96. კომპლექსი KC-14


1 – დამტვირთავი მანქანა; 2 – მონორელსი; 3 – ამწვვი მოწყობილობა; 4 – გამცლელი მრუდეები; 5 – საყირაო სკიპ-გალი; 6 – გამყოლები; 7 – ამწევრანი; 8 – ჩამოსაკიდი დამცავი თარო; 9 – სამაგრის ჩასასობი მოწყობილობა.

კომპლექსი KC-14 აღჭურვილია ჩასასობი სამაგრითა და ჩამსობი დომკრატებით

ცხრილი 7

მაჩვენებლები	კომპლექსი			
	KPII-2	KC-14	Tempi-I	Tempi-II
ჭაურის დიამეტრი, მ სინათლეში	5-12	5-12	4,9	4,0
შავში	5,5-12,5	5,5-12,5	5,2	4,3
ჭაურის პირის მაქსიმალური სიღრმე, მ	50	40	25	12
გრეიფერის (ჩამჩის) მოცულობა, მ ³	0,22	0,25	0,8	0,5

ჭაურის პირის მშენებლობის დამთავრების შემდეგ, ზედაპირზე, აწყობენ ნულოვან (ძირითად) საგამყვანო ჩარჩოს, რომლის დანიშნულებაა: ჭაურის პირის გადახურვა, დადების (სარქველების) მოწყობა, ბადიების, სხვადასხვა მიღების, ბაგირების გატარება, საგამყვანო მოწყობილობებისა და მაშველი კიბის დაკიდება და სხვ. (ნახ. 97).



ნახ. 97. ძირითადი საგამყვანო ჩარჩო

1 – ქანის ამოსაზიდი ბადია; 2 – მასალების მისაწოდებელი ბადია; 3 – ჩამოსაკიდი ტუმბო; 4 – სავენტილაციო მილი; 5 – კუმშული ჰაერის მილი.

13.3 ჭაურის აგების სქემა


ჭაურის აგების სამუშაოები იყოფა ძრითად და დამხმარე სამუშაოებად. ძირითად სამუშაოებს მიეკუთვნება: ქანის გამოღება (სანგრევის წინწაწევა) და მუდმივი სამაგრის ამოცანა აგრეთვე ჭაურის არმირება.

იმისდამიხედვით თუ რა თანმიმდევრობით წარმოებს ძირითადი სამუშაოები ანსხვავებენ ჭაურის აგების სხვადასხვა ტექნოლოგიურ სქემებს: 1. თანამიმდევრული სქემა; 2. პარალელური სქემა; 3. შეთავსებული სქემა. მიღებულია აგრეთვე შეთავსებული სქემების ახალი ვარიანტები რაც გამოწვეულია ჭაურის მშენებლობის ტექნიკური გადაიარაღებითა და ახალი სამშენებლო კომპლექსების შექმნით. ამასთან ანსხვავებენ: ა) შეთავსებულ სქემას სამუშაოების პარალელური შესრულებით; ბ) შეთავსებულ სქემას სამუშაოების თანმიმდევრული შესრულებით (იგულისხმება ძირითადი სამუშაოების თანმიმდევრბა).

რაც შეეხება არმირებას იგი შეიძლება წარმოებდეს ორი ძირითადი სქემით: 1. არმირება მთელს სიგრძეზე ჭაურის მშენებლობის დამთავრების შემდეგ (თანმიმდევრული სქემა); 2 – არმირება ჭაურის მშენებლობასთან ერთად (პარალელური სქემა).

თანმიმდევრული სქემა (ნახ. 97) გამოიყენება მცირე სიღრმის (100-200 მ) ჭაურის გაყვანის დროს. ჭაური მთელს სიგრძეზე იყოფა უბნებად. უბანი არის მანძილი ორ საყრდენ გვირგვინს შორის და მისი სიგრძე ქანის ციცაბოდ ჩაწოლის შემთხვევაში აიღება 25 მ-დე, ხოლო დხრილი და დამრეცი წოლვის ფენებისათვის 30-40 მ. საყრდენი გვირგვინი საჭიროა მოეწყოს

მდგრად ქანებში. თითოეულ უბანში წარმოებს ქანის გამოღება ხოლო, კედლებს კი ამაგრებენ დროებითი ჩამოსაკიდი სამაგრი რგოლით (ნახ. 98, ა). მუდმივი სამაგრის ამოყვანა იწყება ერთი უბნის გაყვანისა და საყრდენი გვირგვინის მოწყობის შემდეგ, ქვემოდან ზემოთ (ნახ. 98, ბ). ამრიგად უშეალოდ გაყვანა პერიოდულად წყდება რაც გამოწვეულია მუდმივი სამაგრის ამოყვანის სამუშაოებით.




ნახ. 98. ჭაურის აგების თანამიმდევრობითი სქემა
ა – ქანის გამოღება; ბ – მუდმივი სამაგრის ამოყვანა;
1 – ჩამოსაკიდი თარო; 2 – დროებითი სამაგრი;

პარალელური სქემა (ნახ. 99) გამოიყენება დრმა და დიდი განივალების მქონე ჭაურებში.

ამ სქემის დროს ქანის გამოღება და მუდმივი სამაგრის ამოყვანა წარმოებს ორ მეზობელ უბანში (უბნის სიგრძე აიღება

წინა სქემის ანალოგიურად). პირველად, უკვე გაყვანილ უბანში, წარმოებს მუდმივი სამაგრის ამოყვანა ქვემოდან ზემოთ. ამასთანავე ისსნება დრებითი სამაგრი რგოლები და იგი მომდევნო (II) უბანში გადაიტანება, სადაც მიმდინარეობს გაყვანის (ქანის გამოღების) სამუშაოები.

მას შემდეგ რაც სანგრევი (I უბანში) ჩასცდება მუდმივი სამაგრის ამოყვანის ნიშნულს 8-10 მ-ით, ქანის გამოღებას დროებით შეაჩერებენ და ორი უბის საზღვარზე აწყობენ უძრავ დამცავ თაროს. ამ თაროზე იწყება საყრდენი გვირგვინისა და მუდმივი სამაგრის ამოყვანა. ერთდროულად ქედა (II) უბანში განახლდება საგამყვანო სამუშაოები. სასურველია სამუშაოები ორივე უბანში დამთავრდეს ერთდროულად.




ნახ. 99. ჭაურის აგების პარალელური სქემა:

1 – კიდული თარო; 2 – დამცავი (დამჭიმავი) თარო;
 3 – დროებითი სამაგრი; 4 – მუდმივი სამაგრი; 5 – დამტვირთავი
 მანქანა; 6 – ბალია.


შეთავსებული სქემა (ნახ. 100) გამოიყენება იმ შემთხვევაში,
 როდესაც ჭაურის მუდმივი გამაგრება ხდება ჩამოსაკიდი მუდმივი
 სამაგრით.

ჩამოსაკიდ მუდმივ სამაგრს მიეკუთვნება ლითონის ან
 რკინაბეტონის ტუბინგები, ძალზე იშვიათად კი ხის ჩამოსაკიდი
 ჩარჩოები. სამუშაოები მიმდინარეობს ერთ უბანში, ერთი ციკლის
 განმავლობაში, ერთმანეთის თანმიმდევრობით. იმისდა მიხედვით,
 თუ როგორია სანგრევის წინგადაადგილების ბიჯი, იკიდება
 მუდმივი სამაგრის ერთი ან ორი რიგი. შეთავსებული სქემა
 გამორიცხავს დროებითი სამაგრის არსებობის საჭიროებას.




ნახ. 100 ჭაურის აგების შეთავსებული სქემა

შეთავსებული სქემა, სამუშაოების პარალელური შესრულებით, შესაძლებელია განვახორციელოთ მაშინ, თუ ჭაურის გამყვან მოწყობილობათა კომპლექსს აქვს დიოთონის დამცავი



ნახ. 101. ჭაურის გაყვანის
შეთავსებული სქემა სამუშაოების
პარალელური შესრულებით



ნახ. 102. ჭაურის გაყვანის
შეთავსებული სქემა სამუშოების
თანმიმდევრობითი შესრულებით

ფარი (გარსი) (ნახ. 101, 2) რომელიც დროებითი სამაგრის მოვალეობას ასრულებს. სანგრევში ხდება ქანის გამოღება, ხოლო მაღლა, სანგრევიდან 15-30 მ-ის დაშორებით ამოჰეავთ მუდმივი სამაგრი (ნახ. 101, 1). ფარი დაკიდებულია თავისუფლად და მის მოვალეობას შეაღგენს სანგრევში მომუშავეთა უსაფრთხოების დაცვა. ფარის არსებობა იძლევა საშუალებას ქანის გამოღებისა და მუდმივი სამაგრის ამოჰეავნის სამუშოები შესრულდეს ერთ უბანში, ერთი ციკლის განმავლობაში და ერთმანეთის პარალელურად.

შეთავსებული სქემა, სამუშაოების თანმიმდევრობითი შესრულებით, ითვალისწინებს ძირითადი სამთო სამუშაოების

შესრულებას ჭაურის გაყვანის ერთიან საგამყვანო ციკლში (ნახ. 101). ამასთან, ქანის გამოღება და მუდმივი სამაგრის ამოყვანა წარმოებს უშუალოდ სანგრევში ერთმანეთის თანმიმდევრობით ზევიდან ქვევით. ქანს ანგრევენ მცირე სიმაღლის უბანზე, რასაც მოყვება ამ ნაწილის გამაგრება ნაწილობრივ აუწმენდავი ქანიდან, შემდგომ სამუშაოები კვლავ მეორდება და ა.შ. ამ სქემის დირსება მდგომარეობს იმაში, რომ იგი არ საჭიროებს დროებით გამაგრებას. მუდმივი სამაგრის ამოსაყვანად იყენებენ ლითონის გადასატან საგდულებიან ან სექციურ ყალიბებს (ნახ. 102, 1), ხოლო ბეტონის (სწრაფ-შემკვრელი) მიწოდება წარმოებს მიღების საშუალებით.

შეთავსებული სქემა სამუშაოების თანმიმდევრობითი შესრულებით უზრუნველყოფს სამუშაოების მარტივ ორგანიზაციას და შრომის მაღალ მწარმოებლურობას. ეს სქემა შეიძლება გამოვიყენოთ ნებისმიერი დიამეტრისა და სიღრმის ჭაურების გაყვანისას.


ჭაურის გაყვანის ტექნოლოგიური სქემის საბოლოო შერჩევა ხდება ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზის საფუძველზე.

13.4 ბურღა-აფეთქებითი სამუშაოების პარამეტრები

ჭაურების აგებისას (ჩვეულებრივი ხერხით) ქანის მონგრევა ძირითადად ბურღა-აფეთქებით წარმოებს. ბურღა-აფეთქებით ჭაურების გაყვანის დროს შპურების ბურღა, ჩვეულებრივ, ხორციელდება ПР-30ЛУ, ПР-30К, ПР-30ЛУС ტიპის ხელის პერფორატორებით. ერთ მანქანაზე მოსული სანგრევის ხვედრითი

ფართობი შეადგენს 4-6 მ²-ს. ამ სიღილის მიხედვით განისაზღვრება საბურღი მანქანების რიცხვი.

დიდი სიღილის ჭაურებში იყენებენ БУКС-1М და СНБУ 3M ტიპის საბურღ დანადგარებს, რომელიც შედგება ორი-ოთხი საბურღი მანქანისაგან.




ნახ. 103. საბურღი დანადგარი БУКС-1М

საბურღი დანადგარი БУКС-1М
(ნახ. 103) შედგება საბრჯენი სვეტისაგან 1, რომელთანაც მიმა- გრებულია საბრჯენი დგარი 2 და საბურღი მანქანა 3, საბურღი მანქანის ავტომატურდებლისაგან 4. საბრჯენი სვეტი ტელესკოპურია. ბურღვის დროს იგი დაიკიდება დამტკირთავი მანქანის (KC-2y/40) ტელეგრაფულ მეორე ბოლოთი კი ებჯინება ჭაურის სანგრევს.

საბურღი დანადგარი СНБУ 3М
(ნახ. 104) შედგება სვეტისაგან 1, მანქანულატორის ისრისაგან 2, საბურღი მანქანისაგან 3, მანქანის გამჭექი ბაგირებისა და ჰიდროდომკრატების სისტემისაგან 4.


БУКС-1М ტიპის საბურღი დანადგარი აუცილებლად თანახლავს კომპლექსს, რომლის შემადგენლობაში შედის დამტკირთავი მანქანა KC-2y/40. სხვა დანარჩენ შემთხვევაში შესაძლებელი იქნება СНБУ 3M ტიპის საბურღი დანადგარი.



ნახ. 104. საბურლი დანადგარი ცНБУ 3м

წრიული განივევეთის ვერტიკალური გვირაბების გაყვანის დროს საყელავი, მომნგრევი და საკონტრულო შპურები სანგრევში განლაგდება კონცენტრულ წრეხაზებად (ნახ. 105, а) საყელავი შპურების მუხტი სხვა შპურების მუხტებთან შედარებით 10-12%-ით მეტი აიღება, ხოლო სგრძე – 15-20 სმ-ით მეტი. საყელავი შპურები იბურლება ჭაურის ცენტრისადმი 75-80° დახრით ან ვერტიკალურად, რაც ერთის მხრივ, აადვილებს შპურების ბურლვას, ხოლო მეორე მხრივ, ამცირებს ქანის ნატეხების ამოყრის სიმაღლეს. მომნგრევი შპურები იბურლება საყმლავ და

საკონტურო შპურებს შორის სანგრევისადმი დახრის იმავე კუთხით, რაც საყელავ შპურებს აქვთ.



ნახ. 105. შპურების განლაგების სქემა სანგრევში

ციცაბო ფენებში ჭაურის გაყვანისას (ნახ. 6) საყელავი შპურების განლაგება ხდება სოლურად, ფენების მიმართების ხაზის გასწვრივ (ნახ. 105, ბ). საყელავი შპურების აფეთქებისას ამოტყორცნილი ქანით დროებით სამაგრსა და ჩამოკიდებულ მოწყობილობის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით სანგრევის მართობულად, სოლის სიმეტრიის დერძის გაყოლებით, ბურღავენ რამოდენიმე ბუფერულ შპურს, რომლებსაც საყელავ შპურებთან ერთად აფეთქებენ.

ჭაურებში, აფეთქებითი სამუშაოების წარმოებისას მიზანშეწონილია მაღალი სადეტონაციო თვისებების მქონე ფეთქებადი ნივთიერებების გამოყენება. მაგარ ქანებში იყენებენ კლდოვან ამონიტს №1, კლდოვან ამონალს №3 და დეტონიტს M.

საშუალო სმაგრის ქანებში – ამონიტ №6 ჯВ და დინაფტალიტს. შპურების მექანიზმებული დამუხტისას შესაძლებელია გამოყენებული იქნეს გრანულიტი აС-4В და აС-8В.

აფეთქების საშუალებად მიზანშეწონილია გამოყენებული იქნეს მცირედაყოვნებული (ЭДК3) მოქმედების ელექტროდეტონატორები დაყოვნების ბიჯით 25; 50; 75; 100; 150; 250 მლ.წმ.

აფეთქების ხარისხს ძირითადად განსაზღვრავს ფეთქებადი ნივთიერების ხვედრითი ხარჯი. იგი განისაზღვრება ემპირიული ფორმულით ან შეირჩევა ნორმატიული მონაცემებით.

ემპირიული ფორმულებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია პროფ. ნ.მ. პოკროვსკის ფორმულა

$$q = 2q_1 \cdot \frac{F}{\delta}; \quad \delta g / \delta^3$$

- აქ არის ეტალონური ფეთქებადი ნივთიერების ხვედრითი ხარჯი;
- ქანის სტრუქტურის კოეფიციენტი;
- ფეთქებადი ნივთიერების მუშაობის უნარის კოეფიციენტი;
- კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ვაზნის დიამეტრს, (აქ – შერჩეული ვაზნის დიამეტრია).

ქანის თანაბარი დაქუცმაცება, სანგრევის კონტურის დაცვა, შპურის გამოყენების კოეფიციენტის გაზრდა გარკვეულწილად დამოკიდებულია შპურების რიცხვის სწორ შერჩევაზე.

შპურების რიცხვის საანგარიშო ფორმულებიდან ყველაზე მეტად გავრცელებულია პროფ. ნ.მ. პოკროვსკის ფორმულა

$$N = \frac{1.27 \cdot q \cdot S}{a \cdot \Delta \cdot d^2 \cdot K}$$

- აქ არის ფეთქებადი ნივთიერების ხელიდრითი ხარჯი, $\text{კგ}/\text{მ}^3$;
- ჭაურის განივავეთი შავში, მ^2 ;
 - შპურის შევსების კოეფიციენტი;
 - ფეთქებად ნივთიერების სიმკვრივე, $\text{კგ}/\text{მ}^3$;
 - ვაზნის დიამეტრი, მ ;
 - კოეფიციენტი, რომელიც ითვალისწინებს ფეთქებდი ნივთიერების სიმკვრივეს შპურის დამუხტვის დროს ($K = 1$);

შპურის სიღრმე შეირჩევა ციკლის ხანგრძლივობის ან გაყვანის სიჩქარის მიხედვით. შპურის სიღრმემ უნდა უზრუნველყოს სამუშაოთა მინიმალური შრომატევადობა ჭაურის ერთ გრძივ მეტრზე.

ჩქაროსნული მშენებლობის დროს შპურების საშუალო სიღრმე გამოითვლება ჭაურის გაყვანის წინასწარ შერჩეული სიჩქარის მიხედვით:

$I =;$


- აქ არის გაყვანის სიჩქარე თვეში, $\text{მ}/\text{თვე}$;
- ციკლის ხანგრძლივობა, სთ;
 - სამუშაო დღეთა რიცხვი თვეში;
 - შპურის გამოყენების კოეფიციენტი

მრგვალი განივევეთის ჭაურების გაყვანისას შპურები სანგრევში, ჩვეულებრივ, განლაგდება სამ კონცენტრულ წრეხაზზე (ნახ. 105, ა) უფრო დიდი დიამეტრის ჭაურებისა და 32 მმ-იანი ფ.ნ. გაზნების გამოყენების შემთხვევაში შპურებს განალაგებენ ოთხ კონცენტრიულ წრეხაზად. შპურების ბურღვა შიძლება წარმოებდეს ქანის აწმენდის შემდეგ ან მასთან ნაწილობრივი შეთავსებით. პირველ შემთხვევაში კონცენტრიული წრეხაზების მონიშვნა იოლია და წარმოებს ცენტრალური შვეულიდან შაბლონის საშუალებით. ბურღვისა და ქანის დატვირთვის შეთავსების დროს შპურების ბურღვას იწყებენ კედლებიდან და აგრძელებენ ჭაურის ცენტრისაკენ. ამ შემთხვევაში შპურების მონიშვნას აწარმოებენ გვერდითი შვეულების მიმართ.


საბურღ მანქანებს და სხვა მომხმარებლებს სანგრევიდან 20-25 მეტრის დაცილებით შექუმშული ჰაერი მიეწოდება საკომპრესორო სადგურიდან 150-200 მმ დიამეტრის ფოლადის მილებით. მილები ზედაპირზე ჩაწყობილია ტრანშეებში, ხოლო ჭაურში ჩამოიკიდება ორ ბაგირზე ან სამაგრზე. ჭაურის ჩაღრმავებასთან ერთად მილების წაგრძელება ხდება პირველ შემთხვევაში ძირითადი საგამყვანო ჩარჩოდან, ხოლო მეორე შემთხვევაში ქვედა ბოლოდან.

ჰაერის მილსადების ქვედა ბოლოს უერთებენ განმანაწილებელს განშტოებით (ნახ. 106), რომელთა რაოდენობა შეესაბამება შექუმშული ჰაერის მომხმარებელთა რიცხვს. განმანაწილებლიდან მომუშავე მანქანამდე შექუმშული ჰაერი მიეწოდება გარეზინებული შლანგებით.

შპურების ბურღვის დაწყების წინ, ჭაურში საჭიროა მიეწოდოს საბურღი მანქანების (ხელის), საბურღი ინსტრუმენტების კომპლექტი და მტვერ დამჭერი მოწყობილობები. მათი მიწოდება წარმოებს სპეციალური კონტეინერების (ნახ. 107) საშუალებით. კონტეინერი წარმოადგენს ბადიას, რომლის ცენტრში ჩამაგრებულია ორი ძელი ორი ჯაჭვით. ძელებზე მიღუდებულია კაკვები შლანგების



ჩამ
ოსა
გიდ
ებლ
ად.
კონ
ტემ
ნერ
ს
აქვს




ნახ. 106 კუმულული პაერის
მანაწილებელი

ნახ. 107. საბურდი
მოწყობილობების ჩასაშვები
კონტეინერი

განყოფილებები საბურდი მანქანების ჩასაღგმელად.
კონტეინერი ჯაჭვების საშუალებით ჩამოეკიდება ქანის ასაწევ
ბადიის ძირში. კონტეინერის გამოყენება იძლევა საშუალებას
შემცირდეს მოსამზადებელი სამუშაოების ხანგრძლივობა 10-20
წელით.

13.5 გნიავება ჭაურების აგების დროს

შპურების აფეთქების შემდეგ, ჭაურიდან მაგნე გაზების
მოცილებისათვის, წარმოებს ჭაურის სანგრევის განიავება. ამ
მიზნით იყენებენ დამჭირხნ და შემწოვ გენტილატორებს.
დამჭირხნი ვენტილატორით მუშაობის დროს აფეთქების
პროდუქტების განსაზავებლად სანგრევში სუფთა ჰაერი
დაიჭირხნება მილებით (ნახ. 108, ა) ხოლო შემწოვი
ვენტილატორით მუშაობისას ამავე მილებით ხდება სანგრევისწინა
სივრციდან აფეთქების პროდუქტების შეწოვა.




ნახ. 107 ჭაურების განიავებისსქემა; ა—დამჭირხნი;
ბ— ომბინირებული.

დამჭირხნი განიავება უზრუნველყოფს სუფთა პაერის უკეთესად შერევას აფეთქების პროდუქტებთან და მათ სწრაფ განზავებას, რადგან ამას ხელს უწყობს მილიდან გამოსული სავანტილაციო ნაკადის სიჩქარე. ღრმა ჭაურების შემთხვევაში იყენებენ აგრეთვე კომბინირებულ სქემას რომლის დროსაც ერთი ვენტილატორი ჭირხნის სუფთა პაერს, ხოლო მეორე შეიწოვს მას (ნახ. 108, ბ).

ღრმა ჭაურებში დგამენ თრ ვენტილატორს, რომლებიც მიმდევრობით ჩაირთვება. მუხტების აფეთქების შემდეგ თრი

საათის განმავლობაში უნდა იმუშაოს ორივე ვენტილატორმა, ხოლო დანარჩენ დროში – ერთმა. ვენტილატორით ჭაურში ჰაერი დაიჭირენება მიღსაღენებით, რომელიც მზადდება ფურცელოვანი ფოლადისაგან ან ტექტოვინიტისაგან. პირველ შემთხვევაში მიღების დიამეტრი 500-900 მმ-ია, ხოლო მეორე შემთხვევაში – 500, 600 და 700 მმ.

სავენტილაციო მიღი ჩამოიკიდება სპეციალურ ბაგირებზე ცალუდების საშუალებით (ნახ. 109, а) ან ჩამაგრდება ჭაურის მუდმივ სამაგრში ანკერებით (ნახ. 109, б).



ნახ. 109 სავენტილაციო მიღების ჩამოკიდება

სანგრევის განიავების შემდეგ, ქანის დატვირთვის სამუშაოების დაწყების წინ, საჭიროა ჭაური მოყვანილ იქნეს უსაფრთხო მდგომარეობაში, რისთვისაც ნელი სვლით მოძრავი ბადიებიდან ახდენენ მის გულდასმით დათვალიერებას. ჭაურის

განიავებისა და უსაფრთხო მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ იწყებენ აფეთქებული ქანის დატვირთვას.

13.6 მონგრეული ქანის დატვირთვა

ჭაურის გაყვანის დროს ყველაზე ხანგრძლივ და შრომატევად ოპერაციას წარმოადგენს ქანის დატვირთვა, რომელიც საგამყვანო ციკლის დროის 60-70% იკავებს. მონგრეული ქანის დასატვირთად ხმარობენ გრეიფერულ მტვირთავებს, რომლებიც სანგრევში გადაადგილების ხერხის მიხედვით დაიყოფა ხელის (მსუბუქი ტიპის) და მექანიკური (მძიმე ტიპის) მტვირთავებად.

ხელის მტვირთავები ჩამოიკიდება ბაგირზე, რომლის ჯალამბარი (ლილი) მდებარეობს ჩამოსაკიდ თაროზე. ჯალამბარზე ბაგირის სტატიკური დაჭიმულობა ტოლია 1,5 კნ, ძრავის სიმძლავრე – 9,8 კვტ, ხოლო წონა 470 კგ. მტვირთავის დაკიდების სიმაღლე არ აღემატება 20-25 მ-ს. სანგრევში მისი გადაადგილება ხდება გამყვანის მიერ ხელით. პორიზონტალური გადაადგილების რადიუსი ჩვეულებრივ 1,5-2 მ-ია.

ხელის მტვირთავები KC-3 (ნახ. 110) და ГП-2 გამოიყენება ჭაურის პირის, მისი ტექნოლოგიური ნაწილისა და მცირე სიღრმის (200-300 მ) ჭაურების გასაყვანად. ხელის მტვირთავების რიცხვი შეიძლება შეირჩეს ჭაურის დიამეტრის მხედვით (ცხრ. 8).

ცხრილი 8


ჭაურის დიამეტრი, მ	4,5-5	5,5-6,5	7-7,5
მტვირთავების რიცხვი	2	3	4

9-ე ცხრილში მოყვანილია ხელის გრეიფერული მტვირთავების ტექნიკური მაჩვენებლები. ხელის გრეიფერული მტვირთავების დადებითი მხარეებია: მცირე წონა, უმნიშვნელო დრო ჭაურში დამონტაჟებაზე, ნებისმიერი დიამეტრის ჭაურში გამოყენების შესაძლებლობა და მცირე დირებულება. უარყოფითი მხარეებია: გრეიფერის მცირე ტევადობა, გრეიფერის ფრთების ქანში შეჭრის სიძნელე და ერთი მტვირთავის მომსახურებაზე მუშების შედარებით დიდი რიცხვი (2-3 კაცი).

ცხრილი 9

მაჩვენებლები	დამტვირთავის ტიპი	
	KC-3	ГП-2
გრეიფერის ტევადობა, მ³	0,22	0,15
დამტვირთავის წონა, კბ	900	650
საშუალო მწარმოებლურობა, მ³/სთ	15	14
აჩამჩვის ციკლის ხანგრძლივობა, წწ	40	40
პნევმოამწვევი ცილინდრის სელის სიგრძე, მმ	2500	2450
შეკუმშული ჰაერის წნევა, პა	0,5-1,0	0,5-0,7
ფრთების რიცხვი	6	5
გრეიფერის დიამეტრი, მმ:		
გახსნილ მდგომარეობაში	1670	1230
დახურულ მდგომარეობაში	1124	960

მექანიკური (მძიმე ტიპის) მტვირთავები ბაგირით ჩამოიკიდება ტელფერზე რომელსაც შეუძლია როგორც რადიალური ისე წრიული მოძრაობა.




ნახ. 110 ხელის პნევმატური მტვირთავი KC-3: 1 – გრეიფერი;
2 – პნევმოამტევი; 3 – სატარი; 4 – პნევმოსისტემა

მექანიკური მტვირთავების მუშა ორგანოა მრავალფრთიანი გრეიფერი. გრეიფერის მოცულობა იცვლება $0,4\text{--}1,25 \text{~მ}^3$ -ის ფარგლებში. 111-ე ნახაზზე ნაჩვენებია KC-2Y/40 ტიპის მექანიკური მტვირთავის სქემა. გრეიფერი 1, რომლის მოცულობაა $0,65 \text{~მ}^3$ ბაგირის საშუალებით ჩამოკიდებულია ტელფერზე 2 რომელიც გადაადგილდება 3 ჩარჩოზე. ჩარჩო ერთი ბოლოთი სახსრულადაა მიერთებული ცენტრალურ საყრდენზე 4, მისი მეორე ბოლო კი მიერთებულია საბრუნ ურიკაზე 5. წრიული მონორელსი 6 მიმაგრებულია ჩამოსაკიდი თაროს ქვედა სართულზე 7. მექანიკური მტვირთავის მართვა ხდება დისტანციურად, მემანქანის კაბინიდან 8.

დიდი დიამეტრის ჭაურების გაყვანისას (8-8,5 მ) გამოიყენება მექანიკური მტვირთავი ორი მტვირთავი გრეიფერით (KC-2Y/40). დიდი დიამეტრისა და დიდი სიღრმის (1500 მ) ჭაურების ასაგებად გამოიყენება მძიმე ტიპის მტვირთავები KC-1M და 2KC-1M. მცირე დიამეტრის მქონე ჭაურების ასაგებად შექმნილია მტვირთავი მანქანა KC-2y.

მძიმე ტიპის მექანიკური მტვირთავების ტექნიკური
მახასიათებლები მოყვანილია 10-ე ცხრილში.



ნახ. 111. მტვირთავი მანქანა KC-2Y/40

1 – გრეიფერი; 2 – ტელფერი; 3 – ჩარჩო; 4 – ცენტრალური საყრდენი; 5 – საბრუნი ურიკა; 6 – წრიული მონორელსი; 7 – ჩამოსაკიდი თარო; 8 – მემანქანის კაბინა.

ცხრილი 10


მაჩვენებლები	KC-	2KC-	KCM-2y	KC-	2KC-1M	KC-12
--------------	-----	------	--------	-----	--------	-------

	2Y/40	2Y/40		1M		
გრეიფერის ტევადობა, მ³	0,65	2×0,65	0,4	1,5	2×1,25	0,22
ტელფერის ტვირთამწეობა, კნ	50	2×50	50	50	2×50	-
გრეიფერის აწევის სმაღლე, მ	10	10	10	10	10	-
გრეიფერის აწევის სიჩქარე, მ/წმ	0,48	0,48	0,48	0,48	0,48	-
აჩამჩის (ციკლის ხასგრძლივობა, წმ)	25-30	25-30	25-30	32	32	25-35
შეპუმშეყლი პაერის ხარჯი, მ³/წთ	20	2×20	20	42	2×42	24
პნევმოამძრავის სიმძლავრე, კპტ	51,5	2×51,5	44,2	80,9	2×80,9	33,1
საშუალო მწარმოე- ბლურობა, მმ/წთ	1,2	2,1	1,3	2,5	4,7	0,6
გრეიფერის დიამეტრი, მ	5,5-6,5	7-8	4,5-5,5	6,5-8	7,5-8,5	-
გრეიფერის სიმაღლე, მ	7	7,36	6	10	10	-
წონა, ტ	16,3	24,7	9,5	27,3	52	-

14 ძანის ატანა და ზედაპირზე განტვირთვა

ჭაურების აგებისას ქანის ზედაპირზე ატანა, მასალებისა და ინსტრუმენტების ტრანსპორტირება და ხალხის ჩაყვანა-ამოყვანა ხორციელდება საგამყვანო აწევის საშუალებით. საგამყვანო აწევის მოწყობილობებს მიეკუთვნება: ამწევი მანქანები, ბადიები, ჩასაბმელი მოწყობილობანი, ურნალები გადასატვირთავი ბაქნებითა და შეკვებით, მიმმართველი ჩარჩოები, აწევისა და დამჭირდები ბაგირები და დამჭირდები თარო.

საგამყვანო აწევისათვის ძირითადად ხმარობენ ერთ (ნახ. 112, ა) ან ორბორბლიანი (ნახ. 112, ბ) ამწევ დანადგარებს. ერთბოლოიანი აწევის დროს დატვირთული ბადია 1 მოძრაობს ჭაურში ქვემოდან ზევით, ცარიელი ბადია 2 იმყოფება სანგრევში, რომელშიც ქანს ტვირთავენ.




ნახ. 112. აწევის სქემა: ა – ერთბოლოიანი; ბ – ორბოლოიანი

ორბოლოიანი აწევისას ცარიელი ბადია 1 მოძრაობს ზემოდან ქვემოთ, ხოლო სავსე 2 ქვემოდან ზემოთ. ბადია 3 იმყოფება სანგრევში და იტვირთება ერთბოლოიანი აწევა ძირითადად გამოიყენება მცირე სიღრმის ჭაურებში, ხოლო ორბოლოიანი აწევა ჭაურებში, რომელთა სიღრმე მნიშვნელოვანია (300 მ და მეტი).

ამწევ მანქანებს ამონტაჟებენ ჭაურის პირის მახლობლად, ხოლო ჯალამბრებს განალაგებენ დედამიწის ზედაპირზე

დადგმულ ხის ან ლითონის ურნალებზე. საგამყვანო
მოწყობილობების განლაგების შესაძლო სქემა ნაჩვენებია 113-ე
ნახაზზე.




ნახ. 113. მოწყობილობების განლაგების სქემა

1 - კოშკურა ურნალი; 2 - ამწევი მანქანა; 3 - ჩამოსაკიდი
თაროს ჯალამბარი; 4 - ქარგილის ჯალამბარი; 5 - ჯალამბარი
კაბელებისათვის; 6,7 - ჩამოსაკიდი ტუმბოსი და კაბელის
ჯალამბარი; 8 - ტელესკოპის ჯალამბარი; 9,10 - სავენტილაციო
და ბეტონმიმწოდებელი მილების ჯალამბარი; 11 - მაშველი კიბის
ჯალამბარი; 12 - ასაფერქებელი კაბელის ჯალამბარი.


გაყვანის პროცესში საამწეო ჭურჭლებად გამოყენებულია
0,5-2 მ³ ტენის ბადიები, რომლებიც განტვირთვის ხერხისაგან
დამოკიდებულებით შეიძლება იყოს არასაყირაო ან საყირაო
(ნახ. 114). არასაყირაო ბადია გაცლის წინ რამდენიმე მეტრით
აიწევა ქვედა მიმღები ბაქნიდან. ამ დროს მიმმართველი ჩარჩო

შედის მაჩერ მოწყობილობაში, რომელიც იკავებს მას ბადიის გაცლამდე.



114. ბადიები: α – არასაყირაო; δ – საყირაო.


საყირაო ბადიის გაცლა ხდება მისი გადაყირავებით ზედა განმტვირთავ ბაქანზე (ნახ. 115). საყირაო ბადიას არასაყირაოსაგან განსხვავებით აქვს მაფიქსირებელი შვერები, რომელსაც ზემოთ მოძრაობის დროს ეყრდნობა საეციალური მოწყობილობის მიმმართველი ჩარჩო 2. დამცავ თაროში ბადიის გავლის დროს ბადიის შვერები შედის მილძაბრებში 3 არსებული მიმმართველ მრუდებში 4 და აიძულებს ბადიას შემოტრიალდეს მანანდე, სანამ მისი შვერები არ შევა მიმმართველ ჩარჩოს დარებში. განტვირთვის წინ ბადია აიწევა განმტვირთავ ბაქნიდან 1,5-2 მეტრზე, ლადები 5 დაიხურება, დაეშვება განმტვირთავ დაზგაზე და გადაყირავდება.



ნახ. 115. ბადიის გაცლის სქემა


ბადიის ჩამოკიდება ბაგირზე ხორციელდება სპუციალურ ჩასაბმელი მიწყობილობით, რომლის კონსტრუქცია საშუალებას იძლევა ბადიის ჩაბმა და ახსნა მოვახდინოთ სწრაფად. ჩასაბმელი მოწყობილობის ზევით მოთავსებულია მიმყოლი ჩარჩო (ნახ. 116), რომელიც მოძრაობს რა ორ მიმმართველ ბაგირზე, ბადიას იცავს განივი რხევისაგან. მიმმართველი ბაგირების ქვედა ბოლოები ჩამაგრებულია სანგრევთან ახლოს განლაგებულ დამჭიმავ თაროზე (ნახ. 117) ეს უკანასხნელი კი – ჭაურის კედლებში. ბაგირების ზედა ბოლოები დახვეულია ჯალამბარზე, რომელიც, დამონტაჟებულია ურნალის თაროზე. ბადიის მოძრაობის დროს მიმმართველი ჩარჩო ჩერდება მიღყელში და ბადია სანგრევამდე დაეშვება მიმმართველი ბაგირებისა და ჩარჩოს გარეშე. ამ უბანზე ბადიის მოძრაობის სიჩქარე ქანის ატანის დროს არ უნდა აღემატებოდეს 2 მ/წმ, ხოლო ხალხის ტრანსპორტირებისას – 1 მ/წმ. ჭაურის ჩაღრმავებასთან ერთად წარმოებს ბაგირების განხვევა და დამჭიმავი თაროს გადაადგილება ქვემოთ, შესაბამის სიღრმეზე. დამჭიმავ თაროზე კეთდება ხის ან ლითონის ფენილი,

რომელიც იცავს სანგრევში მყოფ მუშებს ბადიიდან შემთხვევით გადმოვარდნილი ქანის ნატეხებისა და სხვა საგნების ჩაცვენისაგან. ბადიების საკენტილაციო მილების და სხვა გვირაბგასაყვანი მოწყობილობების გასატარებლად დამჭიმავ თაროში ასევე ტოვებენ შესაბამის საძრომებს, რომელთა განლაგება შეესაბამება ზედაპირზე ძირითად ჩარჩოში ამავე მიზნით გაკეთებულ საძრომებს (ლადებს).




ნახ. 116. მიმყოლი ჩარჩო

საგამყვანო აწევის ერთ-ერთ ძირითად მოწყობილობას მიეკუთვნება ურნალები გადასატაროთავი ბაქნებითა და შკივებით. ამჟამად ჭაურების აგებისა და მისი ექსპლუატაციისათვის, დიდი გამოყენება აქვს კოშკურ ურნალებს მრავალბაზირიანი ამწევი მანქანებით. ამ პირობებში აწევის სამი ძირითადი სქემა არსებობს:



ნახ. 117. დამჭიმავი ჩარჩო-თარო

ჭაურის აგების დაწყებამდე მთლიანად დაამთავრებენ კოშკურა ურნალის მშენებლობას და მრავალბაზირიანი ამწევი მანქანის დამონტაჟებას (ნახ. 118, ა)




ნახ. 118. აწევის სქემა ჭაურების აგების დროს

კოშკურა ურნალი აშენდება ნაწილობრივ (30-40 მ) და მასზე დამონტაჟდება დროებითი საშკივე ბაქანი. მიწის ზედაპირზე, ჭაურთან ახლოს, განლაგდება დროებითი ამწვევი მანქანა. ჭაურის აგების დაწყების პარალელურად წარმოებს კოშკურა ურნალის მშენებლობის და მუდმივი ამწვევი მანქანის სამონტაჟო სამუშაოები (ნახ. 118, ბ)

თუ ჭაურის ექსპლუატაცია გათვალისწინებულია ლითონის (ფერმის ტიპის) ურნალებით, მაშინ ჭაურის ასაგებად გამოიყენება დროებითი ურნალები და დროებითი ამწვევი მანქანები (ნახ. 118, გ).

დროებითი საგამყვანო ურნალი ნაჩვენებია 119 ნახაზზე, რომლის აწყობა წარმოებს ცალკეულ ბლოკებად.



ნახ. 119. დროებითი საგამყვანო ურნალი
1-2 ირიბულა; 3 – სასკიპე ბაქანი; 4 – ქანსაშვები ღარი; 5 – ბადიის საძრომი (ლადები).


14.1 მოწყობილობათა კომპლექსები ჭაურების აგებისათვის

ჭაურის აგების სიჩქარის და შრომის ნაყოფიერების გაზრდა შეიძლება ხორციელდებოდეს გაყვანის ციკლის ყველა პროცესის კომპლექსური მექანიზაციის საშუალებით.

არსებობენ მოწყობილობათა კომპლექსები რომლებიც უზრუნველყოფენ ძირითადი პროცესების – შპურების ბურღვის, ქანის დატვირთვის და მონოლითური ბეტონის სამაგრის ამოყვანის მექანიზაციას. ამ კომპლექსებით შესაძლებელია 4-დან 9 მ-დე დიამეტრის და 300-დან 1600 მ-მდე სიღრმის ჭაურების აგება. კომპლექსებში შპურების ბურღვა წარმოებს ნუკს-ს ან ცМБУ-ს ტიპის დანადგარებით, ქანის დატვირთვა ხორციელდება პნევმატიური მტვირთავი მანქანებით, ხოლო სამაგრის ამოყვანა სასანგრევო გადასატანი ყალიბით.

300 მ-მდე სიღრმის ჭაურების ასაგებად იყენებენ კომპლექსებს კБ-1, «უგლიცა-2მ», კС-7 და ՕСК-ს.

კБ-1 კომპლექსის (ნახ. 120) შემადგენლობაში შედის ხელის საბურღლი პერფორატორები (ПР-30ЛС) მსუბუქი ტიპის დამტვირთავი მანქანა კС-3 (ორი ცალი), 1-2 მ³ მოცულობის ნПС-ის ტიპის ბადია, სასანგრევო საგდულებიანი ან სექციური ყალიბი, ბეტონმიმწიდებელი მილები და სასანგრევო (Н-1მ) ან ჩამოსაკიდი (ППН-50-12М) ტუმბოები.



ნახ. 120. კომპლექსი KБ-1: 1 - ყალიბი; 2 - დამტვირთავი მანქანა KC-3; 3 - ჩამოსაკიდი ორსართულიანი თარო; 4 - ბეტონგამტარი

რთავი მანქანების სანგრევში ჩაშვებას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანას ესაჭიროება 1,5-2 სთ.

კომპლექსი KC-2y (ნახ. 121). საშუალო სიღრმის (300-600 მ) ჭაურების ასაგებად ფართო გავრცელება პპოვა KC-2y და 2KC-2y კომპლექსმა. კომპლექსი KC-2y შედგება მექანიკური მტვირთავისაგან, БУКС-1М ტიპის საბურდი დანადგარისაგან, БЛС ან ნПСН დიდი ტევადობის (3-5,5 მ³) საყირაო ბაზისაგან.

მექანიკური მტვირთავი მიმაგრებულია საგამყვანო თაროს ქვედა სართულზე. თაროს დიამეტრი 40 მმ-ით ნაკლებია ჭაურის დიამეტრზე (სინათლეში). დარჩენილი ღრებო გადაიხურება ფარებით.


KБ-1 კომპლექსის ტექნიკური მასასიათებლები მოყვანილია მე-4-ე ცხრილში. KБ-1 კომპლექსის ძირითად ღირსებას წარმოადგენს საგამყვანო მოწყობილობების მცირე წონა და დაბალი ღირებულება, რაც იძლევა საშუალებას ჭაური აღვჭურვოთ დროისა და სახსრების მინიმალური დანახარჯებით. ფაქტიურად საგამყვანო მოწყობილობების მონტაჟზე განკუთვნილი დროის ძირითადი ნაწილი იხარჯება ორსართულიანი

საგამყვანო თაროს და ბეტონგამტარი მილების აწყობაზე. საბურდი და დამტვირთავი

1,5-2 სთ.

206

საგამყვანო თარო, საპირწონეებით, დაკიდებულია ბაგირებზე-
ეს უკანასკნელი კი დახვეულია **ЛПЭ-10** ან **2ЛПЭ-10** ჯალამბარზე-
მუშაობის დროს თარო გაიჭექება პიდროდომერატების
საშუალებით.




ნახ. 121. მოწყობილობათა კომპლექსი **KC-2y** 1 – ჩამოსაკიდი
თარო; 2 – ქარგილი; 3 – ბეტონსატარი მილი; 4 – ბეტონის
სიჩქარის ჩამქრობი; 5 – მოქნილი ხორთუმი.

ღრმა (700-1600 მ) ჭაურების ასაგებად შექმნილია **KC-1M**, **KC-1M/6,2**, **ДШП-1**, **KC-8**, **KC-10** და სხვა ტიპის მოწყობილობათა
კომპლექსები.

კომპლექსი KC-1M-ის (ნახ. 122) შემაღებლობაში შედის:
ორსართულანი საგამყვანო თარო 1 რომელზედაც ხისტადაა
მიერთებული 27,8 მ სიგრძის ლითონის დამცავი ფარი 2,
მექანიკური მტვირთავი და გადამაადგილებული ურიკა 3,

ლიოთონის საგდულებიანი ქარგილი 4, საყრდენი (საპიკოტაჟი) რგოლი 5, დიდი ტევადობის (3-5,5 მ³) საყირაო ბაზია 6.




ნახ. 122. მოწყობილობათა კომპლექსი KC-1M

დროებითი სამაგრის მოვალეობას. ფარის ქვედა ნაწილი აღჭურვილია დანისებური გაძლიერებული რგოლით.

ქანის დატვირთვის პარალელურად, სანგრევიდან 30-32 მ-ის მანძილზე, წარმოებს მუდმივი სამაგრის ამოყვანა. სამაგრის ამოყვანას ემსახურება საყრდენი (საპიკეტაჟო) რგოლი და ლიოთონის კონუსური საგდულებიანი ქარგილი. ქარგილის მუშა სიმაღლე 5 მ-ის ტოლია.

შპურების გასაბურდად იყენებენ ПР-24ЛС ტიპის ხელის „პროლეტარსკაია გლუბოკაიას“ ჩქაროსნული გაყვანის (390,1 მ/თვ) მაგალითის მიხედვით, სანგრევში ერთდროულად მომუშავე საბურდი მანქანების რიცხვი 25-26 შეადგენს.

კომპლექსი ქშп-1 (ნახ. 123) გამოიყენება ღრმა (700-900 მ) ჭაურების აგებისათვის. მის შემადგენლობაში შედის დამცავი



ნახ. 123. მოწყობილობათა
კომპლექსი ქშп-1

ფარი 1 რომლის სიგრძე 9-10 მ-ია, 16 მ სიმაღლის ექვს სართულიანი საგამყვანო თარო 2, ჩამოსაკიდი, სექციური, რგოლური ტიპის ლითონის ქარგილი 3 რომლის სიმაღლე 4,2 მ-ია, ჩამოსაკიდი საყრდენი (საპიკეტაჟო) რგოლი 4 რომელზედაც დაკიდებულია რეზინის გარსაცმი 5, დამტკირთავი მანქანა 6 (КС-1М) გრეიფერის მოცულობით 1,25 ტ³

და საყირაო ბადია 7.

ექვს სართულიანი საგამყვანო თარო დაკიდებულია ბაგირებზე. მის ზედა მეექვე და მეხუთე სართულზე მოთავსებულია პიდროდომკრატები თაროს გასაჭექად ჭაურის გამაგრებულ კედლებს შორის. დანარჩენი ქვედა ოთხი სართულიდან წარმოებს მუდმივი სამაგრის ამოყვანა უბნებად ქვემოდან ზემოთ. დამოკლებული ლითონის დამცავი ფარი დაკიდებულია ცალკე ბაგირებზე და სანგრევის გადაადგილებასთან ერთად წაიწევს წინ. ამ დროს ექვს სართულიანი საგამყვანო თარო უძრავდაა. სივრცე, ლითონის დამცავ ფარსა და საგამყვანო თაროს შორის დაცულია რეზინის გარსაცმით. რეზინის გარსაცმი მზადდება საკონვეირო დენტის

გადანაჭრებისაგან. შპურების ბურღვა წარმოებს ПР-2ЧЛС ტიპის ხელის საბურღი მანქანებით.

დონეცკის აუზში დშპ-1 კომპლექსის გამოყენებით მიღწეული იქნა ჭაურის გაყვანის რეკორდული სიჩქარე 401,3 მ/თვ.


მოწყობილობათა კომპლექსები (KC-1M, KC-1M/6,2, დშპ-1), რომლებიც აღჭურვილი არიან ლითონის დამცავი ფარით, გამოიყენებიან ჭაურის, შეთავსებული სქემის სამუშაოთა პარალელური შესრულებით აგების დროს.

მოწყობილობათა კომპლექსები (КБ-1, «Углубка-2М», KC-7 OCK, KC-2y, 2KC-2y, KC-8, KC-9, KC-10), რომლებსაც არ გააჩნიათ ლითონის დამცავი ფარი, გამოიყენებიან ჭაურის, შეთავსებული სქემის სამუშაოთა თანამიმდევრიბით შესრულებით, აგების დროს.

15. წყალამოღვრა

ჭაურების აგებისას სანგრევში დაგროვილი წყალი მნიშვნელოვნად აძლევს მუშაობას. სანგრევში დაგროვილი წყლის 60-80% მოქონავს გვირაბის კედლებზე და მხოლოდ 2-5% ნაწილში გვირაბის განივალების განვივეთზე.

სანგრევში წყლის მოდენის შემცირების მიზნით ჭაურში ერთმანეთისაგან გარკვეულ მანძილზე სამაგრის შიგა ზედაპირზე აწყობენ წყალსაპრებ დარებს (ნახ. 124) ან სამაგრს გარეთ აკეთებენ თხრილებს. ორივე შემთხვევაში წყალი მიღების საშუალებით მიეწოდება შეალედ წყალსაკრებს (ნახ. 124), საიდანაც აიტუმბება ზედაპირზე.




ნახ. 124. წყალსაკრები დარები: 1 – სამაგრი; 2 – წინაფრა; 3 – შველერი; 4 – მილყელი; 5 – წყლის ჩამოსაშვები მილიი

მუშაობის პირობებისგან (წყლის მოდენა, დაწნევის სიმაღლე) დამოკიდებულებით სანგრევიდან წყლის მოცილება შეიძლება საამწეო ჭურჭლებით და სხვადასხვა კონსტრუქციის ტუმბოებით.

სანგრევიდან წყლის მოსაშორებლად საამწეო ჭურჭლებს (ბადიებს) იყენებენ მცირე წყლის მოდენის დროს. წყლის ზედაპირზე ატანა წარმოებს ქანის ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ბადიებით. წყალი ბადიაში ჩაისხმება ჩამჩებით ან გადაიტუმბება ხელის H-1M ტიპის ტუმბოებით.

წყლის დიდი მოდენისა და მნიშვნელოვანი დაწნევის დროს ჭაურების წყალამოღვრა ხორციელდება სხვადასხვა

კონსტრუქციის გვირაბგასაყვანი ტუმბოებით. ასეთ ტუმბოებს უნდა ჰქონდეთ მცირე გაძარიტული ზომები (გეგმაში) და



ნახ. 125. წყლის შეკრება შეალედ წყალსაკრებში: 1 – სადრენაჟო მოწყობილობა; 2 – წყალშემცველი შრე; 3 – წყალდამჭერი რგოლი; 4 – მილგაყვანილობა; 5 – გადასატუმბი სადგური; 6 – აგზები; 7 – ტუმბო.

შეეძლოს ჭაურის სიღრმის მომატების შესაბამისად დაწნევის შეცვლა მწარმოებლურობის შენარჩუნებით. ამას გარდა უნდა ჰქონდეს შეწოვის კარგი უნარი და მცირე მასა.

ჩვეულებრივ, გაყვანის პროცესში ჭაურში ჩაშვებულია ორი ტუმბო, რომელთაგან ერთი მუშაობს, ხოლო მეორე რეზერვშია. ამ ორი ტუმბოს გარდა ზედაპირზე სრულ მზადყოფნაში უნდა იყოს ერთი სათადარიგო აგრეგატი. სარეზერვო ტუმბოს მუშა ტუმბოსთან ერთად ამჟმავებენ სანგრევში წყლის დიდი


რაოდენობით დაგროვების შემთხვევაში (აფეთქებისა და განიავების შემდეგ). ტუმბოს მწარმოებლურობა შეირჩევა იმ ანგარიშით, რომ 1,5-1,8-ჯერ აღემატებოდეს წყლის ნორმალურ მოდენას.

ჭაურის სიღრმეზე დამოკიდებულებით წყალამოღრა შეიძლება იყოს ერთსაფეხურიანი ან მრავალსაფეხურიანი.

საფეხურის სიმაღლე განისაზღვრება შერჩეული ტუმბოს დაჭირხნის სიმაღლის მიხედვით. ჩვეულებრივ საგამყვანო ტუმბოების დაჭირხნის სიმაღლე 200-400 მ-ის ტოლია.

ერთსაფეხურიანი წყალამოღრის სქემა ნაჩვენებია 126-ე ნახაზზე. ტუმბო 1 დაკიდებულია ამწევი ბაგირის ორ შტოზე 2-3,

ბაგირის ერთი შტო (2) ეწვა ჯალამბარს 4 ხოლო მეორე შტო (3) ხისტადაა ჩამაგრებული საგამყვანო ურნალზე 5.



ნახ. 125. წყალამოღრის სქემა ჩამოსაკიდი ტუმბოს გამოყენების დროს.
დამჭირხნი მიღსადენი მუშაობისას იმყოფება წნევის ქვეშ, ამიტომ იგი, ჩვეულებრივ, ფოლადის მიღებისაგან მზადდება.


მილსადენები გვირაბში ისე უნდა განლაგდეს, რომ
მოსახერხებელი იყოს მათი რემონტი, მონტაჟი და დემონტაჟი.

მილსადენები ჭაურში შეიძლება დამაგრდეს სხვადასხვა
სერხით (ნახ. 127): ჩამოსაკიდი ტუმბოს ბაგირის ორ შტოს შორის
ცალუდებით (ნახ. 127, ა);

ჭაურის სამაგრში ჩამაგრებულ კრონშტეინებზე (ნახ. 127, ბ);

პირველი ხერხით დამაგრებისას მილები მთლიანად უყრდნობა
ტუმბოს და ბაგირები მას მხოლოდ განივი რხევებისაგან იცავს.
ამ შემთხვევაში მილების დაგრძელება წარმოებს მხოლოდ
ზევიდან, ცალუდებს დგამენ ყოველ 2-5 მეტრზე.

მეორე ხერხით დამაგრების დროს მილების დაგრძელება
წარმოებს ქვევიდან; ტუმბო მილსადენს უერთდება მოქნილი
შლანგით.



ნახ. 127. მილსადენებისა და კაბელების ჩამოკიდება:
ა – ბაგირებზე ცალუდების საშუალებით; ბ – ჭაურის სამაგრში
ჩამაგრებულ საყრდენებზე.


ჭაურში ტუმბოს ჩამოკიდება, ჩაშვება და ამოტანა ხორციელდება სპეციალური ჯალამბრებით. ამ ჯალამბრებს აქვთ მუშა ელექტრული და დამხმარე ხელის ამძრავი, აგრეთვე ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მექანიკური მუხრუჭი.

ტუმბოს ელექტროენერგია მიეწოდება კაბელით, რომლის ერთი ბოლო დახვეულია ჯალამბრის დოლზე, ხოლო მეორე ბოლო ურნალის შეკიფის გარშემოვლით ჩაშვებულია ჭაურში ტუმბოს ძრავამდე.

ორსაფეხურიანი (მრავალსაფეხურიანი) წყალამოღვრას
მიმართავენ იმ შემთხვევაში, თუ ასაგები ჭაურის სიღრმე აღემატება ტუმბოს დაჭირხვნის სიმაღლეს.

დიდგაბარიტიანი დანადგარებით სანგრევის გადატვირთვის თავიდან აცილების მიზნით შესაძლოა გამოყენებული იქნეს 128-ე ნახაზზე ნაჩვენები წყალამოღვრის ტექნოლოგიური სქემები. ასეთ შემთხვევაში წყალი იტუმბება 40 მ-ის სიმაღლეზე პნევმატიური ან ელექტრული მცირებაბარიტიანი სასანგრევო ტუმბოების საშუალებით, ხოლო შემდეგ ჩამოსაკიდი ტუმბოებით.

როგორც აღნიშნული იყო, ღრმა ჭაურებში ეწყობა წყლის ამოღვრის შუალედი სადგურები. მანძილი შუალედ სადგურებს შორის განისაზღვრება ტუმბოს დაჭირხვნის სმაღლის მიხედვით (200-400 მ). შუალები სადგურები აღჭურვილი არიან ცHC-ის ტიპის პორიზონტალური ტუმბოებით.



ნახ. 128. საფეხურიანი წყალამოღვრის სქემები.

ტუმბოების დისტანციური მართვის უზრუნველსაყოფად საჭიროა მოეწყოს აგტომატური ჩამრთველები (რეზერვუარში წყლის დონის ცვალებადობის შესაბამისად) და განხორციელდეს მათი წყლით თვითავსება.

16. სამაბრის ამოყვანა

16.1 მონოლითური ბეტონის სამაგრის ამოყვანა


ჭაურების აგებისას ყველაზე მეტად გავრცელებულია მონოლითური ბეტონის სამაგრი. ბეტონი არის ხელოვნური ქვა, რომელიც მიიღება რაციონალური ნარევის გამაგრების შედეგად.

რაციონალური ნარევი შედგება: ცემენტის, ინერტული მასალის (ქვიშა, ხრეში), წყლის და ქიმიური დანამატისაგან.

ჰეტონის სამაგრის ამოყვანა ჭაურების თანმიმდევრობითი და პარალელური სქემით მშენებლობისას წარმოებს ქვევიდან ზევით ლითონის ინვენტარული ან ხის ყალიბის საშუალებით. ლითონის ინვენტარული ყალიბის რგოლი შედგება 1 მ სიმაღლის და $1,4 \div 1,7$ მ სიგრძის (ქორდაზე) სეგმენტებისაგან.

ხის ყალიბი შედგება ორი ქარგილისაგან, რომლებიც შემოიფიცრებიან $25 \div 30$ მმ სისქის და 1 მ სიმაღლის გარანტული ფიცრების საშუალებით. ქარგილებს შორის დაიდგმება გამბრჯენები.

ჭაურების თანამიმდევრობითი სქემით მშენებლობის დროს, სამაგრის ამოყვანისას ქვევიდან ზევით, სამუშაოთა თანმიმდევრობა შემდეგია (ნახ. 129): საყრდენი გვირგვინის მოწყობის ადგილას წარმოებს შესაბამისი ქანის გამოღება. ხორციელდება ჭაურის სანგრევის წინწაწევა ორ აფეთქებაზე; ამასთან, მეორე აფეთქების შემდეგ ქანი არ აიწმინდება




ნახ. 129. საყრდენი გვირგვინის მოწყობა თანამიმდევრული სქემის დროს: 1 – ქვიშა; 2 – ყალიბი; 3 – საყრდენი გვირგვინი.

და სანგრევის ზედაპირი მოსწორდება. ეწყობა ქვეში, იხსნება საყრდენი გვირგვინის დროებითი სამაგრი, დაიდგმება ყალიბი და დაბეტონდება საყრდენი გვირგვინი. დაბეტონებულ საყრდენ გვირგვინამდე ჩაიშვება კიდული თარო ან დამჭიმავი ჩარჩო. იხსნება ჭაურის დროებითი სამაგრის ერთი ან ორი რგოლი, დაიდგმება ყალიბი, ამოიყვანება ბეტონის სამაგრი, აიწევა კიდული თარო ან დამჭიმავი ჩარჩო ამოყვანილი კედლის დონეზე და პროცესი მეორდება.

უბნის მთელ სიმაღლეზე ბეტონის სამაგრის ამოყვანის შემდეგ კიდული თაროს ან დამჭიმავი ჩარჩოს თანდათანობით ქვემოთ მოძრაობით ხორციელდება ადრე დაყენებული ყალიბის მოხსნა და ზედაპირზე ამოზიდვა. ყალიბის მოხსნასთან ერთად წარმოებს სავენტილაციო, კუმშული პაერის და ბეტონის მილსადენების დაგრძელება. კიდული თარო ან დამჭიმავი ჩარჩო ბოლოს ჩაიშვება საყრდენი გვირგვინის დონეზე და ჭაურის გაყვანა განახლდება.

პარალელური სქემით მუშაობისას სამაგრის ამოყვანა უთავსდება ჭაურის გაყვანას. საყრდენი გვირგვინი ამოიყვანება (ნახ. 130) ჭაურის გაყვანასთან ერთად სანგრევის გაუჩერებლად დამჭიმავი ჩარჩოს გამოყენებით. ამ შემთხვევაში დამჭიმავ ჩარჩოზე მოეწყობა ქვეში. სყრდენი გვირგვინის და ბეტონის სამაგრის ამოყვანა ხორციელდება ზემოთ აღწერილი თანმიმდევრობით.

მაგარ ქანებში ბეტონის სამაგრი ამოიყვანება საყრდენი გვირგვინის მოწყობის გარეშე.



ნახ. 130. საყრდენი გვირგვინის მოწყობა პარალელური სქემის
დროს

განხილული სქემებით მუდმივი სამაგრის ამოყვანის
მოწყობილობათა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს კიდული
თარო.

კიდული თარო (ნახ. 131) ორი ან მრავალსართულიანია. იგი
შედგება ქვედა 1 და ზედა 2 სასართულე მოედნების, მათი
დამაკავშირებელი დგარების, ჩასაბმელი მოწყობილობის 4,
მილძაბრების 5 გასაბრჯენი დომკრატების 6 და ლიადებისაგან
(სარქველები) 7.

თაროები მზადება ასაწყობ-დასაშლელი კონსტრუქციის.
სასართულე მოედნები შედგება გარე რგოლის, მზიდი ძელებისა
და ფურცლოვანი ლითონის ფენილისაგან. თაროს სართულები
ერთმანეთთან დაკავშირებულია კიბეებით.


თაროს ჩამოკიდება დამოკიდებულია გაყვანის ტექნოლოგიურ
სქემაზე და შეიძლება განხორციელდეს: ერთი ბაზირით, ერთი

ბაგირის ორი შტოთი (პოლისპასტური ჩამოკიდება ერთი ან სამი შეკვეთის საშუალებით), მიმმართველი ბაგირებით და თაროს პერიფერიაზე განლაგებული ოთხი ბაგირით. თაროს ყველა სახის ჩამოკიდების დროს მისი ცენტრი ყოველთვის რჩება თავისუფალი შვეულის გასატარებლად.

შეთავსებული სქემებით მუშოაობისას ჭაურის სამაგრის ამოყვანა წარმოებს ზევიდან ქვევით, უბნებად, ხოლო ცალკეულ უბანში კი ქვემოდან ზევით მოძრავი სექციური და საგდულებიანი სასანგრევო ყალიბების გამოყენებით.


საგდულებიანი სასანგრევო ყალიბი (ნახ. 132) შედგება ხისტი კარკასისაგან, რომელიც წარმოადგენს ორ რგოლს (1-2) ერთმანეთთან დაკავშირებული სვეტებით (3). ხისტ კარკასთან სახსრების (5) საშუალებით დაკავშირებულია საგდულები (4), რომლებიც ქმნიან ლითონის ცილინდრს სიმაღლით 2,1-დან 5 მ-მდე და ჭაურის კვეთს სინათლეში შესაბამისი დიამეტრით. სექციური ყალიბი შეიძლება იყოს ხისტი კარკასიანი ან კარკასის გარეშე.

სექციური ყალიბი (ნახ. 133, а) შედგება მაფორმირებელი ცილინდრული გარსისაგან 1 და ხიხისტის ნეკნებისაგან 2, გარსი – ცალკეული სექციებისაგან, ხოლო კარკასი – ორი რგოლისა 4 და დგარებისაგან 3.



ნახ. 131. კიდული თარო

1 - ქვედა სართული; 2 - ქვედა სართულის ლითონის ფერდი; 3 - დგარი; 4 - ბადიის მილძაბრა; 5 - ზედა სართულის ლითონის კონსტრუქცია; 6 - ასაკეცი ფარი; 7 - ზედა სართულის ლითონის ფენილი; 8 - ჩამოსაკიდი მოწყობილობა; 9 - საგენტილაციო მილის მილძაბრა; 11 - ტუმბოს ლადა (საძრომი); 12 - ბრჯენი რიგელით; 13 - მაშველი კიბის ლადა; 15 - ცენტრალური შეეჭის მილძაბრა; 16 - კუმშული ჰაერის მილების მილძაბრა.




ნახ. 132. საგდულებიანი ყალიბი: 1-2 – სისტი ქარქასი; 3 – სვეტი; 4 – საგდულები; 5 – სახსრები

ნახ. 133. სექციური ყალიბი: 1 – ცილინდრული გარსი; 2 – სისტის ნეპნები; 3 – დგარი (სვეტი); 4 – რგოლი.

სექციები ერთმანეთთან დაკავშირებულია ფარკოფულად, რომლის მუშაობის პრინციპი ნათლად მოჩანს 132 ბ ნახაზიდან.

ბეტონის სამაგრის ამოცვანა შეთავსებული სქემის სამუშაოთა თანმიმდევრული შესრულებით ნაჩვენებია 134-ე ნახაზზე.




ნახ. 134. ბეტონის სამაგრის ამოცვანა შეთავსებული სქემით
სამუშოთა თანმიმდევრული შესრულების დროს.

შპურების ბურდვის წინ ქარგილი იმყოფება 2-2,5 მ-ის სიმაღლეზე სანგრევიდან (ნახ. 134, ა). შპურების აფეთქების შემდეგ აფეთქებული (გაფხვირებული) ქანი მთლიანად შეავსებს დატოვებულ და ნაწილობრივ ქარგილს შიგნითა სივრცეს (ნახ. 134, ბ). განიავებისა და სანგრევის უსაფრთხო მდგომარეობაში მოყვანის შემდეგ შეუდგებიან ქანის დატვირთვას (ნახ. 134, გ). დატვირთვის I ფაზის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქანის ნაწილს საგულდაგულოდ მოასწორებენ და მასზე ლითონის ყალიბს დადგამენ. ყალიბის დაეჭნების (დაცენტრების) შემდეგ იწყებენ 1,5-2 მ სიმაღლის ბეტონის სამაგრის ამოცვანას. მიიღებს რა ბეტონი სათანადო სიმტკიცეს შეუდგებიან ქანის დატვირთვის II ფაზას და თუ ეს შესაძლებელია ამოჰყავთ ბეტონის სამაგრის დარჩენილი ნაწილი.

ბეტონის სამაგრის ამოცვანა შეთავსებული სქემის სამუშაოთა პარალელური შესრულებით წარმოებს მოწყობილობათა ისეთი

კომპლექსების გამოყენებისას, რომელთაც გააჩნიათ დამტვილი (KC-1M, დშპ-1).

ყალიბის დაკიდების საერთო სქემა (კომპლექსი KC-1M) ნაჩვენებია 135-ე ნახაზზე.




ნახ. 135. ბეტონის სამაგრის ამოფვანა შეთავსებული სქემისა
და სამუშაოთა პარალელური შესრულების დროს

KC-1M კომპლექსში გამოყენებული ყალიბის 1 მუშა სიმაღლე 5 მ-ია, ხოლო საერთო სიმაღლე 7,45 მ. იგი დაკიდებულია სამ ბაგირზე 2. ყალიბს ქვევით განლაგებულია საყრდენ-საპიკოტაჟო რგოლი 3, რომელზედაც მარაოსებურად ეწყობა საპიკეტაჟო საფენი ხის ძელებისაგან 4. რგოლი დაკიდებულია დამოუკიდებლად ბაგირების საშუალებით. ბეტონის მიწოდება წარმოებს ლითონის მიღების მოქნილი დაბოლოების 5 საშუალებით.

ბეტონის სამაგრის ამოყვანა წარმოებს

1-1,5 მ სისქის



ნახ. 136. სიჩქარის
ჩამქრობი

იგი დაიკიდება ბაგირებზე და მიმაგრდება სამაგრზე ან გამბრჯენებზე. მილსადენის სწრაფი ცვეთის თავიდან ასაცილებლად საჭიროა დავიცვათ დაკიდების ვერტიკალობა.

ბეტონის სსნარი და მისი შემადგენელი კომპონენტები მოძრაობს რა მილსადენში განიცდის აჩქარებას და შესაძლოა მოხდეს მისი განშრევება. განშრევების თავიდან აცილების მიზნით მილსადენებს ყოველ 100-200 მ-ის დაშორებით უკეთდება სიჩქარის ჩამქრობები (ნახ. 136). დაბეტონების შემდეგ საჭიროა მილსადენის საგულდაგულოდ გამოწმენდა (გამორეცხვა).

შრებად. ბეტონის ნარევის უკანასკნელი ულუფა უნდა იყვას უფრო პლასტიური (თხელი) რათა მთლიანად შეივსოს სამაგრის ტექნოლოგიური ნაკერი.

ამრიგად, მოწყობილობათა კომპლექსები, რომლებიც აღჭურვილი არიან დამცავი ფარებით (გარსით), იძლევიან საშუალებას ქანის გამოღება და მუდმივი სამაგრის ამოყვანა გაწარმოოთ დამოუკიდებლად ერთმანეთის პარალელურად.

როგორც აღნიშნული იყო, ბეტონის სსნარის მოწყობება ხორციელდება 150-300 მმ დიამეტრის ფოლადის მილსადენით.

16.2. ტუბინგური სამაგრის ამოყვანა


ჭაურების გამაგრებისათვის იყენებენ რკინაბეტონის და თუჭის ტუბინგებს. რკინაბეტონის ტუბინგები ფართოდ იხმარებოდა 1955-1960 წწ. დღეისათვის კი მათი გამოყენება იშვიათია. თუჭის ტუბინგებს ძირითადად იყენებენ რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში სპეციალური მეთოდებით (გაყინვა, ქანების ტამპონაჟი) მშენებარე შახტებში. ტუბინგური სამაგრის დადებითი მხარეებია: ამოყვანისთანავე სამთო წნევის (დატვირთვა) მიღება; სამაგრის ამოყვანა, ანუ ცალკეული სეგმენტების მონტაჟი არ წარმოადგენს სირთულეს; სამაგრის ზევიდან ქვევით ამოყვანისას გამორიცხულია დროებითი სამაგრის გამოყენება; წყალგაუმტარობა. ხოლო უარყოფით მხარედ უნდა ჩაითვალოს მაღალი დირებულება. რკინაბეტონის ტუბინგების დირებულება 30-40%-ით, ხოლო თუჭის ტუბინგების 100-200%-ით მეტია შესაბამისი 1 მ სიმაღლის მონოლითური ბეტონის სამაგრზე; სამუშაოების შრომატევადობა – სეგმენტების ერთმანეთთან ჭანჭიკებით დაკავშირება, ნაკერების გამკვრივება და სამაგრს უკან სივრცის ტამპონირება.

რკინაბეტონის სამაგრის ამოყვანის ცვლური მწარმოებლურობა 2-2,5-ჯერ ნაკლებია მონოლითური ბეტონის სამაგრთან შედარებით.

ВИНИОМШС-ის კონსტრუქციის (ნახ. 137) რკინაბეტონის ტუბინგები გამოიყენება 4-9 მ ღიამეტრის ჭაურებში.

CTK-ს ტიპის ტუბინგები (ნახ. 138) მზადდება 500 მარკის ბეტონით და წარმოადგენს თხელკედლიან გარსს.

რეინაბეგონის ტუბინგები გათვლილია დატვირთვაზე 40 ტ/მ². თუკის ტუბინგური სამაგრი შედგება ნორმალური, მომიჯნავე და საჭექი სეგმენტისაგან.




6а б. 137. ВНИИОМШС-ის კონსტრუქციის რეანიმიზაციის
ტექნიკური დოკუმენტი

ნორმალური ტუბინგი წარმოადგენს სხმულ სეგმენტს, რომელიც შეიცავს გარსს და მაკონტურებელ ორ წრიულ და ორ რადიალურ ქიმურს. თითოეულ ქიმურს გააჩნია ექვსი ხვრები ჭანჭიკებისათვის. გარდა ამისა, სეგმენტს შიგა ზედაპირზე აქვს ორი კლინიკალური და ერთი პორიზონგალური სისისტემის ნეტურები.

მომიჯნავე სეგმენტი ნორმალურისაგან განსხვავდება იმით, რომ ერთი ქიმურა მცირე კუთხით არის დახრილი რადიუსთან. საჭებე სეგმენტი მცირე სიგანისაა და მის ვერტიკალურ ქიმურებს უკუდახრილობა ახასიათებთ.

არსებობს აგრეთვე ტუბინგური სამაგრი მხოლოდ და მხოლოდ ნორმალური სეგმენტებით. ტუბინგური სამაგრის კომპლექტში


შედის თუჯის საყრდენი გვირგვინები შემაურთებელი (საპიკოტაჟო) ტუბინგები და ჭანჭიკები. ტუბინგური სამაგრის ამოცანა ხორციელდება ზევიდან ქვევით ჭაურების შეთავსებულ და პარალელური სქემით აგების დროს და ქვევიდან ზევით ჭაურების პარალელური და თანამინდევრული სქემით აგების შემთხვევაში.



ნახ. 138. CTK-ს კონსტრუქციის ტუბინგი

სამაგრის ზევიდან ქვევით ამოცანის შემთხვევის დროს (ნახ. 139) ტუბინგები ჩამოკიდებულია უშალოდ სანგრევიდან ადრე დამოწავებულ რგოლებზე. ჭაურის სანგრევში ტუბინგი 1 ჩაიშვება აწევის ბაგირით 2 და სპეციალური ჩასაბმელი მოწყობილობის (საყურე) 3 საშუალებით. სანგრევში ტუბინგი გადაიკიდება. შემსრულებელი ჯალამბრის (ლილ ან ლილ-1,5) ბაგირზე 4 რომლითაც მიიტანება დაყენების ადგილას. ტუბინგი

დაყენდება ადრე დაყენებულ რგოლზე 5 ჭანჭიკების საშუალებით. ახალი რგოლის მთლიანად აწყობის შემდეგ მას დააცემენტებენ. სამაგრის სვეტის განტვირთვის მიზნით ამოჟყავთ საყრდენი გვირგვინი. თუკი და **ВНИИОМШС**-ის რკინაბეტონის ტუბინგების გამოყენებისას საყრდენ გვირგვინებს შორის მანძილი აიღება 15-20 მ, ხოლო **СТК**-ს ტიპის გამოყენებისას 8-10 მ.



ნახ. 139. ტუბინგური სამაგრის ამოჟყანის სქემა

ტუბინგური სამაგრის ქვემოდან ზევით ამოჟვანა ხორციელდება კიდული თაროდან. სეგმენტი ჩაიტანება თაროზე. სამაგრის მონტაჟი ხორციელდება ტელფერის საშუალებით, რომელიც დაყენდება თაროს მეორე სართულის ქვეშ მოთავსებულ მონორელსზე.

ტუბინგური სამაგრის წყალშეუღწევობა ხორციელდება ნაწილურების თავით, ჭანჭიკებისა და სატამპონაჟე ხვრეტების შემჭიდროვებით და სამაგრის უგანა სივრცის ტამპონაჟით. სატამპონაჟო ცემენტის ხსნარი აიღება 1:3 შეფარდებით.

გარდა ზემოთ მოყვანილი სამაგრისა, ჭაურის აგებისას გამოიყენება მსუბუქი ტიპის სამაგრი კონსტრუქციები. მათ რიცხვს მიეკუთვნება ანკერული, ანკერული-ლითონის ბადით, შპრიცბეტონის და მათი კომბინაციით. ასეთი სამაგრის ამოყვანის ტექნოლოგია ანალოგიურია პორიზონტალური გეირაბების აგების დროს გამოყენებული ტექნოლოგიისა. სამუშაოები მიმდინარეობს კიდული თაროს საშუალებით.

17. ჰაურების რეპრესტრუქცია (ჩაღრმავება)

ძირითადი განსხვავება ჭაურის გაყვანასა და ჩაღრმავებას შორის მდგომარეობს იმაში, რომ ჭაურების ჩაღრმავება წარმოებს სპეციფიურ პირობებში. რომელიც ართულებს სამუშაოების წარმოებას.

ჩაღრმავება წარმოებს საექსპლუატაციო შახტაზე, რაც მოითხოვს ჩასაღრმავებელი სამუშაოების შეხამებას საექსპლუატაციო სამუშაოებთან. ჭაურის გაყვანა წარმოებს ზედაპირიდან, ჩაღრმავება კი – საშუალებო პორიზონტიდან; ჭაურის გაყვანისას მისი მთელი სიღრმე გამოყენებულია საგამყვანო მოწყობილობების განსაღაებლად და ამ ჭაურიდან სასარგებლო ნამარხი არ ამოაქვთ, ხოლო ჩაღრმავებისას კი ზედა ნაწილში ხდება სასარგებლო ნამარხის ამოტანა, ხოლო ქვედა ნაწილში მიმდინარეობს ჩასაღრმავებელი სამუშაოები; ჩაღრმავებისას აუცილებელია დამცავი მოწყობილობების აგება, ხოლო ჩაღრმავების დამთავრების შემდეგ მათი მოხსნა.

ზუმოთადნიშნული მიზეზების გამო ჭაურების ჩაღრმავების სიჩქარე 2,5-3-ჯერ, ხოლო შრომის მწარმოებლურობა 1,5-2-ჯერ მცირება, ვიდრე ჭაურის გაყვანის დროს.

ჩასაღრმავებელი ჭაურის პარამეტრებია: ჩასაღრმავებელი ჭაურის დიამეტრი. როგორც წესი, იგი ტოლია საექსპლუატაციო ჭაურების დიამეტრისა და იცვლება 5-დან 8 მ-დე.

ტერმინი ჩაღრმავების ბიჯი, ანუ მანძილი, რომელზეც ჩაღრმავდება ჭაური, ჩვეულებრივ ტოლია პორიზონტებს შორის ვერტიკალური მანძილისა. ფენის დამრეცი განლაგებისას ჩაღრმავების ბიჯი შეადგენს 80-100 მ. ციცაბო ფენებში – 150 მ.

ტერმინი ჩაღრმავების ხერხი გულისხმობს სანგრევის გადაადგილების მიმართულებას. განასხვავებენ ჩაღრმავების საშენებს: 1. ზევიდან ქვევით; 2. ქვევიდან ზევით; 3. კომბინირებული (ერთდროულად ზევიდან და ქვევიდან).

საწარმოო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია I ხერხი.

ტერმინი ჩაღრმავების სქემა ახასიათებს ბადიიდან ქანის განტვირთვის ადგილს.

ზევიდან ქვევით ჩაღრმავებისას ბადიიდან ქანის განტვირთვის ადგილისაგან დამოკიდებულებით განასხვავებენ შემდეგ სქემებს:

I ბადიიდან ქანის განტვირთვა წარმოებს დღის ზედაპირზე (ნახ. 140, ა);

II ქანის განტვირთვა მუშა პორიზონტზე, (ნახ. 140, ბ);


III ქანის განტვირთვა ჩასაღრმავებლ პორიზონტზე (ნახ. 140, გ, დ) რომელიც შეიძლება გაიზიდოს ბრმა ჭაურით ან დახრილი სასვლელით სამუშაო პორიზონტზე (ნახ. 140, დ).

ქვევიდან ზევით ჩაღრმავებისას ქანის მონგრევისა და სამაგრის ამოყვანის სამუშაოთა თანმიმდევრობის მიხედვით


განასხვავებენ შემდეგ სქემებს: 1. ქვემოდან ზემოთ მცირე განივევეთის მქონე აღმავალი გვირაბის გაყვანით და შემდეგ მისი გაგანიერებით ზემოდან ქვემოთ (ნახ. 141, а); 2. ქვემოდან ზემოთ სრული კვეთით გაყვანით, დროებითი სამაგრის დადგმით, ქანის დაწყობილებით და შემდგომში მისი გამოშვებით და მუდმივი სამაგრის ამოყვანით (ნახ. 141, б); 3. ქვემოდან ზემოთ სრული კვეთით გაყვანით, მუდმივი სამაგრის ამოყვანით და ქანის დაწყობილებით (ნახ. 141, გ).

ჩაღრმავების ხერხისა და სქემის შერჩევა დამოკიდებულია სამთო მომპოვებელი საწარმოს კონკრეტულ პირობებზე და განისაზღვრება ვარიანტების შედარებით.

უპირატესობა ენიჭება ვარიანტს, რომლის დროსაც ჩაღრმავების დრო და ღირებულება ნაკლებია და შახტის საექსპლუატაციო რეჟიმის დარღვევა მინიმალურია.



ნახ. 140. ჭაურის ზემოდან ქვემოთ ჩაღრმავების სქემები



ნახ. 141. ჭაურის ქექმოდან ზემოთ ჩაღრმავების სქემები

18. ზეპილან ძველით ჩაღრმავების ხერხები


18.1. ჭაურის ჩაღრმავება ქანის განტვირთვით ზედაპირზე

ამ სქემით საგამყვანო სამუშაოების ორგანიზაცია ხდება ზედაპირიდან. იგი შეიძლება განხორციელდეს მუდმივი ან დროებითი ამწევი მანქანის გამოყენებით. ბადიის ქანის განტვირთვა წარმოებს მიწის ზედაპირზე საექსპლუატაციო ურნალში, რომელიც მონტაჟდება განმტვირთავი დაზგა ლადებითა და ჟოლობით. ბადიის ასაწევად გამოიყენება ერთ-ერთი არსებული საამწეო მანქანა ან მონტაჟდება ახალი საამწეო მანქანა. ჭაურთან ახლოს იდგმება ნელსვლიანი ჯალამბრები ჭაურში თაროს,

ეალიბის, მილების, დგარების და სხვადასხვა მოწყობილობების ჩასაკიდებლად (ნახ. 142).

მუდმივი ამწევი მანქანის მუშაობისას გადი (სკიპი) უნდა შეიცვალოს საგამყვანო ბადით. საგალე ჭაურებში შეიძლება გამოვიყენოთ ჩაღრმავება სრული კვეთით, საექსპლუატაციო მუდმივი აწევის გაჩერებით. ამ დროს ჩაღრმავების სამუშაოები არაფრით განსხვავდება ჭაურის ჩვეულებრივი გაყვანისაგან.

დროებითი ამწევი მანქანის გამოყენება ითვალისწინებს სპეციალური ჩასაღრმავებელი განყოფილების მოწყობას ჭაურის კვეთში. ამ შემთხვევაში ჩაღრმავების სიჩქარე ნაკლებია, ვინაიდან ჩასაღრმავებელ განყოფილებაში მხოლოდ ერთი, მცირე ტევადობის ბადიის გამოყენების საშუალება არსებობს ($0,75-1,0 \text{ მ}^3$).



ნახ. 142. ჭაურის ჩაღრმავების სქემა ქანის განტვირთვით ზედაპირზე. 1 - ურნალი; 2 - განმტკირთავი დაზგა; 3 - ქანსაშვები დარი; 4 - დამცავი თარო; 5 - სტაციონალური ტუმბოს კამერა; 6 - ორსართულიანი თარო; 7 - კიბე; 8 - დამტკირთავი მანქანა;

- 9 - ბეტონმიმწოდებელი; 10 - საგამყვანო თარო;
11 - სავენტილაციო მილი; 12 - ტუმბოს დამჭირხნი მილი.

სქემის დადებითი მხარეა – ჩაღრმავების სამუშაოების მთლიანი დამოუკიდებლობა საექსპლუატაციო სამუშაოებისაგან; ჩაღრმავებაზე მუდმივი საამწეო მანქანების გამოყენების შესაძლებლობა; მოსამზადებელი სამუშაოების სიმცირე; ამ სქემის დროს აღწევენ ჩაღრმავების მაქსიმალურ სიჩქარეს და შრომის მაქსიმალურ მწარმოებლურობას; მინიმალურია ჩაღრმავების დრო და მოსამზადებელი სამუშაოების ღირებულება. სქემის უარყოფითი მხარეებია: საექსპლუატაციო აწევის შეზღუდვა; დროებითი ამწევი მანქანის დადგმისას ზედაპირზე დამატებითი ფართობის გამოძებნის საჭიროება; ჭაურში დამცავი თაროების მოწყობის ან ქანის მოედნის დატოვების საჭიროება; საგამყვანო განყოფილების გადატიხვრის და სათანადო აღჭურვის სამუშაოთა შრომატევადობა.

პრაქტიკულად დადგენილია, რომ აღნიშნული სქემა გამოიყენება ჭაურების ჩასაღრმავებლად, რომელთა ზღვრული სიღრმე 500 მეტრამდეა.


18.2. ჩაღრმავება ქანის განტვირთვით მუშა ჰორიზონტზე

ასეთი სქემით მუშაობა მიზანშეწონილია დიდი სიღრმის მქონე ჩასაღრმავებელ ჭაურებში, რადგან დიდი სიღრმის ჭაურებში თითქმის შეუძლებელია მუდმივი ამწევი მანქანების გამოყენება მათი გადატვირთვის გამო. ქანის განტვირთვა ბადიიდან

ვაგონებიში ხდება სამუშაო ან სავენტილაციო პორიზონტები (ნახ. 140, ბ). ვაგონებით ქანი შემომვლები გვირაბის გავლით ტრანსპორტირდება დედამიწის ზედაპირზე. ჭაურის ჩაღრმავებისათვის საჭირო მასალები და მოწყობილობანი ვაგონებით ჩაიშვება მუშა პორიზონტებ, დასაწყობდება ჭაურთან, ხოლო შემდეგ ბადით ჩაიშვება სანგრევში.

საამწეო მანქანა და ნელსვლიანი საგამყვანო ჯალამბრები ჩვეულებრივ განლაგდება მუშა პორიზონტებ სკეციალურ კამერაში, რომელსაც აქვს დახრილი სასვლელი ბაგირისათვის. შახტებზე, სადაც არის ამის საშუალება, საამწეო მანქანა მონტაჟდება ზედაპირზე, ხოლო საამწეო ბაგირი განლაგდება ჭაურში, ამასთან საბადიო აწევა მუშაობს ჩასაღრმავებელი ჭაურის სანგრევიდან მუშა პორიზონტამდე.

ჭაურში ეწყობა ორი დამცავი თარო: ერთი შეუდლების ზევით ჩასაღრმავებელი განყოფილების თავზე, მეორე – ჭაურის ზუმფის ქვეშ (საექსპლუატაციო აწევის ქვეშ). ზოგიერთ შახტაზე ჭაურის ჩასაღრმავებელი განლაგდება საკიბე, საგალე (სკიპის) განყოფილებაში, რომელთა აწევა ჩაღრმავების პერიოდში მუშაობს ზემოთ მდებარე პორიზონტამდე (ნახ. 143).



ნახ. 143. ჭავრის ჩაღრმავება ქანის განტვირთვით მუშა
პორიზონების

მუშა პორიზონტის ზევით 1, 12-14 მეტრის სიმაღლეზე ეწყობა დამცავი თარო 2, რომელიც გამორიცხავს მოქმედ ჭაურში ამწევი ჭურჭლების ჩამოგარდნას გაღრმავების ზონაში. მუშა პორიზონტზე ეწყობა დროებითი ამწევი მანქანის კამერა 3, ამ კამერას უკავშირდება დახმარებული გვირაბი 4 ამწევი და მიმმართველი ბაგირების გასატარებლად. ხოლო ჭაურში დამცავი თაროს ქვეშ ეწყობა ბაგირის ბორბალის (შეივის) მოედანი 5. მიმმართველი ბაგირების ჯალამბარი 6 განლაგებულია დახმარებული გვირაბში. ჭაურის ეზოს პორიზონტამდე, ჭაურის გასაღრმავებელ განყოფილებაში იდგმება დახმარებული დარიანი გასატვირთი დაზღა 7. მუშა პორიზონტზე ათავსებენ აგრეთვე გასაღრმავებელი ჭაურის სანგრევის გასანიავებელ ვენტილატორს 8.

ჭაურის ზუმფში მონტაჟდება დამცავი თარო 9. დამცავი თაროს ქვეშ (4-6 მ) მონტაჟდება მასიური ორსართულიანი საგამყვანო თარო 10. თაროზე განლაგდება ჭაურის გაღრმავებისათვის საჭირო ყველა ჯალამბარი. გაღრმავების სასვლელში (ჭრილი ბ-ბ) 11, გაიყვანება სავენტილაციო მილები 12, მაშველი კიბის 13 ბაგირი და წყალსატუმბი მილები 14. სტაციონალური თარო მუშა პორიზონტთან დაკავშირებულია გაღრმავების სასვლელში განთავსებული კიბეებით 15. სტაციონალური თაროს ზედა სართულზე განლაგებულია ჯალამბარი 16 ორსართულიანი საგამყვანო თაროსათვის 17; ქვედა სართულზე (ჭრილი გ-გ) განლაგებულია სამი ჯალამბარი 18; საგდულებიანი ქარგილი 19 მომსახურებისათვის და ჯალამბარი 20 ცენტრალური შვეულისათვის.


ტექნოლოგიური სქემის დადებითი მხარეებია საბადიე აწევის მინიმალური სიმაღლე და ჩასაღრმავებელ განყოფილებაში,

განტვირთვის დონის ზემოთ, საგამყვანო ჯალამბრების დაყენების შესაძლებლობა. მის ნაკლად ითვლება ჩასაღრმავებელი სამუშაოების დამოკიდებულება საექსპლუატაციო სამუშაოებისაგან, რაც ამცირებს ჩაღრმავების ტემპს; დამხმარე გვირაბების გაყვანის საჭიროება; მასალების მიწოდების სიძნელე; ორი დამცავი მოწყობილობის გაკეთების აუცილებლობა. ამ სქემით ჩაღრმავებას მიმართავენ ისეთ ჭაურებში, რომელთა საწყისი სიღრმე 500 მეტრს აღემატება.

18.3. ჩაღრმავება ქანის განტვირთვით ჩასაღრმავებელ (საშუალებო) პორიზონტზე

ეს ტექნილოგიური სქემა ითვალისწინებს სპეციალური ჩასაღრმავებელი პორიზონტის მოწყობას მუშა პორიზონტის ქვევით 35-40 მ-ზე. ჩასაღრმავებელ პორიზონტზე აგებენ კამერებს, რომელშიც განალაგებენ საამწეო მანქანებსა და საგამყვანო ჯალამბრებს, გაჰყავთ დახრიდი სასვლელი სამწეო საგირისათვის.


ჩასაღრმავებელი პორიზონტის ზემოთ ქვევიდან ზევით გაჰყავთ საურნალე ჭაურის ნაწილი, სიმაღლით 10-15 მ, რომელშიც განლაგდება შკივქვედა მოედანი (ნახ. 144, 6). ზოგჯერ ამ ნაწილში აწყობენ დამატებით მოედნებს, რომელზედაც მონტაჟდება ჩასაღრმავებელი მცირე ჯალამბარი 22 აწევის ბაგირის მიმმართველებისათვის.



ნახ. 144. ჭაურის ჩაღრმავება ქანის განტვირთვით
ჩასაღრმავებელ პორიზონტზე

გაჰყავთ გასაღრმავებელი ჭაურის პირი, რომელიც გადაიხურება ნულოვანი ჩარჩოთი. ნულოვან ჩარჩოზე მონტაჟდება განმტვირთავი დაზგა უოლობით 7. ჭაურის დატვირთული ვაგონები ბრმა ჭაურით (ნახ. 140, დ) ან ქანობით (ნახ. 145) აღწევს მუშა პორიზონტამდე. ცენტრალური შეწყვილებული ჭაურის ჩაღრმავებისას დატვირთული ვაგონები შეიძლება აიწიოს ზედაპირამდე ადრე ჩაღრმავებული მეზობელი საგალე ჭაურით (ნახ. 145, 1). საექსპლუატაციო (საგალე) ჭაურამდე ვაგონები გადაადგილდება შემაერთებელი გვირაბით. ქანობითა და ბრმა

ჭაურით წარმოებს ჭაურის ჩასაღრმავებლად საჭირო მასალების ჩაშვება და ხალხის გადაადგილება.



ნახ. 145. ჭაურის ჩაღრმავების სქემა დამხმარე დახრიდი
(ქანობი) გვირაბის მეშვეობით


ჩაღრმავებული ჭაურის ზუმფს გადაღობავენ რკინა-ბეტონის ტიხარით (ნახ. 144, 10) ყველა მოსამზადებელი და სარემონტო სამუშაოების დამთავრების შემდეგ შეუდგებიან ჭაურის ჩაღრმავებას.

მოცემულ პირობებში ჭაურის ჩაღრმავების ტექნოლოგია პრაქტიკულად არ განსხვავდება ჭაურების მშენებლობისაგან და შეიძლება განხორციელდეს მშენებლობის სხვადასხვა ტექნოლოგიური სქემების საშუალებით. 143 და 144-ე ნახაზებზე მოცემულია ჭაურის ჩაღრმავების შეთავსებული სქემა სამუშაოების თანმიმდევრობითი შესრულებით.


19. მოწყობილობათა კომპლექსები ჰაურების ჩასაღრმავებლად

ჭაურების ჩაღრმავებისას იყენებენ კომპლექსებს: КБ-1, КС-2У და ОСК.

КБ-1 კომპლექსით მუშაობისას ჭაურში ჩაკიდულია საგამყვანო თარო. (ნახ. 146) მუდმივი სამაგრი ამოპყავთ სანგრევის წინა ყალიბში მიღებით მიწოდებული ბეტონის ხსნარით. ეს კომპლექსი გამოიყენება 300 მ-დე სიღრმის ჭაურების გასაყვანად და ჭაურების ჩაღრმავებისას. მასში შედის მოძრავი ყალიბი 1, КС-3 ტიპის პნევმატური დამტკირთველი 2, რომელიც ჩამოკიდებულია საგამყვანო ორსართულიან თაროზე დადგმულ ჯალამბარზე 3.



ნახ. 146. კომპლექსი КБ-1



ნახ. 147. ჭაურგამყვანი
კომპლექსი ОСК.

კომპლექსის დადებითი მხარეა მცირე მასა და დირებულება, ნაკლია ხელით მუშაობის დიდი მოცულობა ბურღვისა და ქანის დატვირთვის დროს.

KC-2Y კომპლექსით მუშაობენ მაშინ როცა ჩაღრმავების ბიჯი აღემატება 150-180 მ. დადებითი მხარეა ბურღვისა და დატვირთვის მთლიანი მექანიზმი. ნაკლია მოწყობილობის დიდი მასა, მონტაჟის დიდი ხანგრძლივობა, შეკუმშული ჰაერის დიდი ხარჯი.

OCK კომპლექსში მთლიანად მექანიზმულია ბურღვა და დატვირთვა. კომპლექსი გამოიყენება მცირე სიღრმეების ჭაურების გასაყვანად და ჭაურების ჩასაღრმავებლად (ნახ. 147). კომპლექსის შემადგენლობაში გარდა ქანის მტვირთავი მანქანისა, შედის СБМУ ტიპის საბურღვი დანაღვარი.

გრეიფერის მექანიკური ტარება ჭაურის სანგრევში ხდება ჩამოსაკიდი ბაგირის გადახრით ვერტიკალური მდგომარეობიდან ურიკებზე დაყენებული ორი ჯალამბრის საშუალებით. ურიკები მოძრაობს მზიდი რგოლის მონორელსზე. OCK ტიპის ქანის მტვირთავი მანქანის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: გრეიფერი 1, რომლის ტევადობა $0,4\text{--}0,65$ მ³-ია; გრეიფერის ჩამოსაკიდებელი ტელფერი 2; გრეიფერის სატარებელი სისტემა, რომელშიც შედის პორიზონტალური გადაადგილების მექანიზმი 3 და ვერტიკალური გადაადგილების ბაგირები 4; მზიდი რგოლი 5, მასზე მოძრავი ორი ურიკით 6; მემანქანის კაბინა 7; გრეიფერის ტარების მიმმართველი ჩარჩო 8; მზიდი რგოლის დასაკიდი სამი ბაგირი. მზიდ რგოლს აქვს განბრჯენი დომკრატები. ტელფერის ბაგირის სიგრძის გაზრდისათვის გრეიფერის დასაკიდი ბაგირის მეორე ბოლო დამაგრებულია საგამყვანო თაროს პირველ სართულზე მოთავსებულ ლილ-1,5 ტიპის ჯალამბრის 10

პოლისპასტის ბლოგზე. ამ მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს აგრეთვე ზედაპირზე დაყენებული ჯალამბარი ლП-5/500

20. ჯამცავი მოწყობილობანი


ჭაურების ჩაღრმავება, ჩვეულებრივად მიმდინარეობს მათი მოქმედების შეუწყვეტად, ე.ი. მათში საექსპლუატაციო აწევის წარმოებასთან ერთად. უსაფრთხოების წესების თანახმად ჩასაღრმავებელი ჭაურის სანგრევი მუშა პორიზონტის მოქმედი აწევისაგან იზოლირებული უნდა იყოს დამცავი მოწყობილობით. დამცავი მოწყობილობის აგება წარმოადგენს შრომატევად და ძირიდლირებულ სამუშაოს და იკავებს ჭაურის ჩაღრმავების მოსამზადებელი პერიოდის დროის 50-90%-ს.

დამცავი მოწყობილობების ცალკეულ კონსტრუქციებზე იხარჯება 200 ტონამდე ლითონი, 100 მ³-ზე მეტი ხე-ტყე.

ძირითადი მასალის სახეობის მიხედვით დამცავი მოწყობილობა შეიძლება იყვეს ბუნებრივი (ქანის მთელანები) და ხელოვნური (დამცავი თაროები).

ქანის მთელანი წარმოადგენს ბუნებრივ დამცავ ნაგებობას, რომელიც ფარაგს ჭაურის მთელ განივავთს (ყრუ მთელანა) ან მის ნაწილს. ქანის ყრუ მთელანი გამოიყენება ჩასაღრმავებელი პორიზონტიდან სამუშაოების წარმოების დროს (ნახ. 148, ა), როდესაც მთელანი ჭაურის განივავეთის ნაწილს ფარავს, მაშინ თავისუფალი ნაწილი ჩასაღრმავებელ განეოფილებას წარმოადგენს (ნახ. 148, ბ) ყველა შემთხვევაში ქანის მთელანის ქვედა ზედაპირი მაგრდება ორტესებრი კოჭების ერთი, ორი ან

სამი რიგით. მოელანის ზედა წახნაგი იფარება ბეტონით და ჩვეულებრივ ასრულებს წყალშემკრების როლს.



ნახ. 148. ქანის მოელანები


ქანის დამცავი მოელანა (ნახ. 149, а) შეიძლება მოვაწყოთ მაგარ, მკვრივი და უნაპრალო ქანებში რომელთაც არ გააჩნიათ დალბობის ან გამოქრევის უნარი. დამცავი მოელანის სიმაღლე აიღება 8-12 მ. დამცავი მოელანის პარამეტრების ანგარიში მეტად მიახლოებითა რაც არ იძლევა მათი უსაფრთხოების გარანტიას.

ხელოქნური დამცავი თაროები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა კონსტრუქციის. 149, ბ ნახაზზე ნაჩვენებია ხელოვნური დამცავი თარო, რომელიც ორი ძირითადი ელემენტისაგან შედგება.

თაროს ქვედა ნაწილი მზადდება №26÷30 ორტესებური ძელების რამოდენიმე რიგისაგან. ძელების ბოლოები მჭიდროდაა ჩამაგრებული ჭაურის კედლებში. მანძილი ძელებს შორის შეადგენს 300-500 მმ-ს. ძელების ფენილზე მოაწყობენ მკვრივ რკინა-ბეტონის ავზს. ბეტონის კედლების სისქე 150-200 მმ-ია. ავზში გროვდება ჭაურში მოდენილი წყალი. დაგროვილი წყალის ამოდვრას ახორციელებენ ზუმფის ტუმბოებით (ნახ. 149, ბ). ავზში

2,5 მის სიმაღლეზე ათავსებენ ორტესებური ძელების მეორე რიგს, რომელზედაც რამოდენიმე რიგად აწყობენ საფიჩხონეებს.

სამწეო ბაგირის გაწყვეტის შემთხვევაში ჩამოვარდნილი
საამწეო



ნახ. 149. დამცავი მოწყობი ლობანი.

ჭურჭელი დაეცემა ძელების ზედა რიგს, შემდეგ საფიჩხონეებს და წყალს. საფიჩხონეებისა და წყლის ერთიანობა ქმნის სათანადო დრეგადობას და ასრულებს ამორტიზატორის მოვალეობას, ხოლო თაროს ხისტი რკინა, ბეტონის იატაკი უზრუნველყოფს საჭირო სიმტკიცეს.

149, გ ნახაზზე ნაჩვენებია ხელოვნური დამცავი თარო, რომელიც გამოიყენება ისეთი ჭაურების ჩაღრმავებისას, სადაც წყლის მოდენა ან საერთოდ არ არის ან ძალიან მცირეა. თარო

მზადდება ორტესებური ძელების ერთი ან ორი რიგისაგან და საფიჩხონების სათანადო რაოდენობის წნულებისაგან, რაც უზრუნველყოფს ჩამოვარდნილი სამწეო ჭურჭლის კინეტიკური ენერგიის ამორტიზაციას.

149, დ ნახაზზე ნაჩვენებია სოლისებური დამცავი თარო, რომელშიდაც დარტყმის ენერგიის დიდი ნაწილი გადაეცემა არა პორიზონტალურ ძელებს და თაროებს, არამედ ჭაურის


ვერტიკალურ კედლებს. თაროს დახრილი სიბრტყეები დამზადებულია ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი ლითონის ძელებისაგან. ჭაურის კედლებსა და დახრილ ძელებს შორის არსებული შიდა სივრცე ამოივსება ბეტონით ან წყობით ამოყვანილი მასალით. ლითონის დახრილ კედლებს შორის მოთავსებულია ხის საცობი. საცობი წარმოადგენს ერთმანეთზე რამოდენიმე რიგად დალაგებულ ხის მორებს. ჩამოვარდნილი ამწევი ჭურჭელი ხის საცობზე დაცემისას გადასცემს მას კინეტიკურ ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს ეს უგანასქნელი გადასცემს ენერგიას ჯერ დახრილ სიბრტყეებს და მერე ჭაურის ვერტიკალურ კედლებს.

პრაქტიკაში უფრო ხშირად მიმართავენ პორიზონტალურ დამცავ თაროებს.

21. ჰაურის ძველიან ზეპიონ ჩაღრმავების ხერხები

ჭაურის ჩაღრმავება ქვევიდან ზევით შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ახალი პორიზონტი წინასწარ გახსნილი იქნება გვირაბით, მაგალითად, სავენტილაციო ჭაურით (ნახ. 150, ა) ბრმა ჭაურით (ნახ. 150, ბ) ან ქანობით (ნახ. 150, გ).

ქვევიდან ზევით გაღრმავება გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია გაღრმავება ზევიდან ქვევით, ჭაურში საჭირო მოწყობილობის მოსათავსებლად თავისუფალი ფართობის უქონლობის გამო, ანდა როდესაც ზევიდან ქვევით გაღრმავების საშუალებას საექსპლუატაციო სამუშაოები არ იძლევა.



ნახ. 150. ჭაურის ქვევიდან ზევით ჩაღრმავების სქემები

ქვევიდან ზევით გაღრმავების წარმოება შეიძლება მხოლოდ მდგრად, მაგარ, მკერივ ან საშუალო სიმაგრისა და საქმაოდ მშრალ ქანებში. მაგარ, მაგრამ ბზარებიან და წყალშემცველ ქანებში, ანდა გაზისა და მტვრის მხრივ საშიში ფენების არსებობისას გაღრმავების ეს წესი გამოუსადეგარია.

თუ გაღრმავება წარმოებს 120-140 მეტრზე უფრო ღრმად, მეტად ძნელდება მუშების გადადაგილება კიბეებით, რომელდება აგრეთვე მასალების, მოწყობილობათა და ხელსაწყო-იარაღების აწევა.

ქვევიდან ზევით გაღრმავების უპირატესობებია:

- 1) ჭაურის გაღრმავების სამუშაოები გავლენას არ ახდენენ შახტის ნორმალურ ექსპლუატაციაზე;
- 2) ჭაურის მოქმედ ნაწილში საამწეო ჭურჭლების მოწყვეტის შემთხვევაში გაღრმავებაზე მომუშავე მუშები იმყოფებიან გაცილებით უფრო უსაფრთხო მდგომარეობაში, ვიდრე ზევიდან ქვევით გაღრმავების დროს;

- 3) გამორიცხულია ქანის ბადიაში ტვირთვის შრომატევადი სამუშაო; ქანი თავისი წონის გავლენით ეშვება ქვედა პორიზონტზე, სადაც კოდიდან იტვირთება ვაგონებებში;
- 4) საჭირო არ არის წყალქცევა;
- 5) ქანის საკუთარი წონის მოქმედების გამო იზრდება აფეთქებითი სამუშაოების ეფექტურობა, რაც რამდენადმე ამცირებს ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების მოცულობას.
- ქვევიდან ზევით გაღრმავების ნაკლოვანებებია:
- 1) სიმაღლის გაზრდასთან ერთად იზრდება მუშების კიბეზე გადაადგილების სინქელვ;
 - 2) გაძნელებულია ჭაურის სანგრევში მასალების მიზანა;
 - 3) სანგრევის არასაკმაოდ გულდასმით მოწმენდის შემთხვევაში იზრდება ქანის ნატეხების გამოვარდნის საშიშროება;
 - 4) მოსალოდნელია ქანის გაჭედვა ქანის განყოფილებაში;
 - 5) არსებობს საშიშროება დაშვებულ იქნას შეცდომა ჭაურის მიმართულების მიცემაში და ამის შემდეგ ჭაური გამრუდდება;
 - 6) იზრდება ჭაურის ექსპლუატაციაში შეყვანის ვადა მეორე ჭაურის, ქანობის და სხვა დამატებითი გვირაბების წინასწარი გაყვანის ანგარიშზე.


21.1. ჩაღრმავება ქვევიდან ზევით მცირე კვეთით, შემდგომი გაფართოებით მთელ კვეთზე ზევიდან ქვევით

ამ სქემით ჭაურის ჩაღრმავების არსი ის არის, რომ ახლად გახსნილ პორიზონტზე ქვევიდან ზევით მომავალი ჭაურის კვეთის ფარგლებში გაჰყავთ სწორქუთხა ან სხვა ფორმის აღმავალი მუშა

პორიზონტის ზუმფამდე. შემდეგ იწყებენ აღმავალი გვირაბების გაგანიერებას ჭაურის მთლიან კვეთამდე ზევიდან ქვევით.

აღმავალს აქვს სამი განყოფილება: յიბის- ხალხის მოძრაობისათვის, საამწეო – ბადიებისათვის, რომლებითაც წარმოებს საბურღი მოწყობილობების, ინსტრუმენტებისა და სამაგრი მასალების აწევა და ქანის გამოსაშვები განყოფილება (ნახ. 151).

აღმავლის გაყვანის სამუშაოებს წინ უსწრებს პორიზონტალური გვირაბის გაყვანა გასაღრმავებელი ჭაურის ქვეშ ქვედა პორიზონტზე. იმავდროულად საჭიროა ზუსტი მარქშეიდერული აგეგმვა გაყვანილ გვირაბში ჭაურის ცენტრის განსაზღვრის მიზნით, ბეტონის რეპერის



ნახ. 151. აღმავლების განიგავთები

მოწყობა აგეგმვისას მარქშეიდერული კონტროლის საწარმოებლად და სხვ. როდესაც ჭაურის მდებარეობა ზუსტად იქნება ფიქსირებული, ქვედა პორიზონტზე ახდენენ მაღაროს ეზოს

შეჭრას და მუდმივ გამაგრებას, ამასთან საიმედოდ ამაგრებენ აგრეთვე ჭაურის ჭერს (ნახ. 152).

მაღაროს ეზოს შეჭრისა და გამაგრების შემდეგ მასში დგამენ განმტკირთველ დაზგას გამოსაშვები კოდის პირით. კოდის პირი კეთება გამძლე, სქელი ფიცრებისაგან, რომელთაც ზემოდან გადაეკვრება სქელი რკინის ფურცლები. კოდის პირს უკეთდება საკეტი. შეუდლების მოწყობისა და კოდის დადგმის შემდეგ იწყებენ აღმავლის გაყვანას.


როდესაც აღმავლის სანგრევი მოუახლოვდება გასაღრმავებელი ჭაურის ზუმფს 6-10 მეტრის მანძილზე, გაყვანა წყდება. ჭაურის ზუმფს წინასწარ გაწმენდებნ ტალასისა და წყლისაგან, რის შემდეგ ქანის მთელანაში გაჰყავთ გაღრმავების სასვლელი მაღაროს ეზოს მოქმედ პორიზონტზე. სასვლელი მიიღება სწორგუთხა ფორმის, ზომებით სინათლეში $2,3 \times 1,5$ მ; $2,3 \times 2,1$ მ.

გაღრმავების სასვლელით, მაღაროს ეზოს პორიზონტიდან გაღრმავებაში მიეწოდება სანგრევის დროებითი და მუდმივი გამაგრების მასალები, არმირების ელემენტები, წარმოებს მუშების მოძრაობა, მიღების გაყვანა და სხვ.

როდესაც გაიყვანენ გაღრმავების სასვლელს, იწყებენ ჭაურის ზედა ნაწილის გაფართოებას საპროექტო კვეთამდე და ამაგრებენ მთელანას ჭერისული სამაგრით. გაფართოებას აწარმოებენ 6-8 მ სიღრმეზე, რის შემდეგ მის კედლებს ამაგრებენ მუდმივი სამაგრით.

გაღრმავების ზედა გამაგრებულ ნაწილში დგამენ მტკიცე თაროს ლითონის კოჭებზე. თაროზე იდგმება ჯალამბრები ჩამოსაკიდი თაროსათვის, მასალების ჩასაშვებად, შვეულისათვის

და სხვ. მოქმედი მაღაროს ეზოს გვირაბებს თარო უკავშირდება კიბეებით.



152. ჭაურის ჩაღრმავების სქემა ქვევიდან ზევით მცირე ავეთით
შემდგომი გაფართოებით მთელ კვეთზე ზევიდან ქვევით.

- 1 – ქანის განყოფილება; 2 – საამწეო-საბადივ განყოფილება;
3 – საგიბე განყოფილება; 4 – სექტორული ჩამრაზი;
5 – ჭაურმიმდებარე ეზოს ჩამრაზი; 6 – გეზენკი; 7 და
8 – საგამყვანო მოწყობილობის თაროები; 9 – ბეტონმიმწოდი.

თაროზე ჯალამბრების მოწყობის შემდეგ იწყებენ ჭაურის გაფართოებას საპროექტო კვეთამდე. გაფართოება ხდება ზევიდან ქვევით. მუშაობა წარმოებს უბნებად.

პირველ რიგში ჭარმოებს ჭაურის გაფართოება ერთდღოულად დროებითი სამაგრის დადგმით, ხოლო შემდეგ უბანს ამაგრებენ ქვევიდან ზევით მუდმივი სამაგრით. გაფართოება ხდება ბურდვა-აფეთქებითი სამუშაოებით. შპურების სიღრმე ქანის სიმაგრის მიხედვით მიიღება 2,0-2,5 მ. შპურების რიცხვი 1 მ²-ზე იცვლება 1,2-1,5 ცალის ფარგლებში. ფეთქებადი ნივთიერების ხარჯი ცვალებადობს ზღვრებში 0,4-0,6 კგ. ქანის 1 მ³-ზე.

შპურების აფეთქების წინ აღმავლის ხის სამაგრი იხსნება შპურების სიღრმეზე ოდნავ მეტ მანძილზე და ჯალამბრით იგზავნება ქვედა პორიზონტზე.

მთელი აფეთქებული ქანი იყრება აღმავლის ქანის განყოფილებაში, სადაც იგი მაგაზინდება და თანდათანობით გამოიშვება კოდის პირიდან ქვედა პორიზონტზე.

ჭაურის კედლები მაგრდება დროებითი სამაგრით, რომლის რგოლის ცალკეული სეგმენტები მიეწოდება მაღაროს ეზოს საექსპლუატაციო პორიზონტიდან.

როდესაც ჭაურის გაფართოების სამუშაოები დამთავრდება უბანზე სიმაღლით 15-20 მეტრი, აწყობენ ძირითად გვირგვინს და ამოჰყავთ მუდმივი გამაგრება ქვევიდან ზევით.

ამ წესის უპირატესობებს მიეკუთვნება:

1) საშუალო სიმდგრადის ქანებში გამოყენების შესაძლებლობა, ვინაიდან მუშების თავზე შიშვლდება სანგრევის მცირენაზილი;

2) აღმავლის გადახრის შემთხვევაში გერტიკალიდან ჭაურის გამრუდება შეიძლება გამოსწორდეს გაფართოების დროს.

3) ამ წესის ნაკლოვანებებს მიეკუთვნება გაყვანის დაბალი სიჩქარე, ვინაიდან ჭაურში მუშაობა ხდება ორჯერ: ჯერ ქვევიდან ზევით, ხოლო შემდეგ ზევიდან ქვევით.


212. ჩაღრმავება ქვევიდან ზევით სრული კვეთით, დროებითი გამაგრებით.

ეს წესი მდგომარეობს იმაში, რომ ჩაღრმავება ქვევიდან ზევით ჭარმოებს მოედი კვეთით, დროებითი გამაგრებით და ქანის დასაწყობებით.

წრიული ფორმის ჭაურის პედლების გასამაგრებლად დროებით სამაგრად იყენებენ შველერის (№14-18) რგოლებს, ხოლო გვერდებში აწარმოებენ გულდასმით ამოხიმვას.

დროებითი განბრჯენებით ჭაური იყოფა ორ არათანაბარ ნაწილად. უფრო დიდ ნაწილში ახდენენ მონგრეული ქანის დასაწყობებას, ხოლო პატარა ნაწილს კი დამატებითი განმბრჯენებით ყოფენ დამსმარე განყოფილებად: კიბის, სამწევო, ქანის, მილების და სხვ. (ნახ. 153).

ჩაღრმავების სამუშაო იწყება ზუმფის და ნაწილობრივ მაღაროს ეზოს გაყვანით ქვედა პორიზონტზე, რომელიც მაგრდება ბეტონით. შემდეგ აწყობენ საყრდენ დაზგას იმავე განყოფილებით, რაც ექნება ჭაურს გაღრმავების დროს.



ნახ. 153. ჭაურის ჩაღრმავება ქვევიდან ზევით სრული კვეთით,
მუდმივი სამაგრის შემდგომი ამოყენით.

მაღაროს ეზოს ბეტონის სამაგრზე იდება დროებითი სამაგრის ძირითადი რგოლი, რომელიც კეთდება შემდერული კოჭებისაგან N28-32.

დროებითი სამაგრის ყოველი შემდეგი რგოლი იდგმება ხის ბიგებზე. რგოლებს შორის მანძილი ქანის სიმაგრის მიხედვით აიღება 0,5-1,0 მ.

აღმაგალი შპურების ბურდვა წარმოებს ტელესკოპური საბურლი მანქანებით. შპურების სიღრმე აიღება 1,5-2 მ. შპურების რიცხვი სანგრევის 1 მ²-ზე იცვლება ზღვრებში 0,7-0,9 შპური. შპურების აფეთქების წინ ჭაურის მცირე სეგმენტის განყოფილებები გადაიხურება მოლიანი ნაფენით.

შპურების აფეთქებისა და განიავების შემდეგ საჭიროა სანგრევის გულდასმით მოწმენდა ქანის გამოშვერილი ნატეხებისაგან. აფეთქებული ქანის ერთი ნაწილი დასაწყობდება, ხოლო მეორე ნაწილი ქანის განყოფილებით ეშვება ძირს. დიდი სეგმენტი დასაწყობებული ქანით გამოიყოფა პატარა სეგმენტისაგან 25-30 სმ სისქის მორების მთლიანი კედლით. პატარა სეგმენტის განბრჯენები მაგრდება ტიხრის მორებში და ამოიფიცრება.

როდესაც ჩაღრმავების სანგრევი მიაღწევს ჭაურის ზუმფს 6-10 მეტრის მანძილზე, გაყვანის სამუშაოებს წყვეტენ, აწყობენ ჩაღრმავების დამხმარე სახვლელს მაღაროს ეზოს ჰორიზონტამდე და შემდეგ იწყებენ ჭაურის მუდმივ გამაგრებას.

ჭაურის მუდმივი გამაგრება წარმოებს უბნებად ზევიდან ქვევით. ხოლო უბნის შიგნით – ქვევიდან ზევით, რისთვისაც პირველ რიგში ახდენენ დასაწყობებული ქანის გამოშვებას ერთი უბნის სიმაღლეზე და აწარმოებენ ჭაურის კედლებში ქანის გამოღებას საყრდენი გვირგვინისათვის.

სამაგრი მასალების მიწოდება წარმოებს ზედა ჰორიზონტიდან; დროებითი სამაგრი იხსნება მუდმივი სამაგრის ამოყვანასთან ერთად და ამოიტანება ზედა ჰორიზონტზე.

გაღრმავების ეს წესი გამოიყენება მხოლოდ და მხოლოდ მაგარ, ერთგვაროვან, საკმაოდ მკერივ ქანებში.

ამ წესის ძირითადი უპირატესობა ის არის, რომ ჩაღრმავება წარმოებს ერთბაშად მოედ კვეთზე.

წესის ნაკლოვანებებია:

1) დასაწყობებული ქანის სეგმენტის გამოსაყოფად ძლიერ მტკიცე განივი კედლის მოწყობის საჭიროება;


2) ჭაურის ვერტიკალიდან გადახრის გამოსწორების
მეტისმეტი სირთულე, რის გამოც საჭიროა ზუსტი
მარქშეიდერული გაგნება და ჩაღრმავების სამუშაოთა
სისტემატური კონტროლი.

21.3. ჩაღრმავება ქვევიდან ზევით მთელი კვეთით, მუდმივი სამაგრის ერთდღოული ამოყვანით

ამ წესით ჭაურის ჩაღრმავება ხასიათდება იმით, რომ ზუსტი
მარქშეიდერული აგეგმვის შემდეგ იწყებენ ჭაურის გაყვანას
ქვევიდან ზევით მთელ კვეთზე, მუდმივი სამაგრის ერთდღოული
ამოყვანით.

გაყვანის პერიოდში ჭაურის განივევეთი იყოფა ორ თანაბარ
სეგმენტად: დიდ სეგმენტში დასაწყობდება მონგრეული ქანი,
ხოლო პატარა იყოფა მთელ რიგ განყოფილებებად: ქანის – ქანის
გამოსაშვებად, კიბის – ხალხის მოძრაობისათვის, საამწეო –
სამაგრი მასალის, ხელსაწყო-იარაღების და მოწყობილობების
ასაწევად, მიღების – სავენტილაციო და შეკუმშული ჰაერის
მიღებისათვის.

154-ე ნახაზზე ნაჩვენებია განსახილველი წესით ჭაურის
ჩაღრმავების სქემა. ამ წესით ჩაღრმავების დროს სამუშაოთა
წარმოება წვენს მიერ განხილული მეთოდის ანალოგიურია.
განსხვავება მდგომარეობს მუდმივი სამაგრის ამოყვანაში.



ნახ. 154. ჭაურის ჩაღრმავება ქვევიდან ზევით სრული კვეთით,
მუდმივი სამაგრის ერთდროული ამოყვანით.

მუდმივი სამაგრის მასალა (ჩვეულებრივად აგური) მიეწოდება სანგრევში ქვედა ჰორიზონტიდან კონტეინერის საშუალებით. კონტეინერის აწევისათვის ქვედა ჰორიზონტზე ეწყობა ამწევი ჯალამბარი. ამწევი ბაგირის შემთხვევაში მაგრდება სპეციალურ კოჭებზე. სამაგრი მასალა კონტეინერიდან იცლება სანგრევში თაროზე, ხოლო შემდეგ გამმაგრებლები მათი საშუალებით აწარმოებენ კედლების გამაგრებას. სამაგრი ამოიყვანება უბნებად სიმაღლით 2-3 მ.

წესის უპირატესობებია: ჭაურის ერთბაშად ჩაღრმავება მთელი კვეთით და მაგრდება მუდმივი სამაგრით.

წესის ნაკლოვანებებია:

- 1) მეტისმეტად ზუსტი მარქშეიდერული გაგნებისა და სამუშაოთა ყოველდღიური კონტროლის საჭიროება, ვინაიდან ჭაურის ვერტიკალიდან ყოველგვარი გადახრის გამოსწორება შემდეგში თითქმის შეუძლებელია;
- 2) მუდმივი გამაგრებისათვის სამაგრი მასალების აწევის სირთულე;
- 3) მუდმივი სამაგრის ზედა ნაწილის დაზიანების შესაძლებლობა აფეთქების შემდეგ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქ.ცისკარიშვილი, ა.გოჩოლეიშვილი. პორიზონტალური და დახრილი გვირაბების მშენებლობის ტექნიკოლოგია. დამსმარე სახელმძღვანელო, სპ. თბილისი, 1986 წ.
2. ქ.ცისკარიშვილი, მიწისქვეშა ნაგებობათა მშენებლობის ტექნიკოლოგია. II ნაწილი. ვერტიკალური გვირაბები. „განათლება“, თბილისი, 1987 წ.
3. Н.М. Покровский Сооружение и реконструкция горных выработок. час I, II, III. Гостехиздат литературы по горному делу. Москва, 1963 г.

სარჩევი

1. სამთო სამუშაოების ცნება და მიწისქვეშა გვირაბები.	3
1.1. ვერტიკალური გვირაბები.	4
1.2. ჰორიზონტალური გვირაბები.	6
1.3. დახრილი გვირაბები.	7
2. გვირაბების განივევეთის ფორმა და ზომები.	9
3. გვირაბის გაყვანის ხერხები.	18
4. ზოგადი ცნობები მუშაობის ორგანიზაციის შესახებ.	20
5. ბურღალეთქებითი სამუშაოების პარამეტრები.	22
5.1. ძირითადი მოთხოვნები.	22
5.2. ფუთქებადი ნივთიერებანი და აფეთქების ხერხები.	24
5.3. მუხტის სიდიდე, შპურების დიამეტრი, სიღრმე და რიცხვი,	
შპურების განლაგება სანგრევში, მუხტის კონსტრუქცია.	26
6. შპურების ბურღალება, დამუხტვა, აფეთქება და გვირაბის	
განიავება.	36
6.1. საბურღალები მანქანები და დანაღღარები.	36
6.2. შპურების დამუხტვა და აფეთქება.	44
6.3. გვირაბების სანგრევის განიავება.	48
7. ქანის დატვირთვა.	53
7.1. ხელით დატვირთვა.	53
7.2. მტვირთავი მანქანები.	54
7.3. დატვირთული ქანის გაზიდვა სანგრევიდან.	60
7.4. გვირაბგასაყვანი კომპლექსები.	67
8. დამხმარე სამუშაოები.	72
8.1. დროებითი სამაგრის დადგმა.	72
8.2. წყალსარინი არხების მოწყობა.	75

8.3. ლიანდაგის დაგება.	76
8.4. მილსადენებისა და კაბელების გაყვანა.	79
8.5 გვირაბების განათება.	81
9. მუდმივი სამაგრის ამოყვანა.	82
9.1. ზოგადი შენიშვნები.	82
9.2. ხის სამაგრის ამოყვანა.	84
9.3. ლითონის სამაგრის ამოყვანა.	87
9.4. ასაწყობი რკინაბეტონის სამაგრი.	92
9.5. მონოლითური ბეტონის სამაგრი.	102
9.6. ანგერული (შტანგური) სამაგრი.	109
9.7. გვირაბგასაყვანი ციკლი.	110
10. თარაზული გვირაბების გაყვანა ქანის მანქანური მონაცემით.	117
10.1. გვირაბების გაყვანა სანგრევი ჩაქუჩებით.	118
10.2. გვირაბის გაყვანა ქანის ჰიდრომონგრევით.	120
10.3. გაყვანა კომბაინების საშუალებით.	124
11. გვირაბების გაყვანის ძრითადი სქემები არაერთგვაროვან ქანებში.	136
11.1. ზოგადი ცნობები.	136
11.2 ვიწრო სანგრევით გაყვანა.	140
11.3. ფართო სანგრევით გაყვანა.	144
12. დახრილი გვირაბების გაყვანა.	147
12.1. ბრემსბერგის გაყვანა.	147
12.2. შუროების და სასულეულების გაყვანა.	152
12.3. ქანობების გაყვანა.	155
13. ვერტიკალური გვირაბის გაყვანა (ჭაურების გაყვანა).	163
13.1. მშენებლობის მოსამზადებელი პერიოდი.	166

13.2 ჭაურის პირისა და ტექნოლოგიური ნაწილის გაყვანა.	169
13.3 ჭაურის აგების სქემა.	176
13.4 ბურღა-აფეთქებითი სამუშაოების პარამეტრები.	181
13.5 გნიავება ჭაურების აგების დროს.	188
13.6 მონგრეული ქანის დატვირთვა.	191
14. ქანის ატანა და ზედაპირზე განტვირთვა.	195
14.1 მოწყობილობათა კომპლექსები ჭაურების აგებისათვის. . .	203
15. წყალამოდვრა.	208
16. სამაგრის ამოყვანა.	214
16.1 მონოლითური ბეტონის სამაგრის ამოყვანა.	214
16.2. ტუბინგური სამაგრის ამოყვანა.	224
17. ჭაურების რეკონსტრუქცია (ჩაღრმავება).	228
18. ზევიდან ქვევით ჩაღრმავების ხერხები.	231
18.1. ჭაურის ჩაღრმავება ქანის განტვირთვით ზედაპირზე.	231
18.2. ჩაღრმავება ქანის განტვირთვით მუშა ჰორიზონტზე.	233
18.3. ჩაღრმავება ქანის განტვირთვით ჩასაღრმავებელ (საშუალები) ჰორიზონტზე.	237
19. მოწყობილობათა კომპლექსები ჭაურების ჩასაღრმავებლად. .	240
20. დამცავი მოწყობილობანი.	242
21. ჭაურის ქვევიდან ზევით ჩაღრმავების ხერხები	245
21.1. ჩაღრმავება ქვევიდან ზევით მცირე კვეთით შემდგომი გაფართოებით. მთელ კვეთზე ზევიდან ქვევით.	247
21.2. ჩაღრმავება ქვევიდან ზევით სრული კვეთით, დროებითი გამაგრებით.	252
21.3. ჩაღრმავება ქვევიდან ზევით მთელი კვეთით, მუდმივი სამაგრის ერთდროული ამოყვანით.	255
გამოყენებული ლიტერატურა.	258